

ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები

ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
35 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	2,413,000.0	2,413,000.0	-	2,500,000.0	2,550,000.0	2,630,000.0
35 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	831,000.0	831,000.0	-	870,000.0	900,000.0	920,000.0
35 01	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	52,850.0	51,950.0	900.0	53,000.0	53,300.0	53,600.0
29 03	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	48,597.0	41,897.0	6,700.0	48,700.0	48,700.0	48,700.0
35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	30,000.0	30,000.0	-	33,500.0	33,500.0	33,500.0
54 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	5,350.0	5,350.0	-	5,350.0	5,350.0	5,350.0
35 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	4,050.0	4,050.0	-	4,500.0	4,500.0	4,500.0
30 04	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	3,861.0	3,761.0	100.0	4,150.0	4,150.0	4,150.0
57 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	260.0	260.0	-	260.0	260.0	260.0
	სულ	3,388,968.0	3,381,268.0	7,700.0	3,519,460.0	3,599,760.0	3,700,060.0

მოსახლეობის სოციალური დაცვა (35 02)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია, მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება და შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, რომელთა უზრუნველყოფაც ხორციელდება პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით; პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საპენსიო ასაკის მოსახლეობის პენსიით (ქალები 60 წელი, მამაკაცები 65 წელი) და სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის, პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა; პროგრამის მიზანია შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ სოციალურად დაუცველ მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია; მიზნობრივი სოციალური ჯგუფებისთვის გაიცემა: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობები; მიზნობრივი ჯგუფებისთვის სოციალური პაკეტი; ლტოლვილთა-დევნილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობები; რეინტეგრაციის შემწეობა; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტები; ორსულობის და მშობიარობის, ბავშვის მოვლის ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება; შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება; მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისათვის/სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დანამატის დაფინანსება პენსიის/სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. ასევე, სამედიცინო პერსონალის დანამატების დაფინანსება - ექიმისთვის პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის- პენსიის ერთმაგი ოდენობით. მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები აბონენტებისთვის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის), მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული და რეალიზებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებები; მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, დეინსტიტუციონალიზაცია, პრევენცია; შშმ პირთა უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერა;

	ოჯახების გაძლიერება, ალტერნატიული სერვისების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - პენსია, მათ შორის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერების დანამატი და კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის; მიზნობრივი მაჩვენებელი - პენსია და კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ყველა ბენეფიციარებისათვის; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2% 2. საბაზისო მაჩვენებელი - საარსებო შემწეობის მიმღები სოციალურად დაუცველი პირები უზრუნველყოფილი არიან სოციალური დახმარებებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - საჭიროებიდან გამომდინარე საარსებო შემწეობით უზრუნველყოფილია ყველა სოციალურად დაუცველი პირი; შესაძლო რისკები - მიმართვიანობის შემცირება 3. საბაზისო მაჩვენებელი - კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ყველა შშმ პირი უზრუნველყოფილია დახმარებით, მათ შორის სოციალური პაკეტის დანამატით; მიზნობრივი მაჩვენებელი - შშმ პირების დახმარება გაიცემა საჭიროებების გათვალისწინებით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - მიმართვიანობის შემცირება 4. საბაზისო მაჩვენებელი - ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის შემთხვევაში (7 სახლი) - 30 % აკმაყოფილებს სრულად, დანარჩენი ნაწილობრივ; მიზნობრივი მაჩვენებელი - მომსახურებათა 40% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - მიმართვიანობის შემცირება 5. საბაზისო მაჩვენებელი - შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა) 11 დღის ცენტრიდან - 40 % სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს სრულად, დანარჩენი ნაწილობრივ; მიზნობრივი მაჩვენებელი - მომსახურებათა 50% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - მიმართვიანობის შემცირება 6. საბაზისო მაჩვენებელი - 13 სათემო ორგანიზაციიდან 34 % დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს სრულად, დანარჩენი ნაწილობრივ;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - მომსახურებათა 45% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - მიმართვიანობის შემცირება
--	--

მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (35 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საპენსიო ასაკის მოსახლეობის პენსიით (ქალები 60 წელი, მამაკაცები 65 წელი) და სპეციფიკური კატეგორიების (ძაღვოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის, პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა; მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საპენსიო ასაკის მოსახლეობა და სპეციფიკური კატეგორიები უზრუნველყოფილია პენსიით და სახელმწიფო კომპენსაციით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - პენსია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (716.0 ათასამდე პენსიონერი); მიზნობრივი მაჩვენებელი - პენსია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (770.0 ათასამდე პენსიონერი); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - ასაკით პენსიონერთა ნაკლები მომართვიანობა, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს მათ შორის საჯარო სამსახურში დასაქმებით, ქვეყნის დატოვებით და სხვა გარემოებებით 2. საბაზისო მაჩვენებელი - კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (22.0 ათასამდე სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები); მიზნობრივი მაჩვენებელი - კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (22.0 ათასამდე სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - კომპენსაციების მიმღებთა ნაკლები მომართვიანობა, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს მათ შორის საჯარო სამსახურში დასაქმებით, ქვეყნის დატოვებით და სხვა გარემოებებით

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (35 02 02)
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მიზნობრივი სოციალური ჯგუფებისთვის გაიცემა: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობები; მიზნობრივი ჯგუფებისთვის სოციალური პაკეტი; ლტოლვილთა-დეენილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობები; რეინტეგრაციის შემწეობა; დემოგრაფიული მდგომარეობის ფულადი ბენეფიტები; ორსულობის და მშობიარობის, ბავშვის მოვლის ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება; შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება; პროგრამის მიზანია მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მიზნობრივი სოციალური ჯგუფებისათვის სოციალური ტრანსფერის გაცემა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი არიან სოციალური დახმარებებით და გაცემა ხდება დროულად (168.0 ათასამდე სოციალური პაკეტის მიმღები, 240.0 ათასამდე დეენილი, ლტოლვილი ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი, 400.0 ათასამდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირი და სხვა); უღარიბესი დეცილის გადაფარვა მიზნობრივი სოციალური დახმარებით - 50%; ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი - 22.4%; მიზნობრივი მაჩვენებელი - საარსებო შემწეობით უზრუნველყოფილია ყველა სოციალურად დაუცველი პირი საჭიროებიდან გამომდინარე; შენარჩუნდება საარსებო შემწეობის დროულად გაცემის მაჩვენებელი (758.0 ათასამდე ბენეფიციარი); უღარიბესი დეცილის გადაფარვა მიზნობრივი სოციალური დახმარებით - 60%; ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი - 20%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - მიმართვიანობის შემცირება, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა/გადამოწმების მოდელის ცვლილება, ბიოლოგიური ოჯახების არასაკმარისი მზაობა,

სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (35 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების უზრუნველყოფა ხორციელდება პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით, რათა მოხდეს მათი ფიზიკური და სოციალური

	მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია; პროგრამის მიზანია შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ სოციალურად დაუცველ მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოციალური სერვისებით და პროდუქტებით მიზნობრივი ჯგუფების უზრუნველყოფა
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დაახლოებით 10 000 ბენეფიციარი; სერვისებისთვის გაცემული რეკომენდაციების და სტანდარტების შესრულების მაჩვენებელი 80%; მიზნობრივი მაჩვენებელი - დაახლოებით 13 500 ბენეფიციარი; სერვისებისთვის გაცემული რეკომენდაციების და სტანდარტების შესრულების მაჩვენებლის შენარჩუნება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 7%; შესაძლო რისკები - მონიტორინგის არასრული მექანიზმი

სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში (35 02 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ფინანსდება "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემდეგი შეღავათები: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისათვის დანამატი პენსიის 20%-ის ოდენობით, სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დანამატი სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, დანამატი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალზე - ექიმისთვის პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის- პენსიის ერთმაგი ოდენობით. ასევე, აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურება, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაუმჯობესდება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ოჯახების სოციალური მდგომარეობა, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პენსიონერები/სოციალური პაკეტის მიმღები პირები მიიღებენ სახელმწიფო გასაცემელს გაზრდილი ოდენობით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1.

	მიზნობრივი მაჩვენებელი - დაახლოებით 154 103 პენსიონერი, 33600 სოციალური პაკეტის მიმღები, ელექტროენერგიის შეღავათის მიმღები 70000 ოჯახი; სერვისებისთვის გაცემული რეკომენდაციების და სტანდარტების შესრულების მაჩვენებლის შენარჩუნება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - პენსიონერთა/სოციალური პაკეტის მიმღებთა ნაკლები მიმართვიანობა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დასადგენად
--	---

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (35 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა; დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისათვის მზადყოფნის და საპასუხო რეაგირების უზრუნველყოფა; გეგმური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული, გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება. ბენეფიციართა გარკვეული ჯუფების (მაგ.: სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკი, ვეტერანები) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა; მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; იმუნიზაცია, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, ასევე, ისეთი გადამდები დაავადებების, როგორიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი და C ჰეპატიტის მართვა; ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება;

	საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომის შემდგომი/სარეზიდენტო მზადების დაფინანსება მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უნივერსალური მოცვა; სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება; ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გაზრდა; გადამდები და არაგადამდები დაავადებებით სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება; ტუბერკულოზით, აივ-ინფექცია/შიდსით და სხვა სოციალურად საშიში დაავადებებით ავადობის შემცირება; ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული სიკვდილიანობის თავიდან აცილება; C ჰეპატიტის გავრცელების შემცირება; საზღვრისპირა და მაღალმთიან რეგიონებში ადამიანური რესურსების უზრუნველყოფა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ტუბერკულოზის ინციდენტობა და პრევალენტობა; შიდსის გვიანი გამოვლენის მაჩვენებელი; იმუნიზაციით მართვადი დაავადებების ინციდენტობა; სარმევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს ყელის კიბოთი პირველად აღრიცხულ პირთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც დიაგნოზის გამოვლენიდან ერთ წელიწადში გარდაიცვალა; ჩვილ ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი; მიზნობრივი მაჩვენებელი - გაგრძელება და შენარჩუნებული იქნება მოსახლეობის უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებით, შემცირდება სიკვდილიანობის მაჩვენებელი

მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (35 03 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	გეგმური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული, გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისები; ბენეფიციართა გარკვეული ჯუფების (მაგ.: სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკი, ვეტერანები) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

	ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სიკვდილიანობისა და ავადობის მაჩვენებლების შემცირება; სახელმწიფოს მიერ სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს მოსახლეობისათვის (2015 წელს დაფიქსირდა 1 190 000-მდე შემთხვევა, 2016 წლის 8 თვეში 880 000-მდე შემთხვევა) უზრუნველყოფილია ჯანდაცვის სერვისებზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილია ჯანდაცვის სერვისებზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%; შესაძლო რისკები - კვალიფიციური კადრის ნაკლებობა

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (35 03 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, ისეთი გადამდები დაავადებების, როგორიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებების განხორციელება; მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გადამდები და არაგადამდები დაავადებებით სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება; დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; ტუბერკულოზით, აივ-ინფექციას/შიდსით და სხვა სოციალურად საშიში დაავადებებით ავადობის შემცირება და ეპიდზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება; ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული ავადობის შემცირება;

	C ჰეპატიტის გავრცელების შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დედიდან ბავშვზე აივ-ინფექცია/შიდსის გადაცემის თავიდან აცილება; ტუბერკულოზით, აივ-ინფექცია/შიდსით და სხვა პრიორიტეტული დაავადებებით ავადობის შემცირება და ეპიდზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება; ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული სიკვდილიანობის თავიდან აცილება; დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; იმუნიზაციის კომპონენტის ფარგლებში მოსახლეობის მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესება; მიზნობრივი მაჩვენებელი - გაგრძელდება და შენარჩუნებული იქნება მოსახლეობის უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებით

დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (35 03 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგი; საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგი გურჯაანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით; 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა; ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და გავრცელების შეზღუდვა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი; 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი; 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი; 50-70 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში კოლორექტალური კიბოს სკრინინგი; 1-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა; ეპილეფსიის პირველადი დიაგნოსტიკა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი - 21 000; მიზნობრივი მაჩვენებელი - 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი - 3,5%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი - 15%;

	შესაძლო რისკები - 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი - ცნობიერების დაბალი დონე 2. საბაზისო მაჩვენებელი - 1-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა: 683 ბავშვი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 1-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა: 720 ბავშვი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა-15%; შესაძლო რისკები - 1-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა: გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 24 000; მიზნობრივი მაჩვენებელი - 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 2,5%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 15%; შესაძლო რისკები - 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - ცნობიერების დაბალი დონე 4. საბაზისო მაჩვენებელი - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი - 9000; მიზნობრივი მაჩვენებელი - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი - 1,7%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი - 15%; შესაძლო რისკები - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი - ცნობიერების დაბალი დონე 5. საბაზისო მაჩვენებელი - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში კოლორექტალური კიბოს სკრინინგი - 6400; მიზნობრივი მაჩვენებელი - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში კოლორექტალური კიბოს სკრინინგი- 1,5%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში კოლორექტალური კიბოს სკრინინგი- 15%; შესაძლო რისკები - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში კოლორექტალური კიბოს სკრინინგი - ცნობიერების დაბალი დონე 6. საბაზისო მაჩვენებელი - ეპილეფსიის პირველადი დიაგნოსტიკა - 1544 პაციენტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - ეპილეფსიის პირველადი დიაგნოსტიკა: 1600 პაციენტი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - ეპილეფსიის პირველადი დიაგნოსტიკა-15%; შესაძლო რისკები - ეპილეფსიის პირველადი დიაგნოსტიკა- სტიგმა
--	--

იმუნიზაცია (35 03 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და	ვაქცინების და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შესყიდვა; სპეციფიკური (ბოტულიზმის,

მიზანი	დიფტერიის, ტეტანუსის, გველის შხამის საწინააღმდეგო) შრატების და ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვა; ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა; ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, სპეციფიკური შრატებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) მიღება, შენახვა და გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან რეგიონულ/რაიონულ ადმინისტრაციულ ერთეულებამდე; წითელას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში, მოსახლეობის არაიმუნურ ან არასრულად იმუნიზებულ ფენებში არაგეგმიური იმუნოპროფილაქტიკის წარმოება; მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან, მოსახლეობის უზრუნველყოფა ანტირაბიული ვაქცინითა და იმუნოგლობულინით, ასევე, სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შექმნა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება: დეტ კომპონენტის შემცველი ვაქცინის მესამე დოზით მოცვა* (12 თვეზე ზევით ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში) - 85 %; ოპვ 3 - 87%; წწყ1 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 12 თვეზე -94 %; წწყ2 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 5 წლის ასაკის ბავშვთა კატეგორიაში - 92 %; მიზნობრივი მაჩვენებელი - იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება: დეტ კომპონენტის შემცველი ვაქცინის მესამე დოზით მოცვა* (12 თვეზე ზევით ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში) - 95 %; ოპვ 3 - 95%; წწყ1 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 12 თვეზე -95%; წწყ2 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 5 წლის ასაკის ბავშვთა კატეგორიაში - 95 %; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება: მუდმივი, დროებითი უკუჩვენებების და უარის დასაშვები ნორმაა 2%; შესაძლო რისკები - ცნობიერების დონე, ფასიანი ვაქცინებით იმუნიზაციისადმი მეტი ნდობა

ეპიდზედამხედველობა (35 03 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სამედიცინო სტატისტიკური სისტემის მუშაობა; მუნიციპალური სჯდ ცენტრების მიერ სამოქმედო არეალზე ეპიდზედამხედველობითი ღონისძიებები; მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პრევენცია და კონტროლი; ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობა; გრიპის სეზონური გავრცელების პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა (მ.შ. გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა) და განხორციელება; გადამდები და არაგადამდები დაავადებების კონტროლი, გამოვლენის, ადექვატური რეაგირებისა და პრევენციის

	უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა კონტროლი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მალარიოგენულ ტერიტორიებზე (პოტენციურ კერებში) ინსექტიციდით დამუშავებული ტერიტორიების (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი) პროცენტული წილი შეადგენს 95%-ს; მალარიის ადგილობრივი შემთხვევების რაოდენობა - 0; ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა კონტროლი - ჰეპატიტების მარკერებზე (HBsAg, antiHBc და antiHCV) გამოკვლეულ პაციენტთა რაოდენობა 280; მწვავე დიარეის მქონე პაციენტების რაოდენობა, რომელთა განავლის ნიმუშები გამოკვლეულ იქნა ბაქტერიულ, ვირუსულ პათოგენებზე 94; ნოზოკომიურ ინფექციებზე გამოკვლეული ნიმუშის რაოდენობა 328; მაღალი რისკის პოპულაციაში სეზონური გრიპის ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებელი - 27.5%; მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი მალარიის კომპონენტში. ნოზოკომიური ინფექციების ზედამხედველობის სენტინელური ბაზების რაოდენობა გაიზარდა 20%-ით; მაღალი რისკის პოპულაციაში სეზონური გრიპის ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებელი - 60%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%

უსაფრთხო სისხლი (35 03 02 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და ათაშანგზე; ხარისხის გარე კონტროლისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა; სისხლის უანგარო, რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კამპანიის განხორციელება; ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უანგარო დონაციათა რაოდენობის ზრდა; უსაფრთხო სისხლის პროდუქტები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - უანგარო დონაციათა რაოდენობა - 16 800, (30%), საერთო დონაციების რაოდენობა - 68 400; მიზნობრივი მაჩვენებელი - უანგარო დონაციათა რაოდენობის ზრდა: 50%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - უანგარო დონაციათა რაოდენობის ზრდა: მაღალი;

	შესაძლო რისკები - უანგარო დონაციისადმი დაბალი ინტერესი მოსახლეობის მხრიდან, რადგან პარალელურად არსებობს ფასიანი დონაცია 2. საბაზისო მაჩვენებელი - უსაფრთხო სისხლის პროდუქტები: გამოკვლეულ დონორთა რაოდენობა - 100%; მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი
--	--

პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (35 03 02 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	უსაფრთხო სამუშაო გარემოს ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით: პროფესიულ დაავადებათა მონიტორინგის პროგრამაში ჩართული 5 საწარმო; მიზნობრივი მაჩვენებელი - დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით: ჩართული 25 საწარმო; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით: დაბალი

ინფექციური დაავადებების მართვა (35 03 02 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებლის შემცირება; ინფექციური სნეულებებით დაავადებული პირებისთვის ადეკვატური სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებელი- 1,2%; მიზნობრივი მაჩვენებელი - ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებლის შემცირება-0-1% 2. საბაზისო მაჩვენებელი - ინფექციური და პარაზიტული დაავადებების შემთხვევების რაოდენობა - 8697; მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შემცირება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაბალი 3. ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაბალი
---	---

ტუბერკულოზის მართვა (35 03 02 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ტუბერკულოზის ყველა სავარაუდო შემთხვევის გამოკვლევა, დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურება (ანტიტუბერკულოზური პრეპარატებით უზრუნველყოფა და მკურნალობა უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ), ლაბორატორიული მართვა, ფთიზიატრიული სტაციონარული დახმარების ფარგლებში დიაგნოსტიკური, თერაპიული და ქირურგიული მომსახურება; სენსიტიური და რეზისტენტული ფორმების მკურნალობა (მ.შ. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა ახალი მედიკამენტებით და მკურნალობის მონიტორინგი); ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მ.შ. პირველი რიგის ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების შესყიდვა; მომსახურების სრულად ანაზღაურება; ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხანგრძლივადიან ამბულატორიულ მკურნალობაზე პაციენტთა დამყოლობა ფულადი წახალისების გზით; ტუბერკულოზის პრევალენტობის შემცირება; ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1.

	საბაზისო მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი - სენსიტიური და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების მიზნით, ფულადი წახალისების საშემოსავლო გადასახადისა და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულთა (თვეში არაუმეტეს 225 პაციენტისა) ფულადი წახალისების დაფინანსება 2. საბაზისო მაჩვენებელი - ტუბერკულოზის ახალი შემთხვევები და რეციდივები 100000 მოსახლეზე - 74,7; მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალი შემთხვევები და რეციდივები 100000 მოსახლეზე - <80; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - შეწყვეტილი მკურნალობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე - 97,1; მიზნობრივი მაჩვენებელი - 100 000 მოსახლეზე - 100
--	---

აივ ინფექცია/შიდსის მართვა (35 03 02 08)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	აივ-ინფექციის/შიდსის გავრცელების შეფერხება და აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება; აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა; ანტირეტროვირუსული მედიკამენტებით უზრუნველყოფა (მ.შ. აივ-ინფექცია/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვა); პროგრამით განსაზღვრული მომსახურება ანაზღაურდება სრულად (პროგრამა არ ითვალისწინებს თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან).
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი სკრინინგით მაქსიმალური მოცვა; ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით სრულად უზრუნველყოფა; შიდსით დაავადებულებში აივ-ინფექციასთან დაკავშირებული ლეტალობის შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - აივ ინფექციაზე ჩატარდა 27582 სკრინინგული გამოკვლევა (გამოკვლეულ იქნა 26304 პირი), მათგან გამოვლინდა 794 სავარაუდო დადებითი შემთხვევა და დადასტურდა 641; მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელზე მეტი სკრინინგული კვლევა; შესაძლო რისკები - მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების აივ-ზე ტესტირებით არასაკმარისი მოცვა 2. საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამის ფარგლებში ამბულატორიული სერვისის მიმღები პაციენტების რაოდენობა - 3102;

	სტაციონარული მკურნალობის სერვისის მიმღები პაციენტების რაოდენობა - 261; მიზნობრივი მაჩვენებელი - ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის სერვისის საჭიროების მქონე პაციენტების სრულად უზრუნველყოფა; შესაძლო რისკები - შეწყვეტილი მკურნალობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - შიდსით გამოწვეული ლეტალობა - 2014 წელს გარდაიცვალა 54 ადამიანი; მიზნობრივი მაჩვენებელი - შიდსით გამოწვეული ლეტალობის შემცირება; შესაძლო რისკები - დაბალი
--	--

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (35 03 02 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ანტენატალური მეთვალყურეობა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა; გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა; ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/შიდსის და სიფილისის სკრინინგი; ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილლანინემიასა და მუკოვისციდოზზე; ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა; ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე; ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე; ანტენატალური ვიზიტით მოცვა; მკურნალობა გავლილი მაღალი რისკის მქონე ორსული, მშობიარე და მელოგინე; მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე: 8,6; ანტენატალური ვიზიტით მოცვა: 4 სრული ანტენატალური ვიზიტი - 29108; მკურნალობა გავლილი მაღალი რისკის მქონე ორსული, მშობიარე და მელოგინე: მაღალი რისკის მქონე ორსულთა რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს პროგრამით - 1671; ანტენატალური სერვისის მიმღებ ორსულთა 40% უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავით; რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოზის მქონე ორსულთა 60% უზრუნველყოფილია რკინის პრეპარატით; მიზნობრივი მაჩვენებელი - ანტენატალური ვიზიტით მოცვა: 4 სრული ანტენატალური ვიზიტი - მოცვის მაჩვენებლის ზრდა 10%. მკურნალობით უზრუნველყოფილი მაღალი რისკის ორსულთა მოცვის შენარჩუნება. ანტენატალური სერვისის მიმღებ

	ორსულთა 100% უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავით; რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოზის მქონე ორსულთა 80% უზრუნველყოფილია რკინის პრეპარატით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - მაღალი; შესაძლო რისკები - მაღალი რისკის კრიტერიუმების ჰიპერდიაგნოსტიკა (ან პირიქით) მედიკამენტებისადმი დაბალი ინტერესი, ცნობიერების დონე
--	---

ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა (35 03 02 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა; ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება; პროგრამის მიზანია ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მკურნალობის პროცესში ჩართული ნარკომანიით დაავადებული პირი; მკურნალობის პროცესში ჩართული ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მკურნალობის პროცესში ჩართული ნარკომანიით დაავადებული პირი: ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ბენეფიციართა რაოდენობა - 3593; სტაციონარული დეტოქსიკაციით ნამკურნალებ პირთა რაოდენობა - 301; მიზნობრივი მაჩვენებელი - მკურნალობის პროცესში ჩართული პაციენტების რაოდენობა: ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა - 10%; სტაციონარული დეტოქსიკაციით ნამკურნალებ პირთა რაოდენობა - 440; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - საშუალო; შესაძლო რისკები - დიაგნოსტიკური სერვისების ჭარბი გამოყენება (ჰიპერდიაგნოსტიკა); ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა: სტიგმა

ჯანმრთელობის ხელშეწყობა (35 03 02 11)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და	თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერება; ჯანსაღი კვების შესახებ განათლება და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების

მიზანი	შესახებ ცნობიერების ამაღლება; ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა; C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობა; ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაცია და გაძლიერება; ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოციალური მედიით სამიზნე პოპულაციის მოცვა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - სოციალური მედიით სამიზნე პოპულაციის მოცვა; კლიპების რაოდენობა, ჩატარებული კამპანიების რაოდენობა, დამზადებული ფლაერების რაოდენობა და ა.შ)

C ჰეპატიტის მართვა (35 03 02 12)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა, მათ შორის მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა; პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით (სოფოსბუვირი, პეგილირებული ინტერფერონი, რიბავირინი) უზრუნველყოფა; მედიკამენტების ლოჯისტიკა; C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამაში ჩართული განკურნებული პაციენტების რაოდენობის ზრდა; C ჰეპატიტის პრევალენტობის და ინციდენტობის შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სკრინინგით გამოვლენილ პაციენტთა 90% უზრუნველყოფილია დიაგნოსტიკური კვლევებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - სკრინინგით გამოვლენილ პაციენტთა 100% უზრუნველყოფილია დიაგნოსტიკური კვლევებით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - პაციენტთა ცნობიერების დაბალი დონე 2. საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოში დარეგისტრირებულ პაციენტთა 90% უზრუნველყოფილია C ჰეპატიტის სამკურნალო

	ფარმაცევტული პროდუქტით; მიზნობრივი მაჩვენებელი - სააგენტოში დარეგისტრირებულ პაციენტთა 95% უზრუნველყოფილია C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1%; შესაძლო რისკები - პაციენტთა ცნობიერების დაბალი დონე 3. საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართული განკურნებული ბენეფიციარები 90%; მიზნობრივი მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართული განკურნებული ბენეფიციარები 95%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1%; შესაძლო რისკები - პაციენტთა ცნობიერების დაბალი დონე
--	--

მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (35 03 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა; დიაბეტიტ დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება. არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება და მოსახლეობის დაცვა ამ დაავადებებით გამოწვეული ფინანსური რისკებისგან, მათთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებებზე (მათ შორის პირველადი სამედიცინო მომსახურებები სასწრაფო-გადაუდებელ შემთხვევებში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება; ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შორის ლეტალობის შემცირება; პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1.

	საბაზისო მაჩვენებელი - ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება - ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების პრევალენტობა - 2327; ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების ინციდენტობა - 113,8; მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეყნის მასშტაბით ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირები 100%-ით უზრუნველყოფილნი არიან სპეციალიზებული სტაციონარული მომსახურებით 2. საბაზისო მაჩვენებელი - ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შორის ლეტალური შემთხვევების რაოდენობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შორის ლეტალური შემთხვევების შემცირებული რაოდენობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა - სოფლის ექიმთან მიმართვების რაოდენობა ერთ სულ სოფლის მოსახლეზე - 1,7; მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეყნის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის მომსახურებებზე უზრუნველყოფილი 100%-იანი ხელმისაწვდომობა
--	---

ფსიქიკური ჯანმრთელობა (35 03 03 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული მომსახურება; ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია; თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება; ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურება; ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობისათვის სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული დახმარების აღმოჩენა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება; ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი - ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება: სტაციონარული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 5155; ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება: ამბულატორიულ სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 22679; მიზნობრივი მაჩვენებელი - ამბულატორიულ სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 25000; სტაციონარული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 5300; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - საშუალო; შესაძლო რისკები - ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პაციენტთა დაბალი მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებებში: სტიგმა
---	---

დიაბეტის მართვა (35 03 03 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება; სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება; შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა; შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების შესაძლო გართულებების პრევენცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა; დიაბეტით გამოწვეული სპეციფიური გართულებების შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1.

	საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა: სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტით სარგებლობს 4970 პირი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 10%-იანი ზრდა (5500 ბენეფიციარი); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაბალი; შესაძლო რისკები - პროგრამისადმი დიდი ინტერესი (გაზრდილი მომართვიანობა) 2. საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა: შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურების კომპონენტით სარგებლობს 846 ბავშვი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 10%-იანი ზრდა (930 ბავშვი); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - მაღალი
--	---

ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (35 03 03 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა; 18 წლამდე ასაკის ონკოჰემატოლოგიური პაციენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურებით მოცული ბენეფიციარები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ქვეპროგრამის ფარგლებში - 16.3 ათასამდე შემთხვევა, ხოლო ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა - 148; მიზნობრივი მაჩვენებელი - ონკოჰემატოლოგიური მომსახურების საჭიროების მქონე პაციენტთა 100% მოცვა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - მაღალი; შესაძლო რისკები - ონკოჰემატოლოგიური მომსახურების საჭიროების მქონე პაციენტთა მომსახურება ალტერნატიული პროგრამების/ფონდების ფარგლებში

დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (35 03 03 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

პროექტის აღწერა და მიზანი	ჰემოდალიზით და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა; ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება; თირკმლის ტრანსპლანტაცია; ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ჰემოდალიზზე მყოფ პაციენტთა სისხლძარღვოვანი მიდგომით უზრუნველყოფა; თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პირების დიალიზით მოცვა; თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა უზრუნველყოფა დიალიზით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დიალიზით და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობა: ჰემოდალიზის საჭიროების მქონე - 2563, პერიტონეული დიალიზის საჭიროების მქონე - 147 პაციენტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - დიალიზით და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის საჭიროების მქონე თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულ ბენეფიციართა მოცვა: 100%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - მაღალი; შესაძლო რისკები - დუბლირებული პაციენტები, დიალიზის სახეობის შეცვლის შესაძლებლობა

ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (35 03 03 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა; ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული-პალიატიური მზრუნველობა და სიმპტომური მკურნალობა; ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების პალიატიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ამბულატორიული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 912 და სტაციონარული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 728;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - ინკურაბელური პაციენტების მოცვა 100%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაბალი
--	--

იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (35 03 03 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება; იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება; ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა სამედიცინო სერვისებზე და მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამით მოცული ბენეფიციარები; ქვეპროგრამით მოცული იშვიათ დაავადებათა და ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული ნოზოლოგიების რაოდენობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება: ბენეფიციარების რაოდენობა - 153; შემთხვევების რაოდენობა - 1163; მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებლები; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაბალი; შესაძლო რისკები - იშვიათი დაავადებების სიის გაფართოვება, შესაბამისად ბენეფიციართა რიცხვის ზრდა

სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (35 03 03 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
პროექტის აღწერა და	სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება;

მიზანი	სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შესრულებული გამოძახებების საერთო რაოდენობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - რეფერალური დახმარების ფარგლებში შემთხვევების რაოდენობა - 28 000-ზე მეტი, დახმარება გაეწია 23900-ზე მეტ პაციენტს; საწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახებების რაოდენობა - 476 200-ზე მეტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - გამოძახებების შესრულება - 100%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - მაღალი; შესაძლო რისკები - არამიზნობრივი გამოძახებები

სოფლის ექიმი (35 03 03 08)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად (მათ შორის – ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთის და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა); სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება; შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება; სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების დამატებითი ფინანსური უზრუნველყოფა; სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოფლის ექიმთან მიმართვები; ქვეპროგრამის ფარგლებში დაკონტრაქტებული სოფლის ექიმები/ექთნების რაოდენობა.
შუალედური შედეგის	

შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სოფლის ექიმთან მიმართვების რაოდენობა - ერთ სულზე 8 ვიზიტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეპროგრამის ფარგლებში გაზრდილია პირველადი ჯანდაცვის/ამბულატორიული მომსახურების უტილიზაცია; ვიზიტების რაოდენობა სამიზნე პოპულაციაში
------------------------	--

რეფერალური მომსახურება (35 03 03 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა; ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული შემთხვევები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - პაციენტთა რაოდენობა - 5488; შემთხვევათა რაოდენობა - 8055; მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეპროგრამის ფარგლებში დაფიქსირებული შემთხვევებიდან დაფინანსებული ბენეფიციარების ადეკვატური რაოდენობა

სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (35 03 03 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმება; სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა დამატებითი გამოკვლევები; სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამხედრო ძალების შევსების განხორციელება ჯანმრთელი კონტინგენტით

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სამხედრო ძალებში გასაწვევი კონტიგენტის სამედიცინო შემოწმება: სამხედრო ძალებში გასაწვევი კონტიგენტის საერთო რაოდენობა - 19813; მიზნობრივი მაჩვენებელი - სამხედრო ძალებში გასაწვევი სრული კონტიგენტის სამედიცინო შემოწმება, მოცვა - 100%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაბალი
--	--

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (35 03 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამით განისაზღვრება დეფიციტური და პრიორიტეტული საექიმო სპეციალობები, რომლებშიც მზადება დაფინანსდება; პროგრამის ფარგლებში და აღნიშნულ სპეციალობებში გათვალისწინებული ადგილების (კვოტების) რაოდენობა; იმ მუნიციპალიტეტების ჩამონათვალი, რომლებისთვისაც განხორციელდება მაძიებლების დაფინანსება პროგრამის ფარგლებში, განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით; მაძიებელთა შერჩევას უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო პროგრამით განსაზღვრული „საექიმო სპეციალობის მაძიებელთა შერჩევის წესის“ მიხედვით; სამედიცინო სერვისების მიწოდების უწყვეტობისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიულ მზადებაზე) ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა. მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სამედიცინო სერვისების შენარჩუნება და მათი უწყვეტობის უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიულ მზადებაზე) პროგრამაში ჩართული მაძიებლების

	რაოდენობა - 25 მაძიებელი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 60 მაძიებელი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1%; შესაძლო რისკები - სერვისის კერძო მიმწოდებელთა ნაკლები დაინტერესება მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სერვისების შენარჩუნების კუთხით 2. საბაზისო მაჩვენებელი - მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სოფლის ექიმის ვაკანსიების რაოდენობა - 9 ერთეული; მიზნობრივი მაჩვენებელი - შემცირდება 8 ერთეულით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1%; შესაძლო რისკები - ახალგაზრდების ნაკლები დაინტერესება სოფლის ექიმის პოზიციით 3. საბაზისო მაჩვენებელი - მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებებში სოფლის ექიმის ვაკანსიების რაოდენობა (რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დონეზე) - 22 ერთეული; მიზნობრივი მაჩვენებელი - შემცირება 8 ერთეულით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1%; შესაძლო რისკები - ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების მიუხედავად, მომზადებული კადრების გადინების შესაძლებლობა
--	---

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (35 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი: შრომის, სოციალური და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება; სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული) ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, დახმარების დანიშვნა და გაცემის ორგანიზება;

	ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება; სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების ზედამხედველობა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენცია; შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შესაბამისი სტანდარტების შემუშავება/გადასინჯვა; სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოება; საზოგადოების გარკვეული ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებებისათვის გამიზნული პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განხორციელების კონტროლი და შედეგების მონიტორინგი; ეპიდსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემუშავება და მათზე ზედამხედველობა; საექიმო, საექთნო და ფარმაცევტული სპეციალობების ნუსხის განსაზღვრა; ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელება; საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში სასწრაფო სამედიცინო დახმარების მართვა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შრომის ბაზრის მონიტორინგსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, მონაცემთა მოძიება/შეგროვების სრულყოფილი მეთოდოლოგიები; საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისები; ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება; ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტისაგან დაცული მომხმარებელი; განხორციელებული კონტროლის ღონისძიებები; უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობისაგან დაცული მოსახლეობა; საქართველოს მოსახლეობისათვის პირველადი სასწრაფო გადაუდებელი დახმარების სერვისის გამართული, დროული და ეფექტური მიწოდება რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო და სოციალური მომსახურებები 2. მიზნობრივი მაჩვენებელი - ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება

	3. საბაზისო მაჩვენებელი - შერჩევით შეძენილ ფარმაცევტულ პროდუქტებს შორის არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების წილის შემცირება (2015წ- 1.15%); მიზნობრივი მაჩვენებელი - ფალსიფიცირებული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტის რაოდენობის მაჩვენებელი ბაზარზე - 0.9%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 0.02% 4. მიზნობრივი მაჩვენებელი - ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის შემთხვევების რისკის სტატისტიკური მაჩვენებელი 5. მიზნობრივი მაჩვენებელი - პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა (რაოდენობა და გეოგრაფიული მოცვა)
--	--

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (29 03)	
პროექტის აღწერა და მიზანი	თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პერსონალისა და მათი ოჯახის წევრების, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების ასევე, სამოქალაქო პირებისათვის სოციალური და სამედიცინო დახმარების გაწევა. ამბულატორული, სტაციონარული მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია. ასევე, შეიარაღებული ძალებისათვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და მრავალპროფილიანი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა, მორალურ-ფსიქოლოგიური და სოციალურ მხარდაჭერა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთათვის, მათი ოჯახის წევრებისათვის, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების, სამოქალაქო პირების სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ასევე, მათი საბაზისო სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა. განახლებული სამედიცინო აღჭურვილობა , სპეციალური ტრანსპორტის განვითარება და საჭირო სამედიცინო მარაგების შევსება. სამხედრო მოსამსახურეების, სამოქალაქო პირებისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევა. შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების წინაშე აღებული სოციალური ვალდებულებების ფინანსური უზრუნველყოფა. დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახებზე, დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეების სოციალური მხარდაჭერა

სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (35 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა; სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა, აღჭურვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეაბილიტირებული და სრულად აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა - 50%; სსიპ -ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა- 50%; „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ პროექტირება - 50%; მიზნობრივი მაჩვენებელი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა და აღჭურვა(სამედიცინო აპარატურით და ავეჯით, საოფისე ავეჯით, საოჯახო ტექნიკითა და ინვენტარით) - 100%; სსიპ -ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა - 100%; „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ პროექტირება - 100% და მშენებლობა - 40%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - +-10%; შესაძლო რისკები - მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა/არაჯეროვნად შესრულება/ვადების დარღვევით შესრულება

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (54 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა ოჯახების სათანადო ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობისათვის მყარი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის შექმნის უზრუნველყოფა; საზოგადოებაში მხედრული ტრადიციების განმტკიცება, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ვეტერანთა ღვაწლის და დამსახურების სათანადო აღიარება, მომავალ თაობებში პატიოტული სულისკვეთების გაღვივება; სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთა

	პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობისათვის ღირსეული სათანადო პირობების შექმნა; სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა სახელების სადიდებლად და მათი საქმის უკვდავსაყოფად, საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა მიმართ საზოგადოებაში ხსოვნის განმტკიცებისათვის მუდმივი ზრუნვა; ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა

შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (35 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	შრომის ბაზარზე, შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლა; შრომის დაცვის ნორმების გაუმჯობესება/სრულყოფა და ამის საფუძველზე, რეკომენდაციების მეშვეობით, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესება; სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია-კონსულტირება, მომსახურებების განვითარება, შეზუღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობა, შრომის ბაზრის მოთხოვნის პერიოდული კვლევების განხორციელება და სამუშაოს მაძიებელთა დროებით დასაქმების ხელშეწყობა; ავტორიზებულ-აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული სამუშაოს-მაძიებლების მომზადება-გადამზადება; მონაცემთა შეგროვების მეთოდის შემუშავება და დანერგვა; ინფორმაციის წყაროების გამოვლენა და სრულყოფა დამატებითი კვლევების საფუძველზე; შრომის ბაზრის კომპონენტთა უწყვეტი კვლევა; შრომის ბაზრის მონაცემთა ანალიზის შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინფორმაციის გავრცელება; უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შრომის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარული და ჰიგიენური პირობების, ასევე ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება; შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის

	მომზადებული სტანდარტები; რეგისტრირებულ სამუშაოს-მამიებელთა ზრდა; პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებულთა ზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომზადებული სტანდარტების რაოდენობა - 3; მიზნობრივი მაჩვენებელი - შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომზადებული სტანდარტების რაოდენობა - 4; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 12-15%; შესაძლო რისკები - პროგრამით მოსარგებლე დამსაქმებელთა მცირე რაოდენობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - დარეგისტრირებული სამუშაოს მამიებლების რაოდენობა - 47000; მოძიებული ვაკანსიების რაოდენობა - 2400; მიზნობრივი მაჩვენებელი - დარეგისტრირებული სამუშაოს მამიებლების რაოდენობის 10%-ით გაზრდა; მოძიებული ვაკანსიების რაოდენობა - 2600; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 18-25%; შესაძლო რისკები - რეგისტრაციის მსურველთა მცირე რაოდენობა; შესაბამისი ახალი სამუშაო ადგილების ნაკლებობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებული - 10-15%; მიზნობრივი მაჩვენებელი - პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებული - 15-22%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 18-25%; შესაძლო რისკები - სამუშაო ადგილების სიმწირე 4. საბაზისო მაჩვენებელი - დასაქმების ეროვნული კლასიფიკატორის შემუშავება - 70%; შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შექმნა განვითარება 75%; მიზნობრივი მაჩვენებელი - დასაქმების ეროვნული კლასიფიკატორის შემუშავება - 100%; შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შექმნა განვითარება 100%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10-15%; შესაძლო რისკები - განხორციელების ვადები

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (30 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

პროექტის აღწერა და მიზანი	სამინისტროს თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების შენარჩუნება და განმტკიცება; ავადობისა და შრომისუუნარობის რაოდენობათა შემცირება; სამედიცინო ქვედანაყოფების მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა; საჭიროების შემთხვევაში დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციის ორგანიზება, სანიტარული დანაკარგის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; სამინისტროს სისტემაში სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძევათა კონტროლი, ასევე სამინისტროს თანამშრომელთა ოჯახის წევრების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	თანამშრომელთა შენარჩუნებული ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური განვითარება; ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირებული რაოდენობა; სამედიცინო ქვედანაყოფების უზრუნველყოფილი მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნა; საჭიროების შემთხვევაში დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციის ორგანიზების დროს, სანიტარული დანაკარგის შემცირებული მაჩვენებელი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - რთული რელიეფის პირობებში დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციის ორგანიზების მიზნით ან სხვა გადაუდებელ შემთხვევებში არსებული ავტოპარკი ვერ უზრუნველყოფს სათანადო მომსახურებას; მიზნობრივი მაჩვენებელი - შეძენილი მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანა; ცდომილების აღბათობა (%/აღწერა) - საერთაშორისო ბაზარზე საცალო ფასების ცვლილებებით და მოსალოდნელი ინფლაციის გათვალისწინებით

ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი (57 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში მცხოვრები სოციალურად განსაკუთრებულად დაუცველი ან კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისათვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზაცია და პრიორიტეტულ

	სოციალურ საჭიროებებზე მიმართვა საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით; სოციალური და ჯანდაცვითი პროექტების დაფინანსება, მათ შორის ერთჯერადი დახმარებების და ასევე, რეგულარული სოციალური შემწეობების/პროექტების დაგეგმვა/განხორციელება. ონკოლოგიური დაავადებების მქონე 22 წლამდე ბენეფიციარების მხარდაჭერა სახელმწიფო და მუნიციპალური დაფინანსების ლიმიტს ფარგლებს გარეთ მოხვედრილი თერაპიისა და დიაგნოსტიკის, ასევე ძვირადღირებული სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მომსახურება საზღვარგარეთ დადასტურებული სამედიცინო აუცილებლობის შემთხვევაში. ონკოლოგიური დაავადებების მქონე მოზრდილი მოსახლეობისათვის ძვირადღირებული მედიკამენტების ხელმისაწვდომობის კომპონენტის უზრუნველყოფა სულ მცირე ორი მედიკამენტის (მაბტერის და ჰერცეპტინის) თანადაფინანსება, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს პაციენტისათვის განსაკუთრებულად ძვირადღირებული მედიკამენტის ფასს. შეზღუდული შესაძლებლობებისა და იშვიათი დაავადებები მქონე ბავშვთა მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში ანტიეპილეფსიური მედიკამენტების, აუტიზმის აბილიტაციისა და შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის სერვისების თანადაფინანსებაში მონაწილეობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	2017-2020 წლებში საჯარო და არასამთავრო სექტორის მზარდი ჩართულობით სულ მცირე 16 მილიონი ლარის დონაციის მობილიზება და 22 წლამდე ასაკის სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და ახალგაზრდების მკურნალობის ფინანსური პრობლემის გადაჭრა ქვეყნის მასშტაბით და პარალელურად საქართველოში ონკოლოგიურ სერვისების გაძლიერება ფინანსური რესურსების მზარდი მოცულობების პირობებში (ყოველწლიურად 5 მილიონზე მეტი ლარის დონაცია) იშვიათი დაავადებების, შშმ ბავშვებისა და უფროსი ასაკის ონკოლოგიური პაციენტების დახმარება ინდივიდუალური ძვირადღირებული მკურნალობის მისაღებად.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში მობილიზებული ფინანსური რესურსების მოცულობა 22 წლამდე ასაკის სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და ახალგაზრდების მკურნალობის დასახმარებლად - ყოველწლიურად სულ მცირე 4 მილიონი ლარი, ან 4 წლის პერიოდში სულ მცირე 16 მილიონი ლარი

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
30 01	საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გადრმავეება	500,527.00	500,527.00	0.00	500,600.00	500,600.00	500,600.00
29 01	თავდაცვის მართვა და შესაძლებლობები	481,998.00	481,998.00	0.00	482,000.00	482,000.00	482,000.00
27 01	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	137,400.00	137,400.00	0.00	139,000.00	144,000.00	144,000.00
60 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	110,000.00	110,000.00	0.00	115,000.00	120,000.00	125,000.00
29 08	საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG)	78,200.00	78,200.00	0.00	52,000.00	0.00	0.00
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება	63,100.00	63,000.00	100.00	63,200.00	63,200.00	62,400.00
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	47,500.00	47,500.00	0.00	47,500.00	47,500.00	47,500.00
29 06	საერთაშორისო ოპერაციები	35,270.00	35,270.00	0.00	36,000.00	36,000.00	36,000.00
26 02	გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა	35,000.00	35,000.00	0.00	37,000.00	37,000.00	37,000.00
29 07	სამხედრო მრეწველობის განვითარება	46,375.00	28,208.00	18,167.00	56,700.00	57,800.00	62,900.00
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	20,000.00	20,000.00	0.00	20,000.00	20,000.00	20,000.00
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	14,000.00	14,000.00	0.00	14,000.00	14,000.00	14,000.00
30 02	ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატარქოს დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება	130,611.00	10,611.00	120,000.00	127,000.00	127,000.00	128,000.00
29 04	მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობის და კომპიუტერული სისტემები	10,065.00	10,065.00	0.00	10,100.00	10,100.00	10,100.00
27 02	სრულყოფილი პრობაციის სისტემა	9,300.00	7,600.00	1,700.00	11,000.00	11,000.00	11,000.00
59 01	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი	3,800.00	3,800.00	0.00	3,800.00	3,800.00	3,800.00
24 09	საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში "გათავისუფლებული	3,000.00	3,000.00	0.00	3,000.00	3,000.00	3,000.00

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
	ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა						
03 01	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	1,800.00	1,800.00	0.00	1,800.00	1,800.00	1,800.00
26 07	დანაშაულის პრევენცია და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია	1,804.00	1,500.00	304.00	1,500.00	1,500.00	1,580.00
30 05	სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	361.00	361.00	0.00	1,000.00	1,000.00	1,000.00
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა	58,340.00	0.00	58,340.00	54,880.00	54,880.00	54,880.00
30 08	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება	9,610.00	0.00	9,610.00	9,970.00	9,970.00	9,970.00
40 03	სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო	1,470.00	0.00	1,470.00	1,050.00	1,100.00	1,150.00
	სულ	1,799,531.0	1,589,840.0	209,691.0	1,788,100.0	1,747,250.0	1,757,680.0

საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (30 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	პრევენციული და საგამოძიებო ფუნქციების გაძლიერება; ეფექტიანი და ანგარიშვალდებული სამართალდამცავი უწყების ჩამოყალიბება; დანაშაულის პრევენცია, დანაშაულზე სწრაფი რეაგირება, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და მართლწესრიგის უზრუნველყოფა; ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, ასევე ორგანიზებულ დანაშაულზე სამართლებრივი და საზოგადოებრივი რეაგირების გააქტიურებას ხელშეწყობა; საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა; დღისით და ღამით, რთული მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის მიზნით საქართველოს მთელს ტერიტორიაზე; საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა; ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ამაღლებული საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების დონე; მინიმუმამდე შემცირებული ავტოსატრანსპორტო შემთხვევები; რისკ ჯგუფების ორგანიზებულ დანაშაულში ჩართულობის პრევენცია და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციურად განვითარებული შესაძლებლობები; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ საზოგადოების ამაღლებული ცნობიერება და აქტიური ჩართულობა; სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;

	სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში და საქართველოს საზღვაო სივრცეში შემცირებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები; უზრუნველყოფილი ნაოსნობის უსაფრთხოება, სრულყოფილად დაცული ნაოსნობის წესები; გაუმჯობესებული სამაშველო ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობები; განახლებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - გაზრდილი ავტოსაგზაო შემთხვევების გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, რომლის მიზანია დაიცვას მოქალაქეების სიცოცხლე და უზრუნველყოს ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირება; მიზნობრივი მაჩვენებელი - შესაბამისი სამართლებრივი აქტების ამოქმედების შედეგად გაუმჯობესებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება 2. საბაზისო მაჩვენებელი - საზოგადოებრივი ცნობიერების ამღლებსათვის არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის მიზნით 5 საჯარო სკოლაში ჩატარდა საგანმანათლებლო-ინტერაქტიული შეხვედრა; მიზნობრივი მაჩვენებელი - რეგიონების მოსახლეობასთან შსს-ს სხვადასხვა მმართველი რგოლის წარმომადგენლების მიერ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა; საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - სამინისტრო ახორციელებს ეფექტურ საერთაშორისო თანამშრომლობას დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების, პოლიციის ატაშეების წარგზავნის და ერთობლივი პროგრამების განხორციელების გზით. დღეის მდგომარეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 11 ქვეყანაში ყავს წარგზავნილი პოლიციის ატაშე; დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის სფეროში გაფორმებულია 26 ხელშეკრულება; მიზნობრივი მაჩვენებელი - გაფორმებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების რაოდენობა; წარგზავნილი პოლიციის ატაშეების რაოდენობა; პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ერთობლივი პროგრამების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების (სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები და სწავლებები) რაოდენობა 4. საბაზისო მაჩვენებელი - ქვეყნის უსაფრთხოებისთვის აუცილებელია სათანადო რადიოკავშირის საშუალებებით სახელმწიფო საზღვრის სრული დაფარვა. დღეის მდგომარეობით იფარება კონტროლირებადი საზღვრის პერიმეტრის დაახლოებით 99% (1 922 კ/მ). დღეის მდგომარეობით შსს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართულია სასაზღვრო სექტორებისა და სანაპირო დაცვის სადგურების საერთო რაოდენობის 28%. დღეის მდგომარეობით საზღვრის მონაკვეთები აღჭურვილია 55 ცალი მახე-კამერით;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - კავშირგაბულობის არსებული საშუალებების ტექნიკური მომსახურება, რემონტი. კავშირგაბულობის არსებული საშუალებების ელექტრო ენერგიით მუდგვიად უზრუნველყოფის მიზნით შეძენილი 15 ცალი (24 ვოლტიანი) აკუმლატორები 5. საბაზისო მაჩვენებელი - თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება დღეის მდგომარეობით თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით გასაახლებელია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 70 %; მიზნობრივი მაჩვენებელი - 5% -ით განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
--	--

თავდაცვის მართვა და შესაძლებლობები (29 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	თავდაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე დაკისრებული ამოცანების ეფექტიანად შესასრულებლად არსებული თავდაცვითი შესაძლებლობების შენარჩუნება; ეროვნული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნა შესაძლო სამხედრო აგრესიის შესაკავებლად და რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში მონაწილეობის მიღება. ასევე, პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება და ახალ პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის გეგმების შემუშავება-განხორციელება; საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე შეიარაღებული ძალების თანამედროვე შეიარაღებითა და ტექნიკით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ეფექტიანი თავდაცვის სისტემა, შენარჩუნებული და გაუმჯობესებული ოპერატიული მართვის შესაძლებლობები. თავდაცვითი საშუალებებით აღჭურვილი საქართველოს შეიარაღებული ძალები; გაუმჯობესებული საერთაშორისო და უწყებათაშორისი თანამშრომლობა; ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისა და შესაბამისი რეაგირების უნარი.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (27 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ურთიერთობების კოორდინაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება; პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სრულყოფა და შესაბამისი მანქანა/დანადგარებითა და ინვენტარით აღჭურვა; მსჯავრდებულ/ბრალდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობებისა გაუმჯობესება, რბილი ინვენტარის განახლება და პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებების შეძენა; პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფთათვის განათლების მიღების ხელშეწყობა - სახელობო და პროფესიული სწავლების პროგრამების განსაზღვრით. ასევე, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით მათი დასაქმების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და საწარმოო ზონების შექმნა; პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით. ამასთანავე, პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტის შესაბამისად პრევენციული და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება ჰიგიენის, გადამდები დაავადებების კონტროლის და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის კუთხით; პენიტენციურ სისტემაში მყოფ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება - პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებით და ცნობიერების ამაღლებით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება; პატიმართა უფლებების დაცვის და მათი პირობების გაუმჯობესების უზრუნველყოფა; ეფექტური სარეაბილიტაციო ღონისძიებების საშუალებით რეციდივის შემცირება.
საბოლოო შედეგის	

შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სახალხო დამცველის 2014-2015 წლის ანგარიშებში აღნიშნულია დადებითი ტენდენციები პენიტენციურ სისტემაში მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, კერძოდ: განხორციელდა სამინისტროს ინსტიტუციური რეფორმა, რომელიც სისტემის დასავლურ სტანდარტებზე ორიენტირებულ უწყებად გარდაქმნას უზრუნველყოფს; სამინისტროს შიდა სტრუქტურა გაიყო ორ ნაწილად: სამოქალაქო და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურად; გადაიჭრა დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემა, გაუმჯობესდა პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა, მსჯავრდებულთა საცხოვრებელი ფართობი 2 კვ.მ-დან 4 კვ.მ-მდე გაიზარდა; შემოდებული იქნა ახალი სისტემა - მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია საშიშროების რისკის მიხედვით; 2015 წელს ექსპლუატაციაში შევიდა N16 დაწესებულება, როგორც დაბალი რისკის პენიტენციური დაწესებულება; შემუშავდა და დაინერგა სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროგრამა, რაც მსჯავრდებულთა წარმატებული რეაბილიტაციისა და დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა; სოციალურად დაუცველებისთვის ხანგრძლივი პაემანი გახდა უფასო, არასრულწლოვანთა ხანგრძლივი პაემნის ღირებულება განახევრებულია, არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულება ტრანსფორმირებულია სარეაბილიტაციო დაწესებულებად; დადებითად შეფასდა ხანგრძლივი პაემანის ინფრასტრუქტურის მოწყობა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში; ასევე მოწონებულია წინა წლებთან შედარებით მსჯავრდებულთა წახალისების მაჩვენებლის გაზრდა; მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში ასახული რეკომენდაციებისა და შენიშვნების ანალიზი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - რიგი რეკომენდაციების გათვალისწინება სისტემას არ შეუძლია სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო. მათ შორის, რიგ შემთხვევებში, არარელევანტურობის, სხვა პრიორიტეტული მიმართულებებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე; შესაძლო რისკები - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა
------------------------	--

პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (27 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით: ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის რბილი ინვენტარის, პირადი ჰიგიენის საგნებისა და საჭიროების შემთხვევაში, შესაფერისი უნიფორმის შესყიდვა, ხარისხიანი კვებითი მომსახურების შენარჩუნება, განათლების ხელმისაწვდომობა - პროფესიული/სახელობო/საგანმანათლებლო სწავლების პროგრამების განსაზღვრისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნით, მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობა; პენიტენციურ სისტემაში მყოფ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა სამართლებრივი გარანტიების განმტკიცება, პატიმრობის

	კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნება, პატიმართა ცნობიერების ამაღლებასა და სრული ინფორმატულობის უზრუნველყოფა მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციული პროცედურების) შესახებ; პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების უნიფორმითა და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების ამუშავებით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მიერ განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საწარმოო ზონების ამოქმედებით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა; ინფორმატულობის ზრდით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციულ პროცედურების) შესახებ.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს განხორციელებელი რეფორმის შედეგად სისტემის მართვა გახდა უფრო ეფექტური; სამინისტროს მიერ შემუშავებულია საკანონმდებლო პაკეტი: 1. ცვლილებები "პატიმრობის" კოდექსში: გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესაქმნელად და დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად; 2. ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად, სამართალდარღვევად ჩაითვლება ისეთი ქმედება როგორიცაა პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დარღვევა; მიზნობრივი მაჩვენებელი - გაუმჯობესებულია სისტემის ეფექტური მართვა და ფუნქციონირება, ცვლილებები შესულია "პატიმრობის" კოდექსში: 1) გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესაქმნელად; 2) დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად; ცვლილებები შესულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. რომლის თანახმად, სამართალდარღვევად ითვლება ისეთი ქმედება როგორიცაა პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დარღვევა; შესაძლო რისკები - საკანონმდებლო ორგანოს მიერ კანონში შესაბამის ცვლილებაზე უარი 2. საბაზისო მაჩვენებელი - პენიტენციური სისტემაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა 100%-ს შესაძლებლობა აქვს სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი, საწოლი და საცხოვრებელი, კვირაში არანაკლებ ერთხელ მიიღოს შხაპი და

არანაკლებ თვეში ერთხელ ისარგებლოს საპარიკმახერო მომსახურებით, უზრუნველყოფილნი არიან ჰიგიენური საშუალებებით და საწოლითა და ლოგინით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - პენიტენციური სისტემაში მსჯავრდებულ/ბრალდებულთა 100%-სთვის შენარჩუნებულია შესაძლებლობა სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი, საწოლი და საცხოვრებელი, კვირაში არანაკლებ ერთხელ მიიღოს შხაპი და არანაკლებ თვეში ერთხელ ისარგებლოს საპარიკმახერო (პირის გაპარსვა, თმის შეჭრა, ფრჩხილის დაჭრა) მომსახურებით, უზრუნველყოფილნი არიან ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, კბილის პასტა, ნეჭი, პირსახოცი), საწოლითა და ლოგინით;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5% -უკმაყოფილო ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რაოდენობა;

შესაძლო რისკები - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა

3.

საბაზისო მაჩვენებელი - სისტემაში შენარჩუნდა საჭიროებებს (ეთნიკური, რელიგიური, დაავადებები) მორგებული დღიური სამჯერადი კვება ბრძანებაში დადგენილი კალორიულობისა და ულუფის სასურსათო ნორმების დაცვით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემაში შენარჩუნებულია ბრალდებულ/ მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებს (ეთნიკური, რელიგიური, განთავსების ადგილი, დაავადებები) მორგებული დღიური სამჯერადი კვება 10 000 ბრალდებულ/მსჯავრდებულისთვის, შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი კალორიულობისა და ულუფის სასურსათო ნორმების დაცვით;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5% -უკმაყოფილო ბრალდებულ-მსჯავრდებულთა რაოდენობა;

შესაძლო რისკები - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა

4.

საბაზისო მაჩვენებელი - პენიტენციურ სისტემის 8 დაწესებულებაში (2015 წელი - 10 დაწესებულება 2016 წლის 6 თვე - 8 დაწესებულება) მიმდინარეობს პროფესიული/სახელობო, სატრენინგო/საგანმანათლებლო და ფსიქო-სოციალური პროგრამების, ფსიქო-სოციალური ტრენინგების დანერგვა, რომლებშიც 2015 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 2 974 მონაწილე (მათ შორის 519 არასრულწლოვანი), რაც სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 29%-ია, ხოლო 2016 წლის ორ კვარტალში კი პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით განახლდა რიგი პროფესიული, სახელობო და საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამები, სადაც დაფიქსირდა 237 მონაწილე, მათ შორის: 16 არასრულწლოვანი, 41 ქალი; • ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში და ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში დაფიქსირდა 526 მონაწილე, მათ შორის 95 არასრულწლოვანი და 114 ქალი მსჯავრდებული, რაც სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 8%-ია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - პროფესიული/სახელობო და სატრენინგო/ საგანმანათლებლო სწავლების კურსებში ჩართულ პატიმართა მზარდი რაოდენობა, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, პატიმართა საერთო რაოდენობის ხვედრითი წილიდან გამომდინარე;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5% - ჩართულობის მსურველთა კლება;

შესაძლო რისკები - მსჯავრდებულთა მხრიდან ჩართულობის კლება

5.

საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 დეკემბრის #157

	ბრძანებით განისაზღვრა მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესი. ამ ბრძანების საფუძველზე დაწესებულებებში და სისტემაში არსებულ მინი დასაქმების კერებში 2015 წელს დასაქმებული იყო 839 მსჯავრდებული, რაც სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 8%-ია, ხოლო 2016 წლის ორ კვარტალში კი - 614 მსჯავრდებული, სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 6%-ია; მიზნობრივი მაჩვენებელი - დასაქმებულ პირთა მზარდი რაოდენობა წინა წელს დასაქმებულ პირთა ოდენობასთან მიმართებაში; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5% - ჩართულობის მსურველთა კლება; შესაძლო რისკები - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა; მსჯავრდებულთა მხრიდან ჩართულობის კლება 6. საბაზისო მაჩვენებელი - პენიტენციური დაწესებულებები უზრუნველყოფილი არიან სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი საინფორმაციო სახის ბროშურებით, აუდიო წიგნებით პატიმართა უფლებების შესახებ და საჩივრის კონვერტებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - უზრუნველყოფილია ინფორმაციულობის ზრდით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციული პროცედურების და სხვა) შესახებ; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5% - უკმაყოფილო ბრალდებულ-მსჯავრდებულთა რაოდენობა; შესაძლო რისკები - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა. მსჯავრდებულთა მხრიდან საჩივრის კონვერტების გამოყენების კლება
--	---

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (27 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პენიტენციურ სისტემაში გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა გავრცელების პრევენცია, ეპიდემიოლოგიური კონტროლი და მეთვალყურეობა; პირველადი ჯანდაცვის რგოლის ფუნქციონირება და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიწოდება; ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა სამკურნალწამლო საშუალებებით, მათთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პენიტენციური სისტემასა და მის გარეთ; პენიტენციურ დაწესებულებებში აივ-ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზის და C ჰეპატიტის ინფექციების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უზრუნველყოფა; მსჯავრდებულთათვის ფსიქიატრიული დახმარების, ხოლო წამალდამოკიდებულ პირთათვის მკურნალობისა და

	რეაბილიტაციის უზრუნველყოფა;
	მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებულ მსჯავრდებულთა სასჯელისაგან გათავისუფლება;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის ორი კვარტლის მონაცემებზე დაყრდნობით: • პენიტენციურ სისტემაში, შესაბამისი რეკომენდაციის არსებობისას, პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან მულტიდისციპლინური გუნდის კონსულტაციით. 2016 წელს განხორციელდა 33 კონსულტაცია/კონსილიუმი, არ დამდგარა კონსულტაცია/კონსილიუმის მოწვევის საჭიროება ქალებზე და არასრულწლოვანზე; ანტიტუბერკულოზურ მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა გამოვლენის მიზნით ჩატარდა 30132 სკრინინგული გამოკვლევა, მათ შორის 1714 ქალ ბრალდებულ/მსჯავრდებულზე და 108 არასრულწლოვანზე. “DOTS”, “DOTS+” მკურნალობის პროგრამაში ახალჩართულთა რაოდენობამ შეადგინა - 58, მათ შორის ქალი - 2, არასრულწლოვანთა ჩართვის შემთხვევა არ დაფიქსირებულა; • აივ-ინფექცია/შიდსის ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო 11 ახალი პაციენტი, მათ შორის არცერთი ქალი და არასრულწლოვანი. აივ-ინფექცია/შიდსის გამოვლენის მიზნით ჩატარდა 3512 სკრინინგი (მათ შორის ქალი - 169, არასრულწლოვანი - 15). დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა უნივერსალურია; • C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 2 198 სკრინინგი. მკურნალობაში ჩაერთო 39 პაციენტი, მათ შორის, არცერთი ქალი და არასრულწლოვანი; • სხვადასხვა პროფილის მოწვევით ექიმ-სპეციალისტების მიერ, პაციენტებს გაეწიათ 20 681 კონსულტაცია. სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურებით 1 620 ბრალდებულ/მსჯავრდებულმა ისარგებლა სამოქალაქო სექტორის კლინიკებში, ხოლო ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა 1 174-მა ბრალდებულ/მსჯავრდებულმა; • პენიტენციურ დაწესებულებათა სამედიცინო სამსახურები უზრუნველყოფილია მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებულია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევითა და სამკურნალო სამუშაოებით, მათთვის სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პენიტენციური სისტემასა და მის გარეთ; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - უკმაყოფილო ბრალდებულ/მსჯავრდებულები; შესაძლო რისკები - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა

პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (27 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

პროექტის აღწერა და მიზანი	პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით: ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში ახალი დაწესებულების მშენებლობის გაგრძელება; ახალი არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სპეციალიზირებული და ახალგაზრდა (18-21 წელი) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შერეული რისკის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობის დაწყება; სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არსებულ პენიტენციურ დაწესებულებებში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება; ცალკეული დაწესებულებების შესამაზამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვენტარით აღჭურვა; სახელობო, პროფესიული, საგანმანათლებლო და სარეკრეაციო კურსებისა და პროგრამებისათვის აუცილებელი სატრენინგო ოთახების შექმნა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის განახლებით საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესება ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის შექმნილი ახალი, რეკონსტრუქცია ჩატარებული და გარემონტებული დაწესებულებები, საზოგადოებრივი მისაღებებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების წარმოებისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა; ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სრულყოფილი საცხოვრებელი და ყოფითი პირობები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - პენიტენციური სისტემა საჭიროებს ახალ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის დაწესებულებების შექმნას. დღეისათვის მიმდინარეობს დაბა ლაითურის მაღალი რისკის დაწესებულების მშენებლობა. 2016 წელს დაწესებულების მშენებლობა შეფერხდა 2015 წლის მანძილზე ჩატარებული მშენებლობის ხარისხის დასადგენად ექსპერტიზის ჩატარების გამო, რის შედეგადაც წინა წლის კონტრაქტორი კომპანია დაჯარიმდა; 2016 წლის ბოლომდე შესრულდება პროექტის ღირებულების 3%-ის სამშენებლო სამუშაოები; დასრულებულია არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სპეციალიზირებული და ახალგაზრდა (18-21 წელი) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შერეული რისკის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობის საპროექტო-საინჟინრო სამუშაოები; მიზნობრივი მაჩვენებელი - დასრულებული დაბა ლაითურის მაღალი რისკის დაწესებულების სამშენებლო სამუშაოების 90%. მიმდინარეობს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სპეციალიზირებული და ახალგაზრდა (18-21 წელი) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შერეული რისკის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - სამშენებლო სამუშაოების ხარისხის დასკვნა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან;

	შესაძლო რისკები - ჩაშლილი/არ შემდგარი ელექტრონული პროცედურები 2. საბაზისო მაჩვენებელი - ბრალდებულთა და მსჯავრებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს დაწესებულებების ცალკეულ შენობათა რემონტი-რეკონსტრუქცია და შესაბამისი მანქანა-დანადგარებით აღჭურვა; მიზნობრივი მაჩვენებელი - პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის გაუმჯობესებული ყოფითი და საცხოვრებელი პირობები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები პენიტენციურ სისტემაში არსებული დაწესებულებების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით; მიზნობრივი მაჩვენებელი - პენიტენციურ სისტემაში არსებული დაწესებულებები მიახლოებულია საერთაშორისო სტანდარტებს; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - სამშენებლო სამუშაოების ხარისხის დასკვნა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან; შესაძლო რისკები - ჩაშლილი/არ შემდგარი ელექტრონული პროცედურები

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (60 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის დაცვა უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან; სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და დაცვის უზრუნველყოფა; ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ტერორიზმთან ბრძოლა; სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემცველი ტრანსნაციონალური ორგანიზებული და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება;

	სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება და მათი შესრულების კონტროლი; ქვეყნის საგარეო საფრთხეებისაგან დაცვა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების სადაზვერვო და სხვა კაკონსაწინააღმდეგო საქმიანობის დროულად გამოვლენა და თავიდან აცილება; სახელმწიფოსთვის მოსალოდნელი საფრთხეების პროგნოზირება და პრევენცია.

სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება (30 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება; საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მასზე მზადყოფნის, რეაგირებისა და მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის საჭირო სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით საქმიანობის ორგანიზება; სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელების კოორდინირება; საქართველოს კანონით „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების ეტაპობრივი შემუშავება და მიღება; საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება; სააგენტოს უფლებამოსილების განხორციელებისათვის აუცილებელი შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა; სააგენტოს ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია, სახანძრო-სამაშველო სპეციალური ავტოტრანსპორტისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება/მოდერნიზაცია.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყანაში გაუმჯობესებული სამოქალაქო უსაფრთხოების დონე; სააგენტოს პირადი შემადგენლობის და რეაგირების ძალების, ასევე მოსახლეობის საგანგებო სიტუაციებზე და ინციდენტებზე მზადყოფნის და რეაგირების ეფექტურობის გაზრდილი მაჩვენებელი; ქვეყანაში მართვის ყველა დონეზე, თანამედროვე სტანდარტების საგანგებო და რისკის მართვის შემუშავებული გეგმები, აგრეთვე მათი სრულყოფისა და განვითარების მიზნით დანერგილი სიმულაციური ვარჯიშები და ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმები; ობიექტების უზრუნველყოფა სახანძრო უსაფრთხოების სისტემით, რომელიც მიმართული იქნება ხანძარ საშიში ფაქტორების, მათ შორის, მათი როგორც მეორადი გამოვლინების თავიდან ასაცილებლად.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლებისთვის აუცილებელია, საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება; მიზნობრივი მაჩვენებელი - მოსახლეობისა და რეაგირების ძალების, ასევე სააგენტოს პირადი შემადგენლობის საგანგებო სიტუაციებზე და ინციდენტებზე მზადყოფნა და რეაგირების ეფექტურობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელების კოორდინირება; მიზნობრივი მაჩვენებელი - საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, როგორც შიდაუწყებრივი, ასევე საუწყებო-თავისუფლო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებისათვის და მოსახლეობისათვის ორგანიზებული სწავლებებისა და ტერნინგების რაოდენობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს კანონით „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და მიღება; მიზნობრივი მაჩვენებელი - სახანძრო უსაფრთხოების სფეროში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა და შემუშავებული სახელმწიფო ზომები - რეალიზება, ხანძრის პროფილაქტიკისა და დასახლებების, ორგანიზაციისა - დაწესებულებების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის ამაღლებული ეფექტურობა 4. საბაზისო მაჩვენებელი - არსებული შენობების რეაბილიტაცია და საჭიროების შემთხვევაში ახლის აშენება; მიზნობრივი მაჩვენებელი - განახლებული და აშენებული შენობების რაოდენობა 5. საბაზისო მაჩვენებელი - საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა მოძველებული ავტოპარკის განახლება;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - განახლებული სპეცტექნიკის რაოდენობა 6. საბაზისო მაჩვენებელი - სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობისა და ტექნიკური ბაზის სრულყოფა და შემდგომი განვითარება; მიზნობრივი მაჩვენებელი - თანამედროვე სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა და ტექნიკური ბაზა
--	---

საერთაშორისო ოპერაციები (29 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში, თავდაცვის სამინისტრო არსებული მექანიზმების საშუალებით წარმატებით ასრულებს ალიანსის წინაშე აღებულ ვალდებულებებს და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მონაწილეებს ნატოს ეგიდით წარმოებულ მტკიცე მხარდაჭერის მისიასა (RSM) და ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF). ამავდროულად, თავდაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგისა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში და მონაწილეობს ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიებში - ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (EUMAM RCA) და უკრაინაში (EUAM UKR).
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის ამაღლება, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მხარდაჭერა, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო კომპონენტებით ნატოსა და ევროკავშირის მისიებში მონაწილეობა.

გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (26 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პროკურატურა
პროექტის აღწერა და მიზანი	იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულის გამოძიებისა და საპროცესო ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობა, აღნიშნული დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელოს შემუშავება; ადამიანის უფლებების დაცვა გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში; ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის გამომწვევი მიზეზების დადგენა და საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება; ოჯახური ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა; პროკურატურის მუშაკთა ახალი, პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისი ეთიკის კოდექსის შემუშავება, არსებული კოდექსის ბუნდოვანი

	ნორმების აღმოფხვრა, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული გადაცდომების კონკრეტიზაცია; სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დახვეწა, პროკურორთა საჭიროებებზე მორგებული და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამების შექმნა, პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის იმპლემენტაციის განხორციელება; პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მასმედიათან ურთიერთობის ეფექტური მექანიზმების შექმნა, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების არსებული მექანიზმების სრულყოფა; მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დახვეწა, დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი საბჭოების შექმნა; პროკურატურის როლის გაზრდა დანაშაულის პრევენციის პროცესში და ამ მიმართულებით სტრატეგიის შემუშავება; არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურორთა გადამზადება. არასრულწლოვანთა მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის, საერთაშორისო სტანდარტების სამუშაო პრაქტიკაში დანერგვის, განხორციელებული საკანონდებლო სიახლეების პრაქტიკაში სწორი იმპლემენტირებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა, პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის გზით; თანმიმდევრული, კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობისა და საერთო მიდგომების დანერგვის მიზნით, პროკურატურისა და სხვა საგამოძიებო უწყებების/მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებისათვის ერთობლივი სასწავლო პროექტების განხორციელება;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	• გამოძიებაზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის შესაძლებლობის ზრდა; • დანაშაულის (მათ შორის არასრულწლოვანთა შორის) პრევენციაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა. • საქართველოს პროკურატურა უზრუნველყოფილი იქნება კვალიფიციური, მაღალი პროფესიული სტანდარტების მქონე, კომპეტენტური კადრებით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - პროკურორების საქმიანობაზე ზედამხედველობისა და კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე გაიდლაინების შემუშავება; მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად პროკურორების საქმიანობაზე დაკვირვება და რეკომენდაციების შემუშავება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - საქმეების კომპლექსურობისა და რაოდენობის გათვალისწინებით პროკურორების საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეები 2. საბაზისო მაჩვენებელი - საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში პრევენციული ღონისძიებების ჩატარება; მიზნობრივი მაჩვენებელი - საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში ყოველწლიურად 30 პრევენციული ღონისძიების

	ჩატარება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%; შესაძლო რისკები - საზოგადოების დაინტერესების და ჩართულობის დაბალი დონე 3. საბაზისო მაჩვენებელი - სისტემის თანამშრომლების პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით, მინიმუმ 130 სასწავლო აქტივობის განხორციელება; მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემის თანამშრომლების პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით, 150 სასწავლო აქტივობის განხორციელება (დაახლოებითი მაჩვენებელი); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%; შესაძლო რისკები - შეზღუდვების დაწესება საბიუჯეტო თანხების განკარგვაზე. მომსახურების გამარტივებული შესყიდვის გზით გამონაკლისის გაუქმება
--	---

სამხედრო მრეწველობის განვითარება (29 07)	
პროექტის აღწერა და მიზანი	ენერგოუსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო ტექნიკური სამუშაოების გადრმავებას, საწარმოო ბაზის განახლებას და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, შეიარაღებულ ძალებში არსებული შეიარაღების და ტექნიკური საშუალებების მოდერნიზებასა და აღდგენას. ასევე, მრეწველობის და მათ შორის, მანქანათმშენებლობის რიგი დარგების განვითარებას, ახალი ტექნოლოგიური პროცესების კვლევასა და ოპტიმიზაციას. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის, თავდაცვის სფეროში სამეცნიერო-კვლევების განხორციელება. საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა-მშენებლობა და ექსპერიმენტალური მოდელების შექმნა შემდგომში ექსპორტის გაზრდის მიზნით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებული სამხედრო მრეწველობა, სამეცნიერო კვლევები.

ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (23 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	საფინანსო და ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყანაში ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი გარემოს ხარისხის ამაღლება, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის დაცვა და სამსახურში მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება; საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების კუთხით დაგროვილი გამოცდილების შესწავლა;

	საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება გადასახადების გადახდაზე თავის არიდების აღკვეთის მიზნით, პრევენციული ღონისძიებების გატარება დანაშაულის ჩადენის აღკვეთის მიზნით;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საფინანსო და ფისკალურ სფეროში დანაშაულის დონის შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა; ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა; საგამოძიებო სამსახურის მართვის თანამედროვე პრინციპებზე გადაყვანა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - გამოვლენილი სამართალდარღვევის რაოდენობა (2015 წლის მდგომარეობით) - 1140-მდე და ყველა საქმეზე დაწყებული წინასწარი გამოძიება; მიზნობრივი მაჩვენებელი - მაქსიმალურად გამოვლენილი სამართალდარღვევათა რაოდენობა; გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად სამართალდარღვევათა შემცირებული რაოდენობა

ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება (30 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	დასაცავი ობიექტების დაცვის ხარისხის ამაღლება; ციფრული კავშირგაბმულობისა და ობიექტების თანამედროვე დაცვითი საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემებით აღჭურვა; ავტოპარკის მუდმივი განახლება; ინფრასტრუქტურის მუდმივი რეაბილიტაცია.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	თანამედროვე და მაღალი ხარისხის დაცვითი სისტემებით აღჭურვილი დასაცავი ობიექტები; დასაცავი ობიექტების მომსახურება თანამედროვე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით; სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის უზრუნველყოფა თანამედროვე სტანდარტების სამუშაო პირობებით.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - საჭიროა ცენტრალური სამეთვალყურეო პულტის გამართული, ლიცენზირებული, უვადო პროგრამული უზრუნველყოფა (AES და SIS პროგრამული მომსახურება). საჭიროა ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის და ქ. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების თანამედროვე დაცვით-საგანგაშო და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებით აღჭურვა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ბოლო ვერსიამდე განახლებული დაცვის სიგნალების მონიტორინგის, SIS პროგრამა, SMS შეტყობინებების დაგზავნის გაუმჯობესებული სერვისი, გაუმჯობესებული სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურა და AES და SIS პროგრამული მომსახურება; ქ. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ტექ. გადაიარაღება, მათ შორის პერიმეტრის დაცვის სისტემების დანერგვა. დასავლეთ საქართველოს აღჭურვა ციფრული რ/სისტემებით 2. საბაზისო მაჩვენებელი - მუდმივად საჭიროა ოპერატიული რეაგირების, დაცვა-გაცილებისა, ინკასაციის სისტემის გამართული მუშაობისთვის ავტომატური ჩანაცვლება-შემენა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ავტომატური ჩანაცვლების 25 %-იანი განახლება; შესაძლო რისკები - დაცვის პოლიციის საკუთარი შემოსავლების შემცირება, ფასების ზრდა, კონკურენციის მატება, სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები 3. საბაზისო მაჩვენებელი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-მოწყობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - გარემონტებული ადმინისტრაციის მე-2 სართული, კეთილმოწყობილი ეზო, ინკასაცია, დაცვა-გაცილების სამმართველოებისთვის აშენებული და გერემონტებული შენობები, საელჩოებისა და საკონსულოების ობიექტებისთვის შეძენილი და გარემონტებული ჯიხურების რაოდენობა; შესაძლო რისკები - დაცვის პოლიციის საკუთარი შემოსავლების შემცირება, დასაცავი ობიექტების დაკარგვა, საბანკო სექტორის მომსახურების ხარისხის გაუარესება (რაც გამოიწვევს საჯარიმო სანქციების დაკისრებას), ოპერატიული რეაგირების ჯგუფების მუშაობის ხარისხის გაუარესება (რაც გამოიწვევს მატერიალური ზიანის ანაზღაურებას), ფასების ზრდა, კონკურენციის მატება, სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები
--	---

მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობის და კომპიუტერული სისტემები (29 04)	
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლისათვის კომუნიკაციებისა და საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემების გამართულ ფუნქციონირებას. მონაცემებისა და ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვა მოითხოვს კიბერ და საკომუნიკაციო უსაფრთხოების სისტემებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია მოწინააღმდეგის მხრიდან საზიანო ქმედებების თავიდან აცილება, უარყოფითი შედეგების შემცირება და ყველა ელემენტის ფუნქციონირების უმოკლეს ვადებში აღდგენა. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა და ინფორმაციის უსაფრთხოება თავდაცვის სფეროში და თანამშრომლობა სხვა შესაბამის უწყებებთან. თავდაცვითი ოპერაციების ერთიანობისა და უწყვეტობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია ქვედანაყოფების მობილური და სტაციონალური მართვისა და კონტროლის სისტემის

	დახვეწა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მართვისა და კონტროლის სისტემების ერთიანი ფუნქციონირებადი ქსელი, სისტემა, რომელიც მოიცავს ქვედანაყოფებში სიტუაციის ფლობის, ინფორმაციის გავრცელებისა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვან შესაძლებლობებს.

სრულყოფილი პრობაციის სისტემა (27 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება; სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში პრობაციონერების ჩართულობა; არასრულწლოვანთათვის სასჯელის სახედ შინა პატიმრობასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების გატარების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარდება პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები (ახალი ოფისების მშენებლობა და საჭირო ინვენტარით აღჭურვა, ვიდეოპაემნის სერვისი იფუნქციონირებს სრულფასოვნად, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება იფუნქციონირებს გამართულად, სარეაბილიტაციო სამმართველო იფუნქციონირებს ეფექტურად); პრობაციონერები ჩართულნი იქნებიან სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამებში, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციასა და მათ რესოციალიზაციას; არასრულწლოვანთა მიმართ ახალი კანონის მიღების შემდგომ ელექტრონული მონიტორინგის საშუალებების დანერგვა ხელს შეუწყობს შინა პატიმრობის ეფექტურად აღსრულებას.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების ქვემო ქართლის პრობაციის ბიუროს ახალი ოფისი, სადაც ფუნქციონირებს პრობაციონერთა სარეგისტრაციო სივრცე, ინდივიდუალური გასაუბრების და ჯგუფური თერაპიის ოთახები, ახალი ოფისიდან ვიდეოპაემნის საშუალებით, მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ დაამყარონ პირდაპირი ვიზუალური და ხმოვანი კავშირი პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებთან. პრობაციის ერთ ოფიცერზე საშუალოდ მოდიოდა 121 საქმემდე, სამინისტროს მიერ შემუშავებულია საკანონმდებლო პაკეტი: გაუქმდეს სასჯელის სახე - თავისუფლების შეზღუდვა და სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებითაც, დაინერგოს სასჯელის

	ახალი სახე - შინაპატიმრობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - განვითარებულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები (ახალი ოფისების მშენებლობა და საჭირო ინვენტარით აღჭურვა, ვიდეოპაემნის სერვისის იფუნქციონირებს სრულფასოვნად, სარეაბილიტაციო სამმართველო იფუნქციონირებს ეფექტურად) პრობაციის თითო ოფიცერზე დატვირთვა იქნება არაუმეტეს 150 საქმემდე, ცვლილებები შესულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, გაუქმდეს სასჯელის სახე - თავისუფლების შეზღუდვა და სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებითაც, დაინერგოს სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - პრობაციონერთა რაოდენობის ზრდის შედეგად დატვირთვა გადააჭარბებს 150 საქმეს; შესაძლო რისკები - საკანონმდებლო ორგანოს მიერ კანონში შესაბამის ცვლილებაზე უარი; პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდა 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის ორ კვარტალში სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო 2814 პირობით მსჯავრდებული, რაც პრობაციონერთა საერთო რაოდენობის (20753) 13.5%-ია. მათ შორის, პირობითი მსჯავრის მქონე 1163 ქალიდან სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო 95, ანუ 8,1 %; მიზნობრივი მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულია პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 10%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5% პრობაციონერთა რაოდენობის ცვლილება; შესაძლო რისკები - პირობით მსჯავრდებულთა რეზისტენტულობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე – შინაპატიმრობა, რომელსაც საქართველოს პრობაციის ეროვნული სააგენტო ელექტრონული მონიტორინგის საშუალებების გამოყენებით აღასრულებს. შინაპატიმრობა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე, ინიშნება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ. არასაპატიმრო სასჯელის ამ სახეს, 2016 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, იხდის 1 არასრულწლოვანი, 4-მა არასრულწლოვანმა დაასრულა მისი მოხდა; მიზნობრივი მაჩვენებელი - არასრულწლოვანთა მიმართ ახალი კანონის მიღების შემდგომ დაწესდება ელექტრონული მონიტორინგის საშუალებებით შინა პატიმრობის ეფექტურად აღსრულება; შესაძლო რისკები - არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდა,
--	---

საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში "გათავისუფლებული ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა (24 09)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება; საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა კომპეტენციის ფარგლებში; ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება; აშშ-ს სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფა; ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების ხარისხის ამაღლება
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველო ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრირებულია; ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები შესრულებულია; მიზნობრივი მაჩვენებელი - ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების ხარისხის ამაღლება

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი (03 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის მიაღრმავებით უმაღლესი დონის გადაწყვეტილებების მიღება; სამხედრო ძალების სტრუქტურისა და რაოდენობის განსაზღვრის პროექტების მომზადება; ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის კოორდინაცია კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მონაწილეობის უზრუნველყოფა. საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის მიმართულებით ქვეყნის თავდაცვის, უშიშროებისა და სამხედრო აღმშენებლობის საკითხებზე აქტების მომზადება და ექსპერტიზა, საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადება და ამ მასალებით საქართველოს პრეზიდენტისა და უშიშროების საბჭოს წევრების უზრუნველყოფა. ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის მიმართულებით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს დასკვნებისა და

	გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება.
--	---

დანაშაულის პრევენცია და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია (26 07)

პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანს წარმოადგენს საქართველოში დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა, რისკჯგუფებთან მუშაობა და პირველადი დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება. ამ მხრივ 2017-2020 წლებში განსახორციელებელი ღონისძიებები მიმართული იქნება ახალგაზრდების ფიზიკური, შემეცნებითი, გონებრივი, სოციალური და მოხალისეობრივი კულტურის განვითარებაზე, ყოფილი პატიმრების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაზე, შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური ტრენინგების/პროფესიული გადამზადების კურსების შეთავაზებაზე, პოტენციურ დამსაქმებელთან რეკომენდაციების გაწევაზე, განრიდება-მედიაციის სფეროს ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწაზე, საგრანტო პროგრამების საშუალებით დეფიციტური სერვისების მიწოდებასა და შემდგომ განვითარებაზე. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ღონისძიებები ყოფილ პატიმართა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარების, პროფესიული გადამზადების და პროგრამის წარმატებული მონაწილეების დასაქმების ხელშეწყობის, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ეფექტურობის და მასში ჩართული პროფესიონალების გადამზადების, დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნებისთვის სპეციალიზებული სერვისების შეთავაზების, აგრეთვე, ქვეყნის მასშტაბით რეფერალის სისტემის შემუშავების, არასრულწლოვნებში დანაშაულის პირველადი პრევენციის მიზნით ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, მოხალისეობის განვითარებისა და სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების დონის ამაღლების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის განვითარებისა და ადმინისტრირების მიმართულებებით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ყოფილ პატიმართა და დანაშაულის ჩადენის რისკჯგუფში მყოფ პირთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია; დანაშაულის ადრეული პრევენციული აქტივობების საშუალებით არასრულწლოვნებში დანაშაულის ადრეული პრევენცია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის პირველ კვარტალში ცენტრის ხელშეწყობით დასაქმდა 39 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - დასაქმებული 140 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი 2018 წელი - დასაქმებული 150 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი 2019 წელი - დასაქმებული 160 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი 2020 წელი - დასაქმებული 170 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5 ბენეფიციარი; შესაძლო რისკები - ბენეფიციარების შესაბამისი უნარ-ჩვევების არქონა; დამსაქმებლების ნაკლებობა

	2. საბაზისო მაჩვენებელი - დანაშაულის ადრეული პრევენციის აქტივობებში 2016 წლის 31 მარტის მდგომარეობით ჩართულია 5239 არასრულწლოვანი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 - 2020 წლებში დანაშაულის ადრეული პრევენციის აქტივობებში ჩართული 5500 არასრულწლოვანი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - სხვა ორგანიზაციების მიერ მიწოდებული მსგავსი სერვისები. დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსის სიმცირე
--	---

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (30 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოება; სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობ მატერიალურ ფასეულობათა ახალი ნომენკლატურის შემუშავება და დადგენილი წესით მისი დამტკიცება; სახელმწიფო რეზერვში რიცხულ მატერიალურ მარაგებზე მონიტორინგის და სისტემატური კონტროლის განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყნის სამოხილიზაციო მზადყოფნა საომარი მოქმედებების, სტიქიური უბედურებების, ეკონომიკური ბლოკადის, შესაძლო მიწისძვრების, ტექნოგენური კატასტროფების და სხვა მოულოდნელად წარმოქმნილი ექსტრემალური სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად, ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად, შიდა ბაზარზე მარეგულირებელი ზემოქმედებისათვის, საწარმოების და ორგანიზაციების ნედლეულით, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით, მოსახლეობის სურსათის ძირითადი სახეობებით მომარაგებაში დროებით შეფერხებებისას სახელმწიფო მხარდაჭერისთვის; მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საგანგებო და კრიზისულ სიტუაციებში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სწორად მართვისთვის აუცილებელია შესაბამისი ოპერაციების წარმოება, კონტროლი და მათი დაცულობის უზრუნველყოფა; მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების წარმოებული ოპერაციები, მათი კონტროლი მართვა და დაცულობის უზრუნველყოფა

	2. საბაზისო მაჩვენებელი - ნებისმიერ სამინისტროში, თუ სარეზერვო ბაზებში ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების შენახვის პირობების დაცვის, მათი ვარგისიანობის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა სისტემატური კონტროლის განხორციელება, რომ ადგილი არ ჰქონდეს ფასეულობების თვითნებურ ხარჯვას ან გაუვარგისებას; მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროში, თუ სარეზერვო ბაზებში ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების შენახვის პირობების დაცვის, მათი ვარგისიანობის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელებული სიტემატური კონტროლი
--	--

სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება (30 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - 112
პროექტის აღწერა და მიზანი	საქმიანობის სფეროში შემავალი საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევათა შესახებ შეტყობინებების მიღების, დამუშავების და მათზე რეაგირებისთვის შესაბამისი სუბიექტებისთვის ინფორმაციის დროული მიწოდების, საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის სხვა შემთხვევათა მართვის შესახებ უფლებამოსილ სუბიექტებთან კოორდინირებული მუშაობის, საგანგებო სიტუაციებსა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევებზე რეაგირების განმახორციელებელი უფლებამოსილი სუბიექტების დანიშნულების ადგილას მისვლამდე თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქალაქეთათვის შესაბამისი კონსულტაციების გაწევის და აუცილებელი პირველადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და შესაბამისი ინოვაციების დანერგვა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	112-ის გაზრდილი ხელმისაწვდომობა და მომართვიანობა დაკავშირების ალტერნატიული არხების მეშვეობით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - გაზრდილი მიმართვიანობის ფონზე საჭიროა ახალი ალტერნატიული არხის არსებობა რათა, კიდევ უფრო მეტ ბენეფიციარს გაეწიოს დროულად და შეუფერხებლად საჭირო დახმარება; მიზნობრივი მაჩვენებელი - მობილური აპლიკაციითა და eCall-ის მეშვეობით 112 ოპერატორთან დაკავშირების შესაძლებლობა

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა (30 07)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სააგენტოს მიერ მიწოდებული სერვისების მუდმივ რეჟიმში დახვეწა და სააგენტოს მიმართ ნდობის ხარისხი ამაღლება; სააგენტოს მიერ უფრო მეტად სწრაფი, მოქნილი და თითოეული მოქალაქის ინტერესზე მორგებული მომსახურების უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს 12 რეგიონის ნაწილობრივ და 5 რეგიონის სრულად დაფარვა; განახლებული ავტოპარკი, შეუფერხებლად ჩატარებული გამოცდების რაოდენობა; · ყოველდღიურად გამართული მომსახურების პროცესი; ოფიციალური ლიცენზიების გამოყენება და დახმარება პროდუქტის მწარმოებლისგან; უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა. მიღებული მოქნილი და განვითარებადი პროდუქტი, დამატებული ახალი მომსახურებები; ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების ხარჯზე ინფორმაცია იქნება მეტად დაცული უკანონო შეღწევებისგან და მინიმუმამდე შემცირებული ინფორმაციის დაკარგვის ალბათობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლებისა და ევროპარლამენტის ასევე საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის დირექტივის შესრულების მიზნით მართვის უფლების მისაღების პრაქტიკული გამოცდის დამატებით ქალაქის ქუჩებში ჩატარება; მიზნობრივი მაჩვენებელი - შეძენილი 92 სატრანსპორტო საშუალება. საქართველოს 12 რეგიონიდან 7 რეგიონში მხოლოდ "B" კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობა ხოლო 5 რეგიონში ყველა კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - გამოცდის მიმდინარეობის პროცესში ავტომანქანების მწყობრიდან ხშირი გამოსვლა; მიზნობრივი მაჩვენებელი - შეძენილი 45 ახალი საგამოცდო ავტომანქანა 3. საბაზისო მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით ამბროლაურში არ ხდება მოსახლეობისთვის სააგენტოს სერვისების მიწოდება შენობის არარსებობის გამო; მიზნობრივი მაჩვენებელი - ქ. ამბროლაურში აშენებული ახალი შენობა და მოწყობილი საგამოცდო მოედანი შესაბამისად

რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	663,000.00	663,000.00	0.00	990,500.00	745,000.00	432,000.00
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	230,830.00	217,830.00	13,000.00	294,532.00	284,663.00	82,100.00
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	200,400.00	200,400.00	0.00	294,124.00	186,999.00	12,000.00
36 03	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	86,650.00	86,650.00	0.00	149,500.00	288,400.00	295,000.00
36 01	ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა	31,460.00	31,000.00	460.00	31,460.00	31,460.00	31,460.00
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	22,963.00	22,963.00	0.00	23,000.00	23,000.00	23,000.00
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	22,069.00	22,069.00	0.00	22,100.00	22,100.00	22,100.00
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	8,504.00	8,444.00	60.00	8,550.00	8,550.00	8,550.00
25 01	რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	5,170.00	5,170.00	0.00	5,200.00	5,200.00	5,200.00
24 11	ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD)	5,000.00	5,000.00	0.00	0.00	0.00	0.00
36 02	ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია	3,350.00	3,350.00	0.00	11,500.00	11,600.00	2,000.00
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	1,197.00	1,177.00	20.00	1,235.00	1,236.00	1,240.00
24 10	ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა- კომპენსაცია	80.00	80.00	0.00	0.00	0.00	0.00
24 15	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	11,005.00	0.00	11,005.00	5,000.00	5,500.00	6,000.00

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
24 14	სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	8,315.00	0.00	8,315.00	8,520.00	8,730.00	8,950.00
24 13	სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	4,230.00	0.00	4,230.00	4,000.00	4,100.00	4,200.00
24 16	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	3,110.00	0.00	3,110.00	3,000.00	3,000.00	3,000.00
24 17	ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება	0.00	0.00	0.00	240,000.00	0.00	0.00
	სულ	1,307,333.0	1,267,133.0	40,200.0	2,092,221.0	1,629,538.0	936,800.0

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (25 02)

პროგრამის

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

განმახორციელებელი	
პროექტის აღწერა და მიზანი	გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველომ შეიძინა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის სტატუსი. ვინაიდან, სატვირთო გადაზიდვების საკმაოდ დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საავტომობილო გზები წარმოადგენს. საავტომობილო გადაზიდვებზე გაზრდილმა მოთხოვნამ განაპირობა არსებული გზების რეკონსტრუქცია, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება და ზოგ შემთხვევაში უსაფრთხო, ცენტრალური ქალაქების გვერდის ავლით, ახალი საგზაო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა, რითაც გარკვეული ტერიტორიები გამოთავისუფლდება. აღნიშნული კი ტურიზმის განვითარების და ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობის საფუძველი იქნება. საქართველოს საგზაო ქსელის ინტეგრირება საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში, ქვეყნის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, ავტოსატრანსპორტო დერეფნის განვითარება და საერთაშორისო სატრანზიტო კონკურენტუნარიანობის გაზრდა, სახელმწიფოთაშორისო და რეგიონთაშორისო ავტოსაგზაო კავშირების გაუმჯობესება, მოსახლეობის გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის, ინტენსიური ავტომობილიზაციის დონისა და გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადების დონესთან საავტომობილო საგზაო ქსელის განვითარების ტემპების შესაბამისობის უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყნის გაზრდილი საავტომობილო გზების გამტარუნარიანობა და საქართველოს საგზაო ქსელის ჩართვა საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში; მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და საგზაო ინფრასტრუქტურა; მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება; მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებთან, თვითმმართველ ქალაქებთან, ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან გამარტივებული დაკავშირება; შემცირებული გადაადგილებისათვის საჭირო დრო.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - რეკონსტრუირებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 529 კმ; ხიდი - 34; პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში: საავტომობილო გზა - 6000 კმ; ამორტიზირებული საავტომობილო გზა - 187 კმ; განათებული საავტომობილო გზა - 79 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 25 ობიექტი; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 25 ობიექტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - მშენებლობა-რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია: საავტომობილო გზა - 442 კმ; ხიდი - 54; გირაბი - 1; პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში: საავტომობილო გზა - 6050 კმ; განათებული საავტომობილო გზა - 26 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 20 ობიექტი; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 30 ობიექტი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%;

	შესაძლო რისკები - სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები და დამატებითი სამუშაოები
--	---

საავტომობილო გზების პროგრამების მართვა (25 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის ადმინისტრირება და მონიტორინგი.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შესაბამისი მიზნების მიღწევა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - არსებული პროექტების შეუფერხებლად განხორციელების ადმინისტრირება

გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (25 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საავტომობილო გზების დეპარტამენტის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებთან, თვითმმართველ ქალაქებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან, ასევე, მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება; სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჩატარებული სამუშაოების შედეგად აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები, ასევე, შეკეთდება და აღდგება ხიდები, რითაც მნიშვნელოვლად მოწესრიგდება მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებთან, თვითმმართველ ქალაქებთან, ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან მისასვლელი გზები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - აშენებული-რეკონსტრუირებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 557 კმ; ხიდი - 79; გირაბი - 1; პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში: საავტომობილო გზა - 6000 კმ;

	ამორტიზირებული საავტომობილო გზა - 187 კმ; განათებული საავტომობილო გზა - 79 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 25 ობიექტი; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 25 ობიექტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია: საავტომობილო გზა - 415 კმ; ხიდი - 30; პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში: საავტომობილო გზა - 6050 კმ; განათებული საავტომობილო გზა - 26 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 20 ობიექტი; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 30 ობიექტი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები და დამატებითი სამუშაოები
--	---

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა (25 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი; სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი (საფინანსო ნაწილში)
პროექტის აღწერა და მიზანი	ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ავტოტრანსპორტის ნაკადების გამტარუნარიანობის ამაღლება და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოდერნიზებული და განვითარებული ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზა (E-60 ავტომაგისტრალი).
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - აშენებული-რეკონსტრუირებული: საავტომობილო გზა - 28 კმ; ხიდი - 45; გირაბი - 1; მიზნობრივი მაჩვენებელი - მშენებლობა-რეკონსტრუქცია: საავტომობილო გზა - 27 კმ; ხიდი - 24; გვირაბი - 1; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები და დამატებითი სამუშაოები

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (25 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი; შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია; შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია
პროექტის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვა; სახელმწიფო მნიშვნელობის (ადმინისტრაციული, სტრატეგიული, სამხედრო, პოლიციური და სხვა დანიშნულების) ობიექტების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება;

	ნაპირდაცვითი სამუშაოების უზრუნველყოფა; ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მიზნით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ასევე, სამინისტროს მართვაში არსებული საწარმოების საოპერაციო ხარჯებისა და შესაბამისი ფუნქციური დავალებების შესასრულებლად წარმოებული სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვა. მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა. დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების გატარება, საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება და ანალიზი.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებული და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტებში; ამაღლებული საინვესტიციო მიმზიდველობა; გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - აშენებული-რეაბილიტირებული: 300 ადგილიანი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი; სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტი - 1; ტურისტული ინფრასტრუქტურა - 9; საავტომობილო გზა - 70.2 კმ; ტალღმტეხი ნაგებობა - 3. მოწყობილი: წყალარინების სისტემა - 3; სანაპირო ზოლი - 7.5 კმ. ამორტიზირებული საავტომობილო გზა - 78 კმ; ობიექტი - 5 ერთეული. დასრულებული პროექტირება - 18 ობიექტი. კეთილმოწყობილი ნაგავსაყრელი - 30 ერთეული; დახურული ნაგავსაყრელი - 19 ერთეული; გადამტვირთი სადგური - 5 ერთეული; მიზნობრივი მაჩვენებელი - მშენებლობა-რეაბილიტაცია-რესტავრაცია: საავტომობილო გზა - 92.5 კმ; ხიდი - 4 ერთეული; ობიექტი - 13; ტურისტული ინფრასტრუქტურა - 7 ობიექტი; თბილისის მეტროსადგური. მოწყობილი: წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები - 6 ერთეული; სანაპირო ზოლი - 2 კმ. შეძენა: კომპაქტორიანი ნაგავშიდი მანქანები - 146 ერთეული; მყარი ნარჩენების კონტეინერები - 7,195 ერთეული. დახურული ნაგავსაყრელი - 4 ერთეული; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები და დამატებითი სამუშაოები

წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (25 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
პროექტის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის და დაწესებულებების ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა; საქართველოს დიდ ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტებში წყალსადენის სათავე ნაგებობების მოწყობა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების

	მშენებლობა-რეაბილიტაცია; ტურისტულ-დასასვენებელ ცენტრებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	24 საათიანი მომარაგება სასმელი წყლით; მოწესრიგებული წყალარინების სისტემები; განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დასრულებული 30 ობიექტი; დასრულებული პროექტირება 2 გამწმენდ ნაგებობაზე; აშენებული-რეაბილიტირებული: ქ. ფოთი - რეზერვუარი - 4, საფილტრი და სატუმბი სადგურები, ჭაბურღილები, გამანაწილებელი ქსელები, ქ. ქუთაისი - რეზერვუარი, სატუმბი სადგური, გამანაწილებელი ქსელები; მიზნობრივი მაჩვენებელი - 24 საათიანი მომარაგება სასმელი წყლით; განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა; 2 გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა; მშენებლობა-რეაბილიტაცია: სათავე ნაგებობა - 5, რეზერვუარები - 5, მაგისტრალური მილსადენები - 5, გამანაწილებელი ქსელები - 5, წყალარინების ქსელები - 5, კოლექტორები - 5, სატუმბი სადგურები - 5, გამწმენდი ნაგებობები - 5; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები და დამატებითი სამუშაოები

სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (36 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სს სახელმწიფო ელექტროსისტემა; ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა რეაბილიტაცია; მეზობელ ქვეყნებთან არსებული ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა. სისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისათვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სისტემის მდგრადობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგიის გამტარუნარიანობის გაზრდა; 500 კვ მაგისტრალი - ენგური/ზესტაფონი/ახალციხე (ეგხ „იმერეთი“ და ეგხ „ზეკარი“) და 500 კვ ძაბვის ხაზის „კავკასიონის“ (საქართველო-რუსეთი) დარეზერვება; ხუდონი/ენგურის კვანძიდან სიმძლავრის გატანის უსაფრთხოების ამაღლება თურქეთსა და საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონისკენ (სომხეთისკენ) და რუსეთიდან და ენგურის კვანძიდან თურქეთისკენ; თერგის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირება;

	აფხაზეთის, სამეგრელოს, აჭარისა და გურიის ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლება; პერსპექტიული ჰესების სიმძლავრის უსაფრთხო ევაკუაცია: მესტიის რეგიონის ჰესების, მდინარე ნენსკრას შენაკადების და ნენსკრაჰესის, ხუდონჰესის, ცხენისწყლის კასკადის ჰესების და ხელედულაჰესის, გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების, მდინარე რიონის ქვემო ზონის (ვარციხის კასკადის) ჰესების სიმძლავრეების ქსელში ინტეგრირება და ტრანზიტი მომხმარებლებისკენ.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დონორებთან მიმდინარეობს სასესიო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული პროცედურები; მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალი 500 კვ ეგზ წყალტუბო -ახალციხე - ტორტუმი; 250 მგვარ რეაქტორი ქ/ს ზესტაფონიში; 500 კვ ეგზ ჯვარი-წყალტუბო; 220 კვ ორჯაჭვა ეგზ "ხუდონი-ნენსკრა"; 110 კვ ეგზ "ხუდონი-მესტია", ახალი ორჯაჭვა 110კვ ხაზი "ოზურგეთი-ჩოხატაური"; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 30 % / პროექტების განხორციელების ვადები; შესაძლო რისკები - ხელშეკრულების პირობები შეთანხმება, სატენდერო და შესყიდვის პროცედურები, ბუნებრივი პირობები

ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (36 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი; სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ენერგეტიკის უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგი და მათი განხორციელების კოორდინაცია. საქართველოს ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. ელექტროენერგიის დამატებითი, ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების, ენერგიის შემცველი წყაროების უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. არსებული წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი, მოქმედი ინვესტორების საქმიანობის კოორდინაცია, აღნიშნულის ფარგლებში ნავთობისა და გაზის ოპერაციების მონოტორინგი, კომპანიების ყოველწლიური სამუშაო გეგმების და ბიუჯეტების განხილვა, შეთანხმება და შესრულების მონიტორინგი. ინვესტორებისაგან ყველა სახის ტექნიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება, სისტემატიზაცია, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირების საქმიანობის ერთიანი მარეგულირებელი საფუძვლების შექმნა. ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

	შავი ზღვის შეღვის საქართველოს ნაწილზე ნახშირწყალბადების რესურსების ათვისების მიზნით პოტენციური ინვესტიორების მოძიება. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (იმერეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, სამეგრელოს, რაჭის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის) გაზის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირება. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის. ქარის, მზის და ბიომასის ელექტროსადგურების განვითარება
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება. ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარება ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით. ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და გაზრდა. ახალი საბადოების გახსნა/ათვისება. საქართველოს ენერგოუსაფრთხოების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. თანამედროვე მოთხოვნების ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა. ახალი ქარის და მზის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურის მშენებლობა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს საქართველო უნდა გაწევრიანდეს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში, შესაბამისად განხორციელდება კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გაწერილი გეგმის მიხედვით; დღეისათვის გაცემულია ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 19 გენერალური ლიცენზია 10 კომპანიაზე. დღეისათვის გაზიფიცირებულია 1 053 000 აბონენტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - გაზიფიცირებული 1 100 000 აბონენტი; ნავთობ/გაზპროდუქტების ეროვნული წარმოების განვითარება; ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების დონის ამაღლება.; ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა. ახალი ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობის ზრდა 2. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს ქარის და მზის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა,; მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალი ქარის და მზის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურის მშენებლობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 30 % - ვადები;

ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება (36 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ენერგეტიკის უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგი და მათი განხორციელების კოორდინაცია. საქართველოს ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. ელექტროენერგიის დამატებითი, ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების, ენერგიის შემცველი წყაროების უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. არსებული წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი, მოქმედი ინვესტორების საქმიანობის კოორდინაცია, აღნიშნულის ფარგლებში ნავთობისა და გაზის ოპერაციების მონიტორინგი, კომპანიების ყოველწლიური სამუშაო გეგმების და ბიუჯეტების განხილვა, შეთანხმება და შესრულების მონიტორინგი. ინვესტორებისაგან ყველა სახის ტექნიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება, სისტემატიზაცია, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირების საქმიანობის ერთიანი მარეგულირებელი საფუძვლების შექმნა. ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. შავი ზღვის შელფის საქართველოს ნაწილზე ნახშირწყალბადების რესურსების ათვისების მიზნით პოტენციური ინვესტორების მოძიება. ქარის და მზის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განხორციელება, შემდგომში მშენებლობის მიზნით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება. ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარება ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით. ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და გაზრდა. ახალი საბადოების გახსნა/ათვისება. საქართველოს ენერგოუსაფრთხოების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. თანამედროვე მოთხოვნების ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.

	ქარის და მზის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულება და მშენებლობის მიზანშეწონილობის დადგენა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს საქართველო უნდა გაწევრიანდეს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში, შესაბამისად განხორციელდება კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გაწერილი გეგმის მიხედვით; დღეისათვის გაცემულია ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 19 გენერალური ლიცენზია 10 კომპანიაზე; მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალი ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობისა და დარგში უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა; ნავთობ/გაზპროდუქტების ეროვნული წარმოების განვითარება; ტენდერების გამოცხადება ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემაზე; ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების დონის ამაღლება 2. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს ქარის და მზის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევის დასრულება და მშენებლობის მიზანშეწონილობის დადგენა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10-15 %; შესაძლო რისკები - ვადები

მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (36 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზისა და ელექტროენერგიის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირება და ელექტროფიცირება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	2017 წელს დამატებით 10000-მდე აბონენტს მიეცემა ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	2020 წლისათვის დამატებით 60000-მდე აბონენტს მიეცემა ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - გაზიფიცირებულია 1 053 000 აბონენტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - გაზიფიცირებულია 1 063 000 აბონენტი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20 % - ვადები; შესაძლო რისკები - სატენდერო და შესყიდვის პროცედურები, ბუნებრივი პირობები

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - გაზიფიცირებულია 1 053 000 აბონენტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - გაზიფიცირებულია 1 100 000 აბონენტი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20 % - ვადები; შესაძლო რისკები - სატენდერო და შესყიდვის პროცედურები, ბუნებრივი პირობები
---	---

ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (36 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	განხორციელდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში სუბსიდირების მიმღები მოსახლეობის რაოდენობა- 4300 აბონენტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები 4300 აბონენტი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 0%; შესაძლო რისკები - -

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (24 05)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
პროექტის აღწერა და	მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ტურისტების მოზიდვა:

მიზანი	საერთაშორისო და ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობა; მსოფლიოს წამყვანი ტუროპერატორებისა და მასმედიის წარმომადგენლებისთვის პრეზენტაციების, პრესტურებისა და გაცნობითი ტურების მოწყობა; მსოფლიოს წამყვან ტელეარხებზე რეკლამების განთავსება, ინტერნეტსივრცეში მარკეტინგული კამპანიის სწრაფად და ეფექტიანად განხორციელება; კონკრეტული მიმართულებების პოტენციალის კვლევა და შემუშავებული მარშრუტების მარკირების ჩატარება; ტურისტულად მიმზიდველ დიდ ქალაქებში საინფორმაციო დაფების განთავსება; ტურიზმის განვითარებისათვის კურორტებისა და საკურორტო პოტენციალის კვლევა; ტურიზმის სფეროში კერძო სექტორის განვითარება, ხელშეწყობა და წახალისება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, მიმართ საერთაშორისო და შიდა ბაზარზე გაზრდილი ინტერესი, რაც აისახება საერთაშორისო ვიზიტორების გაზრდილ რაოდენობაში; ტურისტული მიმართულებების გამოკვლევის შედეგად (ღვინის, საფეხმავლო, სათავგადასავლო და სხვა) შექმნილი მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტი და გაუმჯობესებული მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა; საქართველოს საკურორტო რესურსების სესახებ ამაღლებული ცნობიერება; გაზრდილი გადამზადებული კერძო სექტორის წარმომადგენლების რიცხვი, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებას.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს საქართველოს ესტუმრა 5 897 685 საერთაშორისო ვიზიტორი. შექმნილია მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა (4 საინფორმაციო ცენტრი, 2014-2015 წლებში განხორციელდა 15 კვლევა ღვინის, სათავგადასავლო, საფეხმავლო და ველობილიკების შექმნის მიმართულებით და შეიქმნა 6 ტურისტული პროდუქტი/მცირე ინფრასტრუქტურა (საფეხმავლო ბილიკები, ველო ბილიკები, სათავგადასავლო მიმართულებების მანიშნებლები და ლაით ბოქსები.); მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ვიზიტორების ყოველწლიური 7%-იანი მატება 2016-2020 წლებში. 2017-2020წწ

	შეიქმნება მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა (8 საინფორმაციო ცენტრი, ჩატარდება 25 ტურისტული მიმართულების გამოკვლევა და მის საფუძველზე ტურისტული პროდუქტისა და მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - ვიზიტორების დაბალი აქტივობა; კლიმატური პირობები 2. საბაზისო მაჩვენებელი - კურორტებისა და საკურორტო ადგილების კვლევის მიმართულებით აქტივობები არ არის განხორციელებული; მიზნობრივი მაჩვენებელი - სულ მცირე 2 ერთეული კურორტისა და საკურორტო ადგილის კვლევა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - რელიეფური-კლიმატური პირობები 3. საბაზისო მაჩვენებელი - გადამზადებულია 1 200-მდე კერძო სექტორის წარმომადგენელი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში 5 500 გადამზადებული კერძო სექტორის წარმომადგენელი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა
--	--

ინფრასტრუქტურის განვითარება (29 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს სამხედრო ბაზების რეაბილიტაცია-განვითარებას, წვრთნების და სწავლებების უზრუნველყოფის ინფრასტრუქტურის, საინჟინრო ნაგებობებისა და კომუნიკაციების რეაბილიტაციასა და განვითარებას. აღნიშნული მიმართულებით ასევე გათვალისწინებულია კვების სისტემის გამართვა, რაც თავის მხრივ მოიცავს შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას, წყალმომარაგების სისტემის განვითარებას, სასადილო ინვენტარით აღჭურვას და საველე სასადილოების და სამზარეულო კონტეინერების უზრუნველყოფას.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შეიარაღებული ძალების განვითარებული ინფრასტრუქტურა. აღდგენილი სამხედრო, საყოფაცხოვრებო, სასაწყობო, საწვრთნელი და სასწავლო ინფრასტრუქტურა. თანამედროვე სტანდარტებით აშენებული შენობა-ნაგებობები. გაუმჯობესებული კვებითი ობიექტები, გამართული წყლის რეზერვუარები და რეაბილიტირებული საკანალიზაციო სისტემები. სათანადოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურული კომუნიკაციები საინჟინრო ნაგებობები.

საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (24 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ-საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

პროექტის აღწერა და მიზანი	ინოვაციების ინფრასტრუქტურის განვითარება ითვალისწინებს დარგობრივი სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების - ფაბლაბების ფორმირებას საქართველოს მასშტაბით (ფაბლაბი დააკავშირებს და ერთ სივრცეში მოაქცევს მსოფლიოს ტექნოლოგებს, გამომგონებლებს და ნოვატორებს. ცოდნის გაზიარების ეს ქსელი მოიცავს 50 ქვეყანას). „ფაბლაბის“ ტექნოლოგიური პლათფორმის ჩართვა სკოლებისა და უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებში. STEM საგნების სწავლების დონის ამაღლება; საქართველოს მასშტაბით ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება (მათ შორის 40,000 აუთოსორსზე ორიენტირებული სპეციალისტის მომზადება საინფორმაციო ტექნოლოგიების პრიორიტეტული მიმართულებებით); სტარტაპების დაფინანსება (მინი გრანტები).
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს მუნიციპალიტეტებში ლაბორატორიების გახსნა ხელს შეუწყობს ნოვაციების, მეწარმეობის, და სამრეწველო ინოვაციების განვითარებას, უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური საინჟინრო-კვლევითი უნარების მქონე კადრების მიღებას; ტრენინგების შედეგად გაიზრდება საზოგადოების და მათ შორის ახალგაზრდების ჩართულობა საქართველოში უკეთესი ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბებაში; გაიზრდება ინოვაციური იდეების და შესაბამისად წარმატებული სტარტაპების რაოდენობა; მინი გრანტების პროგრამა ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენს ისეთი იდეის ან მეცნიერებაზე და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროდუქტის, კვლევის ან მომსახურების განვითარებას და/ან დანერგვას, რომელსაც გააჩნია კომერციული პოტენციალი და გამოიწვევს ტექნოლოგიაზე ორიენტირებული ახალი ტიპის მომსახურების გაჩენას, წარმოების პროცესის გადრეგულირებას, არსებული პროდუქტის გაფართოვებასა და კომერციული პროცესების გამოყენებას საქართველოს ეკონომიკისა და საზოგადოებისათვის.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს მასშტაბით 2014-15 წლებში შეიქმნა სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიები, ჯამში 9 ობიექტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაიხსნება სხვადასხვა ტიპის 21 ლაბორატორია და ინოვაციების ცენტრი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - ვალუტის კურსის ცვლილება, ბაზების ვერ მოძიება, სადაც ლაბორატორიების გახსნა იქნება შესაძლებელი 2.

	საბაზისო მაჩვენებელი - ამჟამად მომზადებულია 53 IT მიმართულების ტრენერი და 613 IT სპეციალისტი, 2016 წელს დამატებით მომზადდება 120 ტრენერი, რომლებიც მოამზადებენ 4 800 სპეციალისტს. გარდა ამისა 2016 წლის იანვრიდან დღემდე ტექნოპარკში სულ ჩატარდა დაახლოებით 150-მდე ღონისძიება, ტრენინგი, სემინარი და ვორქშოფი, რომლებშიც დაახლოებით 10 000-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამზადებული ტრენერი მოამზადებენ 12 600 დამწყებ IT სპეციალისტს. ტექნოპარკში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს/გადამზადდება 50 000 ადამიანი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10-20%; შესაძლო რისკები - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - ამჟამად დაფინანსებულია 17 ინოვაციური პროექტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინანსდება 47 ინოვაციური სტარტაპი როგორც საგრანტო პროგრამის, ასევე ბიზნეს ინკუბატორის პროექტის ფარგლებში; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - შერჩეული პროექტების რაოდენობა
--	--

რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (25 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; ქვეყნის მდგრადი რეგიონული განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნის, რეგიონული განვითარების დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავების, რეგიონული განვითარების დაგეგმვისა და ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, რეგიონული განვითარების საკითხების მარეგულირებელი ჩარჩო საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და განხორციელება; დეცენტრალიზაციის პოლიტიკის შემუშავება; ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური გაძლიერებისა და მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სფეროში წინადადებების შემუშავება; სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სექტორებსა და დარგებში დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და კოორდინაცია; მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაციის გაგრძელება; საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება; მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტებში სოციალური გარემოსა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

	ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის დანერგვა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და კოორდინაცია; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების კოორდინაცია; საქართველოს მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა; საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებისა და გაწვევის სამუშაოთა კოორდინაცია; საქართველოში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობასთან, მართვასთან და დახურვასთან, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობასთან და მართვასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა და გადაწყვეტა; უფლებამოსილების ფარგლებში, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობის ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეგიონულ განვითარებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე შემუშავებული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები; შემუშავებული და განხორციელებული ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტები; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული დეცენტრალიზაციის პროცესი; გაზრდილი კვალიფიციური კადრების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დეცენტრალიზაციისა და საჯარო პოლიტიკის კუთხით შემუშავებული 180 დოკუმენტი (ნორმატიული აქტები, სტრატეგია/საქმედო გეგმა და ა.შ.); ადამიანური რესურსების მართვაზე 100-ზე მეტ მოხელეს გავლილი აქვს ტრეინინგები და სასწავლო პროგრამები; მიზნობრივი მაჩვენებელი - კვალიფიციური კადრების რაოდენობა გაზრდილია მუნიციპალიტეტებში; შემუშავებული და განხორციელებული ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტები; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - სახელმწიფო პრიორიტეტების ცვლილება; კადრების გადინება

ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD) (24 11)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა. პროექტი რამოდენიმე კომპონენტს მოიცავს და ქვეყანაში ინოვაციებისათვის ინფრასტრუქტურის განვითარებას უზრუნველყოფს. პროექტის ფარგლებში დაფინანსდება რეგიონებსა და სოფლებში ინოვაციური ცენტრების ფორმირება, მომავლის სპეციალობების მიმართულებით კვალიფიციური კადრების გადამზადება, ტრენერების მომზადება, ასევე, დამწყები მაღალტექნოლოგიური კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლება. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში განხორციელდება საგრანტო პროგრამები, რომლებიც ინოვაციური პროექტების სხვადასხვა ფაზებს დააფინანსებს. პროექტის ფარგლებში ასევე დაფინანსდება ინტერნეტიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროგრამა, მათ შორის კომპიუტერული წიგნიერებისა და ელექტრონული კომერციის განვითარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროექტი ხელს შეუწყობს ახალი ინოვაციური პროდუქტებისა და პროექტების გაჩენას მთელი ქვეყნის მასშტაბით და გაზრდის მცირე და საშუალო ქართულ მეწარმეების კონკურენტუნარიანობას, ასევე ინტერნეტიზაციის პროცესს, მათ შორის კომპიუტერული წიგნიერების ამაღლებას და კვალიფიციური კადრების მომზადებას, რომლებსაც საშუალება ექნებათ საერთაშორისო ბაზარზე დისტანციურად იმუშაონ.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით აქტივობები არ განხორციელებულა; მიზნობრივი მაჩვენებელი - პროექტის ბენეფიციარების მიერ 60 ახალი სტარტ-აპ კომპანიის დარეგისტრირება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5-10%; შესაძლო რისკები - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (36 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	შპს ენგურჰესი
პროექტის აღწერა და მიზანი	ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება-რეაბილიტაცია; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰესების (ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი) რეაბილიტაცია.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ჰიდროელექტროსადგურების (ენგურჰესი, ვარდნილჰესების კასკადის პირველი საფეხური) რეაბილიტაცია, საპროექტო სიმძლავრეზე გაყვანა, სადგურის საიმედოობის ამაღლება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება 3,6 მლრდ კვ/სთ;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - საშუალო წლიური გამომუშავების ზრდა 8 %; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 30% / განხორციელების ვადები; შესაძლო რისკები - სატენდერო და შესყიდვის პროცედურები, ბუნებრივი პირობები
--	---

ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (24 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება; ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის განვითარება ევროკავშირში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოსაფხვრელად შესაბამის სფეროებში ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების პრინციპების გათვალისწინებით შექმნილი და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტები; ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით დანერგილი პროდუქტის უსაფრთხოების შემოწმების ახალი მიდგომები და პრინციპები, რომლებიც ასახულია ნორმატიულ აქტებში; გაუმჯობესებული ბაზარზე ზედამხედველობის სისტემა, რომელიც დაახლოებულია ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში მიღებულია 5 ევროდირექტივასთან დაახლოებული ტექნიკური რეგლამენტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალი ტექნიკური რეგლამენტების მიღება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1%; შესაძლო რისკები - რეგლამენტების დროულად ვერ მიღება 2. საბაზისო მაჩვენებელი - უბედური შემთხვევების მაჩვენებელი: 4 უბედური შემთხვევა შახტებში და მალაროებში, დაიღუპა 2, დაშავდა 3 ადამიანი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 100%-ით შემცირებული უბედური შემთხვევების რაოდენობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1%; შესაძლო რისკები - რეგლამენტის დაუცველობა

ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა- კომპენსაცია (24 10)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაციის უზრუნველყოფა. აღნიშნული ხორციელდება ინდივიდუალურად კერძო მესაკუთრეებთან საკომპენსაციო თანხის შეთავაზების მომზადების და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების გზით. აღნიშნული პროექტისათვის სახსრების გამოყოფა ხდება ყოველწლიურად, პროცესი მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში, რათა საბოლოოდ დასრულდეს აღნიშნულ მონაკვეთზე არსებული კერძო მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	აღნიშნული პროექტი საშუალებას იძლევა მოხდეს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მარაბდა-კარწახის მიმართულებით თურქეთის საზღვრამდე სამშენებლო დერეფანში მოქცეული კერძო საკუთრებაში არსებული ნაგებობებისა და მწვანე ნარგავების ფართობების გამიჯვნა, შეფასება და სახელმწიფო საკუთრებაში მოქცევა. 2017 წელს დასრულდება სარკინიგზო დერეფნის გადაკვეთაში მდებარე კერძო მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწებიდან გამოსყიდულია 27 ერთული; მიზნობრივი მაჩვენებელი - პროექტის ფარგლებში გამოვლენილი კერძო საკუთრებებიდან სახელმწიფოს მიერ 145 ერთეული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5-10%; შესაძლო რისკები - სირთულეები კერძო მესაკუთრეებთან მოლაპარაკების პროცესში

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (24 13)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	„საქართველოსა და ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ (ECAA) შეთანხმების გათვალისწინებული რეგულაციებისა და დირექტივების ქართულ საავიაციო კანონმდებლობაში ასახვა; საქართველოს საავიაციო დარგისათვის პრიორიტეტული რეგულაციებისა და დირექტივების განსაზღვრა, მათი დანერგვის დროში გაწერა, სამართლებრივი ანალიზი და ამ მიზნით, შესაბამისი დასკვნებისა და წინადადებების შემუშავება;

	ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) PART 145-ის, PART M-ის, PART 147-ის და PART 66- ის რეგლამენტების დანერგვა; სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად მაკორექტირებელი ღონისძიებების ამუშავება; ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების გადამზადება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყანაზე დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულების შესრულება, კერძოდ: საავიაციო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ მარეგულირებელ აქტებთან და სტანდარტებთან; უსაფრთხოების ევროპული სტანდარტების დანერგვა, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, პროცედურების გამარტივება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება; საქართველოს საავიაციო კანონმდებლობის ICAO-ს კონვენციის, მისი დანართებისა და შესწორებების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - იდენტიფიცირებულია და დანერგილია 5 ერთეული რეგულაცია; მიზნობრივი მაჩვენებელი - დანერგილი რეგულაციების რაოდენობა: 2017 წელი- 30; 2018 წელი - 52; 2019 წელი - 72; 2020 წელი - 87; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5-10%; შესაძლო რისკები - რეგულაციების დანერგვის ვადების დაუცველობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - გადამზადებულია 31 ერთეული ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორი; მიზნობრივი მაჩვენებელი - უსაფრთხო აერნაოსნობა. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება 100%-ით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 50%; შესაძლო რისკები - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება (24 17)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისა და სანავსადგურე ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის პორტთან დამაკავშირებელი

	საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა/მშენებლობის ხელშეწყობა
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შექმნილია სათანადო ინფრასტრუქტურა და პირობები ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ფუნქციონირებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს დიდი ზომის (მაგ: პანამაქსი) გემების მიღებას სწრაფი და მარტივი სისტემით და უზრუნველყოფს უსაფრთხო ნაოსნობას წლის ნებისმიერ პერიოდში
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2014 წელს გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული ინვესტორის მიერ მუშავდება პროექტის განხორციელების და დაფინანსების პაკეტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით აღებული ვალდებულებები და პორტის ფუნქციონირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1%; შესაძლო რისკები - რეგიონში არსებული ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ვითარების გავლენა ინვესტიციაზე

სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო (24 15)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება; ელექტრონული აღრიცხვის ბაზის სისტემის სრულყოფა; სააგენტოს სპეციალისტთა და მეწარმეთა (მენეჯერები/მძღოლები) გადამზადება; თანამედროვე სიმულატორების დანერგვა; საერთაშორისო აქტივობების გამდიერება; ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა; ტრენინგ-ცენტრების მშენებლობა.
პროექტის მოსალოდნელი	გაიზრდება სატვირთო გადაზიდვებისა და სამგზავრო გადაყვანების არეალი და მათი უსაფრთხოების დონე;

საბოლოო შედეგი	განახლება ავტოპარკი; ჩამოყალიბდება ძლიერი, ტექნიკურად და ფინანსურად გამართული, მაღალი ხარისხის მომსახურების განმახორციელებელი დარგში ოპერირებადი საწარმოები; გაიზრდება ქართველ მეწარმეთა კონკურენტუნარიანობა; ხელი შეეწყობა საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას; განვითარდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა; დასახლებულ პუნქტებში ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის, როგორც იაფი გადაადგილების საშუალების განვითარება; გარემოს გაჯანსღერება; გაიზრდება კვალიფიციური მძღოლების და მენეჯერების რაოდენობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს მენეჯერების და მძღოლების მოსამზადებელი თანამედროვე ტრენინგ ცენტრების მშენებლობის პროექტის მომზადება; მიზნობრივი მაჩვენებელი - გაიზრდება კვალიფიციური მძღოლების და მენეჯერების რაოდენობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - მენეჯერების მომზადება 2016 წელს დაიწყო. წლის ბოლომდე დაახლოებით 30 მომზადდება, ხოლო მძღოლები 360 წელიწადში; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელს მომზადდება 30 მენეჯერი და 380 მძღოლი, 2018 წელს - 40 მენეჯერი და 380 მძღოლი, 2019 წელს-50 მენეჯერი და 450 მძღოლი, 2018 წელს-60 მენეჯერი და 500 მძღოლი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - გაცემულია საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის ნებართვა 34 ათ; მიზნობრივი მაჩვენებელი - გაიცემა საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის ნებართვები 2017წელს-35.4 ათ, 2018წ.-37ათ.;

	2019-40ათ; 2020-45ათ; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10-20%; შესაძლო რისკები - რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ფაქტორების გავლენა
--	--

სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო (24 14)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს საზღვაო დროშის ცნობადობის ამაღლება და გემების მოზიდვა საქართველოს დროშის ქვეშ რეგისტრაციის მიზნით (0%-იანი დაკავებების კოეფიციენტი ქართული დროშის ქვეშ მცურავ გემებზე); საერთაშორისო სტანდარტის (ISO 9001:2015 და 27001:2011) დანერგვა; საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს საზღვაო კანონმდებლობის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მეტად დაახლოება; უსაფრთხო ნაოსნობა საქართველოს ნავსადგურებსა და ტერიტორიულ წყლებში; მაღალკვალიფიციური ქართველ მეზღვაურებზე მოთხოვნის გაზრდა; გამართული საზღვაო კანონმდებლობა. საზღვაო ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივების იმპლემენტაცია; საერთაშორისო საზღვაო კონვენციების რატიფიკაცია - ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის დანართი XV-D ითვალისწინებს საზღვაო ტრანსპორტის სფეროში არსებული ევროკავშირის დირექტივებისა და რეგულაციების ჩამონათვალს, რომელთა საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაციის ვალდებულება საქართველომ აიღო. ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულია 16 დირექტივისა და 6 რეგულაციის იმპლემენტაცია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დროშის ადმინისტრირება და სახელმწიფო კონტროლის ხარისხი; მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს დროშის ადმინისტრაციის იმიჯის გაზრდა საერთაშორისო დონეზე, საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს შავი/რუხი/თეთრი დროშის კატეგორიებში ქართული დროშის პოზიციების გაუმჯობესებას; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 80%

	2. საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო სტანდარტის - ISO 9001:2015 და 27001:2011 დანერგვა; საზღვაო ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივების იმპლემენტაცია; საერთაშორისო საზღვაო კონვენციების რატიფიკაცია; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2018 წლის ივლისის თვეში სააგენტოზე გაცემული ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სერტიფიკატს ეწურება ვადა. სააგენტოს, როგორც საზღვაო ადმინისტრაციას საერთაშორისო კონვენციებით მოეთხოვება ხარისხის მართვის სისტემის არსებობა. ახალი სერტიფიკატის ასაღებად სააგენტო ვალდებულია გამოაცხადოს ტენდერი ან/და შესაბამისი ზემდგომი სამინისტროს თანხმობით მოიპოვოს უფლება გააფორმოს 3-წლიანი ხელშეკრულება ჩვენთვის სასურველ სასერთიფიკაციო ორგანიზაციასთან (TUV SUD, BSI UK, BUREAU VERITAS და სხვა), რის შემდეგაც სააგენტოს ჩაუტარდება 1- სასერთიფიკაციო აუდიტი 2018 წელს შესაბამისი სერტიფიცირებით და შემდგომში 2-საზედამხედველო აუდიტი 2-წლის განმავლობაში, იმისათვის რომ სააგენტო არ დარჩეს საერთაშორისო სერტიფიკატის გარეშე; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1%; შესაძლო რისკები - სასერთიფიკაციო აუდიტის ვერ ჩატარება 3. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - კანონის „საზღვაო შრომის კონვენციის“ MLC 2006 და ევროკავშირის 1999/63/EC (20/05/2009 ცვლილებით) მოთხოვნების შესაბამისად შემუშავება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით - კანონის შექმნით განსაზღვრული და დარეგულირებული იქნება მეზღვაურის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები, ასევე შრომის/სამსახურის გაწევის პირობები. მეზღვაურის სამუშაოზე აყვანის, ავადმყოფობის, რეპატრაციის სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - კანონის არ მიღება
--	---

სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური (24 16)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში და სანაპირო ზოლში უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფა; საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპიროზე თანამედროვე სანავიგაციო საშუალებების და მოწყობილობების მუდმივი ჩანაცვლება, განახლების უზრუნველყოფა; საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპიროზე თანამედროვე სანავიგაციო საშუალებების დანერგვის უზრუნველყოფა;

	მეტეოროლოგიურ-ოკეანოგრაფიული ტივტივა - მასზე განთავსებული სპეციალური სენსორებით შესაძლებელი იქნება ონლაინ რეჟიმში მიღებული იქნას ზღვის მეტეოროლოგიური მონაცემები, როგორცაა ტალღის სიმაღლე, წყალქვეშა დინებები და მიმართულებები; უსაფრთხო ნაოსნობის მხარდასაჭერად სანავიგაციო ქაღალდის და ელექტრონული რუკების ახალი სახეობისა და მასშტაბის განვითარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპიროებზე თანამედროვე სანავიგაციო საშუალებების დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას (სხვადასხვა ტონაჟის გემების საქართველოს პორტებში უსაფრთხო შემოსვლა); საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში და სანაპირო ზოლში უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფა; მეტეოროლოგიური და ნავიგაციური ცვლილებების შესახებ ინფორმაციით შესაბამისი უწყებების უზრუნველყოფა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში, ნავსადგურებსა და მისასვლელ არხებზე, სახმელეთო და მცურავი სანავიგაციო ნიშნების საჭირო რაოდენობაა განთავსებული; მიზნობრივი მაჩვენებელი - სანავიგაციო საშუალებების შეძენა-ჩანაცვლება ახალი თანამედროვე მოწყობილობა-დანადგარებით; მცურავი სანავიგაციო ნიშნების განთავსება უსაფრთხო ნავიგაციისათვის ოპტიმალურ კოორდინატებში 2. საბაზისო მაჩვენებელი - აქტივობები არ არის განხორციელებული; მიზნობრივი მაჩვენებელი - მეტეოროლოგიური მონაცემების :ტალღის სიმაღლის, წყალქვეშა დინებების და მიმართულებების ონლაინ-რეჟიმში მიღება 3. საბაზისო მაჩვენებელი - ზღვის ბათიმეტრიული კვლევების შედეგად იქმნება ქაღალდის რუკები, ასევე სანავიგაციო ელექტრონული რუკები, რომელიც უზრუნველყოფს გემების კაპიტნებისათვის უსაფრთხო საზღვაო მარშრუტების მიწოდება; მიზნობრივი მაჩვენებელი - რუკების პორტფოლიოში ახალი რუკების დამატება, სანავიგაციო, ელექტრონული და ქაღალდის რუკების წარმოება მაღალ პროფესიულ დონეზე

განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
------	------------	-------------------	-------------------------	------------------------	--------------------	--------------------	--------------------

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
32 02	ზოგადი განათლება	613,198.00	609,008.00	4,190.00	623,020.00	633,145.00	657,410.00
32 04	უმაღლესი განათლება	387,139.00	115,984.00	271,155.00	391,715.00	393,535.00	394,845.00
32 08	ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს	93,055.00	93,055.00	0.00	87,840.00	34,015.00	0.00
32 07	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	89,091.00	89,091.00	0.00	100,000.00	110,000.00	120,000.00
32 05	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	64,228.00	62,458.00	1,770.00	45,940.00	47,590.00	48,290.00
29 02	წვრთნა და სამხედრო განათლება	46,209.00	45,493.00	716.00	47,700.00	47,720.00	47,720.00
32 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	30,590.00	26,370.00	4,220.00	34,660.00	35,060.00	34,760.00
32 03	პროფესიული განათლება	41,180.00	25,850.00	15,330.00	43,355.00	46,355.00	48,355.00
33 03	სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა	25,971.00	17,181.00	8,790.00	25,400.00	25,400.00	25,400.00
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	7,590.00	7,590.00	0.00	7,818.00	8,053.00	8,295.00
30 03	სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიციფიური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება	7,460.00	6,740.00	720.00	8,445.00	8,775.00	8,775.00
58 00	სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი	6,195.00	6,195.00	0.00	6,200.00	6,200.00	6,200.00
63 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4,291.00	3,850.00	441.00	4,291.00	4,291.00	4,291.00
32 06	ინკლუზიური განათლება	3,184.00	3,184.00	0.00	3,200.00	3,200.00	3,200.00
26 04	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება	4,200.00	2,300.00	1,900.00	4,425.00	4,420.00	4,430.00
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს	1,560.00	1,530.00	30.00	1,650.00	1,650.00	1,650.00

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
	თანამშრომლების მომზადება- გადამზადება						
27 03	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება	1,000.00	1,000.00	0.00	1,000.00	1,000.00	1,000.00
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1,350.00	900.00	450.00	1,450.00	1,550.00	1,650.00
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	450.00	450.00	0.00	464.00	477.00	492.00
28 02	მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	395.00	385.00	10.00	410.00	415.00	515.00
24 12	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	5,500.00	0.00	5,500.00	4,900.00	4,900.00	4,900.00
	სულ	1,433,836.0	1,118,614.0	315,222.0	1,443,883.0	1,417,751.0	1,422,178.0

ზოგადი განათლება (32 02)

პროგრამის	სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური; სსიპ – გამოცდების ეროვნული ცენტრის აპარატი; სსიპ –
-----------	---

განმახორციელებელი	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის აპარატი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის; საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს, სრულად განახორციელონ მათთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები; მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება და მათი ხელფასების ეტაპობრივი ზრდა. ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბება, სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და მართვა; საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლეებისათვის და კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა; სკოლებში იმ მოსწავლეების ტრანსპორტირების პროცესის ხელშეწყობა, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია, ასევე აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები. ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა; საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება; ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეებისა და მათი ოჯახის წევრების კვალიფიციური ფსიქო-სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა; საჯარო სკოლებში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით, მოსწავლეთათვის შესაბამისი სასწავლო სესიების (გაკვეთილების), ექსკურსიებისა და გაფართოებული შეხვედრების ჩატარება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენის გზით; საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრა და დისციპლინის გაუმჯობესება.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ყველა მოქალაქისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა; ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის კურსდამთავრებულთა განათლების დონის ამაღლება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მოსწავლეთათვის შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდების მიზნით, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფილია საჭირო ფინანსური რესურსებით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, სამუშაო რვეულებით; რიგი რაიონის სკოლის მოსწავლეები უფასო ტრანსპორტირებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება 2. საბაზისო მაჩვენებელი - მოსწავლეების 50%-ის ჩართულია სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში, მოსწავლეების 20%-ი მონაწილეობს ოლიმპიადებში საქართველოს მასშტაბით; მიზნობრივი მაჩვენებელი - მოსწავლეების 70%-ის ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში, მოსწავლეების 50%-ის მონაწილეობა სასკოლო ოლიმპიადებში; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10% 3. საბაზისო მაჩვენებელი - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან ფსიქოლოგიური მომსახურებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა, რომლებსაც ესაჭიროებათ ფსიქო-სოციალური მომსახურება; ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა; შესაძლო რისკები - არასრულწლოვანის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უარი ბავშვისთვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევაზე, საქართველოს ყველა რაიონში ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის არარსებობა, რაიონებში კვალიფიციური კადრების არარსებობა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (32 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის განვითარების მხარდაჭერის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებით უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერით, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის, სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მქონე მასწავლებლების დანამატის, ადმინისტრაციული, სკოლის მოვლა-შენახვისა და სკოლის განვითარებისათვის საჭირო და

	სხვა ხარჯების გათვალისწინებით, რაც სკოლებს შესაძლებლობას აძლევს, სრულად შეასრულონ თავიანთი ფუნქცია-მოვალეობები.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსწავლეთათვის სრულყოფილი ზოგადი განათლების მიღების მიზნით ყველა ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უზრუნველყოფა შესაბამისი დაფინანსებით;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015-2016 და 2016-2017 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სრულად უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2017 და 2017-2018 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სრულად უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ფინანსური რესურსით

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (32 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში (ზოგადი და პროფესიული საგანმანათლებლო) დასაქმებულ პირთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ხარისხის ამაღლება; სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვისა და გავრცელების ხელშეწყობა; სამიზნე ჯგუფების პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის განმსაზღვრელი პროფესიული სტანდარტების შემუშავება, საერთაშორისო სტანდარტებისადმი და მოთხოვნებისადმი გათანაბრება და დანერგვა, მასწავლებლის პროფესიული სტატუსის ამაღლება; მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ეფექტიანი დანერგვის ხელშეწყობა შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავებითა და ინტერვენციების განხორციელებით;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროფესიული სტანდარტების რევიზია და დანერგვა; მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დანერგვის ხელშეწყობა; არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესება;

	პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის მარტის მდგომარეობით 74,4% პრაქტიკოსი მასწავლებელია დასაქმებული სკოლაში, 25,2 % - უფროსი მასწავლებელი, 0,3 % - წამყვანი მასწავლებელი; მიზნობრივი მაჩვენებელი - სქემაში უფროსი მასწავლებლების ხვედრითი წილი გაზრდილია დაახლოებით 15 %-ით; საგანჩაბარებული პრაქტიკოსი მასწავლებლების 70%-ს გავლილი აქვს ტრენინგ კურსის ზოგადი ნაწილი. ინდივიდუალური და/ან ჯგუფური კონსულტაციები ჩატარებულ იქნა შეფასების ჯგუფის წევრებისთვის (20 700 წევრი), მათ შორის 3 773 ფასილიტატორია; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%; შესაძლო რისკები - მასწავლებლების მიერ საგნობრივი გამოცდის ჩაბარების დაბალი მაჩვენებელი; სკოლის ბაზაზე არსებული შიდა შეფასების ჯგუფის წევრების ხშირი ცვლა 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის ბოლოს შემუშავებულია „პროფესიული განათლების მასწავლებლის, საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის რეგულირების შესახებ პროექტი“, მომზადებული და დამტკიცებულია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც, ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგები; მიზნობრივი მაჩვენებელი - შემუშავებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერთიანი სისტემა. ზოგადპედაგოგიური კურსის პილოტირება სრულდება. პროფესიული განათლების მასწავლებელთა 15%-ს გავლილი აქვს ზოგადპედაგოგიური კურსი; პროფესიული განათლების მასწავლებელთა 30% დატრენინგებულია საწარმოში; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%; შესაძლო რისკები - მასწავლებელთა დაბალი მოტივაცია, მსხვილი და წარმატებული საწარმოების ჩართულობის მაჩვენებელი 3. საბაზისო მაჩვენებელი - არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში 2016 წლის მარტის მდგომარეობით დასაქმებულია 105 კონსულტანტ-მასწავლებელი და 149 დამხმარე მასწავლებელი. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მასწავლებლების მხოლოდ 5%-მდეა ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში ენობრივი ბარიერისა და მრავალფეროვანი პროფესიული რესურსების არარსებობის გამო; მიზნობრივი მაჩვენებელი - არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ წარმოდგენილი „ქართული

	როგორც მეორე ენის“ მასწავლებლის ვაკანსიების დაახ. 90 % შეესაბამება პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლებით. არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაახ. 70%-ში წარმოდგენილია პროგრამის დამხმარე მასწავლებელი. ადგილობრივი მასწავლებლების 20 % ჩაერთვება პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ენის კურსებში; ადგილობრივი მასწავლებლების დაახლოებით 15%, წარმატებით ასრულებს ენის კურსს და პროფესიული უნარების ტრენინგს. არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების დაახლოებით 30%-ს გავლილი აქვს საგნობრივი ტრენინგები მშობლიურ (აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ) ენაზე; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%; შესაძლო რისკები - მასწავლებელთა დაბალი მოტივაცია 4. საბაზისო მაჩვენებელი - ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს ხელშეწყობით მიმდინარეობს 7-12 კლასების ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელთა, პროფესიული განვითარების ფასილიტატორთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი ინტერვენციის დაგეგმვა. სამიზნე ჯგუფი განისაზღვრა 24 000 პირით; შემუშავდა მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარების მოდელი; შექმნილია ტრენერთა მომზადების და სერტიფიცირების სისტემა; შეირჩა და სერტიფიცირება გაიარა 200-მა ტრენერმა; ლიდერობის აკადემიის პირველი დონის სამი მოდული გაიარა 1500 -მა საჯარო სკოლის დირექტორმა; ზოგადი პროფესიული უნარების პირველი მოდული გაიარა 7000 -მა მასწავლებელმა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ტრენინგს გაივლის 3000 - მდე სკოლის დირექტორი და 9000 - მდე მასწავლებელი; სერტიფიცირების პროცესს გაივლის 100 -მდე ტრენერი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - სამიზნე ჯგუფის პროფესიულ განვითარებაში მონაწილეობის დაბალი აქტივობა
--	--

უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (32 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა უსაფრთხო გარემოს შექმნა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ძალადობის, მათ მიერ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღების ტარების, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების/გამოყენების პრევენცია და აღმოფხვრა; ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისათვის ზოგადი განათლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, ჯანსაღი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფა;

	ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეებისა და მათი ოჯახის წევრების კვალიფიციური ფსიქო-სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა; საჯარო სკოლებში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით, მოსწავლეთათვის შესაბამისი სასწავლო სესიების (გაკვეთილების), ექსკურსიებისა და გაფართოებული შეხვედრების ჩატარება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენის მიზნით;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსწავლეთათვის უზრუნველყოფილია უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემო; მოსწავლეთათვის უზრუნველყოფილია ფსიქო-სოციალური მომსახურება; საჯარო სკოლებში განხორციელებულია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 434 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს 1 252 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური; მიზნობრივი მაჩვენებელი - 556 საჯარო სკოლაში (მოსწავლეთა სრული რაოდენობის დაახლოებით 70%) საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს 1 481 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%; შესაძლო რისკები - კადრების გადინების მაღალი მაჩვენებელი 2. საბაზისო მაჩვენებელი - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე 2 126 ბენეფიციარი უზრუნველყოფილ იქნა ფსიქო-სოციალური მომსახურებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - რეგიონებში დამატებით ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრების გახსნა (გურია, სამეგრელო და სამცხე-ჯავახეთი). რეფერირებული ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე ბენეფიციართა შეუფერხებელი მომსახურება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%; შესაძლო რისკები - კვალიფიციური კადრების არარსებობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - 2015-2016 სასწავლო წელს პროგრამაში ჩართულია 892 საპილოტე საჯარო სკოლა; მიზნობრივი მაჩვენებელი - პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის დანერგვა 1547 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%; შესაძლო რისკები - სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა

წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (32 02 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებისა და თანაბრად კონკურენტულ გარემოში ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობისა და საერთაშორისო დონეზე მათი წარმოჩენის მიზნით, სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების ორგანიზება; სკოლებისათვის სხვადასხვა თემატური და კალენდარული დღისადმი მიძღვნილი კონკურსების გამოცხადება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობა; წარჩინებული მოსწავლეების ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება; ეროვნული სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილეობა; სასკოლო კონკურსების უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად კომპლექტება და იწვრთნება 5 ნაკრები გუნდი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ შესაბამის მსოფლიო ოლიმპიადებში (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ინფორმატიკა და ბიოლოგია); მიზნობრივი მაჩვენებელი - ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მსოფლიო ოლიმპიადებში საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - ნაკრები გუნდების წვრთნის არასაკმარისი ხანგრძლივობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - მედალოსანი კანდიდატების რაოდენობა XII კლასელთა დაახლოებით 5-6% შეადგენს; მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენაჩუნება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - საგნობრივ ოლიმპიადის მე-2 ტურში მონაწილეობა მიიღო 10 838 მოსწავლემ, მე-3 ტურში მონაწილეობა მიიღო 969 მოსწავლემ. გამოვლინდა 110 გამარჯვებული;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - ოლიმპიადაზე დარეგისტრირებულ მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფილია შესაბამისი სერვისით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - ნაკრები გუნდების წვრთნის არასაკმარისი ხანგრძლივობა 4. საბაზისო მაჩვენებელი - პრიორიტეტულ თემებზე ორიენტირებული სასკოლო კონკურსები, სადაც მონაწილეობა მიიღო სკოლების 25%-მა; მიზნობრივი მაჩვენებელი - კონკურსებში მონაწილე სკოლების 10%-ით გაზრდილი რაოდენობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა
--	--

განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა (32 02 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა უზრუნველყოფა სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით განხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა განვითარებაზე ზრუნვა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეები უზრუნველყოფილია შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდებით; ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ბენეფიციართა განათლებაზე და განვითარებაზე ზრუნვა;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სსიპ – ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლაში ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით

მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (32 02 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლეებისათვის, კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უფასო/ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების მიღება საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეების, ასევე კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015-2016 და 2016-2017 სასწავლო წელს პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილ იქნა/იქნება სასკოლო სახელმძღვანელოებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2018 სასწავლო წელს პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო სახელმძღვანელოებით

საზაფხულო სკოლები (32 02 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენის სწავლა/სწავლების ხელშეწყობა; საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის მიმართ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება; კულტურათა შორის დიალოგისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ამაღლებული ცოდნის დონე, ახალი გამოცდილება და უცხოელი თანატოლების ცხოვრებისა და მათი ქვეყნის კულტურის გაცნობა; ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება;

	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის მიმართ მოსწავლეთა ამაღლებული მოტივაცია და მეტი ინტერესი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს საზაფხულო სკოლაში მონაწილე 600 მოსწავლე აიმაღლებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს; მიზნობრივი მაჩვენებელი - არანაკლებ 600 მოსწავლე აიმაღლებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - ცდომილების ალბათობა მინიმალური, ვინაიდან ინგლისურ ენაში გადამზადების პროცესში ჩართულნი არიან კვალიფიციური სპეციალისტები 2. საბაზისო მაჩვენებელი - კულტურათა შორის დიალოგისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით 2016 წელს 100 ბენეფიციარი მიიღებს მონაწილეობას მულტიკულტურულ საზაფხულო სკოლაში; მიზნობრივი მაჩვენებელი - მულტიკულტურულ საზაფხულო სკოლაში მონაწილე არანაკლებ 100 ბენეფიციარი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - მოსწავლეთა დაბალი ინტერესი 3. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას მიიღებს 75 მოსწავლე; მიზნობრივი მაჩვენებელი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საზაფხულო სკოლაში მონაწილე არანაკლებ 75 მოსწავლე; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - მოსწავლეთა დაბალი ინტერესი

ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (32 02 08)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	გალის რაიონისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ახალგორის რაიონის ფუნქციონირებადი სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება;
შუალედური შედეგის	

შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილ იქნა ფინანსური დახმარებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - მაჩვენებლის შენარჩუნება
------------------------	--

ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (32 02 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების და განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფის გზით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირებისთვის ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობა;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - საგანმანათლებლო პროცესში 2015 წელს პროგრამაში ჩართული იყო 160-ზე მეტი ბენეფიციარი; მიზნობრივი მაჩვენებელი - პროგრამის ბენეფიციართა 100%-ის უზრუნველყოფა განათლების მიღების შესაძლებლობით; ექსტერნისა და საატესტატო გამოცდებში მონაწილე ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მიღწევები; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - სამიზნე ჯგუფების არარსებობა

ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი (32 02 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინება და საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტირება-ჰარმონიზაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში; ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიისა და იმპლემენტაციის ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება (ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების, დანერგვისა და მონიტორინგის ჩარჩოების შექმნა); ეროვნული სასწავლო გეგმის ეტაპობრივი რევიზია და დანერგვა; ალტერნატიული სასწავლო გეგმის მომზადება მძიმე გონებრივი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის (ქართულ ენასა და

	ლიტერატურაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებაში); ეროვნული სასწავლო გეგმის თანმხლები რესურსების შექმნა; სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვის მონიტორინგი; კლასში განხორციელებული ეროვნული სასწავლო გეგმის მონიტორინგი ქართულენოვან და არაქართულენოვან სკოლებში: დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმსა და კლასში განხორციელებულ კურიკულუმს შორის განსხვავებების დადგენა, ანალიზის საფუძველზე საჭიროებების დადგენა, რეკომენდაციების შემუშავება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისათვის; ალტერნატიული სასწავლო გეგმის პილოტირება დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში; მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ქართულენოვან და არაქართულენოვან სკოლებში; საკონსულტაციო ჯგუფების ვიზიტები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ადმინისტრაციებისა და საგნობრივი პედაგოგების კონსულტირების მიზნით; სკოლამდელი განათლების საკონსულტაციო და მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობის მხარდაჭერა, სკოლამდელი განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დანერგვა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კლასში განხორციელებული ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი ქართულენოვან და არაქართულენოვან საჯარო სკოლებში; ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება; სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვის მონიტორინგის შედეგები. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ალტერნატიული სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის; ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდაჭერა; სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის მხარდაჭერა.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დაწყებით საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის პირველადი შედეგები; მიზნობრივი მაჩვენებელი - დაწყებით საფეხურზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული რეკომენდაციები ეროვნული სასწავლო გეგმის შემდგომი განვითარებისთვის 2. საბაზისო მაჩვენებელი - დასამტკიცებლად მომზადებული დაწყებითი საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმა და საბაზო საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია; მიზნობრივი მაჩვენებელი - დასამტკიცებლად მომზადებული საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა. საშუალო საფეხურის მოდელი და საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია 3. საბაზისო მაჩვენებელი - ალტერნატიული სასწავლო გეგმის მოდელი. პილოტირებისთვის მომზადებული ქართულ ენასა და ლიტერატურაში I-VI კლასების პროგრამა და მათემატიკაში I-IV კლასების პროგრამა; მიზნობრივი მაჩვენებელი - პილოტირებისთვის მომზადებული ალტერნატიული სასწავლო გეგმის V-VI კლასების პროგრამა მათემატიკაში
---	---

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (32 02 11)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსწავლეებისთვის ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დასახლებულ პუნქტებში სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი უახლოეს სკოლამდე აღემატება 2 კმ-ს ან/და არ ფუნქციონირებს მუნიციპალური ტრანსპორტი ან/და რთული რელიეფურიტობით გამოირჩევა მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფილია ტრანსპორტით; მიზნობრივი მაჩვენებელი - დასახლებულ პუნქტებში სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი უახლოეს სკოლამდე აღემატება 2 კმ-ს ან/და არ ფუნქციონირებს მუნიციპალური ტრანსპორტი ან/და რთული რელიეფურიტობით გამოირჩევა მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფილ იქნება ტრანსპორტით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%;

ზოგადი განათლების ხელშეწყობა (32 02 12)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა; მოსწავლეებისათვის და სკოლაში დასაქმებულ პირთათვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, მოსწავლეებისა და სკოლაში დასაქმებულებისათვის დროული პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; 2017-2020 სასწავლო წლისთვის საკლასო ჟურნალით ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უზრუნველყოფა; სვადასხვა სასკოლო ინიციატივების დაფინანსებისა და ასევე სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების გზით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის და სასკოლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა; აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს ქართული ენობრივ-კულტურული იდენტობისა და ისტორიულ სამშობლოსთან კავშირების შენარჩუნება, აგრეთვე ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა; პედაგოგებისა და სკოლების მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა მოსწავლეთა არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩასართავად; საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ქართული ენის სწავლება ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა მშობლების ინფორმირებულობისა და მოსწავლის ცხოვრებაში მათი ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სასკოლო ინიციატივების წახალისება და სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა; საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

	წარმატებული სკოლების და პედაგოგების წახალისება; გალის რაიონის პედაგოგების გადამზადება და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადება; მშობელთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის დონის ამაღლება; საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალებით უზრუნველყოფა; აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებული ქართული სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული დაფინანსებული მცირე ბიუჯეტის პროექტები; პროექტის განხორციელებაში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა; სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები; მიზნობრივი მაჩვენებელი - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული დაფინანსებული მცირე ბიუჯეტის პროექტები; პროექტის განხორციელებაში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა; სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები; შესაძლო რისკები - სამინისტროში შემოსული არაეფექტური და/ან არამიზნობრივი პროექტები 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს ფულადი პრემიებით წახალისებულია ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებსა და სასკოლო კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების 150-მდე პედაგოგი; მიზნობრივი მაჩვენებელი - პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად დაჯილდოებულია ბენეფიციარ მასწავლებელთა 100% 3. საბაზისო მაჩვენებელი - გადამზადებულ იქნა გალის რაიონის 46 პედაგოგი; მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - საზღვრის გადაკვეთისას არსებული პრობლემები 4. საბაზისო მაჩვენებელი - მშობელთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის დონის გაზრდის მიზნით შემუშავდება და სამინისტროს ვებ. გვერდზე განთავსდება მშობელთათვის განკუთვნილი ელექტრონული გზამკვლევი; ადრეული ქორწინების პრევენციის მიზნით მოხდება მშობელთა ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - მშობელთა მიერ ელექტრონული გზამკვლევის მოხმარების მაჩვენებელი; ადრეული ქორწინების პრევენციის მიზნით მშობლებთან ჩატარებული არანაკლებ 20 საინფორმაციო შეხვედრა 5. საბაზისო მაჩვენებელი - 2016-2017 სასწავლო წლისთვის 2 085 საჯარო სკოლის და, საჭიროებისამებრ, კერძო სკოლების სასკოლო ჟურნალებით უზრუნველყოფა; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2018 სასწავლო წლისთვის საკლასო ჟურნალებით ყველა საჯარო და საჭიროებისამებრ, კერძო სკოლების უზრუნველყოფა
--	--

უმაღლესი განათლება (32 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ერთიანი ეროვნული გამოცდების და საერთო სამაგისტრო გამოცდების ხელშეწყობა; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების უზრუნველყოფა; წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფა; უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ერთიანი ეროვნული გამოცდების და საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარება; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა განათლებისა და მომზადების მაღალი დონე; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საგრანტო და პროგრამული დაფინანსების სისტემების შემდგომი სრულყოფა; განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობა; უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარება.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდის მომზადებისა და ჩატარების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება; მიზნობრივი მაჩვენებელი - ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდის მომზადებისა და ჩატარების გათანაბრება საერთაშორისო სტანდარტებთან; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - მინიმალური ცდომილების ალბათობა, ვინაიდან დაგროვებულია სისტემების შემუშავების გამოცდილება და სისტემების განვითარების პროცესში ჩართულნი არიან კვალიფიციური სპეციალისტები 2. საბაზისო მაჩვენებელი - საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად გაცემული სრული და ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - სრული და ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობის 20-30%-ით ზრდა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%; შესაძლო რისკები - სტუდენტთა სტატუსების ცვლილება
---	---

გამოცდების ორგანიზება (32 04 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხელშეწყობა, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და მასწავლებლის გამოცდების ჩატარება; სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ჩატარება, რომელიც გულისხმობს გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მფლობელ სტუდენტისათვის, საგრანტო კონკურსის შედეგად მეტი ოდენობის გრანტის მოიპოვების ხელშეწყობას; საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა; ძოსწავლეთა და სტუდენტთა საერთაშორისო შეფასების უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარება და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარება; საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარება;

	პროფესიული ტესტირების ჩატარება; მასწავლებლის საგნის გამოცდების ჩატარება; საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა; სტუდენტთა საგრანტო კონკურსი; მასწავლებლის პრაქტიკის შეფასება-გარე დაკვირვება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს სკოლის მე-11 კლასის გამოსაშვებ გამოცდებზე რეგისტრაცია გაიარა 38 144 მოსწავლემ, ყველა გამოცდა ჩააბარა 32 619 მოსწავლემ, ხოლო მე-12 კლასის გამოსაშვებ გამოცდებზე გამოვიდა 45 619 მოსწავლე და მინიმალური ზღვარი გადალახა 34 107 მოსწავლემ; 2015 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებზე გამოცხადებული 37 437 აბიტურიენტი უზრუნველყოფილ იქნა საგამოცდო სერვისით; 2016 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდაზე - რეგისტრაცია გაიარა 38 611 აბიტურიენტმა; 2015 წელს 200-ზე მეტმა სტუდენტმა მოიპოვა ან/და გაიუმჯობესა სახელმწიფო სასწავლო გრანტი; 2016 წელს სტუდენტთა საგრანტო კონკურსზე რეგისტრაცია გაიარა 3 941 სტუდენტმა; მიზნობრივი მაჩვენებელი - დარეგისტრირებულ და გამოცდაზე გამოსულ ბენეფიციართა რაოდენობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდაზე - გამოცხადებული 11 559 მსურველი უზრუნველყოფილი იქნა საგამოცდო სერვისით. 2016 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდაზე - რეგისტრაცია გაიარა 12 633 სტუდენტმა; მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთო სამაგისტრო გამოცდაზე დარეგისტრირებულ და გამოცდაზე გასულ სტუდენტთა რაოდენობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაცია გაიარა 17 546 აპლიკანტმა, ხოლო, ჩაირიცხა 10 405 აპლიკანტი; 2016 წლის გაზაფხულის მიღების პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაცია გაიარა 5 916 აპლიკანტმა, ჩაირიცხა 3 595 აპლიკანტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - პროფესიული ტესტირებაზე დარეგისტრირებულ და გამოცდაზე გასულ აპლიკანტების რაოდენობა 4. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის ზამთრის გამოცდებზე რეგისტრაცია გაიარა 10 552 მასწავლებელმა, გამოცდაზე გამოცხადდა 6477 მასწავლებელი, მინიმალური ზღვარი გადალახა 1101 მასწავლებელმა. 2016 წლის ზაფხულის გამოცდებზე

	რეგისტრაცია გაიარა 22 799 მასწავლებელმა; მიზნობრივი მაჩვენებელი - მასწავლებლის საგნის გამოცდაზე დარეგისტრირებულ და გამოცდაზე გასულ მასწავლებელთა რაოდენობა 5. საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა; მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა; შესაძლო რისკები - მონაწილეთა ნაკლები ჩართულობა
--	---

სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (32 04 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების უზრუნველყოფა; სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული მიმართულების/მიმართულებების პროგრამული დაფინანსების უზრუნველყოფა; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების უზრუნველყოფა; წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფა; უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სახელმწიფო სასწავლო გრანტით უზრუნველყოფა; სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით უზრუნველყოფა; წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფა; უცხო ქვეყნის მოქალაქეების სწავლების ხელშეწყობა, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებებით, ხელშეკრულებებით, პროგრამებით, აგრეთვე, მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში ისწავლიან/სწავლობენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე;

	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსება, რომლებმაც საკუთარი სურვილით აიღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015-2016 სასწავლო წლისთვის გაცემული სახელმწიფო სასწავლო გრანტების რაოდენობამ შეადგინა 13 305. მ.შ 4 909 სტუდენტი ჩაირიცხა იმ, 21 პროგრამულ მიმართულებაზე, სადაც სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; მიზნობრივი მაჩვენებელი - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა უზრუნველყოფა სახელმწიფო სასწავლო გრანტით, განსაზღვრულია პროგრამული მიმართულებები, რომელზე სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; შესაძლო რისკები - დაფინანსების არსებული მოდელის ცვლილება 2. საბაზისო მაჩვენებელი - სტუდენტის სტატუსის მქონე პირებზე 2015 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდებით გაცემული გრანტების რაოდენობამ შეადგინა 896, ხოლო წელს სოციალური პროგრამის ფარგლებში გაცემული გრანტების რაოდენობამ - 71; მიზნობრივი მაჩვენებელი - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო სამაგისტრო გრანტით; შესაძლო რისკები - დაფინანსების არსებული მოდელის ცვლილება 3. საბაზისო მაჩვენებელი - „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით, გამოეყო საქართველოს 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 520 სტუდენტზე მეტს; მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით სახელმწიფო სტიპენდიების მქონე სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა საერთო რაოდენობის ცვლილება 4. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს 51 უცხო ქვეყნის მოქალაქე დებულობდა განათლებას საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; ამჟამად, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს 44 უცხოელი სტუდენტი (ამათგან 5 სტუდენტისთვის მიმდინარე სემესტრი დამამთავრებელია), რადგან ნაწილმა უკვე დაასრულა სწავლა; მიზნობრივი მაჩვენებელი - უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც სწავლობენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%;

	შესაძლო რისკები - უცხო ქვეყნის მოქალაქეების საერთო რაოდენობის ცვლილება 5. საბაზისო მაჩვენებელი - უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 9 სტუდენტის სწავლის დაფინანსება, რომლებმაც საკუთარი სურვილით აიღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულება; მიზნობრივი მაჩვენებელი - უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 9 სტუდენტის სწავლის დაფინანსება, რომლებმაც საკუთარი სურვილით აიღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 3%; შესაძლო რისკები - სტუდენტთა საერთო რაოდენობის ცვლილება
--	---

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (32 04 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს სახელმწიფო ენის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამების (მათ შორის ლექსიკოგრაფიული პროგრამების) შემუშავება, მათი განხორციელება და შესრულების კონტროლი; ქართულის, როგორც უცხო ენის, ვებგვერდის www.geofl.ge ახალი სასწავლო-მეთოდური მასალით მუდმივად შევსება და განახლება; ორენოვანი აკადემიური ლექსიკოგრაფიის განვითარების ხელშეწყობა; უმაღლესი განათლების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და ცხოვრების პირობების შემსწავლელი საერთაშორისო კვლევის „ევროსტუდენტი“ განხორციელება; უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლება; სტუდენტთა ხელშეწყობა; „ევროსტუდენტი VI“-ს ეროვნული პროექტის ხელშეწყობა;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ორენოვანი აკადემიური ლექსიკოგრაფიის განვითარების ხელშეწყობა;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - ორენოვანი აკადემიური ლექსიკოგრაფიის ყოველწლიური შევსება/განახლება 2. საბაზისო მაჩვენებელი - ქართული ენის ფლობის სხვადასხვა დონეებზე ელექტრონული სახელმძღვანელოების შექმნა; მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებაში ქართული ენის ფლობის დონეებზე სრულად შევსებული ელექტრონული სახელმძღვანელოები
--	---

ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს (32 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA - GEORGIA)
პროექტის აღწერა და მიზანი	ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების მიზნით საქართველოს რეგიონებში საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება; სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ტრენინგების და საკლასო, ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების განხორციელება; საკლასო, ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების განხორციელება; ადგილობრივი ეკონომიკისათვის რელევანტური, ბაზრის მოთხოვნების შესაფერისი, პროფესიული განათლების ხელშეწყობა; მაღალი ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის დარგში;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მომზადებულია კვალიფიციური კადრები კონკურენტული შრომითი ბაზრისთვის; საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია თანაბარი შესაძლებლობების და გაუმჯობესებული ხარისხის სასწავლო პირობების და გარემო. საქართველოს საჯარო სკოლების ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, გეოგრაფიის, ინგლისური ენისა და მათემატიკის პედაგოგების კვალიფიკაცია არის საგრძნობლად ამაღლებული; საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეები აუმჯობესებენ შედეგებს ეროვნულ და საერთაშორისო შეფასებებში მათემატიკის, ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით;

	საბუნებისმეტყველო და საინჟინრო სფეროში, ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების გაძლიერება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - შეირჩა რიგი საჯარო სკოლები და მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სატენდერო პაკეტი; მიმდინარეობს 15 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ჩატარებულია ეროვნული შეფასება მე-9 კლასის მათემატიკაში; ჩატარებულია სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა; მიზნობრივი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა; ჩატარებულია ეროვნული შეფასება მე-9 კლასის მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო საგნებსა და მე-7 კლასის მოსწავლეებთან ქართულში, როგორც მეორე ენაში. ჩატარებულია PISA და TIMSS საერთაშორისო შეფასებები; შესაძლო რისკები - ტექნიკურ შეფერხება; სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს მასშტაბით არსებული 10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების საგრანტო დაფინანსება ; მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა; შესაძლო რისკები - წარმოდგენილი პროექტებში დაშვებული ხარვეზების არსებობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - 2015-2016 სასწავლო წელს სან-დიეგოს პროგრამაზე ჩაირიცხა 81 სტუდენტი; პარტნიორ სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცია 2 200 მ2-ზე; სახელმწიფო უნივერსიტეტების 30-მა წარმომადგენელმა გაიარა ტრენინგი სან დიეგოში; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2017 სასწავლო წელს სან-დიეგოს პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა; პარტნიორ სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა; სახელმწიფო უნივერსიტეტების 15-მდე წარმომადგენელი გაივლის ტრენინგის სან დიეგოში; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 25%; შესაძლო რისკები - სტუდენტების განსხვავებული შესაძლებლობები

საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

	საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეების და მათი დამრიგებლების უზრუნველყოფა პერსონალური კომპიუტერებით („ნეტბუქებით“), ხოლო წარჩინებული ახალგაზრდების დაჯილდოება კომპიუტერული ტექნიკით; სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი სრულყოფილი სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო; მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია; უზრუნველყოფილი ყველა საჯარო სკოლა კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტ-კავშირით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი საჯარო სკოლების რაოდენობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - საჯარო სკოლების სრული აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით 2. საბაზისო მაჩვენებელი - საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი მოსწავლე, მათი დამრიგებლები და წარჩინებული ახალგაზრდები უზრუნველყოფილ არიან კომპიუტერული ტექნიკით; მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება 3. საბაზისო მაჩვენებელი - რეაბილიტირებული და ახალაშენებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - გაიზრდება ახალ აშენებული და რეაბილიტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობა; შესაძლო რისკები - შეფერხება ტექნიკურ უზრუნველყოფის კუთხით

საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (32 07 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და	საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის

მიზანი	ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეების და მათი დამრიგებლების უზრუნველყოფა პორტაბელური კომპიუტერებით (ნოუთბუქებით) ხოლო წარჩინებული მოსწავლეების/სტუდენტების წახალისება სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკით;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა; პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში პირველკლასელი მოსწავლეები და მათი დამრიგებლები უზრუნველყოფილია პორტაბელური კომპიუტერებით (ნოუთბუქებით) , ხოლო წარჩინებული მოსწავლეები/სტუდენტები სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015-2016 წლებში საკლასო ელექტრონული ჟურნალებისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლების 14%; მიზნობრივი მაჩვენებელი - საკლასო ელექტრონული ჟურნალებისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკით აღიჭურვება საჯარო სკოლების 22% 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2016- 2017 წლებში უზრუნველყოფილი ბენეფიციარი 100%; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017- 2018 სასწავლო წელს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იქნება პერსონალური კომპიუტერებით

საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარიტა და ტექნიკით მომარაგება;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა; საჯარო სკოლებში წინა წლებში დამონტაჟებული გათბობის სისტემების მდგომარეობის მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს დასრულდა/დასრულდება 6 ახალი საჯარო სკოლა; მიზნობრივი მაჩვენებელი - 11 ერთეულით გაიზრდება ახალი აშენებული საჯარო სკოლების რაოდენობა და დაიწყება 6 ერთეული საჯარო სკოლის მშენებლობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%; შესაძლო რისკები - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; შეფერხება ტენდერით გამოვლენილი მომწოდებლების მიერ 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა/ჩაუტარდება 500-მდე საჯარო სკოლას; მიზნობრივი მაჩვენებელი - განხორციელდება: 45 საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა, 6 საჯარო სკოლის გამაგრება, 150 საჯარო სკოლაში სამედიცინო ოთახის მოწყობა, 300 საჯარო სკოლის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - შეფერხება ტენდერით გამოვლენილი მომწოდებლების მიერ 3. საბაზისო მაჩვენებელი - განხორციელდება 300-მდე საჯარო სკოლის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა; მიზნობრივი მაჩვენებელი - შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი საჯარო სკოლების რაოდენობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - შეფერხება ტენდერით გამოვლენილი მომწოდებლების მიერ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, მ.შ გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების მშენებლობა და რეაბილიტაცია; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარიტა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა; პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და შესაბამისი ინვენტარიტა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების საერთო საცხოვრებელის მშენებლობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - დასრულება ერთი ახალი პროფესიული სასწავლებლის სასწავლო კორპუსის და 2 პროფესიული სასწავლებლების შენობის მშენებლობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; შეფერხება ტენდერით გამოვლენილი მომწოდებლების მიერ 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს შესაბამისი ინვენტარით მომარაგდა /მომარაგდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების 20-მდე შენობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - 6- მდე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს (შენობებს) ჩაუტარდებათ სხვადასხვა სახის ნაწილობრივი/სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები (სახელოსნოების, სასადილოს და ეზოების კეთილმოწყობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; შეფერხება ტენდერით გამოვლენილი მომწოდებლების მიერ 3. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს შესაბამისი ინვენტარით მომარაგდა /მომარაგდება პროფესიული საგანმანათლებლო

	პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების 20-მდე შენობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - შესაბამისი ინვენტარით მომარაგდება 10-მდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - შეფერხება ტენდერით გამოვლენილი მომწოდებლების მიერ
--	---

უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია; უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 უმაღლესი სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულების 6 ერთეულ შენობა ნაგებობას და აღიჭურვა ერთი ერთეული უმაღლესი დაწესებულება; მიზნობრივი მაჩვენებელი - განხორციელდება არანაკლებ 5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნაწილობრივი რეაბილიტაცია; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 25%; შესაძლო რისკები - შეფერხება ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რის შემდგომ მოხდება დაფინანსების უზრუნველყოფა

სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

პროექტის აღწერა და მიზანი	სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა - რეაბილიტაცია; სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოები სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება..
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია 12 ერთეული სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა; მიზნობრივი მაჩვენებელი - განხორციელდება სამინისტროს სისტემაში შემავალი 2 ერთეული (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) დაწესებულების რეაბილიტაცია; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - შეფერხება ტექნიკურ უზრუნველყოფის კუთხით

საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (32 07 02 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარების ხელშეწყობა; საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი მხარეების შესაძლებლობების განვითარება;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის ჩამოყალიბებასათვის საწყისი ამოცანების შესრულებას, რაც უზრუნველყოფს შემდგომ წლებში მის მდგრად მუშაობას.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - 100 ახლად აშენებული და რეაბილიტირებული სკოლაში დანერგილია ოპერირებისა და მოვლა-

	პატრონობის სისტემა
მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; სსიპ – საქართველოს სოფლისმეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; სსიპ – გიორგი ელიაშვილის სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი; სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
პროექტის აღწერა და მიზანი	სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა; აკადემიური პერსონალის მობილობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება; სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების ხელშეწყობა; მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების დაფინანსება; დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო დაფინანსება; მეცნიერების აღდგენისა და განვითარებისათვის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობა; სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის განსხვავებული ფორმების ამოქმედება; მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება; სამეცნიერო კვლევების მართვის ოპტიმალური სქემის შემუშავება; მოდერნიზებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურა; საინოვაციო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებისათვის შესაბამის სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება; უნივერსიტეტებში კვლევების კომერციალიზაციის ხარისხის ამაღლება, სამეცნიერო მონაცემთა ბაზაზე ხელმისაწვდომობა,

	სისტემაში მოყვანილი ინფორმაცია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის, მიღწევებისა და პრობლემების შესახებ; ახალი სამეცნიერო პროდუქტების დანერგვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობის, მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების მიზნით 20-30% - ით გაზრდილი დაფინანსებული პროექტების რაოდენობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - 30-35% - ით გაზრდილი დაფინანსებული პროექტების რაოდენობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%; შესაძლო რისკები - ქვეყნიდან ახალგაზრდა მეცნიერთა და მკვლევართა გადინება

სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა; ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, ქვეყნის მატერიალური, კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია; საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობისა და ურთიერთობების ხელშეწყობა; სამეცნიერო საინფორმაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა; მეცნიერების პოპულარიზაცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნა; კვლევების მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან და ინტერნაციონალიზაცია; კვლევებისა და უმაღლესი განათლების ინტეგრაციის ხელშეწყობა;

	ქართული სამეცნიერო წრეების საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრაცია; ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კვლევით ასპარეზზე გასვლის ხელშეწყობა და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირება; საერთაშორისო სტანდარტების მქონე უმაღლესი სადოქტორო და სამაგისტრო სკოლების შექმნის ხელშეწყობა; განვითარდება ქართული ენის ეროვნული კორპუსი, რაც ენის შესწავლის საქმეში შესაძლებელს გახდის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას; აღირიცხება და მოწესრიგდება ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ არსებული ნაკლებად შესწავლილი ან შეუსწავლელი დოკუმენტები, ხელოვნების ნიმუშები, ძეგლები; ხელი შეეწყობა ახალგაზრდა მეცნიერთა დაინტერესებასა და ჩართულობას ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებში და მის პოპულარიზაციაში; მოზარდების სამეცნიერო კარიერით დაინტერესება; სკოლებში სასწავლო პროცესში კვლევის ინტეგრაციის სტიმულირება; საზოგადოების დაინტერესება სასკოლო დონეზე კვლევების ხელშეწყობის თვალსაზრისით; საერთაშორისო კვლევით არეალში ქართველ მოსწავლეთა ჩართვის ხელშეწყობა; კვლევით პროექტებში ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვის გზით მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2014-2015 წლებში დაფინანსდა 879 პროექტი შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ინჟინერია და ტექნოლოგიები, სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები, აგრარული მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები და საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები; მიზნობრივი მაჩვენებელი - სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებებში დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტების შეთანხმების პროცესის შეფერხება; სამეცნიერო ტექნიკური ლიტერატურისათვის საჭირო უცხოენის ცოდნის არარელევანტური დონე 2.

	საბაზისო მაჩვენებელი - „ELSEVIER“ მონაცემთა ბაზაში ჩართულია კონსორციუმში შემავალი 21 ორგანიზაცია, სადაც გაერთიანებულია 14 სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, 3 კვლევითი ცენტრი, 1 სამეცნიერო ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს ეროვნული მუზეუმი; მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება
--	---

სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (32 05 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; სსიპ – გიორგი ელიაშვილის სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი
პროექტის აღწერა და მიზანი	ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განახლება, ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა; სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება; საქართველოში მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამეცნიერო სტატიები, როგორც ქართულ ასევე უცხოურ ჟურნალებში; თეზისები საერთაშორისო სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობა საქართველოში და უცხოეთში; მონოგრაფიები, კრებულები, სამეცნიერო წიგნები; კონკურენტული კვლევითი გარემო; ახალგაზრდა მეცნიერთა ამდლებული კვალიფიკაცია; მოდერნიზებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურა; კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ამდლებული ცნობადობა, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო კულტურული დაწესებულების, საქართველოში და საზღვარგარეთ; საერთაშორისო და ადგილობრივი (საქართველო) სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და ჩატარება.

სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (32 05 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
პროექტის აღწერა და მიზანი	აგროსასურსათო სექტორში გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევების ხელშეწყობა; სამეცნიერო ხასიათის შეხვედრები აგრონომიული, აგროსაინჟინრო, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების, მეცხოველეობის ვეტერინარიის და საკვებწარმოების, ეკონომიკის და სურსათის უვნებლობის სამეცნიერო მიმართულებით; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება, კვლევითი საქმიანობისა და სწავლების ერთობლივი ფუნქციონირების მხარდაჭერა, საერთაშორისო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გადრმავება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოში სოფლის მეურნეობის (აგრარული) მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - განხილული და შეფასებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების გაზრდილი რაოდენობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - 10% - ით გაიზარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოქვეყნებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების რაოდენობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5 %; შესაძლო რისკები - ანგარიშვალდებული უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან სათანადო მასალების დროულად წარმოდგენლობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - განხილულ და შეფასებულ იქნა უმაღლეს საგანმანათლებლო და აგრარული პროფილის სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების წლიური სამეცნიერო ნაშრომები და მიღწევები; მიზნობრივი მაჩვენებელი - აკადემიის მიერ გამოქვეყნებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების 5%-ით გაზრდა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - მინიმალური ალბათობა; შესაძლო რისკები - ანგარიშვალდებული უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან სათანადო მასალების დროულად წარმოდგენლობა

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	მეცნიერების აღდგენისა და განვითარების უზრუნველსაყოფად სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობა; მეცნიერების პოპულარიზაცია საქართველოში; სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნა; შექმნილი ტექნიკური ბაზა სამეცნიერო კვლევებისთვის; მაღალტექნოლოგიური დარგების პროგრესი; სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების დაინტერესება სამეცნიერო კვლევებითა და ინოვაციებით; განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დაახლოება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი იქნა და დაფინანსდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 42 პროექტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2015 წელს შერჩეული 42 პროექტის დაფინანსების გაგრძელება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - წარმოდგენილი პროექტების არაჯეროვანი შესრულება 2. საბაზისო მაჩვენებელი - წარმოდგენილი რიგი სამეცნიერო - კვლევით პროექტების დაფინანსება; მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინანსებული სამეცნიერო - კვლევითი პროექტების გაზრდილი რაოდენობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - წარმოდგენილი პროექტების ტექნიკური ხარვეზები 3. საბაზისო მაჩვენებელი - 2015-2016 წლებში ჩატარდა სამეცნიერო-შემეცნიერო ღონისძიებები და გამოფენები, სადაც მოწვეული იყვნენ საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი მეცნიერები;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ჩატარებული სამეცნიერო-შემეცნებითი ღონისძიებების და გამოფენების რაოდენობა	
წვრთნა და სამხედრო განათლება (29 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი; სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი; სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია; ა(ა)იპ სპორტული კლუბი არმია
პროექტის აღწერა და მიზანი	სამხედრო მოსამსახურეების წვრთნისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება. მაღალხარისხიანი და რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული წვრთნა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებით მომზადება მაღალკვალიფიციური პირადი შემადგენლობის ჩამოსაყალიბებლად. სამხედრო სწავლებები, სასწავლო კურსები, სიმულაციური საშუალებების განვითარება, სამხედრო განათლებასა და დაწყებით სამხედრო მომზადება, ასევე, სპეციალიზაციის კურსები.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საზღვარგარეთ სასწავლო კურსებში მომზადებული და გადამზადებული სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეები.; განვითარებული სიმულაციური საშუალებები და ეფექტიანი სასწავლო-საწვრთნელი დაწესებულებები, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი და რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული წვრთნების ჩატარებას.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - მომზადებული და გადამზადებული პ/შ-ის რაოდენობა გაიზრდება 5 %-ით

განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (32 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; საგანმანათლებლო რესურსცენტრები; სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ამ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი; საქართველოს ყველა მოქალაქისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა; ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნა და განვითარება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელება; საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია, საზოგადოების თითოეულ წევრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად განათლების ხარისხზე ზრუნვა, მისი მუდმივი გაუმჯობესება

და ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ამაღლება;

ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების სისტემის სრულყოფა და მისი მუშაობის უზრუნველყოფა;

ეროვნული სასწავლო გეგმის ხელშეწყობის მიზნით I-VI და VII-XII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება;

საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების სრულყოფა;

ქართული საგანმანათლებლო სივრცის ინტეგრაციის ხელშეწყობა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში და ბოლონიის პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა;

შრომის ბაზრის კვლევებით იდენტიფიცირებული პროფესიებისათვის პროფესიული სტანდარტების შემუშავება და არსებული პროფესიული სტანდარტების გადახედვა განახლებული მეთოდოლოგიის და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე ;

პროფესიული განათლების სფეროში დისტანციური სწავლების კონცეფციის მომზადება და პილოტირება;

დამსაქმებლებთან თანამშრომლობით ჩარჩო-პროგრამების შემუშავება;

ერთიანი საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელის ტოპოლოგიის განახლება და საქართველოს საჯარო სკოლებისათვის ინტერნეტის/კავშირის სიჩქარის გაუმჯობესება;

ახალი მონაცემთა ცენტრის (Data Center) ამოქმედება;

საჯარო სკოლებში საკლასო ოთახებსა და კლას-კაბინეტებში ლოკალური ქსელის მოწყობის ორგანიზება;

საჯარო სკოლების VoIP სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფა;

გამოცდების/კონკურსების ორგანიზება - ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი;

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა;

ზოგად განათლებაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის (ICT Policy) დოკუმენტის შემუშავება;

	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) განვითარება - არსებული მოდულების დახვეწა, ახალი მოდულების დეველოპმენტისა და მათი სისტემაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ელექტრონული ჟურნალის დანერგვის ორგანიზება; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eVET) მოდიფიცირება ახალი საჭიროებების/მოდულური სწავლების შესაბამისად; eUNI - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემის შემუშავება; მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემის განვითარება და დანერგვის ხელშეწყობა; სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად, პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემისა და რესურსების მოდიფიცირება; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზების განვითარება; განათლების მართვის პროცესების ინფორმაციული უზრუნველყოფა; მართვის სისტემის მიერ შემუშავებული ელექტრონული პროდუქტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულებისათვის თემატური ტრენინგების უზრუნველყოფა;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მმართველობითი ინფორმაციის მომზადების დროის შემცირება და სანდოობის გაზრდა; საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება და მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობისა და ხარისხის უზრუნველყოფა; განათლების ხარისხის შიდა და გარე მექანიზმების შედეგებზე ორიენტირებული სისტემის დანერგვა და მისი მეშვეობით საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება; სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე პრინციპის დანერგვისა და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე ექსპერტების გადამზადება და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა; შეუფერხებელი განათლების მიღების ხელშეწყობა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში უცხოეული სტუდენტებისა და საქართველოს მოქალაქეების - საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;

	პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარება. განათლების სისტემაში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება; ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა, მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვა/ განვითარება;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობდა მუშაობა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნისა და განვითარების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფისა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნით; მიზნობრივი მაჩვენებელი - გაგრძელდება მუშაობა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნისა და განვითარების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფისა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნით 2. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურებისა და სტანდარტების ანალიზი და განახლება მათი სრულყოფის მიზნით; მიზნობრივი მაჩვენებელი - გაგრძელდება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურებისა და სტანდარტების ანალიზი და განახლება მათი სრულყოფის მიზნით 3. საბაზისო მაჩვენებელი - ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში 450 პროფესიული კვალიფიკაციაა, შრომის ბაზრის ინფორმაციის საფუძველზე საჭიროა პროფესიული კვალიფიკაციების ჩამონათვალის რეგულარული განახლება; გადამუშავდა 249 სტანდარტი ასევე დამტკიცებულია 80 და დანერგილია 45 მოდულარული პროფესიული პროგრამა; მიზნობრივი მაჩვენებელი - დამატებით 50 პროფესიული სტანდარტის პროექტის მომზადება/გადახედვა და 50 მოდულური პროფესიული პროგრამის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათი დანერგვის მიზნით. არანაკლებ 10 სტანდარტის გადამუშავება და მინიმუმ 5 სახელმძღვანელოს მომზადება 4. საბაზისო მაჩვენებელი - სკოლების 100% ინტერნეტიზირებულია და ჩართულია ერთიან საგანმანათლებლო ქსელში. მათგან მაღალი ოპტიკური კავშირით და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობს სკოლების 40%; Voip სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფილია ჩართული თბილისის საჯარო სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილი; მიზნობრივი მაჩვენებელი - მაღალ გამტარიანი ოპტიკური არხებით უზრუნველყოფილი იქნება სკოლების 45 % (50 Mb), ხოლო დანარჩენი სკოლების შემთხვევაში, სადაც კავშირი უზრუნველყოფილია რადიო ტექნოლოგიით, გაუმჯობესდება კავშირის სიჩქარე (კავშირის სიჩქარე: 2, 5, 10 Mb, გლობალური ინტერნეტი - 1 Gb, ლოკალური - 2 Gb). Voip სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფილი იქნება თბილისის საჯარო სკოლები;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1.5 - 3 %; შესაძლო რისკები - მაღალი გამტარიანობის ოპტიკური კავშირების განვითარების დაბალი ტემპი რეგიონებში, შესაბამისად, მომწოდებელთა შეზღუდული შესაძლებლობები. გარე რისკები (კლიმატური პირობები და ა.შ) 5. საბაზისო მაჩვენებელი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის სისტემაში მოქმედებს მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემა და პილოტურ რეჯიმში ელექტრონული ჟურნალის მოდული. შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის პლატფორმა. ვებგვერდის საშუალებით ხელმისაწვდომია ზოგადსაგანმანათლებლო ინდიკატორებისა და სტატისტიკის შესახებ ინფორმაცია; მიზნობრივი მაჩვენებელი - ამოქმედებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის შემთხვევაში ელექტრონული ჟურნალის მოდული და მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემა სრულად ; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემა მორგებულია მოდულური სწავლების ამოცანებსა და პრინციპებზე; მოქმედებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემა. ვებგვერდის საშუალებით ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო ინდიკატორებისა და სტატისტიკის შესახებ ინფორმაცია; შესაძლო რისკები - ახალი სისტემების შემუშავების/დანერგვის/ექსპლუატაციაში გაშვების მართვის ხარვეზები. მომხმარებლების მიერ, სისტემებთან მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების არასათანადო ფლობა
--	---

პროფესიული განათლება (32 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა; სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
პროექტის აღწერა და მიზანი	მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, პირის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა; პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი, ხარისხიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება; პროფესიული განათლების განვითარების 2013–2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება; პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომელთა გადამზადება;
პროექტის მოსალოდნელი	პროფესიული განათლების გაზრდილი მოთხოვნა/ხარისხი;

საბოლოო შედეგი	პროფესიული განათლების თავსებადობა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან და შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობა; პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის (შშმპ, სსსმპ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, დევნილები, პატიმრები, პრობაციონერები, განათლების სისტემის მიღმა დარჩენილები და ა.შ.); ადაპტირებული ფიზიკური გარემოს მქონე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა; ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ პირების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვის მექანიზმის შემუშავება; ქვეყნის რეგიონული და ეკონომიკური განვითარების შესაბამისად ჩამოყალიბებულია ახალი და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - პროფესიული განათლების სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების მიწოდების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები უზრუნველყოფილ იქნა შესაბამისი ინფრასტრუქტურით, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საჭირო ფინანსური რესურსით; მიზნობრივი მაჩვენებელი - პროფესიული განათლების სტუდენტების 100% უზრუნველყოფილ იქნება ხარისხიანი პროფესიული განათლებით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%; შესაძლო რისკები - ბენეფიციარების განსხვავებული შესაძლებლობები 2. საბაზისო მაჩვენებელი - საჯარო მართვასა და ადმინისტრირებაში საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისა და ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, გადამზადებული ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული და მაღალმთიანი რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირების რაოდენობის ყოველწლიურად 10%-ით ზრდა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად გადამზადებულთა 20-30%-ით ზრდა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - სხვადასხვა სასწავლო კურსებზე განათლების მიღების მსურველთა ნაკლები დაინტერესება

პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა (32 03 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	პროფესიული კოლეჯები; სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მხარდაჭერა და კოორდინაცია; პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა; პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის განვითარებისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის მხარდაჭერა; პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტაცია; მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერა; პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა; სისტემაში ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხებისა“ და ბარიერების აღმოფხვრა პროფესიული სტუდენტებისთვის განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მიზნით; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნა; სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული სტუდენტების სრული სახელმწიფო დაფინანსება; პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბება და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული არეალის გაფართოების ; პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება; მასწავლებელთა კომპეტენციის განვითარების მიზნით სისტემატური და სისტემური ტრენინგების უზრუნველყოფა, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ასევე, პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში; პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლება და მიმზიდველობის გაზრდა; ახალი კადრების მოზიდვის, არსებული კადრების შენარჩუნების და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

	ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვის ხელშეწყობა და საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების გაძლიერება (მათ შორის შშმ და სსსმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით), როგორცაა: ხარისხიანი კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სისტემის უზრუნველყოფა; სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა; დუალური სწავლების ელემენტების დანერგვის ხელშეწყობა; მეწარმეობის სწავლების მხარდაჭერა და სხვ. არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა; პროფესიული განათლების პოპულარიზაცია; პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაფასებლად ყოველწლიური კვლევების განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ვაუჩერული, პროგრამული და მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების გზით;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს სრული სახელმწიფო დაფინანსება მიიღო 10 509 სტუდენტმა, მათ შორის 2014 წელს ჩარიცხულმა სტუდენტებმა (აღნიშნული სტუდენტები სწავლობდნენ ისეთ პროფესიულ პროგრამებზე, რომლებიც გაგრძელდა 2015 წელსაც); მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით ბენეფიციარების რაოდენობა გაზრდილია მინიმუმ 2%-ით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ნაკლები დაინტერესება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი შეადგენდა 47.5%; მიზნობრივი მაჩვენებელი - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი გაიზარდება მინ. 1%-ით; შესაძლო რისკები - ბენეფიციარების განსხვავებული შესაძლებლობები 3. საბაზისო მაჩვენებელი - საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯები, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სახელმწიფო დაწესებულებები უზრუნველყოფილია პროგრამული და მიზნობრივი პროგრამული

	დაფინანსებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - პროგრამული და მიზნობრივი პროგრამული დაფინანსებით უზრუნველყოფილი დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა
--	---

ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (32 03 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	პროფესიული კოლეჯები; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროფესიული განათლების კურსების მეშვეობით სასჯელის მოხდის პერიოდში ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების (როგორც სრულწლოვნები, ისე არასრულწლოვნები) სხვადასხვა პროფესიის დაუფლების ხელშეწყობა; ყოფილ პატიმართა, მათი ოჯახის წევრთა ან/და განრიდებულთა სხვადასხვა პროფესიის დაუფლების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირებისთვის პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა; ყოფილ პატიმართა, მათი ოჯახის წევრთა ან/და განრიდებულთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მსჯავრდებულებისათვის (სასჯელადსრულების დაწესებულებებში მყოფი პირებისათვის, თავისუფლებაშეზღუდულ, პირობით ვადამდე გათავისუფლებულ და პირობითი მსჯავრდებულებისათვის) ხელმისაწვდომია პროფესიულ განათლება; 2012 წლიდან სულ პროგრამაში ჩაერთო 600-მდე ბენეფიციარი; მიზნობრივი მაჩვენებელი - დაინტერესებული ბენეფიციარებისთვის სრულად უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების მიწოდება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - სამიზნე ჯგუფების არარსებობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - ბენეფიციარებისათვის (ყოფილი პატიმრებისთვის, მათი ოჯახის წევრებისთვის, დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანებისა ან/და განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ არასრულწლოვანებისთვის) ხელმისაწვდომია პროფესიულ განათლება; 2014 წლიდან სულ მომზადება გაიარა 40-მდე ბენეფიციარმა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ბენეფიციარებისათვის სრულად უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების მიწოდება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%;

შესაძლო რისკები - პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან პროფესიული მომზადების კურსების მიმართ ნაკლები ინტერესი	
ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (32 03 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული და მაღალმთიანი რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მართულ საწარმოებსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ტერიტორიულ ორგანოებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულთა გადამზადება, კვალიფიკაციისა და ქართული ენის ცოდნის ამაღლება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა; საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების სწავლების ხელშეწყობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 2700; მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება 15%-ით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - სხვადასხვა სასწავლო კურსებზე განათლების მიღების მსურველთა ნაკლები დაინტერესება 2. საბაზისო მაჩვენებელი - საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 630; მიზნობრივი მაჩვენებელი - საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება 2%-ით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - განათლების მიღების მსურველთა ნაკლები დაინტერესება
სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (33 03)	
პროგრამის	საგანმანათლებლო დაწესებულებები; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

განმახორციელებელი	
პროექტის აღწერა და მიზანი	სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში სასწავლო პროცესის, სასწავლო პროგრამებისა და გეგმების დახვეწა-სრულყოფა, პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება, სტუდენტთა და მოსწავლეთა ზრდა-დაოსტატების ხელშეწყობა მათი სპექტაკლების, ფილმების, გამოფენების, კონცერტების, კონფერენციების, სხვა ქვეყნების სახელოვნებო საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან თანამშრომლობა, მასტერკლასებსა და კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერა. საქართველოს სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემის საერთაშორისო სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემასთან ჰარმონიზაცია და მისი ინტეგრირება საერთაშორისო სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემაში.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემასთან ჰარმონიზებული და მასში ინტეგრირებული საქართველოს სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო პროექტებში და სამეცნიერო კონფერენციებში პედაგოგების მონაწილეობა, სტუდენტთა და მოსწავლეთა კონცერტები, გამოფენები, სტუდენტური სპექტაკლები, ფილმები, გამოფენები, კონფერენციები, საერთაშორისო მასტერკლასებში, კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობა - 1 142; მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო პროექტებში და სამეცნიერო კონფერენციებში პედაგოგების მონაწილეობა, სტუდენტთა და მოსწავლეთა კონცერტები, გამოფენები, სტუდენტური სპექტაკლები, ფილმები, გამოფენები, კონფერენციები, საერთაშორისო მასტერკლასებში, კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობა - 1 200; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 3%; შესაძლო რისკები - ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა,

საბიბლიოთეკო საქმიანობა (01 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა
პროექტის აღწერა და მიზანი	ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ განხორციელებული იქნება საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებული შეგროვება და ანალიზი, საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო დაცვის კონტროლი, შესაბამისი კადრების მომზადება-გადამზადების პოლიტიკის განსაზღვრა; ელექტრონული ბიბლიოთეკის გაფართოება და შემოთავაზებული სერვისების გამრავალფეროვნება;

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - ელექტრონული ბაზების გაზრდილი მოცულობა; საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; მკითხველთა რაოდენობა ადგილზე და ელექტრონულად

სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (30 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია
პროექტის აღწერა და მიზანი	სამაგისტრო, საბაკალვრო, სპეციალური პროფესიული და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და საარქივო საქმიანობა; საშუალო რგოლის კვალიფიციური და პროფესიონალი საპოლიციო კადრების მომზადება და გადამზადება; შსს არქივში განთავსებული საქართველოს უახლესი ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი მასალების დაცვა, როგორც მომავალი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის, ასევე პიროვნებების იდენტიფიცირებისა თუ მნიშვნელოვანი მოვლენების აღდგენის თვალსაზრისით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პოლიციელის კარიერული წინსვლის შემუშავებული თანმიმდევრული სისტემა; პოლიციის მუშაობის მკვეთრად გაზრდილი ეფექტიანობა; საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია; პოლიციის პოპულარიზებული პროფესია; შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მომზადებული და გადამზადებული პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური კადრი; უცხოურ ენაზე ოპერირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების მქონე კადრით დაკომპლექტებული სისტემა.

**საბოლოო შედეგის
შეფასების ინდიკატორები**

1.

საბაზისო მაჩვენებელი - ამჟამად აკადემიაში სწავლობს 110 ბაკალავრი და 45 მაგისტრანტი; არსებობს სტუდენტური საინფორმაციო სისტემა, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ კომპიუტერის საშუალებით; გამოცდები ტარდება მატერიალური სახით - ქაღალდზე დაბეჭდილი საგამოცდო საკითხებით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სტუდენტთა რაოდენობა 316 (მ. შ 260 ბაკალავრი და 56 მაგისტრი); დანერგილი სტუდენტური საინფორმაციო სისტემის მობილური აპლიკაცია; სპეციალური ელექტრონული სისტემით ჩატარებული გამოცდები

2.

საბაზისო მაჩვენებელი - არსებული მდგომარეობით სპეციალური პროფესიული სწავლების ადმინისტრირებისთვის აკადემიაში შექმნილი და დანერგილია პროფესიული სწავლების ელექტრონული სისტემა, რომელიც ასევე მოიცავს ელექტრონული სალექციო ცხრილების პროგრამას. მუშავდება 3 პროგრამა ელ. სისტემის განვითარების კუთხით (1. მსმენელთა ელ.გვერდი; 2. მსმენელთა ელ.ანკეტების პროგრამა; 3. კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; 4. მსმენელთა ელ.გვერდის მობილური აპლიკაცია); შსს აკადემიაში მიმდინარეობს ახალი კურსების შემუშავება, როგორცაა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის დამყარების სტანდარტები, თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი და სხვა. მუდმივად ხორცილდება შემუშავებული პროგრამების განახლება; მიმდინარეობს დისტანციური სწავლებისთვის სისტემის აწყობა; მიმდინარეობს შსს-ს აკადემიის სტუდენტთა ტესტირების სისტემა „Questionnaire“ განახლება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - განვითარებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა სპეციალური პროფესიული პროგრამების ნაწილში. შემუშავებული კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; მსმენელთა ელ.გვერდის მობილური აპლიკაციის სისტემა; შემუშავებული ახალი სასწავლო პროგრამები/კურსები; დანერგილი დისტანციური სწავლების მეთოდი; შსს-ს აკადემიის სტუდენტთა ტესტირების ახალი სისტემა „Questionnaire“

3.

საბაზისო მაჩვენებელი - აუდიტორიებში ტექნიკური აღჭურვილობა (პროექტორები და სპიკერები) მოძველებულია; Frontex-ის პროგრამა საჭიროებს ადაპტირებას დონეების მიხედვით; შესამუშავებელი და მოსადიებელია დისტანციური სწავლების ზოგადი ინგლისური ენის კურსის შესადგენი მასალები; გამოსაცდელია თანამედროვე სწავლების პროგრამის - Rosetta Stone-ის ეფექტიანობა; ინგლისური ენის პედაგოგებს ესაჭიროებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები; აკადემიაში შემუშავებულია დისტანციური სწავლების ელ. პროგრამა და შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავებისთვის საჭიროა შესაბამისი გამოცდილებისა და ცოდნის დაგროვება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ქართული ენის სწავლის მსურველებისათვის შედგენილი სპეციალური პროგრამა; თანამედროვე სასწავლო პროგრამაში (Rosetta Stone) მონაწილე თანამშრომლებისთვის პროგრესის მონიტორინგისთვის შემუშავებული აუცილებელი შეფასების სქემა; მასწავლებელთა უნარების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ტრენინგ პროგრამებში მონაწილეობა; შემუშავებული დისტანციური სწავლების ზოგადი ინგლისურის კურსის პირველი ორი საფეხური (Starter/Elementary); მესაზღვრეებისათვის დონის შესაბამისად ადაპტირებული Frontex-ის შემუშავებული პროგრამა; დისტანციური სწავლების დანერგვის მიზნით პედაგოგებისთვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარება

4.

	საბაზისო მაჩვენებელი - აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭიროებს მუდმივ განახლებას რათა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს; მიზნობრივი მაჩვენებელი - განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; აკადემიაში არსებული კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოების და ფილტრაციის მიზნით შეძენილი მოწყობილობები; მსმენელების სწავლება ელექტრონული წიგნების მეშვეობით
--	--

სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი (58 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, პრიორიტეტულ უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობა; ქვეყნის საჯარო და საზოგადოებრივი სექტორის გაძლიერება მაღალკვალიფიციური კადრებით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებსა და კურსებზე მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების გზით; საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო აკადემიურ და ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (61 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად; ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა; საქართველოში მეცნიერების განვითარების პროგნოზირება და მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებების მომზადება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და გამოცემული სხვადასხვა სამეცნიერო ენციკლოპედიები და ჟურნალები.

ინკლუზიური განათლება (32 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა; ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შეფასება; საჯარო სკოლებისათვის დახმარებისა და კონსულტაციების გაწევა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობასთან დაკავშირებით; საჯარო სკოლების მოსწავლეების, სტუდენტებისა და სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე, დევნილი, რეპატრირებული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოზარდების ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა, აგრეთვე სათემო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გზით მათში საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის სურვილის გაღვიძება; სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის განხორციელება ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის, საზაფხულო ბანაკის მოწყობა მიუსაფარი ბავშვებისთვის, ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდებისთვის, ხელმისაწვდომი და უწყვეტი განათლების უზრუნველყოფისთვის საგანმანათლებლო მოდელის განსაზღვრა; სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ბენეფიციარების უზრუნველყოფა სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა განვითარებაზე ზრუნვა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სენსორული (სმენა, მხედველობა) დარღვევის მქონე ბავშვებისთვის გახსნილი სასკოლო მზაობის ჯგუფები. მულტიდისციპლინური გუნდის ხელშეწყობა; ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში; საჯარო სკოლებში ინტეგრირებული კლასების დაფინანსება; ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგი; სოციალური ინკლუზია;

	განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში; განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ზოგადი განათლების საფეხურზე ჩართული 5 433 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; მიზნობრივი მაჩვენებელი - მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებულთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია მინიმუმ 20%-ით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%; შესაძლო რისკები - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის ნაკლებობა და საზოგადოების არასათანადო მზაობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - პროფესიულ განათლებაში ჩართული 231 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სსსმ სტუდენტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - პროფესიულ განათლებაში ჩართულია მინიმუმ 15%-ით მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - ცხრა კლასის დამთავრების დამადასტურებელი ატესტატის არარსებობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - ბავშვთა საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე მოსწავლეებისათვის, სენსორული (სმენის) , მრავლობითი დარღვევის მქონე და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების მიზნით მოქმედი 9 ინტეგრირებული კლასი; მიზნობრივი მაჩვენებელი - ფუნქციონირებას განაგრძობს 9 და დამატებით გაიხსნება მინიმუმ 2 ახალი ინტეგრირებული კლასი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - სკოლებიდან წამოსული ინიციატივების ნაკლებობა, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების დეფიციტ 4. საბაზისო მაჩვენებელი - სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ინტეგრაციის ბარიერების გადალახვისთვის სკოლების გაძლიერების მიზნით შემუშავებული სატრენინგო პროგრამა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მომსახურე ყველა ცენტრის (6 ცენტრი) ბენეფიციარების საგანმანათლებლო მომსახურებით უზრუნველყოფა; მიზნობრივი მაჩვენებელი - სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის განხორციელება ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის, საზაფხულო ბანაკის მოწყობა მიუსაფარი ბავშვებისთვის, ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდებისთვის, ხელმისაწვდომი და უწყვეტი განათლების უზრუნველყოფისთვის საგანმანათლებლო მოდელის განსაზღვრა

	5. საბაზისო მაჩვენებელი - სპეციალურ საგანმანათლებლო 8 დაწესებულებაში ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იქნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება
--	--

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (26 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის, სსიპ-ებისა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა გადამზადების მიზნით უზრუნველყოს ტრენინგსაჭიროებათა ანალიზის საფუძველზე ტრენინგების სრული ციკლის (დაგეგმვა, ორგანიზება და შეფასება) განხორციელება, მათ შორის, თვითმმართველობებში დასაქმებული საჯარო მოხელეებისთვის. ტრენინგები სპეციფიკითა და შინაარსით მორგებული იქნება საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენელთა საჭიროებებზე, რაც ხელს შეუწყობს მართლშეგნების ამაღლებას არამართო საჯარო სტრუქტურებში, არამედ უფრო ფართო საზოგადოებრივ წრეებში. ტრენინგების მიმართულების გარდა, სასწავლო ცენტრი საქმიანობას გააგრძელებს ტესტირების მიმართულებით; კერძოდ, ორგანიზებას გაუწევს როგორც საკონკურსო, საატესტაციო და საკვალიფიკაციო ტესტირების ჩატარებას საქართველოს მასშტაბით, ისე ტესტური დავალებების შექმნას. პერიოდულად გაუმჯობესდება ტესტირების სტრანდარტი და მაღალკვალიფიციური ექსპერტების მონაწილეობით განახლდება შექმნილი ტესტური დავალებების ბანკი. ცენტრი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული მმართველობის პროგრამის დანერგვის პროექტებში. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად განახლდება არსებული ტესტები, ტრენინგმოდულები და სასწავლო კურსის პროგრამები, მათ შორის, უცხოური სერთიფიცირებული პროგრამების შეძენის გზით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	• იუსტიციის სამინისტროს სისტემის, სხვა საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების თანამშრომელთა და დაინტერესებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება, პიროვნული და პროფესიული განვითარება, პრაქტიკული უნარების გაძლიერება; • იუსტიციის სამინისტროს სისტემისა და სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის კვალიფიცირებული კადრების შეფასებისა და შერჩევის უზრუნველყოფა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს I კვ-ში ტრენინგი გაიარა 505-მა აპლიკანტმა; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - ტრენინგს გაივლის 4900 აპლიკანტი; 2018 წელი - ტრენინგს გაივლის 5000

	აპლიკანტი; 2019 წელი - ტრენინგს გაივლის 5100 აპლიკანტი; 2020 წელი - ტრენინგს გაივლის 5100 აპლიკანტი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 3%; შესაძლო რისკები - • დაფინანსების შემცირება; • პრაქტიკაში დაუნერგავი, ახალი ტრენინგების პირველად ჩატარება; • პირველად მოწვეული ტრენერები, ვისთანაც თანამშრომლობის გამოცდილება, წინა პერიოდში სასწავლო ცენტრს არ ჰქონია 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს I კვ-ში ტესტირება გაიარა 1978-მა აპლიკანტმა; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - ტესტირებას გაივლის 7000 აპლიკანტი; 2018 წელი - ტესტირებას გაივლის 7000 აპლიკანტი; 2019 წელი - ტესტირებას გაივლის 7000 აპლიკანტი; 2020 წელი - ტესტირებას გაივლის 7000 აპლიკანტი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 3%; შესაძლო რისკები - • დაფინანსების შემცირება; • საჯარო და კერძო სტრუქტურებში თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების რაოდენობის შემცირება
--	---

მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (09 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა
პროექტის აღწერა და მიზანი	იუსტიციის მსმენელების (სამოსამართლო კანდიდატების) სასწავლო კურსის რეგულარული განხორციელება სასამართლო სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით; მოქმედი მოსამართლეების და სასამართლოს თანამშრომლების გადამზადება რეგულარულად ჩატარებული ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრებისა და კონფერენციების საშუალებით; ევროსაბჭოს და ქართველ ექსპერტებთან თანამშრომლობით შემუშავებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სასამართლო კორპუსის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა; მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება; იუსტიციის უმაღლესი სკოლის განვითარებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები განხორციელება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - 15 იუსტიციის მსმენელის (სამოსამართლო კანდიდატის) მომზადება; 70 გადამზადების კურსი შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისთვის: მოსამართლეებისათვის, მოსამართლის თანაშემწეებისათვის, სასამართლოს

	მენეჯერებისათვის
სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (27 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადების გზით ქვეყანაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, სასჯელადსრულების სისტემაში ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების მოთხოვნათა დანერგვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა; სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა; სისტემაში მისაღები და მომუშავე კადრების ტესტირების ინსტიტუტის დანერგვა და მისი ჩატარება მოთხოვნილებისამებრ, სისტემაში კვალიფიციური კადრების მიღებისა და ადგილზე მათი ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა; მოქმედი სასწავლო პროგრამების განახლება და ახალი პროგრამების მომზადება ადგილობრივი რესურსებისა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, სწავლების ხარისხის სისტემატური გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადების გზით სისხლის სამართლის რეფორმის განხორციელების, ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების დანერგვის, ადამიანის უფლებათა დაცვის, დანაშაულის პრევენციის, მსჯავრდებულის სოციალური რეაბილიტაციის განხორციელების ხელშეწყობა სამინისტროს სისტემისათვის საექსპერტო საქმიანობის უზრუნველყოფა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დონორების დახმარების მოძიება პროექტების მომზადებასა და მათი განხორციელების ხელშესაწყობად; მიზნობრივი მაჩვენებელი - გაუმჯობესებულია ეფექტური მართვა და ფუნქციონირება, სახელმწიფო სახსრების მართვა, შიდა ფინანსური კონტროლი 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის 2 კვარტლის მონაცემებით: 68 სასწავლო ღონისძიება ; გაიარა მომზადება სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 1 440 მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა 95%-მა; გამომუშავებულია 13863 კაც/ტრენინგ/დღე; მიზნობრივი მაჩვენებელი - არანაკლებ 80 სასწავლო ღონისძიება; გაიარა მომზადება სისტემაში მომუშავე და სისტემასთან

	კავშირში მყოფმა არანაკლებ 2000-მა მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა არანაკლებ 90%-მა; გამომუშავებულია 5250 კაც/ტრენინგ/დღე; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5% (მსმენელთა რაოდენობის, ქულობრივი ბარიერის გადალახვის, მეტობა/ნაკლებობა); შესაძლო რისკები - სასწავლო ღონისძიებებზე მსმენელთა მოვლინების შეფერხება; სასტემაში დასაქმების მსურველთა დაბალი აქტივობა
--	---

საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (23 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის განხორციელების ხელშეწყობისა და გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროექტების განხორციელების გზით, ასევე, პროფესიულ განვითარებაზე მიმართული პროგრამების ორგანიზების საშუალებით; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ხელშეწყობა ახალი კადრების შერჩევაში პროფესიული და საკვალიფიკაციო ტესტირების პროცესების ორგანიზების გზით; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ხელშეწყობა მათ დანერგვასთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზების საშუალებით; კერძო სექტორის განვითარების, ასევე, საბიუჯეტო დაფინანსებზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული სასწავლო - შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების განხორციელება; პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასწავლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მათ შორის, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემა, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით;

	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით, საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით/ ტრენინგებით; საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით; საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით, გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა, საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები, საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სასწავლო კურსები ხორციელდება ტრენინგების საჭიროებების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად (მიმდინარე პროცესი), ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა - 649 (2016 წლის 9 თვის მონაცემებით); მიზნობრივი მაჩვენებელი - ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის ზრდა წინა წელთან შედარებით 5%-ით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაბალი; შესაძლო რისკები - კადრების გადინება, კონკურსების რაოდენობის შემცირება 2. საბაზისო მაჩვენებელი - ფინანსთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადებული კონკურსების (პროფესიული მიმართულება, უნარების შესაფასებელი ტესტირებები) ორგანიზება (მუდმივი პროცესი); მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული ტესტირებების რაოდენობის ზრდა 2%-ით წინა წელთან შედარებით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2% საჯარო მოსამსახურეთა შერჩევის წესების/პროცედურების ცვლილება; შესაძლო რისკები - კადრების გადინება, კონკურსების რაოდენობის შემცირება 3. საბაზისო მაჩვენებელი - საფინანსო სექტორში დასაქმებული პირებისთვის ხორციელდება ორგანიზაციების საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამისი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები; მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამზადებული პირების რაოდენობის ზრდა 2%-ით წინა წელთან შედარებით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1%; შესაძლო რისკები - ტრენინგების საჭიროების რაოდენობა 4. საბაზისო მაჩვენებელი - ხორციელდება საერთაშორისო სასწავლო კურსები საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლობით. ნიდერნალდების

	ფინანსთა სამინისტროს ხელშეწყობით, ჰოლანდიელი ექსპერტების მიერ საჯარო ფინანსების მართვის საკითხებზე ტრენინგების ჩატარება; მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების რაოდენობის ზრდა 2%-ით წინა წელთან შედარებით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაბალი; შესაძლო რისკები - ტრენინგების საჭიროების რაოდენობა. საერთაშორისო და უცხოური ინსტიტუტების გადაწყვეტილებები
--	--

ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება (01 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში ჰერალდიკის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვა; თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სიმბოლიკის (დროშა, გერბი) შექმნის, მიღების, დამტკიცებისა და გამოყენების წესების სწავლება-სემინარის მომზადება და ჩატარება; თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სიმბოლიკის გამოფენის მომზადება და ჩატარება;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პოპულაროზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები

მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (28 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა უწყებების საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება; სასწავლო ცენტრის სრულყოფა (თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი პროგრამების შემუშავება და არსებული პროგრამების დახვეწა); მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან, აკადემიებთან და ადგილობრივ

	პარტნიორებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ბიბლიოთეკის გამდიდრება;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო კურსების და საჯარო ლექციების მომზადება და ჩატარება; საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მომუშავე საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება ყველა მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით; უცხო ენის კურსების და საჯარო ლექციების ჩატარება, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის, ასევე სხვა საჯარო უწყებების წარმომადგენლებისათვის; საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ბიბლიოთეკის გამდიდრება; სასწავლო ცენტრის დამოუკიდებელი ვებ-გვერდის და Facebook გვერდის განახლება; ქართული ენის კურსების ჩატარება უცხოელი დიპლომატებისთვის;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - ტრენინგების, სემინარების და ლექციების შედეგად ამაღლებული კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების რაოდენობა 2. მიზნობრივი მაჩვენებელი - სასწავლო ცენტრში წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა 3. მიზნობრივი მაჩვენებელი - სათანადო ლიტერატურით გამდიდრებული ბიბლიოთეკა 4. მიზნობრივი მაჩვენებელი - მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან და აკადემიებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები 5. მიზნობრივი მაჩვენებელი - სასწავლო ცენტრის ამაღლებული ცნობადობა და ეფექტური მუშაობა ყველა მიმართულებით 6.

მიზნობრივი მაჩვენებელი - ქართული ენის შემსწავლელი უცხოელი დიპლომატების რაოდენობა	
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (24 12)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
პროექტის აღწერა და მიზანი	საზღვაო სავაჭრო ფლოტსა და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასაქმების მიზნით კვალიფიციური კადრების მომზადება
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საზღვაო-სავაჭრო ფლოტსა და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასაქმებული კვალიფიციური კადრები STCW კონვენციისა და „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მომზადებულია 2 000 კვალიფიციური კადრი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელს მომზადდება 2 300 კვალიფიციური კადრი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%; შესაძლო რისკები - მიზნობრივი ჯგუფების დაბალი აქტივობა

მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	131,394.00	34,144.00	97,250.00	136,264.00	141,394.00	146,744.00
24 07	მეწარმეობის განვითარება	21,704.00	21,704.00	0.00	22,000.00	22,000.00	22,000.00
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	20,156.00	20,156.00	0.00	20,156.00	20,156.00	20,156.00
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	23,970.00	18,970.00	5,000.00	14,000.00	14,000.00	14,000.00
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	15,006.00	15,006.00	0.00	16,000.00	16,000.00	16,000.00
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	21,110.00	8,800.00	12,310.00	9,930.00	9,930.00	9,930.00
40 02	სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა	7,500.00	7,500.00	0.00	7,500.00	7,500.00	7,500.00
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	4,760.00	4,600.00	160.00	5,200.00	5,490.00	5,490.00
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	3,060.00	3,060.00	0.00	3,600.00	3,710.00	3,810.00
49 00	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	2,310.00	2,300.00	10.00	2,300.00	2,300.00	2,300.00
56 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2,150.00	2,150.00		2,150.00	2,150.00	2,150.00
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	1,800.00	1,800.00	0.00	1,800.00	1,800.00	1,800.00
52 01	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1,450.00	1,300.00	150.00	1,450.00	1,450.00	1,450.00
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	1,000.00	1,000.00	0.00	1,000.00	1,000.00	1,000.00
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	2,046.00	956.00	1,090.00	2,030.00	2,040.00	2,050.00
04 02	საქართველოს ეკონომიკური საბჭოს აპარატი	733.00	733.00	0.00	733.00	733.00	733.00

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
04 03	საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი	488.00	488.00	0.00	488.00	488.00	488.00
24 04	აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	555.00	150.00	405.00	570.00	570.00	570.00
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	140.00	140.00	0.00	0.00	0.00	0.00
23 07	მიქცეული ქონების ეფექტური განკარგვა	8,540.00	0.00	8,540.00	8,540.00	8,540.00	8,540.00
	სულ	269,872.0	144,957.0	124,915.0	255,711.0	261,251.0	266,711.0

შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (23 02)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - შემოსავლების სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და საბაჟო პროცედურების დახვეწა, გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ელექტრონული მომსახურების განვითარება; საგადასახადო ადმინისტრირების შემდგომი გამარტივება, სრულყოფილი კონტროლის პროცედურების დანერგვა; ნებაყოფლობითი კანონმორჩილების წახალისება, გადამხდელთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება; მომსახურების პოტენციალის გაძლიერების და გადამხდელთა კმაყოფილების ხარისხის ამაღლების მიზნით, მომსახურების დარბაზების თანამედროვე სტანდარტებით მოწყობა, მოძრავი სერვის-ცენტრების დანერგვა, რაც კიდევ უფრო კომფორტულს გახდის მომსახურების პროცესს გადამხდელისათვის. ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესის ხელშეწყობა; საგადასახადო შემოწმების პროცედურების მართვის კომპიუტერიზაცია; საბაჟო პროცედურების გამარტივება; მგზავრების შესახებ მონაცემების (API-PNR) და ტვირთების შერჩევის (WCO CTS) სისტემების დანერგვა, მონაცემების წინასწარ დამუშავების, საბაჟო კონტროლის გაძლიერების და საბაჟო კონტროლის ღონისძიებების (მათ შორის, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენის, აღკვეთის და პრევენციის) ეფექტური განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. ვაჭრობის ხელშეწყობის ინსტრუმენტებისა და საბაჟო, სანიტარიული, ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის აღსრულების გაუმჯობესება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ძლიერი, ეფექტიანი და გადამხდელებზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა; ჩაბარებული დეკლარაციების რაოდენობის, დარიცხული და გადახდილი გადასახადების გაზრდა; საგადასახადო-საბაჟო პროცედურების გამარტივება და ელექტრონული მომსახურების გაუმჯობესება; საგადასახადო შემოწმებების რაოდენობის გაზრდა;

	საგადასახადო შემოწმების პროცედურებზე კონტროლის ეფექტურად წარმართვა და მისი გამართი ეფექტურობა; ევროკავშირისა და საქართველოს შორის ვაჭრობის ხელშეწყობა და გამართი ეფექტურობა; საბაჟო კონტროლის განხორციელების ეფექტურობის გაზრდა და პროცედურების დაჩქარება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამხდელთა საერთო რაოდენობიდან დაჯარიმებული გადამხდელთა რიცხვის შემცირება 2. საბაჟისო მაჩვენებელი - ძვირადღირებული ტექნიკური აღჭურვილობა და ინვენტარი. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელია მაღალბიუჯეტური პროექტები და მათი განხორციელების რაოდენობრივი მაჩვენებელი დამოკიდებულია სამსახურის დაფინანსების მოცულობის სტაბილურობაზე; მიზნობრივი მაჩვენებელი - საგადასახადო შემოწმებისთვის საჭირო დროის შემცირება 3 თვემდე; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%-30%; შესაძლო რისკები - კადრების შესაძლო გადინება 3. საბაჟისო მაჩვენებელი - ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს საგადასახადო/საბაჟო კანონმდებლობების ევროკავშირის კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზების კუთხით; მიზნობრივი მაჩვენებელი - ასოცირების დღის წესრიგით და მთავრობის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება

მეწარმეობის განვითარება (24 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ-მეწარმეობის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით, აგრეთვე მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა რეგიონებში და საქართველოში კინოწარმოების განვითარება; ექსპორტის განვითარება და ხელშეწყობა, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის გარეთ,

	სხვადასხვა საერთაშორისო ბაზრებზე, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება, ბაზრის კვლევებისა და კონსულტაციების მეშვეობით ადგილობრივი ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების უნარების ამაღლება და ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა. ევროპის მეწარმეთა ქსელში ჩართვა. DCFTA-ს მოთხოვნებთან დაკავშირებით მეწარმეების ცნობიერების ამაღლება და მათი იმპლემენტაციისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეგიონებში ბიზნესის განვითარება; სამეწარმეო კულტურის ამაღლება; საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდა; ახალი ბიზნესების შექმნის წახალისება; ბიზნესში (რე)ინვესტირება; დამწყები ბიზნესების მდგრადობის ზრდა; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; ადგილობრივი კინოინდუსტრიის ბაზრის და ინფრასტრუქტურის განვითარება; კომპანიების მიერ ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისება; ექსპორტთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა; საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია; ცნობადობის ამაღლება საქართველოს საწარმოო და საექსპორტო პოტენციალთან დაკავშირებით (პროდუქტისა და მომსახურების); პროდუქტისა და მომსახურების ექსპორტის ზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობა - 2 000; მოსალოდნელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა - 190 მლნ ლარი; ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა - 7 200;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობა - 4 300; მოსალოდნელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა - 400 მლნ ლარი; ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა - 12 000; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10 %/ სამეწარმეო აქტივობის შემცირება/გაზრდა; შესაძლო რისკები - ვალუტის კურსის ვოლატიურობა; მაკროეკონომიკური მაჩვენებლები; ბიზნეს გარემოს ცვლილება; საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები 2. საბაზისო მაჩვენებელი - ბენეფიციარების მიერ განხორციელებული ექსპორტის მოცულობის ზრდა -15%; საერთაშორისო გამოფენებში სავაჭრო მისიებში და კონკურსებში ქართული კომპანიების მონაწილეობა - 43; გადამზადებული ექსპორტ-მენეჯერი - 33; მიზნობრივი მაჩვენებელი - ბენეფიციარების მიერ განხორციელებული ექსპორტის მოცულობის ზრდა - 20%; საერთაშორისო გამოფენებში სავაჭრო მისიებში და კონკურსებში ქართული კომპანიების მონაწილეობა - 100; გადამზადებული ექსპორტ-მენეჯერი - 40; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10 %/ეკონომიკური აქტივობის შემცირება სამიზნე საექსპორტო ქვეყნებში; შესაძლო რისკები - ვალუტის კურსის ვოლატიურობა; მაკროეკონომიკური მაჩვენებლები; ბიზნეს გარემოს ცვლილება; საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები
--	---

სახელმწიფო ფინანსების მართვა (23 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების გასაუმჯობესებლად მეთოდოლოგიის დახვეწა და მისი არეალის გაფართოება, გრძელვადიანი პროგნოზირების გაუმჯობესება, მაკროეკონომიკური განვითარების სცენარების მოდელირების სრულყოფა, ფისკალური რისკების მართვის და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება; ხარჯების საშუალოვადიანი გეგმებისა და წლიური ბიუჯეტების პროექტების მომზადება, სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად სათანადო რესურსების მობილიზებისა და ეფექტურად განაწილების მიზნით; სახელმწიფო ფინანსების მართვა და ფისკალური წესების შემდგომი რეგულირება სტაბილური ფისკალური პარამეტრების მიღწევის მიზნით, საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად; საბიუჯეტო პროცესის კალენდრით გათვალისწინებული ეტაპების ჯეროვანი შესრულება; ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშთა სისტემაში და ბიუჯეტის მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში სრულად

	მოქცევა; საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების შემდგომი ეტაპების დაგეგმვა საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების შემდგომი განვითარების მიზნით (მათ შორის, პროგრამული ბიუჯეტის და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების კოორდინაცია, საინვესტიციო პროექტების მომზადება/განხორციელების მეთოდოლოგიის პილოტირება/სრულად დანერგვის კოორდინაცია); საგადასახადო პოლიტიკის შემდგომი სრულყოფა, მათ შორის საკანონმდებლო ბაზის შემდგომი გაუმჯობესების და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზების მიზნით, გადასახადის გადამხდელებს შორის საგადასახადო ტვირთის უკეთესი განაწილება, მეწარმეთა მოთხოვნებისა და საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტში სათანადო რესურსის მობილიზების უზრუნველყოფა; სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის ფარგლებში შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება; სათანადო ფინანსური რესურსის მობილიზებისათვის დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ეფექტური თანამშრომლობის შენარჩუნება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროგრამების და ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად; დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პარალელურად სახელმწიფო საგარეო ვალის მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, ვალის მდგრადობის შენარჩუნება, როგორც საშუალოვადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში; საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია; სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდგომი განვითარების მიზნით, სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება, არსებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მიზნების შესაბამისად; ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესრულების კოორდინაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში და აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი; IPSAS სტანდარტების შესაბამისად, დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული სააღრიცხვო სისტემის შემოღება.
პროექტის მოსალოდნელი	სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით სათანადო რესურსების მობილიზების

საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფა; სტაბილური მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების მიღწევა, წლიური ბიუჯეტი და ძირითადი ფისკალური პარამეტრები შეესაბამება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ზღვრულ მოცულობებს; ქვეყნისათვის სტაბილური და იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა; საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა; პროგრამული ბიუჯეტის შემდგომი გაუმჯობესება და მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან; საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის გაზრდა და საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით; სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სრულყოფა; საბიუჯეტო პროცესი შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, რაც დასტურდება სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეფასებებით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – 29.8%; მიზნობრივი მაჩვენებელი - ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 26.7%; შესაძლო რისკები - რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები 2. საბაზისო მაჩვენებელი - ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან (GFSM 2001) – 1.1%; მიზნობრივი მაჩვენებელი - ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან (GFSM 2001) – არა უმეტეს 0.5%; შესაძლო რისკები - რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები 3. საბაზისო მაჩვენებელი - სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – 39.9%; მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 38.5%; შესაძლო რისკები - რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები

	4. საბაზისო მაჩვენებელი - ღია ბიუჯეტის ინდექსის (OBI) მაჩვენებელი - 66; მიზნობრივი მაჩვენებელი - მიზნობრივი მაჩვენებელი - მაჩვენებლის გაუმჯობესება 5. საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების Standard & Poor's და Fitch-ის შეფასებით „BB-სტაბილური“ რეიტინგი აქვს მინიჭებული საქართველოს. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-ის შეფასებით კი “Ba3 (რაც BB-ის ანალოგია) პოზიტიური“ ; მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების არსებული მაჩვენებლების შენარჩუნება/გაუმჯობესება 6. საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად მზადდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება; მიზნობრივი მაჩვენებელი - დანერგილია დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული სულ მცირე 5 საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 25%; შესაძლო რისკები - სტანდარტების დანერგვის სირთულე
--	--

სახელმწიფო ქონების მართვა (24 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო ქონების მართვა და ადმინისტრირება; სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ორგანიზაციამ აიღო პასუხისმგებლობა ერთ-ერთ კომპონენტზე როგორცაა უძრავი ქონებით უზრუნველყოფა. ამისათვის საქართველოს მასშტაბით შეირჩა საწარმოო საქმიანობისათვის განკუთვნილი 110 ობიექტი; სააგენტოს მიერ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და მართვის ეფექტური სისტემების ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დოკუმენტური არქივის ელექტრონიზაცია და სისტემატიზაცია; სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით სააგენტოში მიმდინარეობს პროექტი „სოფლიდან გაუსვლელად“. პროექტი ხელს უწყობს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციას რეგიონებში და შესაბამისად ლოკალურ დონეზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების ეფექტურ განკარგვას. დაიწყო სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიანი პროექტი ,

	რომლის მიზანია სახელმწიფო ქონების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა, გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვა და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობა და დაცვა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საპრივატიზებო ობიექტების გაყიდვების გაზრდა; მოძიებული ინვესტიციების გაზრდა და ეკონომიკის განვითარება; სახელმწიფო ქონებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; აღრიცხული სახელმწიფო ქონება და შეფასებული საპრივატიზაციო ობიექტები და ქონების პრივატიზების გამარტივებული პროცესი; სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ობიექტების დაცვა ყველა სახის არამართლზომიერი ხელყოფისაგან.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - შესრულდა პრივატიზების სახელმწიფო გეგმა - 2014 წელს სახელმწიფოებრივი გეგმა შესრულდა 101%-ით, 2015 წლიური გეგმა შესრულდა 102%-ით; შემცირებული სახელმწიფო საწარმოთა რიცხვი - სახელმწიფო უმოქმედო/არამომგებიანი საწარმოთა სია 2014 წელს შემცირდა 155 საწარმოთი, ხოლო 2015 წელს - 94 საწარმოთი; 2015 წელს შეფასდა 4 450 ობიექტი და 2016 წელს 2 730 ობიექტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - პრივატიზების გეგმის (57.0 მლნ ლარი) შესრულება 100%-ით. სახელმწიფო საწარმოების შემცირება 30-თი საწარმოთი. განსაკარგავად მომზადებული საპრივატიზაციო ობიექტების 100 %-ის შეფასება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10-20%; შესაძლო რისკები - დაინტერესებულ პირთა დაბალი აქტივობა. საწარმოს კაპიტალში არსებული ხარვეზები; საწარმოთა გაკოტრების პროცესში წარმოქმნილი სირთულეები, პარტნირებთან წარმოქმნილი სირთულეები 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლის ბოლოს დაცვის ქვეშ მყოფი სახელმწიფო ობიექტების რაოდენობა შეადგენდა წელს 38-ს, ხოლო 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით - 45; მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ყველა იმ ობიექტის დაცვა, რომლებთან მიმართებაშიც არსებობს არამართლზომიერი ხელყოფის საშიშროება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10-20%; შესაძლო რისკები - მიზნობრივი ჯგუფების აქტიურობა

ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (24 01)

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების და ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის მიზნით, მაღალი ტემპების უზრუნველყოფი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის ფორმირების პროცესის ორგანიზება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით; ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირება. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებათა შესრულების კოორდინაცია; ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების პოტენციალის, შესაძლებლობების და კონკურენტუნარიანობის შეფასება და ანალიზი; საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესება. სარეიტინგო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის იდენტიფიცირება და მომზადება. დანერგილი რეგულაციების შეფასება და მისი გავლენა ბიზნეს გარემოზე. არსებული კანონმდებლობის, აგრეთვე ახალი ნორმატიული აქტების პროექტების სამეწარმეო გარემოზე მარეგულირებელი გავლენის შეფასება (RIA). ბიზნეს გარემოს ხელშემწყობი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება და შესაბამისი ნორმატიული აქტების მომზადება; მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება; ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გამოყენების ხელშეწყობა ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირების და ქვეყანაში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ხელშეწყობა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს საერთაშორისო და ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია; საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება; რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობებისა და რეჟიმების ანალიზი და მათი განვითარებისათვის რეკომენდაციების მომზადება;

ექსპორტის ხელშეწყობისათვის საქართველოს საგარეო ვაჭრობის შედეგების ანალიზი, ახალი საექსპორტო ბაზრებისა და პროდუქციის იდენტიფიკაცია, სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული რეჟიმების განვითარება. საინვესტიციო ხელშეკრულებების პროექტებისთვის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნით „მწვანე ზრდის“ ეროვნული სტრატეგიის მომზადება;

მშენებლობაში, მრეწველობასა და ტრანსპორტის სფეროებში ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და რესურსდამზოგავი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

მდგრადი განვითარება უზრუნველყოფს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან დაახლოების ფარგლებში 2018 წლის 31 დეკემბრიდან შეასრულებს დირექტივა 2010/30/EU -ის მოთხოვნებს. ამ ვალდებულების შესასრულებლად ქვეყანას სჭირდება შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უნდა შემუშავდეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციებთან ერთად; ამავდროულად, სამინისტრო დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან ერთად (Danish International Development Agency) იმუშავებს პროექტზე „ენერგოეფექტურობისა და მდგრადი ენერგეტიკის მხარდაჭერა საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინებით შემუშავდება და დაინერგება საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მიერ ენერგიის მოხმარების აღმნიშვნელი მარკირების სისტემა. თბილისის აბრეშუმის გზის გამართვა და საინვესტიციო პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ფორუმის მონაწილეებისთვის;

არსებული სოციალური საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა. საქართველოში კაპიტალის ლიკვიდური ბაზრის განვითარების ხელშეწყობა;

საქართველოს ინტეგრაცია საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება. ტრანსპორტის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტის და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA) და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში დირექტივების და რეგულაციების იმპლემენტაცია და რეგიონალური მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის განხორციელების ხელშეწყობის პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი ითვალისწინებს საქართველოში ლოგისტიკის დარგის განვითარებას (პროექტი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით

	ხორციელდება); ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტი - სანავსადგურე ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. აღნიშნული მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანაკლიაში ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის საკითხს. ანაკლიის ნავსადგურს ექნება შემდეგი უპირატესობები: 1.სტრატეგიული მდებარეობა; 2. შესაძლებლობა მიიღოს დიდი ზომის გემები (მაგ. პანამაქსი); 3. მომსახურების მიღება „ერთი გაჩერების“ პრინციპით; ნავსადგურთან დამაკავშირებელი გზისა და რკინიგზის მშენებლობა - ახალ პორტთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალი პროექტი (გზა და რკინიგზა). საავტომობილო, საზღვაო და სამოქალაქო ავიაციის სფეროში ორმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმებების გაფორმება სხვადასხვა ქვეყნებთან. მრავალმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმებების გაფორმება, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნებს შორის ერთიანი სატრანსპორტო სისტემების შექმნას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, კონკურენტუნარიანი გადაზიდვის ტარიფების დაწესებას და საბაჟო პროცედურების გამარტივებას; სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის და პრევენციული ზომების გატარება და რეკომენდაციების შემუშავება; ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმების, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სივრცითი მოწყობის სქემების შემუშავების ხელშეწყობა; სამშენებლო სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ ნორმებთან, ევროკოდების თარგმნა ქართულ ენაზე და ევროკოდების ეროვნული დანართების შემუშავება; სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I და II სტადიაზე პროექტების შეთანხმება; განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ექსპერტების კანდიდატურების შეთანხმება; საგანგებო სიტუაციებში შფერხების გარეშე მუშაობა, საფოსტო სფეროს რეფორმა, საფოსტო სფეროს საკანონმდებლო ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში; ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირება; მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;

ექსპორტის სტიმულირებისა და იმპორტის ჩანაცვლების შესაძლებლობა;

საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება;

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდა და ბაზრების დივერსიფიკაცია;

არსებული სავაჭრო რეჟიმების განვითარება და ახალი სავაჭრო შეთანხმებების (მ.შ თავისუფალი ვაჭრობის) გაფორმება;

ახალი პრეფერენციული რეჟიმები;

მომზადდება მწვანე ზრდის პოლიტიკის დოკუმენტი;

მომზადდება ქვეყნის ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამოქმედო გეგმა და განხორციელდება მომავალი 3 წლის განმავლობაში;

ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად, შემუშავდება და დაინერგება საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მიერ ენერგიის მოხმარების აღმნიშვნელი მარკირების სისტემა;

არსებული საინვესტიციო რესურსის რაციონალური გამოყენება;

კაპიტალის ბაზრის განვითარება. შეიქმნება ლიკვიდური და რელურად ფუნქციონირებადი კაპიტალის ბაზარი, რაც ხელს შეუწყობს საფინანსო სისტემის დივერსიფიკაციას; გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსის ხელმისაწვდომობის ზრდას და ეკონომიკის განვითარების სტიმულს;

ლოგისტიკური სერვისების განვითარება (აწყობა, შეფუთვა);

ანაკლიაში ღრმაწყლოვანი ნავსადგურის ძირითად სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებთან დაკავშირება (რკინიგზის ხაზის და საავტომობილო გზის მშენებლობა), სადაც შესაძლებელი იქნება სატვირთო გადაზიდვების განხორციელება;

ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის სამართლებრივი საკითხების დარეგულირებას, სამგზავრო გადაყვანებისა და სატვირთო გადაზიდვების ზრდას და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას - „ბალტიის ზღვა - შავი ზღვის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის განვითარების შესახებ შეთანხმება“;

	მრავალმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმებების გაფორმება ხელს შეუწყობს დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვას და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარებას - „სატრანზიტო ვაჭრობის და ტრანსპორტის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“; ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება; სივრცითი მოწყობისა და მიწათმოწყობის დაგეგმვის მარეგულირებელი დოკუმენტაცია; სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება; სამშენებლო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა; სამშენებლო სფეროში, საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ ნორმებთან, ევროდირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტები; ევროპულ სამშენებლო ბაზართან ინტერგაცია; ძველი, საბჭოური ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების ჩანაცვლება თანამედროვე დოკუმენტებით და ტექნიკური ბარიერების შემცირება ვაჭრობაში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მაკროეკონომიკური სტატისტიკური მაჩვენებლები: მშპ რეალური ზრდა 2015 წელი: 2,8% (ფ) 2016 წელი: 3% (გ) საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციები: მსოფლიო ბანკი „Doing Business“ - 2015 წლის შეფასებით 24-ე პოზიცია. Frazer Institute-ის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ 2015 წლის შეფასებით მე-12 ადგილი (7,83-იანი ქულით). Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ 2015 წლის შეფასებით, 22-ე პოზიცია. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ 2015-2016 წლების შეფასებით, 66-ე პოზიცია (4,22 ქულა). საერთაშორისო გამჭვირვალობის „კორუფციის აღქმის ინდექსი“ შესაბამისად, 2015 წლის შეფასებით 48-ე პოზიცია; მიზნობრივი მაჩვენებელი - სამიზნე მაჩვენებლების შენარჩუნება/გაუმჯობესება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%; შესაძლო რისკები - ეკონომიკური 2. საბაზისო მაჩვენებელი - მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება; სამეწარმეო გარემოზე რეგულირების გავლენის შეფასება (RIA) და კონკურენტუნარიანობის კვლევა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საკანონმდებლო ინიციატივებზე მომზადდება მარეგულირებელი გავლენის შეფასების (RIA) დოკუმენტები;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%;

შესაძლო რისკები - ეკონომიკური

3.

საბაზისო მაჩვენებელი - დასრულდა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ტექსტის მიღებასთან დაკავშირებით და შეთანხმების პროექტი მომზადდა ხელმოსაწერად. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებული ნაწილის (DCFTA) განხორციელების 2015 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, მომზადებულია წლიური ანგარიში;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალი პრეფერენციული რეჟიმების განვითარება; ექსპორტის სტრუქტურული გაუმჯობესება;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1%;

შესაძლო რისკები - რეგიონში გეოპოლიტიკური ვიტარების გავლენა

4.

საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივის მიხედვით ქვეყნის ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამოქმედო გეგმის (NEEAP) მომზადება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეყნის ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამოქმედო გეგმის (NEEAP) განხორციელება;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1%;

შესაძლო რისკები - სამოქმედო გეგმის მიღების შეფერხება

5.

საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მიერ ენერგიის მოხმარების აღმნიშვნელი მარკირების კანონმდებლობის შემუშავება და დანერგვა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ენერგიის მოხმარებასთან დაკავშირებული პროდუქციის მარკირების კანონმდებლობის დანერგვა;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1%;

შესაძლო რისკები - კანონმდებლობის მიღების შეფერხება

6.

საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს კაპიტალის ბაზრის განვითარება და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ლიკვიდური და რელურად ფუნქციონირებადი კაპიტალის ბაზრის შექმნა და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%;

შესაძლო რისკები - კანონმდებლობის მიღების შეფერხება

7.

საბაზისო მაჩვენებელი - აქტივობები არ არის განხორციელებული;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ლოგისტიკური სერვისების რაოდენობა, ინვესტიციების მოზიდვა, ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა, დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვა საქართველოს ტერიტორიის გავლით, მოზიდული ინვესტიციების რაოდენობა;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 30%;

შესაძლო რისკები - ექსპორტ/იმპორტ/ტრანზიტის შემცირება

8.

საბაზისო მაჩვენებელი - მომზადებულია ორმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმებები გასაფორმებლად (საავტომობილო, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტი); მრავალმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმებების გაფორმება („ბალტიის ზღვა - შავი ზღვის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის განვითარების შესახებ შეთანხმება“ და „სატრანზიტო ვაჭრობის და ტრანსპორტის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“). სამოქალაქო საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტის სფეროს უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება, სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის და პრევენციული ზომების გატარება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - (შეთანხმებების რაოდენობა). სავარაუდოდ შეთანხმებებს მოეწერა ხელი 2017 წლის პირველ ნახევარში;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 50%;

შესაძლო რისკები - გარკვეული მიზეზების გამო მეორე მხარის (ქვეყნის) მიერ შეთანხმებაზე შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გაჭიანურება და ხელმოწერაზე უარის თქმა

9.

საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს ანაკლიაში ღრმაწყლოვანი ნავსადგურის ძირითად სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალის დამაკავშირებელი პროექტების მომზადება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - პროექტის განხორციელება 30%-ით;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 50%;

შესაძლო რისკები - ინვესტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა

10.

საბაზისო მაჩვენებელი - ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემა; შემუშავებულია: 2 მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა, 7 ქალაქის და 10 სოფლის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა; ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმების, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სივრცითი მოწყობის სქემების შემუშავების ხელშეწყობა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმების, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სივრცითი მოწყობის სქემების შემუშავების ხელშეწყობა;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%;

შესაძლო რისკები - გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით კლიმატური პირობები

11.

საბაზისო მაჩვენებელი - ჰარმონიზებული ტექნიკური რეგლამენტები: ევროკოდების თარგმნა. ევროკოდების თარგმნის სარედაქციო კოლეგიის მიერ განხორციელდა 5 ევროკოდის თარგმნა ქართულ ენაზე (ინგლისურ-ქართული გლოსარიუმის შედგენა 5 ევროკოდისათვის - სულ 126 გვერდი; ინგლისურ-ქართული გლოსარიუმის შედგენა EN 1993-ისათვის („ლითონის კონსტრუქციების დაპროექტება“) - სულ 32 გვერდი; ევროკოდი 0 "კონსტრუქციული დაპროექტების საფუძვლები"-87 გვერდი; ევროკოდი 1 „ზემოქმედებები კონსტრუქციებზე“- 762 გვერდი; ევროკოდი 2 „ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება“-440 გვერდი; ევროკოდი 7 "გეოტექნიკური დაპროექტება" - 338 გვერდი; ევროკოდი 8 "სეისმომდებელი კონსტრუქციები დაპროექტება" - 636 გვერდი). ნათარგმნი ევროკოდების ეროვნული დანართები შემუშავებულია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ევროკოდი 3 „ლითონის კონსტრუქციების დაპროექტება“- 398 გვერდი; ევროკოდი 4 „ლითონისა და ბეტონის შერეული კონსტრუქციების დაპროექტება“- 330 გვერდი; ევროკოდი 5 „ხის კონსტრუქციების დაპროექტება“- 221 გვერდი; ევროკოდი 6 „ქვის წყობის კონსტრუქციების დაპროექტება“- 1 გვერდი; გლოსარიუმის შედგენა ევროკოდ 4-ის, 5-ის, 6-ისა და 9-ისათვის. სამი ევროკოდის ეროვნული დანართების შემუშავება;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%;

შესაძლო რისკები - კვალიფიციური კადრების გადინება

12.

საბაზისო მაჩვენებელი - სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I და II სტადიაზე 2000 პროექტის შეთანხმებული;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I და II სტადიაზე 200 პროექტის შეთანხმება;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%;

შესაძლო რისკები - პროექტების არასწორად შედგენა

13.

საბაზისო მაჩვენებელი - შეძენილია მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) მიერ შემუშავებული ტექნიკური სტანდარტების სრულ პაკეტი, ქვეყანაში არ არსებობს საგანგებო სიტუაციების დროს ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების და საშუალებების ოპერატიულ-ტექნიკური მართვის ეროვნული სისტემა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მომზადებული საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები და ელექტრონული კომერციის პლატფორმის მოწყობისთვის მომზადებული საპროექტო დოკუმენტაცია; შემუშავებული საინფორმაციო და ელექტრონული კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების საშუალო ვადიანი სტრატეგია; შემუშავებული ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ახალი საინფორმაციო და საფოსტო სივრცის ჩამოყალიბების კონცეფცია;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%;

შესაძლო რისკები - პროექტების დროულად ვერ მომზადება

14.

საბაზისო მაჩვენებელი - ჩატარებულია საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის კვლევა 6 ძირითად მიმართულებით: საცხოვრებელი, საოფისე, სასაწყობო, სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და გასართობი ბაზრების მიმოხილვა. დამზადებულია საინვესტიციო ბროშურები. შემუშავდა ინდიკატორები და სამუშაოს აღწერილობა კონსულტანტი

	კომპანიისთვის, რომელიც განახორციელებს სექტორის შესწავლას. კვლევა მომზადებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე; მიზნობრივი მაჩვენებელი - საინვესტიციო შესაძლებლობების იდენტიფიცირება და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა. პოტენციური საჯარო/კერძო პარტნიორობის იდენტიფიცირება, ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა; კონკრეტული სექტორების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება. დაინტერესებული პირების ინფორმირება, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას იდენტიფიცირებულ პრიორიტეტულ სექტორში პრიორიტეტული სექტორის განვითარება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - ინვესტორების ჩართულობა
--	---

ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (23 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა, განვითარება, მომსახურება, მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა; ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა; ფინანსთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი IT პროდუქტების, ელექტრონული სერვისებისა და მომსახურების კვლევა და ანალიზი; პროგრამული უზრუნველყოფის ახალი სისტემების შექმნა, დანერგვა და მომსახურება; ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების ხელშეწყობა; ელექტრონული მთავრობის კომპონენტების განვითარება და შესაბამისი სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების მიწოდება; ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მაღალი მდგრადობა; საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება (რომელშიც ჩართულია ყველა სახელმწიფო უწყება); მიწოდებული სერვისების ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

	სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციების ვებ-გვერდების, საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალისა და დიზაინის შემუშავება/განახლება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) კომპონენტები (eBudget, eTreasury, eDMS, eHRMS) დანერგილია ადგილობრივ თვითმმართველობებში და სსიპ-ებში; საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები; მიზნობრივი მაჩვენებელი - PFMS-ის კომპონენტების ფარგლებში (eBudget, eTreasury, eDMS, eHRMS) არსებული ფუნქციონალის დახვეწა/გაუმჯობესება და სისტემის გარეთ დარჩენილი პროცესების ავტომატიზება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაბალი; შესაძლო რისკები - მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება 2. საბაზისო მაჩვენებელი - შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის ელექტრონული აუქციონი (eAuction); მიზნობრივი მაჩვენებელი - eAuction საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალის და დიზაინის შესაბამისობაში მოყვანა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაბალი; შესაძლო რისკები - მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება 3. საბაზისო მაჩვენებელი - ქვეყნის მასშტაბით 100-ზე მეტ ორგანიზაციაში დანერგილი საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა eDocument და ჩართული 20.0 ათასამდე მომხმარებელი; უზრუნველყოფილია სხვა საინფორმაციო სისტემებთან მონაცემთა გაცვლა Interflow სერვისით; მიზნობრივი მაჩვენებელი - eDocument სისტემის ფუნქციონალობა შესაბამისობაშია დამკვეთის მოთხოვნებთან; ყველა მომხმარებელ ორგანიზაციაში სისტემის ახალი ვერსიის შემუშავება და დანერგვა; სხვა საინფორმაციო სისტემებთან 4. საბაზისო მაჩვენებელი - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაკვეთით შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემა (eNRMS); მიზნობრივი მაჩვენებელი - eNRMS საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალი და დიზაინი შესაბამისობაში მოყვანა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაბალი 5. საბაზისო მაჩვენებელი - შემუშავებული და ექსპლუატაციაში გაშვებულია რამდენიმე ათეული ვებგვერდი. შემუშავების და

	განვითარების პროცესშია სხვა ავტომატიზებული სისტემები, მათ შორის, მთავრობის ადმინისტრაციის დაკვეთით შემუშავებულია საერთაშორისო დახმარებების მართვის ელექტრონული სისტემა (eAIMS); მიზნობრივი მაჩვენებელი - ვებ-გვერდების, საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალისა და დიზაინის შესაბამისობაში მოყვანა ტექნიკური დავალების და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებთან; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაბალი; შესაძლო რისკები - ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება
--	--

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (47 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი
პროექტის აღწერა და მიზანი	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება; სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა, მართვა, წარმოება, გავრცელება და ანგარიშგება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება; დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განხორციელდება კვლევების მართვა და მიიღება შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ინსტიტუტების შეფასება; ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და სანდოობა

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (47 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სტატისტიკური კვლევების მომზადება, განხორციელება და შედეგების გავრცელება, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალისა და საინვესტიციო მიკრო კლიმატის შეფასება, სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება, ბიზნეს სექტორში (აგრეთვე არაკომერციულ ორგანიზაციების სექტორში) მიმდინარე მოვლენების და პროცესების ანალიზი, შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროში კერძო და სახელმწიფო სექტორში, მიმდინარე დემოგრაფიული კვლევა; სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება.

	მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შეფასების მიზნით მოსახლეობის უთანაბრობის, დასაქმებისა და უმუშევრობის, შემოსავლებისა და ხარჯების და სხვა მაჩვენებლების დადგენა; ტურიზმის სტატისტიკის კვლევა; ენერგორესურსების მოხმარების სტატისტიკის კვლევა. ინოვაციური აქტივობების და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები სხვადასხვა სექტორში
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მიღებულ იქნება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეების მიხედვით შეფასების მაღალი ხარისხის მაჩვენებლები, რომელთა ბაზაზე გაიანგარიშება ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორები; მოსახლეობის უთანაბრობის მაჩვენებლების, მოსახლეობის ცხოვრების დონის (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები), მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის (დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები), ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლების გასაანგარიშებლად საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა, სამომხმარებლო კალათის დადგენისათვის საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა; მიღებული იქნება როგორც მიმდინარე (წინასწარი), ასევე საბოლოო მრავალფეროვანი სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ. მიღებულ იქნება მონაცემები ინოვაციური აქტივობების და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ სხვადასხვა სექტორში
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - მონაცემთა ანალიზი და შედარებები; საერთაშორისო ექსპერტული შეფასებები; ერთობლივი საკონტროლო ღონისძიებების რაოდენობა ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან ერთად; სხვადასხვა ჭრილში დამატებით ახალი მონაცემების გამოქვეყნების შესაძლებლობა

სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (49 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებზე ცნობადობის ამაღლება; არსებული და პოტენციური ინვესტორებისათვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა და მათ მიერ წამოწყებული სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა;

	ქვეყნისათვის პრიორიტეტულ სექტორებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საჭირო სამუშაოების ჩატარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სათანადო დონეზე შენარჩუნდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, განვითარდება ქვეყნისათვის პრიორიტეტული სექტორები და შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს უშუალო ჩართულობითა და განხორციელებული აქტივობების მეშვეობით 2016 წლის განმავლობაში დაიგეგმა/მიმდინარეობს 28 პროექტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - მიმდინარე/დაგეგმილი საინვესტიციო საბაზისო პროექტების განხორციელებით 2017 წელს ინვესტიციების მოცულობა გაიზრდება საბაზისო მაჩვენებლის 24%-ით, ხოლო 2018-2020 წლებში ჯამში ინვესტიციების მოცულობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება 120%-ით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - გასული წლების ანალიზის საფუძველზე ცდომილება შესაძლოა იყოს დაახლოებით 15-20%; შესაძლო რისკები - ინვესტიციების პროგნოზირებადი ოდენობის ცვლილება შესაძლებელია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის: რყევები საერთაშორისო ბაზრებზე, კომპანიების მიერ საქმიანობის წამოსაწყებად გასავლელი პროცედურების (მათ შორის ლიცენზიების/ნებართვების მიღების) ხანგრძლივობა, ბაზარზე კონკურენტების გამოჩენა, რომელმაც შესაძლებელია განსაზღვროს საქმიანობის გაფართოების საჭიროება ან პირიქით და სხვა 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლისათვის სააგენტოს ხელშეწყობით მიმდინარე პროექტებში დასაქმებულ პირთა ოდენობა შეადგენს 1100 ადამიანს; მიზნობრივი მაჩვენებელი - დაწყებული/დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების ფარგლებში 2017 წელს მოსალოდნელია საბაზისო მაჩვენებლის 20%-ით გაზრდა, ხოლო 2018-2020 წლებში ჯამურად საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით - 60%-ით გაზრდა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - ცდომილების ალბათობა შესაძლოა იყოს დაახლოებით 15-20 %; შესაძლო რისკები - ადამიანთა დასაქმება პირდაპირ დაკავშირებულია ინვესტიციების მოცულობის ცვლილებასთან. შესაბამისად ის რისკები, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინონ ინვესტიციების პროცესზე, ავტომატურად მოახდენენ გავლენას დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებაზე

სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (56 00)	
პროგრამის	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

განმახორციელებელი	
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა; საინფორმაციო ქსელის შექმნა, რომელიც ახორციელებს მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციას და ანალიზს, უზრუნველყოფს შესაბამის მონაცემთა აღრიცხვის ბაზის შექმნასა და ფუნქციონირებას.

სსიპ – კონკურენციის სააგენტო (43 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - კონკურენციის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის ხელშეწყობა; ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვა, რომელიც ითვალისწინებს: დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას; კონკურენციის შემზღუდავი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების დაუშვებლობას; სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდავი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა; კონკურენციის შემაფერხებელი სახელმწიფო დახმარებების დაუშვებლობა; კონკურენციის სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; ქვეყნის კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენციის ხელშეწყობა. ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში დაცული იქნება თანასწორუფლებიანობის პრინციპები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით დასრულებული მოკვლევების 6 ფაქტი; კარტელური გარიგების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით დასრულებული მოკვლევების 5 ფაქტი; სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით დასრულებული მოკვლევების 6 ფაქტი; შესაბამის ბაზრებზე მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის საკითხის შესწავლის 7 ფაქტი; ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან დასმული პრობლემების გადაჭრის მიზნით, სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა 6 საკითხი და შესაბამისი რეკომენდაციები წარედგინა საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას; მიზნობრივი მაჩვენებელი - კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვის მიზნით, კერძოდ-ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვების დათანადო პირობების უზრუნველყოფა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტების თანასწორუფლებიანობის დაცვა; ეკონომიკურ აგენტთა შორის არამართლობიერი შეზღუდვის დაუშვებლობა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ეკონომიკური აგენტებისათვის კონკურენციის არამართობიერი შემზღუდველი ექსკლუზიური უფლებების მინიჭების დაუშვებლობა; შესაძლო რისკები - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმების არსებობა ცალკეულ სასაქონლო ბაზარზე; შერწყმების განხორციელება, რითაც იზღუდება სამართლიანი კონკურენცია; კონკურენციის შემზღუდველი სახელმწიფო დახმარებების გაცემა

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (52 00)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
პროექტის აღწერა და მიზანი	სხვადასხვა ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან და ბიზნეს-გაერთანებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და მჭიდრო თანამშრომლობა; ბიზნეს-ფორუმების, კონფერენციების, გამოფენებისა და ორმხრივი შეხვედრების ორგანიზება ქართული და უცხოური ბიზნეს-წრეების წარმომადგენლების მონაწილეობით და აგრეთვე, ქართული კომპანიების

	საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა და როლდშოუების ორგანიზება; ქართულ და უცხოურ კომპანიებს შორის ბიზნეს-კავშირების დამყარების ხელშეწყობა და აგრეთვე, ქართული კომპანიების ხელშეწყობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირების დამყარების, რეგიონულ/საერთაშორისო ვაჭრობის და ეკონომიკაში ინტეგრაციისა და აგრეთვე, რეგიონულ/საერთაშორისო ფინანსურ, ადამიანურ და ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით; ორმხრივი ეკონომიკური მთავრობათშორისი კომისიების მუშაობაში მონაწილეობა; საქართველოს საინვესტიციო გარემოს წარდგენის, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ქვეყნებში წარმომადგენლობების გაფართოვება; საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და შრომის ბაზრის გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა; მეწარმე სუბიექტების ინტერესების გათვალისწინებით, არსებული სერვისების გაუმჯობესება/ახალი სერვისების შემუშავება და პალატის ვებ-გვერდის მეშვეობით ელექტრონული სერვისების დანერგვა; მეწარმე სუბიექტების ბიზნეს-კატალოგის შექმნა; ევროკავშირში ექსპორტით დაინტერესებული მეწარმე სუბიექტებისათვის ტრენინგების ჩატარება ევროკავშირისა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ძალაში შესვლის შემდეგ ამოქმედებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით; საქართველოს ბიზნეს-სუბიექტების ინტერესების დაცვისა და მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობის მიზნით სამთავრობა კომისიების, ინვესტორთა საბჭოს, დავების საბჭოსა და სამინისტროებთან არსებული საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობაში მონაწილეობა; „ერთი ფანჯრის“ პრინციპზე დაფუძნებული DCFTA საინფორმაციო ცენტრის შექმნა, რომლის მიზანია საზოგადოების ცნობადობის გაზრდა DCFTA შეთანხმებით გათვალისწინებულ მთავარ საკითხებთან დაკავშირებით, ევროკავშირში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციისა და საქართველო-ევროკავშირის შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა და აგრეთვე, კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა და საკანონმდებლო ცვლილებებთან ადაპტაციის ხელშეწყობა;
--	--

	საქართველოს რეგიონების ბიზნეს-კომპანიებთან შეხვედრების, ტრენინგების, სემინარების, ფორუმებისა და პრეზენტაციების გამართვა და ასევე, კონსულტაციების გაწევა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და პრობლემატური საკითხების გაცნობის მიზნით; წარჩინებული სტუდენტების წახალისებისა და მათი პროფესიული უნარჩვევების განვითარებისათვის პროფესიონალთა ფონდის შექმნა; კომერციული და საინვესტიციო ხასიათის საერთაშორისო დავების განხილვის მიზნით საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განვითარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქართული კომპანიების მიერ გაფართოვებული ბიზნეს-კავშირები და საზღვარგარეთ მოძიებული პარტნიორების გაზრდილი რიცხვი; ევროკავშირში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია, საქართველო-ევროკავშირის შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა; ფიზიკური პირების მიერ რეალიზებული ინოვაციური ბიზნეს-გეგმები; კომერციული და საინვესტიციო ხასიათის საერთაშორისო დავების ეფექტურად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხილვის შესაძლებლობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით 2016 წელს ჩატარდა 29 ბიზნეს-ფორუმი, როგორც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 100-ზე მეტმა კომპანიამ. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები და დამყარდა კავშირები, რამაც ბიზნეს-სუბიექტებს ხელი შეუწყო საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში. მიზნობრივი მაჩვენებელი - საზღვარგარეთ ქართული კომპანიების მიერ ბიზნეს-კავშირების გაფართოვება და ბიზნეს-პარტნიორების რიცხვის გაზრდა.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა (23 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობა; კერძო სამართლის სუბიექტების შესახებ ფინანსური და მმართველობითი მონაცემების შემცველი სანდო საინფორმაციო

	სისტემის (ანგარიშგებების პორტალი და აუდიტორთა რეესტრი) შექმნა და მართვა, რაც ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეებს (ინვესტორები, კრედიტორები, მომწოდებლები, ბანკები, მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო უწყებები) სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავების უზრუნველყოფა, ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ყოველწლიური განახლება, გარკვეული კატეგორიის საწარმოებისათვის და ა(ა)იპ-ებისათვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დადგენა; საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით ბუღალტრებისა და აუდიტორების პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირება და მონიტორინგი.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში სამართალდარღვევათა თავიდან აცილება/გამოვლენა; შემუშავებული ერთიანი პოლიტიკა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ერთიანი პოლიტიკისა და ანგარიშგების სტანდარტების არარსებობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში შემუშავებულია ერთიანი პოლიტიკა და დადგენილია ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები

სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (24 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მომსახურების სფეროს და დიაპაზონის გაფართოება, CIB პროგრამის II ეტაპის ფარგლებში ეტალონური ბაზის განახლება; საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში ინტეგრაცია. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA), ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში (TBT) ნაწილის შესაბამისად და მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო აღიარების მიღწევა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზომვების პრიორიტეტული სფეროებში ყველა დაინტერესებული მხარისათვის (საწარმოები, ლაბორატორიები, ადმინისტრაციული და მარეგულირებელი ორგანოები) ახალი და გაფართოებული დიაპაზონის მომსახურების შეთავაზება; ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და საერთაშორისო მოთხოვნებთან მიახლოება. სტანდარტების

	დეპარტამენტის ფუნქციონირება ხარისხის მენჯმენტის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, საერთაშორისო და რეგიონალური (ევროპული) სტანდარტების ხელმისაწვდომობის გაზრდა ელექტრონული და სხვა დისტანციური საშუალებების მეშვეობით, საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალურ სტანდარტების გაზრდილი რაოდენობა; განახლებული და თანამედროვე ელექტრონული საშუალებების ფართოდ გამოყენება სტანდარტიზაციის სფეროში და სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტების გაზრდილი რაოდენობა საქართველოს ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - განახლებულია ეტალონური ბაზები: გეომეტრიული გაზომვები; წნევა და ძალა; ტემპერატურა და ტენიანობის გაზომვები; დიდი მასები და მცირე მოცულობები; რადიოფიზიკა, დრო და სიხშირე, ოპტიკა და აკუსტიკა; ფიზიკო-ქიმიური გაზომვები; ვიზრაცია, ნივთიერებათა ხარჯი, რადიაციული გაზომვები; მიზნობრივი მაჩვენებელი - განახლებული 3 ლაბორატორია. სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში ინტეგრაცია; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%; შესაძლო რისკები - შესაძლოა ვერ მოხერხდეს აღჭურვილობის დროული შეძენა შესაბამისი მომწოდებლების მოძიების სიძნელის გამო 2. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს სტანდარტად მიღებულია 7 300 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობა - 9 100 (საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი)

აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (24 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოების და პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციაში სრულად დანერგვა (ISO/IEC 17065-ის, ISO/IEC 17024-ის და ISO/IEC 17025-ის ბოლო ვერსიები); შესაბამისობის შეფასების ბაზარზე აკრედიტაციის ახალი მიმართულებების შეთავაზება. კერძოდ საკვალიფიკაციო გამოცდების ჩამტარებელი პირების აკრედიტაციის სქემის შემუშავება საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17043-ის შესაბამისად:ევროპული დახმარების (CIB) ინსტრუმენტის ფარგლებში, ევროკავშირის პრაქტიკასთან აკრედიტაციის

	ცენტრის შემდგომი დაახლოების პროექტის განხორციელება და აკრედიტაციის საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვრ მხარედ გახდომა EA-ს BLA.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შესაბამისობის შეფასების ბაზარზე აკრედიტაციის ახალი მიმართულებების შეთავაზება. კერძოდ, საკვალიფიკაციო გამოცდების ჩამტარებელი პირების აკრედიტაციის სქემის შემუშავება საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17043-ის შესაბამისად (2017წ); ევროპული დახმარების (CIB) ინსტრუმენტის ფარგლებში, ევროკავშირის პრაქტიკასთან აკრედიტაციის ცენტრის შემდგომი დაახლოების პროექტის განხორციელება (2015-2017 წწ); აკრედიტაციის საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვრ მხარედ გახდომა EA-ს BLA (2017-2020 წწ).
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაცია ISO-ს სტანდარტების თანახმად . 2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით დასრულდა ISO 15189, ISO/IEC 17065-ის, ISO/IEC 17024-ის ბოლო ვერსიების აკრედიტაციის სისტემაში დანერგვა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ISO/IEC სერტიფიკაციის ორგანოების და პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციაში სრულად დანერგვა 2. საბაზისო მაჩვენებელი - კანონმდებლობით რეგულირებადი ყველა სფერო ათვისებულია, გარდა ციფრული ხელმოწერის სერტიფიკაციის ორგანოებისა; მიზნობრივი მაჩვენებელი - საკვალიფიკაციო გამოცდების ჩამტარებელი პირების აკრედიტაციის სქემა საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17043-ის შესაბამისად. შესაბამისობის შეფასების ბაზარზე აკრედიტაციის ახალი მიმართულებები, აკრედიტაციის პროცესების განხორციელების ვალდებულება 3. საბაზისო მაჩვენებელი - აკრედიტაციის ცენტრი არის EA-ს (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) ასოცირებული წევრი; მიზნობრივი მაჩვენებელი - აკრედიტაციის ცენტრი არის EA-ს ორმხრივი აღიარების შეთანხმება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - გეოპოლიტიკური ვითარების გავლენა

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (47 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი
პროექტის აღწერა და	საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის 2013 წლის 2 აპრილს დამტკიცებული,

მიზანი	საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელდება საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემთა კომპიუტერული დამუშავება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის რიცხოვნობისა და მათი სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის დადგენა; ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების და საზოგადოების ინფორმირება; არსებული სიტუაციის შესწავლის, შეფასებისა და პროგნოზირების საფუძველზე ქვეყნის უახლესი ათწლეულის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სტრატეგიის შემუშავება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - აღწერის მონაცემთა სიზუსტე და მათი გამოყენება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამეცნიერო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, მეწარმეებისა და მოქალაქეების მიერ

მიქცეული ქონების ეფექტური განკარგვა (23 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ელექტრონული აუქციონების პორტალის (www.eauction.ge) მეშვეობით უძრავ/მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისა და ქონების სარგებლობაში გადაცემის უზრუნველყოფა; ქონების განკარგვის გამჭვირვალე, კონკურენტული და გამარტივებული პროცესების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქონების განკარგვის გამჭვირვალე, კონკურენტული და გამარტივებული პროცესების უზრუნველყოფა ფუნქციურად განახლებული ელექტრონული სისტემების საშუალებით; სახელმწიფო ქონების განკარგვის გაზრდილი ეფექტურობა; ელექტრონული აუქციონების პორტალის დახვეწა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ელექტრონული აუქციონების პორტალის მომხმარებელთა რაოდენობა - 71.3 ათასი (2016 წლის 9 თვის მდგომარეობით); მიზნობრივი მაჩვენებელი - ელექტრონული აუქციონების პორტალის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა საშუალოდ 15%-20%-ით

სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამა (47 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი

შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამა (47 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი

ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	52,091.00	52,091.00	0.00	54,695.60	57,430.00	60,302.00
06 02	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	35,321.65	35,321.65	0.00	38,172.00	0.00	38,792.00
04 01	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	15,779.00	15,779.00	0.00	15,779.00	15,779.00	15,779.00
05 01	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი	14,517.20	14,517.20	0.00	14,952.70	15,402.30	15,864.40
06 04	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	12,785.00	12,785.00	0.00	12,785.00	12,785.00	12,785.00
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	11,197.41	11,197.41	0.00	11,250.00	11,500.00	11,750.00
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9,800.00	9,800.00	0.00	9,800.00	9,800.00	9,800.00
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	7,900.00	7,900.00	0.00	8,000.00	8,000.00	8,000.00
26 03	ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების	8,585.00	6,150.00	2,435.00	10,200.00	11,700.00	11,700.00

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
	ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა						
53 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	4,900.00	4,900.00	0.00	6,100.00	6,400.00	6,900.00
41 01	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ლონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	4,500.00	4,500.00	0.00	5,445.00	5,990.00	6,590.00
26 08	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	46,860.00	4,200.00	42,660.00	49,605.00	46,605.00	46,605.00
26 10	იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	15,175.00	3,500.00	11,675.00	17,120.00	24,700.00	23,680.00
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3,500.00	3,500.00	0.00	3,500.00	3,500.00	3,500.00
26 05	ელექტრონული მმართველობის განვითარება	2,530.00	2,250.00	280.00	3,550.00	4,000.00	4,900.00
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	1,900.00	1,900.00	0.00	1,900.00	1,900.00	1,900.00
26 09	მიწის ბაზრის განვითარება (WB)	1,800.00	1,800.00	0.00	2,035.00	0.00	0.00
48 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,300.00	1,300.00	0.00	1,300.00	1,300.00	1,300.00
06 03	საარჩევნო ინსტიტუტის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1,195.94	1,195.94	0.00	1,170.00	1,190.00	1,200.00
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,140.00	1,140.00	0.00	1,200.00	1,200.00	1,200.00
26 06	ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება	4,500.00	1,000.00	3,500.00	4,100.00	3,700.00	4,000.00
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის –	990.00	990.00	0.00	990.00	990.00	990.00

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
	გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში						
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში	850.00	850.00	0.00	850.00	850.00	850.00
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში	800.00	800.00	0.00	800.00	800.00	800.00
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	800.00	800.00	0.00	800.00	800.00	800.00
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში	685.00	685.00	0.00	685.00	685.00	685.00
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის	675.00	675.00	0.00	675.00	675.00	675.00

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
	მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში						
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში	650.00	650.00	0.00	650.00	650.00	650.00
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში	635.00	635.00	0.00	635.00	635.00	635.00
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში	615.00	615.00	0.00	615.00	615.00	615.00
26 12	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	43,251.00	0.00	43,251.00	42,600.00	40,755.00	40,090.00
26 11	ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება	3,510.00	0.00	3,510.00	2,570.00	2,570.00	2,570.00
05 02	სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	800.00	0.00	800.00	810.00	820.00	830.00
	სულ	311,538.2	203,427.2	108,111.0	325,339.3	293,726.3	336,737.4

საკანონმდებლო საქმიანობა (01 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს პარლამენტი როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონტროლს უწევს საქართველოს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და პარლამენტის რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია

არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (06 02)	
პროექტის აღწერა და მიზანი	არჩევნების დაგეგმვა - სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; არჩევნების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარის შესყიდვა; კომპეტენციის ფარგლებში საარჩევნო ინვენტარის შესყიდვა; საიმიჯო კამპანიის წარმოება საარჩევნო პერიოდში; ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა; გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა; საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სამართლიანად შემდგარი არჩევნები; საარჩევნო პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტის კანონიერი უფლების დაუბრკოლებელი რეალიზაცია; საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური მოხელეები; არჩეული საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებული და განხილული დავების რაოდენობა 2. მიზნობრივი მაჩვენებელი - საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო საარჩევნო კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევების რაოდენობა ზემდგომი კომისიის ან სასამართლოს მიერ 3. მიზნობრივი მაჩვენებელი - ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიის დროს მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც მოიცავს მედია საშუალებების დაფარვის არეალმა 4. მიზნობრივი მაჩვენებელი - კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა მხრიდან ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებით ცესკოს კონტაქტ ცენტრში შემოსული ზარების რაოდენობა 5. მიზნობრივი მაჩვენებელი - სასწავლო პროგრამებში მონაწილე საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა 6. მიზნობრივი მაჩვენებელი - არჩევნებში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ჩატარებული სასწავლო პროგრამების რაოდენობა 7. მიზნობრივი მაჩვენებელი - დამოუკიდებელი დამკვირვებელი ორგანიზაციების მხრიდან დადებითი შეფასებები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი (05 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
პროექტის აღწერა და	საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამედროვე, დამოუკიდებელ, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ

მიზანი	ჩამოყალიბება, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სარგებლობს საზოგადოების მაღალი ნდობით; უმაღლესი აუდიტორული ორგანოების თანამედროვე სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა და აუდიტორთა პროფესიული ცნობიერების ამაღლება აუდიტორული ცოდნითა და უნარებით; გარე აუდიტის შესაძლებლობების, საკანონმდებლო მანდატისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი; სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების მიზნობრიობის დაცვის და ეფექტიანობის ხელშეწყობა; აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდა; ინფორმაციული სისტემების (IT) აუდიტის დანერგვა; კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებაში ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად წარმართვა; საჯარო ფინანსების მართვის განვითარების ხელშეწყობა.

პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (06 04)	
პროექტის აღწერა და მიზანი	”მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა; არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საარჩევნო თემატიკაზე საგრანტო კონკურსების ჩატარება და გრანტებისათვის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების განაწილების უზრუნველყოფა.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქალების, მოწყვლადი ჯგუფებისა და ზოგადად ამომრჩევლების საარჩევნო პროცესში ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა; საარჩევნო სფეროში პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ჩატარებული საგრანტო კონკურსები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა

საარჩევნო გარემოს განვითარება (06 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
პროექტის აღწერა და მიზანი	მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალპროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების ჩატარება კანონმდებლობის დაცვით და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა თავისუფლად განახორციელონ საარჩევნო უფლება; ინსტიტუციური გაძლიერება: საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცება, ეფექტური საბიუჯეტო პოლიტიკის და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრება, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანა; სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლება, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა; საარჩევნო გარემო: საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა, კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობა; საარჩევნო პროცესების დაგეგმვა, ყველა ტიპის არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა.

სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება

და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (26 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამა წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ სხვადასხვა მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას: შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; კანონშემოქმედებით სფეროში პარლამენტისა და სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია; სამართლის ცალკეული დარგის განვითარების აუცილებლობისა და პერსპექტივების შესწავლა, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესწავლა და ანალიზი, სხვა სამინისტროებისა და დარგობრივი უწყებების პრობლემატიკის შესწავლა სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების მიზნით; ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესწავლა; მოქმედი ნორმატიული აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა და სამართლებრივი კოლიზიების აღმოფხვრის თაობაზე წინადადებების, დასკვნებისა და პროექტების მომზადება; სხვადასხვა პრიორიტეტული სფეროს განვითარების (სისხლის სამართალი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, შრომის სამართალი, დემოკრატიული მმართველობა და ანტიკორუფციული რეფორმა, ინფორმაციის თავისუფლება და სხვა) მიზნით საკანონმდებლო ინიციატივების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; ეროვნული კანონმდებლობის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა და ა.შ. პროგრამა მოიცავს, ასევე, კანონის უზენაესობის, მართლმსაჯულების, დემოკრატიული მმართველობის სფეროებში საჯარო პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების ხელშეწყობის ღონისძიებებს; შედარებით სამართლებრივ და სოციოლოგიურ კვლევებს; საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე, კანონმდებლობით განსაზღვრული კატეგორიის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სამართლებრივ ექსპერტიზას და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან მათი შესაბამისობის დადგენას; საზღვარგარეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამართლებრივი თანამშრომლობის პოლიტიკის შემუშავებასა და წარმართვას; აგრეთვე, სამართლებრივი პოლიტიკის შემუშავებასა და იმპლემენტაციას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნულ დონეზე იმპლემენტაცია, წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა, გაერო-ს სანქციების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაცია; ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო ორგანოებში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილ საჩივრებზე მიმდინარე დავებში წარმომადგენლობის განხორციელებას და სხვა. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება საქართველოს სასამართლო ინსტანციებში მიმდინარე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლობა; უცხო ქვეყნების სასამართლოებსა და არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობა; აგრეთვე, სახელმწიფო წარმომადგენლობა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაერო-ს სახელშეკრულებო (ადამიანის უფლებათა დაცვის კვაზი სასამართლო) ორგანოებში მიმდინარე საქმეებზე; ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების საქმეების მართვა და კოორდინაცია; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების მიერ საქართველოსთან მიმართებით გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულება; სისხლის სამართლის საერთაშორისო

	სასამართლოსთან თანამშრომლობა და სხვა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირება, ორგანიზაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა; უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნოს ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება და მონიტორინგის მექანიზმის დახვეწა; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ყოველწლიური განახლება; იმპლემენტაციის პროცესში უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია; წლიური პროგრესის შესახებ ანგარიშების მომზადება; მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ფინანსური შეთანხმების პირობების შესრულების ხელშეწყობა და პირობების შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადება და ევროპის კავშირის დელეგაციისათვის წარდგენა; მოხდება, ასევე, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ყოველწლიური განახლება, ანტიკორუფციული პოლიტიკის შესრულების ახალი მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის ბოლო ექვსი თვის პროგრესის, 2016 წლის მონიტორინგის ანგარიშისა და 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება. ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლებისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმების შემუშავება, ანტიკორუფციული საბჭოს ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშების მომზადება და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა; ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში დაგეგმილ საერთაშორისო ღონისძიებებში საქართველოს წარმომადგენლობის მონაწილეობის უზრუნველყოფა და სხვა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	• საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოების სახელმძღვანელო. • ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების სამოქმედო გეგმა. • „ღია მმართველობა საქართველოს“ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ევროკავშირის სამართალთან დაახლოების ძირითადი პრინციპები და მეთოდები არ არის შესწავლილი; უწყებებს არ აქვთ ერთიანი მიდგომა; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელს შემუშავებული სახელმძღვანელო და ჩატარებული პრეზენტაციები; ცდომილების აღბათობა (%/აღწერა) - სახელმძღვანელო შეიძლება გამოიცეს 2016 წელს, ხოლო პრეზენტაციები და ტრენინგები 2017 წლის განმავლობაში 2. საბაზისო მაჩვენებელი - ხორციელდება ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, სისხლის სამართლებრივი დევნისა და თანამშრომლობის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების კოორდინაცია და მონიტორინგი; მუშავდება თემატური საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები; ხორციელდება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელს: 1. შემუშავებულია ახალი ორწლიანი სამოქმედო გეგმა; 2. შემუშავებულია 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში; 3. შემუშავებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების პროექტები; 4. ჩატარებულია ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები 3. საბაზისო მაჩვენებელი - ღია მმართველობის პარტნიორობისათვის წარდგენილია 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში წარდგენილია ღია მმართველობის პარტნიორობისთვის; 2018 წელი - ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიში წარდგენილია ღია მმართველობის პარტნიორობისთვის; 2019 წელი - ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში წარდგენილია ღია მმართველობის პარტნიორობისთვის; 2020 წელი - ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიში წარდგენილია ღია მმართველობის პარტნიორობისთვის
--	---

ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (26 03)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ეროვნული საარქივო ფონდის შევსება მატერიალური ან/და ელექტრონულ მატარებელზე არსებული დოკუმენტებით, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ბაზის ფორმირება და მისი მუდმივი განახლება, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების აღწერა და ცენტრალიზებული აღრიცხვა (მათ შორის, ელექტრონული ფორმით), ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვისა და შენახვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა, დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია. პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივ არქივებში დაცული დოკუმენტების გადატანა/განთავსებას რეგიონული არქივების გარემონტებულ შენობებში, სადაც უზრუნველყოფილია საარქივო დოკუმენტების დაცვისა და შენახვის სათანადო პირობები. გარდა ამისა, ეროვნული საარქივო დოკუმენტების დაცულობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით იმ არქივებში, რომლებიც ტერიტორიულ ერთეულებში დარჩებიან ადგილობრივი წარმომადგენლობების/არქივების სტატუსით, ეტაპობრივად განხორციელდება შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია. მოქალაქეზე ორიენტირებული მომსახურების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით შეიქმნება და განვითარდება სხვადასხვა სისტემა, მათ შორის: მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული სისტემა; ეროვნული საარქივო ფონდის მკვლევართა აღრიცხვისა და მართვის სისტემა; გენეალოგიური მონაცემების აღრიცხვის

	ელექტრონული სისტემა; გარდა ამისა, შეიქმნება და განვითარდება ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების (ტექსტური, ფოტოფონოვიდეოდოკუმენტები, რუკები) ელექტრონული კატალოგები. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ასლების ხელმისაწვდომობის გაზრდის, ფიზიკური და იურიდიული პირების სწრაფი და ხარისხიანი მომსახურების, დოკუმენტების დედნების დაუზიანებლად შენარჩუნებისა და ეროვნული მემკვიდრეობის დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება დოკუმენტების ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა; სერვერული ინფრასტრუქტურის განვითარება; ელექტრონული საარქივო დოკუმენტების ანოტირების სტანდარტების დანერგვა. პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების უკეთეს პირობებში შენახვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით თანამედროვე სისტემებით აღჭურვილი ქუთაისის ცენტრალური არქივის შენობის მშენებლობის დასრულებასა და შესაბამისი ინვენტარით მოწყობას.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაცულ გარემოში განთავსებული არქივის დოკუმენტები; მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული, დახვეწილი და განახლებული პროგრამული სისტემები; შექმნილი ელექტრონული არქივი და ელექტრონული მასალების ხელმისაწვდომობის მაღალი დონე.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - აშენდა/გარემონტდა და აღიჭურვა 4 არქივი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - აშენდა და აღიჭურვა 1 არქივი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1%-2%; შესაძლო რისკები - ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შეფერხება 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის I კვარტლის მდგომარეობით, ცენტალიზაციას დაექვემდებარა 38 ადგილობრივი არქივი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - 3 არქივის ცენტრალიზაცია (საჩხერე, ჭიათურა და ტყიბული); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - ადგილობრივი არქივი +/-1; შესაძლო რისკები - ცენტრალიზაციასთან დაკავშირებული სამშენებლო-სარემონტო და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შეფერხება 3. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს ეროვნული არქივის შენობები გასული საუკუნის 70-იან წლებშია აშენებული და არ ჩატარებულა კაპიტალური რემონტი. პროექტის ფარგლებში 2015-2016 წლებში 7 ადგილობრივ არქივში განხორციელდა

	სარემონტო სამუშაოები; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში, გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში არანაკლებ 50% მოწესრიგება - რემონტი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - ცენტრალიზაციასთან დაკავშირებული სამშენებლო-სარემონტო და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შეფერხება 4. საბაზისო მაჩვენებელი - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული რეესტრი; აფხაზეთის ვირტუალური არქივი; ფოტო, საეკლესიო და ფონდების ელექტრონული კატალოგები; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში, ყოველწლიურად დამატებით ორი ელექტრონული სერვისის გაშვება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - +/- 1 სერვისი; შესაძლო რისკები - ფინანსური რესურსის სიმცირე 5. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის I კვარტლის მდგომარეობით, ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნის ფარგლებში დასკანერდა 3 000 ათას დოკუმენტზე მეტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში, ყოველწლიურად ელექტრომატარებლებზე გადატანილ იქნება დამატებით 700 ათასი გვერდი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 4%-5%; შესაძლო რისკები - მწყობრიდან გამოსული ძვირადღირებული სკანერული აპარატურის სწრაფად ჩაუნაცვლებლობა. სკანირების ჯგუფში ადამიანური რესურსების მკვეთრი კლება
--	---

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური (53 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	2014 წლიდან იურიდიული დახმარების სამსახური წარმოადგენს დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. დღეისათვის სამსახური საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს იურიდიულ დახმარებას კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში. 2016 წლის სტატისტიკის თანახმად სამსახურში დასაქმებულმა ადვოკატებმა და კონსულტანტებმა წლის პირველ ნახევარში (6 თვე) აწარმოეს 6500 საქმე, მათ შორის: სისხლის სამართლის საქმე 5172, სამოქალაქო საქმე 892, ადმინისტრაციული საქმე 436. გაწეულ იქნა 11667 კონსულტაცია, შედგენილ იქნა 1602 იურიდიული დოკუმენტი. 2015 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა უფასო საადვოკატო მომსახურება დანერგა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის გარკვეულ საქმეებზე. ამას გარდა, 2016 წელს სამსახურს დამატებით დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები:

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა (თუ მსხვერპლი გადახდისუუნაროა); ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა დაცვა, რომელთა მიმართაც სასამართლო განიხილავს მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხს (ასეთ შემთხვევაში, პირის დაცვა სავალდებულოა); სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის გარკვეულ საქმეებზე წარმომადგენლობის განხორციელება ადმინისტრაციულ ორგანოებში (დღეის მდგომარეობით უზრუნველყოფილია მხოლოდ სასამართლოში წარმომადგენლობა); არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე, არა მხოლოდ 14-დან 18 წლამდე წლამდე ბრალდებულის, მსჯავრდებულის და გამართლებულის, არამედ 18-დან 21 წლამდე ბრალდებულის დაცვა, ასევე დაზარალებულად ცნობილი არასრულწლოვანი პირების დაცვა და გადახდისუუნარო არასრულწლოვან მოწმეთა დაცვა. ასევე, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან პირთა დაცვა იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომლებიც სახდელის სახით ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას. იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა თავშესაფრის მაძიებელი იმ პირისათვის, რომლის მიმართაც სასამართლო განიხილავს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება-შეწყვეტა-გაუქმების, ასევე თავშესაფრის მიცემის საკითხებს (ევროკავშირთან ვიზა ლიბერალიზაციის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულება).

დღეისათვის, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური თავის ფუნქციებს ცენტრალური აპარატის, 12 იურიდიული დახმარების ბიუროს, 7 საკონსულტაციო ცენტრის და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში, სამსახურის ტერიტორიული დაფარვის არეალი მნიშვნელოვნად გაიზარდა, (განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში), ოფისების ეს რაოდენობა საკმარისი მაინც არ არის. სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს ზუგდიდის და ოზურგეთის ბიუროები. ასევე განსაახლებელია მოძველებული ავტოპარკი. იგეგმება დამატებით 10 ცალი ძველი (2007წლის გამოშვება) ავტომანქანის ჩანაცვლება რეგიონალური ბიუროებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ უფასო იურიდიული დახმარება სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს კვლავაც არ აქვს საკმარისი ინფორმაცია უფასო სამართლებრივი დახმარებით სარგებლობის უფლებისა და სამსახურის ადვოკატების საქმიანობის შესახებ, ამიტომ გაგრძელდება მუშაობა სამსახურის ცნობადობის გასაზრდელად, გასვლითი კონსულტაციებისა და მედიასთან თანამშრომლობით. 2016 წლის პირველ ნახევარში, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით 135 ღონისძიება ჩატარდა. კერძოდ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში 28 სემინარი ჩატარდა; მოეწყო 25 ვიზიტი დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში. 32 საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ მოქალაქეებთან; განხორციელდა 40-ზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის, სოციალური მომსახურების სააგენტოს და სხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

პროგრამის ფარგლებში სამსახურის მიზანია:

- იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, დამატებითი ოფისების გახსნისა და საადვოკატო სერვისების

	გაფართოების მეშვეობით; - მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა, დასაქმებულთათვის ადეკვატური შრომის ანაზღაურებისა და მუდმივი პროფესიული გადამზადების მეშვეობით; - მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შესრულდება შიდაეროვნული და საერთაშორისო ვალდებულება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე საადვოკატო მომსახურების დანერგვასთან დაკავშირებით. უფასო იურიდიული დახმარება გახდება უფრო მეტად ხელმისაწვდომი და გაუმჯობესდება მომსახურების ხარისხი. გაიზრდება საზოგადოების ინფორმირებულობის დონე უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების შესახებ.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - უფასო იურიდიული დახმარების ბენეფიციართა რაოდენობა ყოველწლიურად გაიზრდება სულ ცოტა 2%-ით

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გამლიერების ღონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (41 01))

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმიური და მოულოდნელი (დაუგეგმავი) მონიტორინგის განხორციელება; წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება; მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და მათი წარდგენა; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა; ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების შესახებ განცხადების/საჩივრების მიღება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება; შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, მათი განხორციელების შეფასება; საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა და მათი გაზრდა; ადამიანის უფლებათა სფეროში საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება, მათ შორის სოციალური რეკლამის დამზადება და მედიის საშუალებით გავრცელება; სამიზნე აუდიტორიებისთვის საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება; საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენის ყოველთვიური გამოცემა;

	ადამიანის უფლებათა თემატიკაზე ყოველთვიურად საჯარო დებატების გამართვა, კონკურსების ჩატარება, სხვადასხვა პუბლიკაციების გამოცემა და გავრცელება; ტოლერანტობის კულტურის განვითარებისა და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა; უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშეწყობა; ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა; რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის მონიტორინგი, არსებული ტენდენციების გამოკვეთა და ანალიზი, ტოლერანტობის საკითხებზე რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება და წარდგენა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის; მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების ჩართულობით; ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ზედამხედველობა, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში; არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის გაძლიერება; სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგი; 24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების მომზადების ზედამხედველობა სამზრუნველო დაწესებულებიდან გასვლის მიმართულებით; საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული გენდერული თანასწორობის საკითხის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება; საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოების და ორგანიზაციების საქმიანობის, გამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების ადვოკატირება; გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება; ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგის განხორციელება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ადამიანის უფლებების დარღვევების აღმოჩენა და დაფიქსირება; საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან

	დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრა და მათი პრევენცია; დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის გამოვლინების პრევენცია; რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის გაძლიერება; სახალხო დამცველის მიერ განხილული და შესწავლილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების სახალხო დამცველის ანგარიშში და რეკომენდაციებში ასახვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა წლის განმავლობაში, ასევე ყველა ტიპის დახურული დაწესებულებების მოცვა გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში; დარღვეული უფლებების ფაქტებზე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების/წინადადებების/შუამდგომლობების რაოდენობა; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების მიზნით ჩატარებული ტრენინგების/სემინარების/სასწავლო გაცვლითი ვიზიტების აღწერა/ რაოდენობა.; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილული განცხადებების რაოდენობა, როგორც ცენტრალურ ისე რეგიონულ დონეზე, ინდივიდუალური კონსულტაციების რაოდენობა; აღდგენილი უფლებების ფაქტების და მათი რაოდენობის მონიტორინგი

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უმთავრესი ფუნქციაა მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინოვაციური მიდგომების გამოყენებით. მომსახურებათა განვითარებისას, სააგენტო ახდენს არა მარტო საკუთარი, არამედ, ზოგადად, სახელმწიფო მომსახურების განვითარების ხელშეწყობას, როგორც ცენტრალურ, ასევე, ადგილობრივ დონეზე. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაკისრებული აქვს, ერთი მხრივ, სამოქალაქო რეესტრის ფუნქციები, რაც მოიცავს მოსახლეობის ერთიანი რეესტრის წარმოებას, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციას, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემას, მოქალაქეობა-მიგრაციის პროცედურების წარმართვას, მიგრაციულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საქმიანობას, დოკუმენტის აპოსტილირებისა და ლეგალიზაციის წარმოებას, ხოლო, მეორე მხრივ, სააგენტოს საქმიანობა მიმართულია სახელმწიფო სერვისების განვითარების ხელშეწყობისკენ, რაც გულისხმობს საჯარო და კერძო უწყებების დახმარებას არსებული მომსახურების სრულყოფასა და ახალი, ინოვაციური

	მომსახურების შექმნაში. გარდა ამისა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტო ჩართულია ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების განხორციელების პროცესში და ასრულებს საერთაშორისო პარტნიორების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს (როგორც არის საჯარო მმართველობის რეფორმა, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება და სხვა). ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამის მიზანია, როგორც სააგენტოს, ასევე სხვა საჯარო და კერძო უწყებების სერვისების შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე, რაც თავის მხრივ მოიცავს: 1) სერვისების ხელმისაწვდომობის შემდგომ გაზრდას, სხვადასხვა ინოვაციური და მომხმარებლებზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებით; 2) სააგენტოს უკვე არსებული სერვისების შემდგომ გაუმჯობესებას და ახალი სერვისების განვითარებას, მომხმარებლების საჭიროებების საპასუხოდ, რაც ასევე მოიცავს ახალი ტექნოლოგიების განვითარებას და დანერგვას, უსაფრთხო და სანდო სერვისების გაცემას, მონაცემთა ბაზების შემდგომ დახვეწას და ა.შ. 3) საქართველოში მიგრაციის მართვის პროცესების გაუმჯობესების ხელშეწყობა. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ფარგლებში და საერთაშორისო პარტნიორების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანი შესრულების მიზნით, შესაბამისი სამოქმედო გეგმების განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სააგენტოს ან სხვა ორგანიზაციების არსებული და ახალი სერვისების განვითარება და ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე; ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, საქართველოში მიგრაციის მართვის მექანიზმების გაუმჯობესება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის I კვ. მდგომარეობით, საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს 33 საზოგადოებრივი ცენტრი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - საქართველოს მასშტაბით სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 43 საზოგადოებრივი ცენტრი; 2018 წელი - საქართველოს მასშტაბით სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 53 საზოგადოებრივი ცენტრი; 2019 წელი - საქართველოს მასშტაბით სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 58 საზოგადოებრივი ცენტრი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - ყოველწლიურად +/- 2 საზოგადოებრივი ცენტრი; შესაძლო რისკები - შესაბამისი უწყებების ჩართულობის ნაკლებობა; შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსები 2. საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს მიერ გაიცემა 100-ზე მეტი სერვისი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში, ყოველწლიურად, დანერგილია მინიმუმ 1 ახალი, ხოლო განვითარებულია მინიმუმ 2 არსებული სერვისი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - ყოველწლიურად +/- 1 სერვისი; შესაძლო რისკები - შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსები

	3. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოში მიგრაციის მართვის მექანიზმები საჭიროებს შემდგომ დახვეწას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - განხორციელებულია მიგრაციის სტრატეგიის 2016-2017 წ.წ. სამოქმედო გეგმა; 2018 წელი - განხორციელებულია მიგრაციის სტრატეგიის 2018-2020 წ.წ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები; 2019 წელი - განხორციელებულია მიგრაციის სტრატეგიის 2018-2020 წ.წ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები; 2020 წელი - შესრულებულია მიგრაციის სტრატეგია და მისი 2018-2020 წ.წ. სამოქმედო გეგმა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15 აქტივობა; შესაძლო რისკები - შესაბამისი უწყებების ჩართულობის ნაკლებობა; შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსები
--	---

იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 10)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - იუსტიციის სახლი
პროექტის აღწერა და მიზანი	იუსტიციის სახლი მომსახურების მიწოდების სფეროში ქართული ინოვაციაა, სადაც მუდმივად მუშავდება მომხმარებლისთვის სასურველი სერვისით სარგებლობის ალტერნატიული და უფრო მარტივი გზები. იმისათვის, რომ თითოეულ მომხმარებელს მაქსიმალურად გაუმარტივდეს სერვისების მიღება და არ მოუხდეს რამდენიმე ადგილზე ვიზიტი, აუცილებელია, იუსტიციის სახლმა დაწეროს ახალი პროდუქტები, რომლებიც მოქალაქეს შეუქმნის კომფორტს, ისარგებლოს უფრო მეტი მომსახურებით ერთი სივრცის ფარგლებში. იუსტიციის სახლის სტრატეგიულ მიზნებს წარმოადგენს მაღალი ხარისხის (სწრაფი, ეფექტიანი) მომსახურების შენარჩუნება და განვითარება; დამატებითი კერძო და სახელმწიფო სერვისების ინტეგრაცია. იუსტიციის სახლისთვის მნიშვნელოვანია, მიმდინარე პროცესების/სიახლეების შესახებ მუდმივად ინფორმირებულნი იყვნენ მიზნობრივი მომხმარებლები, რათა დროულად მოხდეს მათი უკუკავშირის მიღება სხვადასხვა ცვლილების შესახებ. იუსტიციის სახლისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირებულობა შეთავაზებული სერვისების შესახებ. იუსტიციის სახლის სერვისების ცნობადობის უზრუნველყოფის ორი ძირითადი მიზანია: იუსტიციის სახლის, როგორც სახელმწიფო სერვისების მიწოდების წარმატებული მექანიზმის, იმიჯის დამკვიდრება საზოგადოებაში და იუსტიციის სახლის პოპულარიზაცია ახალი მომხმარებლებისა და ახალი სერვისების მოსაზიდად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სახლის ფილიალებში არსებული ინფრასტრუქტურული სისტემა, ხშირ შემთხვევაში, არის დღემდე ხარვეზიანი (კონდიციონერების სისტემა, გათბობა, შენობების ზედაპირულად ან არასრულყოფილად შესრულებული ნაწილები, თბილისის ფილიალის დღემდე უკიდურესად პრობლემატური სახურავი და სხვ.) და ეს ხარვეზები საჭიროებს საბოლოოდ აღმოფხვრას; ახალი ფილიალების გახსნის შემთხვევაში, აუცილებელია მათი ტექნიკითა და ინვენტარით მომარაგება. პროგრამის ფარგლებში აღმოფხვრება ინფრასტრუქტურული ხარვეზები, რაც ხელს შეუწყობს იუსტიციის სახლის მომხმარებლებისთვის მომსახურების შეუფერხებელ მიწოდებას. იუსტიციის სახლის მიზანია, სახელმწიფო სერვისები ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მოქალაქისთვის. შესაბამისად,

	იგეგმება იუსტიციის სახლის ფილიალების გახსნა ყველა იმ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა, საშუალოდ, 20000-30000-ს უტოლდება ან აღემატება. მოცემული ოთხი წლისათვის ესენია: სამტრედია, ხაშური, სენაკი. ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში იუსტიციის სახლები მოქალაქეებს შეუქმნის ერთ სივრცეში 400-მდე სერვისის მიღების შესაძლებლობას.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი; მომხმარებელთა გაზრდილი რაოდენობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს მომხმარებელთა კმაყოფილების დონემ შეადგინა 86%; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 - 2020 წლებში მომხმარებელთა კმაყოფილების დონე 75-85%; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - ინოვაციებისა და სიახლეების ნაკლებობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს მომხმარებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 17 500 მომხმარებელს; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - მომხმარებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 22 000 მომხმარებელს. 2018 წელი - მომხმარებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 24 000 მომხმარებელს. 2019 წელი - მომხმარებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 25 000 მომხმარებელს. 2020 წელი - მომხმარებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 25 000 მომხმარებელს; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - ინოვაციებისა და სიახლეების ნაკლებობა

ელექტრონული მმართველობის განვითარება (26 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამა მიზნად ისახავს მოქალაქეებისათვის, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორისათვის სახელმწიფო ელექტრონული სერვისების უსაფრთხოდ, ეფექტურად, ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების ხელშეწყობას. სახელმწიფო ორგანიზაციების და კერძო სექტორის ინფორმაციის, საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიების ურთიერთთავსებადობის საშუალებით მონაცემების ეფექტიანად და უსაფრთხოდ გაცვლის უზრუნველყოფას. პროგრამის მიზნის სრულფასოვნად შესასრულებლად შეიქმნა მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს აპარატურულ/პროგრამულ კომპლექსს, რის საფუძველზეც ფუნქციონირებს მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის

	კრიტიკულად მნიშვნელოვანი ახალი პროდუქტები: • მოქალაქის პორტალი; • ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ინტეგრირებული სისტემა; • საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის მხარდამჭერი სისტემა. ელექტრონულ სერვისებთან ერთად სამოქალაქო და ბიზნესსექტორისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია საჯარო, სტრუქტურირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის ზრდა. ღია მონაცემების ქართულ პორტალზე (data.gov.ge) გამოქვეყნდება ღია მონაცემები შესაბამის მეტამონაცემებთან ერთად, აგრეთვე, მასზე ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია ამ მონაცემების გამოყენების შესახებ. საანგარიშო პერიოდში სააგენტო გარდა კომპიუტერული ინციდენტების გამოვლენა/პრევენცია/შედეგების მართვისა, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებას და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	• სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის საშუალებით; • ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული ცხრილების რაოდენობის ზრდა; • კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების კომპიუტერულ ინციდენტებზე დროული და ეფექტური რეაგირება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომია 71 სერვისი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომი 86 სერვისი; 2018 წელი - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომი 101 სერვისი; 2019 წელი - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომი 116 სერვისი; 2020 წელი - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომი 131 სერვისი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - არასაკმარისი დაფინანსება 2. საბაზისო მაჩვენებელი - ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებულია 170 მონაცემთა ცხრილი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული 210 მონაცემთა ცხრილი; 2018 წელი - ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული 250 მონაცემთა ცხრილი; 2019 წელი - ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული 290 მონაცემთა ცხრილი; 2020 წელი - ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული 330 მონაცემთა

	ცხრილი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - არასაკმარისი დაფინანსება 3. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს მოხდა 800 ინფორმაციული ინციდენტზე რეაგირება; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - 850 ინფორმაციულ ინციდენტზე რეაგირება; 2018 წელი - 900 ინფორმაციულ ინციდენტზე რეაგირება, 2019 წელი - 1,050 ინფორმაციულ ინციდენტზე რეაგირება; 2020 წელი - 1,200 ინფორმაციულ ინციდენტზე რეაგირება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - არასაკმარისი დაფინანსება
--	---

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (51 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	პერსონალური მონაცემების დამუშავების ევროპული სტანდარტების დასაანერგად შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და რეკომენდაციების მომზადება, ინსპექტირების მეთოდოლოგიის შემუშავება და შემდგომი დახვეწა, სხვა ქვეყნებში მონაცემთა გადაცემაზე კონტროლის გაუმჯობესება. კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს წარმომადგენლობა ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის დონეზე; ქვეყანაში დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე ზედამხედველობა; ფარული საგამოძიებო მოქმედებების და სამართალდამცავი ორგანოების მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობებზე კონტროლი, მათ შორის ფარული მიყურადების და ჩაწერის ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით; მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება, ასევე საჯარო და კერძო პირებისთვის კონსულტაციის გაწევა მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) საჯარო და კერძო დაწესებულებებში; საჯარო და კერძო ორგანიზაციების ფაილური სისტემის (პერსონალურ მონაცემთა შემცველი ელექტრონული ბაზები) კატალოგის რეესტრის წარმოება და გამოქვეყნება;

	საზოგადოების ინფორმირება მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ; სამართალშემოქმედებით პროცესში მონაწილეობის მიღება მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით და ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმის შესასრულებლად; საჯარო და კერძო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის და უფლებამოსილი პირებისთვის ტრენინგების ორგანიზება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საჯარო და კერძო სექტორებში უზრუნველყოფილი პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტი; ამაღლებული მოქალაქეთა ცნობიერება მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - საჯარო და კერძო სუბიექტებისთვის გაწეული კონსულტაციების გაზრდილი რაოდენობა.; გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი სისტემური ხასიათის დარღვევების შემცირებული მაჩვენებელი

მიწის ბაზრის განვითარება (WB) (26 09)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში დაიწყო „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ „მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტის“ განხორციელება. მისი მიზანია მიწის ბაზრის განვითარება და ითვალისწინებს მიწის ნაკვეთებზე პირველადი რეგისტრაციის პროცესის დასრულებისა და საკადასტრო სისტემის სრულყოფის მიზნით საპილოტე არეალებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის განხორციელებას. საპილოტე პროექტის განხორციელების მიზნით შემუშავდა სხვადასხვა სამართლებრივი თუ სხვა სახის დოკუმენტი: „მიწის რეგისტრაციისა და პილოტურ არეალებში საკადასტრო მონაცემების სრულყოფის სტრატეგია“ (დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 29 ოქტომბრის №106 ბრძანებით); საკომუნიკაციო სტრატეგია; კანონპროექტი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ და სხვ. კანონპროექტი ითვალისწინებს პირველადი რეგისტრაციის პროცესის დასრულების მიზნით მიწის ნაკვეთთა გამარტივებული წესით რეგისტრაციისთვის აუცილებელ სამართლებრივ და პროცედურულ ასპექტებს, რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად ქმედითი და ეფექტური სამართლებრივი მექანიზმების

	დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს უძრავი ქონების შესახებ სრულყოფილი უფლებრივი და საკადასტრო მონაცემების შექმნას, საკუთრების უფლების დაცვას და მიწის ბაზრის განვითარებას. შესაბამისად, სისტემური რეგისტრაცია (საკადასტრო აზომვითი სამუშაოების ჩათვლით) 11 შერჩეულ არეალში (12 დასახლებული პუნქტი, 48 000 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) განხორციელდება კანონის მიღების შემდგომ. კომპონენტის ფარგლებში, აგრეთვე, დაგეგმილია საკადასტრო აზომვების მაღალი სიზუსტით შესასრულებლად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება; მეთოდოლოგიისა და ინსტრუქციების მომზადება საპილოტე პროექტის განსახორციელებლად და შედეგების შეფასება, რომელთა საფუძველზე „მიწის რეგისტრაციის ეროვნული პროგრამის“ განხორციელებისთვის შემუშავდება შესაბამისი მეთოდოლოგია და რეკომენდაციები.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დარეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - უშუალოდ პილოტ პროექტის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - 17 500 მიწის ნაკვეთის აზომვა-რეგისტრაცია; 2018 წელი - 30 000 მიწის ნაკვეთის აზომვა-რეგისტრაცია; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%; შესაძლო რისკები - მონაწილე მხარეების ნაკლები ჩართულობა

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (48 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება; სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა; ევროდირექტივებთან საქართველოს სადაზღვევო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია; სავალდებულო დაზღვევების შესახებ სტანდარტების შემუშავება; მომხმარებელთა უფლებების დაცვა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ნორმატიული ბაზის განვითარება/სტანდარტიზაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. სადაზღვევო ბაზრის სტაბილურობა; კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა.

საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (06 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის; ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა; საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება; „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ფონდის ფუნქციების შესრულება.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო (50 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა; საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების იმპლემენტაცია; საჯარო დაწესებულებების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ფუნქციური ანალიზის შედეგებისა და რეკომენდაციების იმპლემენტაციის ხელშეწყობა და საჯარო თანამდებობათა კლასიფიკაციის სისტემის დანერგვისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება;

	საჯარო სამსახურში სახელფასო რეფორმის მომზადების ხელშეწყობა; სერტიფიცირების ჩატარების უზრუნველყოფა 6 თვეში ერთხელ მაინც და შესაბამისი ტესტების ბანკის განახლება; საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლებისა და საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულ პირთა ტრენინგი სამუშაოს შეფასების საკითხებში; თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების დროულად შევსებისა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა; საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების გავლის პროგრამის კოორდინაცია და კონტროლი; საჯარო მოსამსახურეთა ტრენინგი ადამიანური რესურსების მართვის, ეთიკისა და მამხილებლის ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებში; საჯარო სამსახურის სფეროში არსებული მდგომარეობისა და ნორმატიული აქტების შესრულების ანალიზი.
--	--

ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება (26 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სმართ ლოჯიკი
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფოს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, მათზე გაწეული დანახარჯების შემცირება, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა. პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო უწყებების მომსახურებას IT სერვისების სრული სპექტრით, რაც მოიცავს ქსელურ უზრუნველყოფას; ელფოსტის სერვისს; ონლაინკომუნიკაციის საშუალებებს; ტელევიდეოკონფერენციას; დროისა და დავალებების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას; უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის გატარებას; არასასურველი და მავნე ელექტრონული ფოსტის, პროგრამებისა და ვირუსებისგან დაცვას; სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ერთიანი IT მხარდაჭერის ქოლცენტრის შექმნასა და ინციდენტების მართვას; ციფრული ტელეფონის სერვისს; სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთა კომპიუტერული ტექნიკის ადგილზე მომსახურებას და სხვ. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით ჩატარდება შესაბამისი კვლევები და შემუშავდება კონკრეტული ინიციატიური ბიზნესგადაწყვეტილებები, რომლებიც მორგებული იქნება დამკვეთის ბიზნესპროცესებზე. ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიქმნება როგორც ახალი პროგრამული უზრუნველყოფა, ისე გაგრძელდება მუშაობა არსებული გაუმჯობესების მიმართულებით. პროგრამის ფარგლებში დანერგილია ქლაუდტექნოლოგია (დრუბლოვანი ტექნოლოგია). შემდგომ წლებში იგეგმება ტექნოლოგიის განვითარება როგორც პროგრამული, ისე გამოთვლითი სიმძლავრეებისა და მასშტაბების მიმართულებებით. ამასთან სხვადასხვა ორგანიზაცია ისარგებლებს ქლაუდინფრასტრუქტურით (IaaS).
პროექტის მოსალოდნელი	• სსიპ „სმართ ლოჯიკის“ საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურებაში ახალი სახელმწიფო სტრუქტურებისა და

საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტების ჩართვა; • ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისით მოსარგებლე ორგანიზაციების ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სსიპ „სმართ ლოჯიკის“ მომსახურებაში ჩართულ უწყებათა რაოდენობა მიმდინარე ეტაპზე შეადგენს 36 ორგანიზაციას; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - მომსახურებაში ჩართული 40 ორგანიზაცია; 2018 წელი - მომსახურებაში ჩართული 45 ორგანიზაცია; 2019 წელი - მომსახურებაში ჩართული 50 ორგანიზაცია; 2020 წელი - მომსახურებაში ჩართული 55 ორგანიზაცია; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 4%; შესაძლო რისკები - 1. მომსახურებაზე აყვანილი ორგანიზაციის ბიუჯეტის შემცირება. 2. ბაზარზე კონკურენტი ორგანიზაციის მიერ ფასების შემცირება (თვითღირებულებაზე ქვემოთ). 3. მომსახურებაზე აყვანილი ორგანიზაციის შიდა პოლიტიკის მიდგომის ცვლილება აუთსორსიდან საკუთარ IT ჯგუფზე გადასვლაზე 2. საბაზისო მაჩვენებელი - მხარდაჭერის სერვისით მოსარგებლე ორგანიზაციებში არასანქცირებული წვდომის და ვებგვერდების გატეხვის ნულოვანი მაჩვენებელი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში არასანქცირებული წვდომის და ვებგვერდის გატეხვის ნულოვანი მაჩვენებელი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 3 არასანქცირებული შეღწევა სისტემაში; შესაძლო რისკები - ჩვენს მიერ გამოყენებული ტექნოლოგიებში და მოწყობილობებში სუსტი წერტილების, უსაფრთხოების ხვრელების აღმოჩენის და არასანქცირებული ქმედებისთვის გამოყენების შემთხვევა

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციები (11 00 – 19 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციები
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან კოორდინირებულად შეიმუშავებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების განვითარების სტრატეგიებისა და პრიორიტეტების დოკუმენტებს, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით მოამზადებს წინადადებებს. მონიტორინგს გაუწევს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი (05 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო სექტორის აუდიტორთა სერთიფიცირების სისტემის სრულყოფა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი (მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი) სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, საჯარო სექტორის აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების განხორციელება და მომსახურების სისტემის სრულყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საჯარო ფინანსების და აუდიტის სისტემის განვითარების ხელშეწყობა, სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ინსტიტუციური განვითარება.

ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება (26 11)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია სამართლებრივი აქტების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე გამოქვეყნება და სისტემატიზაცია, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას. პროგრამა ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულების განხორციელებას და შემდგომ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის ქართულ ენაზე თარგმნას, ასევე, საქართველოს კანონმდებლობის/კანონპროექტების ინგლისურ ენაზე თარგმნას. გარდა ამისა „SDL Trados Studio“-ს სერვერზე, რომელიც წარმოადგენს ე. წ. მთარგმნელობით მექანიზმებს (TM) და ერთიან ტერმინოლოგიურ ბაზას (TB), მუდმივად მოხდება ახალი ტერმინების დამუშავება და განახლება, გამოიცემა იურიდიული ტერმინოლოგიური ლექსიკონი. პროგრამის ფარგლებში დაინტერესებული პირებისა თუ მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული საქმიანობისა და საინფორმაციო მიზნებისათვის გამოიცემა სხვადასხვა ნორმატიული აქტების, წიგნებისა და იურიდიული ლიტერატურის ბეჭდური ვერსიები. ამისთვის ფუნქციონირებას განაგრძობს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ სტამბა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	• „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მაცნეს ვებ. გვერდზე დარეგისტრირებულია 46,494 მომხმარებელი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - დარეგისტრირებული 48,000 მომხმარებელი; 2018 წელი - დარეგისტრირებული

	49,000 მომხმარებელი; 2019 წელი - დარეგისტრირებული 50,000 მომხმარებელი; 2020 წელი - დარეგისტრირებული 51,000 მომხმარებელი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 300 მომხმარებელი; შესაძლო რისკები - ახალი პროგრამული ფუნქციონალების დამატების შეფერხება
--	--

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 12)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და სამისამართო რეესტრების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრისა და მუნიციპალიტეტების რეესტრის ფორმირება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. პროგრამა ითვალისწინებს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებას. იგი წარმოადგენს საინფორმაციო ქსელურ-ანალიტიკურ სისტემას, რომლის მთავარი პრინციპია მონაცემების გახსნილი, დეცენტრალიზებული, მაგრამ, ამავე დროს, კოორდინირებული მართვა, რომელიც ორიენტირებულია მრავალფუნქციურ მოხმარებასა და გაზიარებაზე. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული გეოდეზიური საფუძვლების შექმნისა და განახლების მიზნით განხორციელდება ეროვნული გეოდეზიური გეგმური და სიმაღლური საფუძვლის შექმნა-განახლება, საქართველოს ტერიტორიის აქტუალური რეგიონების ციფრული აეროფოტოგადაღება და ციფრული ორთოფოტოგეგმების დამზადება, ციფრული კარტოგრაფიული მასალისა და ტოპოგრაფიული რუკების შექმნა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკადასტრო აზომვები და დარეგისტრირებული ფართობების მონიტორინგი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის ქართულენოვანი ციფრული ტოპოგრაფიული რუკების შექმნა. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება უძრავ ქონებაზე ძველი სარეგისტრაციო მასალების, ასევე, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული იურიდიული პირების სარეგისტრაციო მასალების დამუშავება, ბაზებში არსებული არაზუსტი მონაცემების შესწორება და ციფრულ მატარებლებზე გადატანა, რაც უზრუნველყოფს სარეგისტრაციო დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდას, დისტანციური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. ასევე, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა დიგიტალიზებული საარქივო დოკუმენტაცია განთავსდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. გარდა ზემოაღნიშნულისა, პროგრამის ფარგლებში მოხდება IT ინფრასტრუქტურის სრულყოფა, რაც უზრუნველყოფს არსებული ელექტრონული სერვისების უწყვეტად და სწრაფად მიწოდებას, ასევე, სამომავლო მზარდი დატვირთვებისთვის ინფრასტრუქტურის გაფართოებას.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო ქსელურ-ანალიტიკური სისტემის შექმნა; სააგენტოში არსებული არაზუსტი მონაცემების შესწორება, ციფრულ მატარებლებზე გადატანა, სარეგისტრაციო დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა და გაცნობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის; საქართველოს ტერიტორიის აქტუალური რეგიონების ციფრული აეროფოტოგადაღება და ციფრული ორთოფოტოგეგმების დამზადება, ციფრული კარტოგრაფიული მასალისა და ტოპოგრაფიული რუკების შექმნა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკადასტრო ზომები და დარეგისტრირებული ფართობების მონიტორინგი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სივრცითი მონაცემების ციფრულ ფორმატში წარმოების და გაზიარების სტანდარტიზირებული სახელმწიფო სისტემის არ არსებობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შემუშავებული ვერსია v1.0; 2018 წელი - ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შემუშავებული ვერსია v2.0; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - პირდაპირ პროპორციულია გაწერილ შესაძლო რისკების არსებობაზე; შესაძლო რისკები - არასაკმარისი ფინანსური რესურსების გამოყოფა, პოლიტიკური მხარდაჭერის შესუსტება; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან ტექნიკური და ფინანსური დახმარების შეწყვეტა 2. საბაზისო მაჩვენებელი - დამუშავებული 48 548 საქაღალდე და ელექტრონულ მატარებელზე გადატანილი 29 395 საქაღალდე, არქივირებულია 1 300 საქმე, წლის ბოლოსათვის არქივირებული იქნება 10 650 საქმე; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - დამატებით 9 528 საქაღალდის დამუშავება, 11 472 საქაღალდის გადატანა ელექტრონულ მატარებელზე, 34 080 საქმის დაარქივება; 2018 წელი - დამატებით 11 472 საქაღალდის გადატანა ელექტრონულ მატარებელზე, 34 080 საქმის დაარქივება; 2019 წელი - დამატებით 5 737 საქაღალდის გადატანა ელექტრონულ მატარებელზე, 21 300 საქმის დაარქივება; 2020 წელი - დამატებით 6 300 საქმის დაარქივება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 3%; შესაძლო რისკები - ადამიანური რესურსის გადინება 3. საბაზისო მაჩვენებელი - 9000 კვ. კმ დაფარულია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად 2014 წლის აერო გადაღებით, 24 000 კვ.კმ დაფარულია 1:50000 მასშტაბის ციფრული კარტოგრაფიული მასალით; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი - 2016 წელს გადაღებული 40 000 კვ.კმ. დამუშავება, 2000 კვ. კმ დაფარვა ციფრული კარტოგრაფიული მასალით; 2018 წელი - 10 000 კვ. კმ აეროგადაღება, 3000 კვ. კმ დაფარვა ციფრული კარტოგრაფიული მასალით; 2019 წელი - 2018 წელს გადაღებული 10 000 კვ.კმ. დამუშავება და 10 000 კვ. კმ აეროგადაღება, 3000 კვ. კმ დაფარვა ციფრული კარტოგრაფიული მასალით; 2020 წელი - 2019 წელს გადაღებული 10 000 კვ.კმ. დამუშავება და 10 000 კვ. კმ აეროგადაღება, 3000 კვ. კმ დაფარვა ციფრული კარტოგრაფიული მასალით;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, არასაკმარისი ტექნიკური აღჭურვილობა, დაფინანსების შეფერხება, რთული მეტეოროლოგიური პირობები, სატელიტების მწყობრიდან გამოსვლა
--	--

იმულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
34 02	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	74,287.00	74,287.00	0.00	83,500.00	93,500.00	98,000.00
34 01	იმულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	10,276.00	10,276.00	0.00	10,300.00	10,300.00	10,300.00
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,350.00	1,350.00	0.00	1,400.00	1,400.00	1,400.00
34 03	დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა	437.00	437.00	0.00	1,000.00	1,000.00	1,500.00
	სულ	86,350.0	86,350.0	-	96,200.0	106,200.0	111,200.0

განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (34 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (სამინისტროს აპარატი)
პროექტის აღწერა და მიზანი	იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის განახლება და მის შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ღონისძიებების განხორციელება, მათთვის საცხოვრებელი ფართის (შეძენა, აშენება, რეაბილიტაცია) კერძო საკუთრებაში გადაცემა; დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან და ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა; სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ჩასახლების ობიექტების შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია, დევნილთა, ლტოლვილისა ან ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა რაოდენობის დაზუსტება და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე; 20 ათასი ლარის ფარგლებში ფულადი დახმარების გაწევა იმ დევნილი ოჯახებისათვის, ვინც იპოთეკური სესხის საშუალებით შეიძინა საცხოვრებელი და ჯერ კიდევ აქვს იპოთეკური ვალდებულება; იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაწევა, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით (მ.შ. ფართების დაქირავების მიზნით დევნილთა ოჯახების ყოველთვიური სოციალური დახმარების გაცემა); დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, რეაბილიტირებული და ახალაშენებული შენობების ელექტროენერგიის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის და წყლის სისტემების მიერთება და მოწყობა, სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე; იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება, სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე; გრძელვადიანი განსახლებისათვის განსაზღვრულ ობიექტებში (აშენებული, რეაბილიტირებული) დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ღონისძიებების დასრულებამდე, ობიექტების დაცვის მომსახურების შესყიდვა;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა; დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება;

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს განხორციელდა სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების 7 ობიექტის შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია; მიზნობრივი მაჩვენებელი - მოხდება საშუალოდ 7 დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების ობიექტის შესწავლა და მათი რეაბილიტაცია 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ცარიელი შენობების რეაბილიტაციისა და საცხოვრებელ ერთეულებად გარდაქმნის შედეგად ისარგებლა დევნილთა 320 ოჯახმა; მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ცარიელი შენობების რეაბილიტაციითა და საცხოვრებელ ერთეულებად გარდაქმნის შედეგად ისარგებლებს დევნილთა 189 ოჯახი; შესაძლო რისკები - საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა 3. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე ახალ საცხოვრებელი კორპუსებში საცხოვრებელი ბინა გადაეცა დევნილთა 304 ოჯახს; მიზნობრივი მაჩვენებელი - თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე ახალ საცხოვრებელი კორპუსებში საცხოვრებელი ბინა გადაეცემა დევნილთა 908 ოჯახს; შესაძლო რისკები - საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა 4. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს 774 დევნილ ოჯახს გადაეცა ქართველი მენაშენეებისაგან და ჰუალინგ ჯგუფისაგან შესყიდული ბინა; მიზნობრივი მაჩვენებელი - 400 დევნილ ოჯახს გადაეცემა ქართველი მენაშენეებისაგან და ჰუალინგ ჯგუფისაგან შესყიდული ბინა; შესაძლო რისკები - საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა 5. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს 500 ოჯახს საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინა სულაღობის მიხედვით (17 000 ლარიდან 34 000 ლარამდე); მიზნობრივი მაჩვენებელი - 500 ოჯახს საკუთრებაში გადაეცემა საცხოვრებელი ბინა სულაღობის მიხედვით (17 000 ლარიდან 34 000 ლარამდე); შესაძლო რისკები - საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა 6. საბაზისო მაჩვენებელი - განხორციელდა კოლექტიური ცენტრების გამოსყიდვა კერძო მესაკუთრეებისაგან და 100 ოჯახის დაკმაყოფილდა გრძელვადიანი საცხოვრებლით; მიზნობრივი მაჩვენებელი - განხორციელდება კოლექტიური ცენტრების კერძო მესაკუთრეებისაგან გამოსყიდვა და 50 ოჯახი დაკმაყოფილდება გრძელვადიანი საცხოვრებლით;
--	---

	შესაძლო რისკები - საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა 7. საბაზისო მაჩვენებელი - 50 დევნილ ოჯახს 20 ათასი ლარის ფარგლებში იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნით გაეწია ფულადი დახმარება; მიზნობრივი მაჩვენებელი - 50 დევნილ ოჯახს 20 ათასი ლარის ფარგლებში იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნით გაეწევა ფულადი დახმარება 8. საბაზისო მაჩვენებელი - ყოფილი ორგანიზებულად განსახლების 684 ობიექტზე განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება; მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოფილი ორგანიზებულად განსახლების 684 ობიექტზე განხორციელდება ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება 9. საბაზისო მაჩვენებელი - სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით 15000 დევნილ ოჯახს გაეწია საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარება; მიზნობრივი მაჩვენებელი - სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით 15000 დევნილ ოჯახს გაეწევა საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარება 10. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს განხორციელდა დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (სულ 240 ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება; მიზნობრივი მაჩვენებელი - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (სულ 240 ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება
--	--

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (34 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სათანადო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, კოორდინაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან, ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი სახლების შეძენა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა და შენახვა, საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარება; „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის“ განხორციელება; არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ქონების

	კანონიერი მესაკუთრეებისთვის უფლებების აღდგენის მიმართულებით ღონისძიებების გატარება; ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისთვის ცნობიერების ამაღლება ქართული ენის, კულტურის, ისტორიისა და საქართველოს კანონმდებლობის სფეროში.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა და დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაცია; საქართველოში თავშესაფრის არსებული სისტემის მაქსიმალურად მიახლოება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან; ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირებისთვის რეპატრიანტის სტატუსის მინიჭება და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ვალდებულებების შესრულება, არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ქონების კანონიერი მესაკუთრეების იდენტიფიცირება და მათი უფლებების დაცვა;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით განთავსების ცენტრს შეუძლია ერთდროულად მოემსახუროს 132 პირს. 2016 წელს ცენტრი მოემსახურა 250-300-მდე ბენეფიციარს; მიზნობრივი მაჩვენებელი - ცენტრში განთავსდება 250- 300-მდე ბენეფიციარი; შესაძლო რისკები - ბენეფიციართა დაბალი მომართვიანობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს 122-მა დაბრუნებულმა ქართველმა მიგრანტმა სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის მიზნით ისარგებლა სხვადასხვა სახის მომსახურებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - 400-მდე დაბრუნებულ ქართველ მიგრანტს სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის მიზნით გაეწევა სხვადასხვა სახის მომსახურება; შესაძლო რისკები - ბენეფიციართა დაბალი მომართვიანობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ქართული ენის, კულტურის, ისტორიისა და საქართველოს კანონმდებლობის სფეროში ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ღონისძიებები არ განხორციელებულა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე 100-მდე პირს აუმაღლდება ცნობიერება ქართული ენის, კულტურის, ისტორიისა და საქართველოს კანონმდებლობის სფეროში; შესაძლო რისკები - ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის შემცირება 4. საბაზისო მაჩვენებელი - განსახლების მოთხოვნით სამინისტროს მომართა 3000-მდე ოჯახმა, საცხოვრებელი

	დაკმაყოფილდა 100-მდე ოჯახი; მიზნობრივი მაჩვენებელი - საცხოვრებლით დაკმაყოფილდება 90-100-მდე ოჯახი; შესაძლო რისკები - საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა
--	--

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (22 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციონირების მხარდაჭერა, რომელიც მიზნად ისახავს: რეინტეგრაციის მიზნით სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებას; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისგან გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებთა შორის ნდობის აღდგენას; მათი შერიგებისა და დეოკუპაციისათვის საფუძვლის მომზადების მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური და ნდობის გაღრმავების მიმართულებებით განსახორციელებელი პროექტების ხელშეწყობას და კოორდინაციას; ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელებას. სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის პოლიტიკის კოორდინირებას, რომელიც მიმართულია ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ცხოვრების ყველას სფეროში სრულფასოვნად ინტეგრირების ხელშეწყობაზე; მათთვის განათლების, მედიისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, მათი სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებასა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარებაზე; სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე.

დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა (34 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; საცხოვრებლით უზრუნველყოფილ დევნილთა სასოფლო სამეურნეო და/ან თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური პროექტების დაფინანსება; სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში დევნილთა ჩარიცხვის ხელშეწყობა და ჩარიცხული სოციალურად დაუცველი დევნილების საცხოვრებლით/ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა; დევნილთა ცნობიერების ამაღლება საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისაკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამების შესახებ; „აგროდაზღვევის“ სახელმწიფო პროგრამაში დევნილთა ჩართულობის უზრუნველყოფა და მათთვის დამატებითი სუბსიდიების შეთავაზება;

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დაფინანსებულია გრძელვადიანი განსახლების პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი უზრუნველყოფილ დევნილთა 200 სასოფლო სამეურნეო და/ან თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური პროექტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინანსდება გრძელვადიანი განსახლების პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი უზრუნველყოფილ დევნილთა 400 სასოფლო სამეურნეო და/ან თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური პროექტი; შესაძლო რისკები - დევნილთა ჩართულობის დაბალი დონე 2. საბაზისო მაჩვენებელი - 150 სოციალურად დაუცველი იძულებით გადაადგილებული პირს, რომელიც 2016 წელს ჩაირიცხა სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელში, აუნაზღაურდა ტრანსპორტირების/საცხოვრებლის ხარჯი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 300-მდე სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებული პირს, რომლებიც 2017 წელს ჩაირიცხებინა სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელში, აუნაზღაურდებოდა ტრანსპორტირების/საცხოვრებლის ხარჯი; შესაძლო რისკები - პროფესიულ კოლეჯებში ჩარიცხულ დევნილთა მომართვიანობის დაბალი დონე; ჩარიცხული სტუდენტების მომართვიანობა რომელთაც ესაჭიროებათ საცხოვრებლის ხარჯის ანაზღაურება 3. საბაზისო მაჩვენებელი - ჩატარდა 4 საინფორმაციო კამპანია საარსებო წყაროების პროგრამების და მათი მიმწოდებლების შესახებ, რომლითაც ისარგებლა 230 000-მა დენილმა; მიზნობრივი მაჩვენებელი - მოეწეობა 4 საინფორმაციო კამპანია საარსებო წყაროების პროგრამების და მათი მიმწოდებლების შესახებ 4. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს „აგროდაზღვევის“ სახელმწიფო პროგრამით ისარგებლა 240 დევნილმა ოჯახმა; მიზნობრივი მაჩვენებელი - „აგროდაზღვევის“ სახელმწიფო პროგრამით ისარგებლებს 350-მდე დევნილი ოჯახი; შესაძლო რისკები - დაბალი მომართვიანობა

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
39 02	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	84,120.00	83,200.00	920.00	88,850.00	90,070.00	95,070.00
33 02	ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ	69,102.00	57,342.00	11,760.00	69,400.00	69,800.00	69,900.00
42 01	მაუწყებლობის ხელშეწყობა	52,163.00	47,513.00	4,650.00	57,038.00	60,511.00	68,534.00
33 04	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	21,221.00	16,621.00	4,600.00	21,600.00	21,700.00	22,100.00
45 01	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი	14,683.00	14,683.00	0.00	14,683.00	14,683.00	14,683.00
39 03	სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	6,108.00	6,108.00	0.00	6,500.00	6,500.00	6,500.00
39 04	ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	5,950.00	5,580.00	370.00	6,730.00	7,230.00	7,230.00
55 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5,370.00	5,370.00	0.00	5,370.00	5,370.00	5,370.00
33 01	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	5,306.00	5,306.00	0.00	5,310.00	5,310.00	5,310.00
39 01	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა	3,387.00	3,387.00	0.00	3,400.00	3,400.00	3,400.00
45 09	საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ –	2,304.00	2,304.00	0.00	2,304.00	2,304.00	2,304.00

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
	ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი						
45 08	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	2,000.00	2,000.00	0.00	2,000.00	2,000.00	2,000.00
45 03	ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	1,768.00	1,768.00	0.00	1,768.00	1,768.00	1,768.00
45 04	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატისათვის გადასაცემი გრანტი	959.00	959.00	0.00	959.00	959.00	959.00
45 11	საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები	800.00	800.00	0.00	800.00	800.00	800.00
45 13	ა(ა)იპ ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი	653.00	653.00	0.00	653.00	653.00	653.00
45 12	ა(ა)იპ – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისთვის გადასაცემი გრანტი	500.00	500.00	0.00	500.00	500.00	500.00
45 06	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	447.00	447.00	0.00	447.00	447.00	447.00
45 02	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	295.00	295.00	0.00	295.00	295.00	295.00
45 05	საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი	261.00	261.00	0.00	261.00	261.00	261.00

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
	გრანტი						
45 07	წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	230.00	230.00	0.00	230.00	230.00	230.00
45 10	ა(ა)იპ – სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	100.00	100.00	0.00	100.00	100.00	100.00
	სულ	277,727.0	255,427.0	22,300.0	289,198.0	294,891.0	308,414.0

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (39 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზდების ეროვნული ცენტრი; სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი; სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; სსიპ ქართული სპორტის მუზეუმი; ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის სახეობების განვითარება, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, სხვადასხვა ასაკობრივი და ქალთა ნაკრებებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა; ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); საქართველოს ჩემპიონატების, პირველობების ჩატარება, სპორტული რეზერვის და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდა; ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშებისათვის ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად საქართველოს ნაკრები გუნდების მზადება და ოლიმპიადებზე საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; პარასპორტსმენთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება; საქართველოს კადეტთა და იუნიორთა ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატების მომზადება; ქართული სპორტის წარმატებების ამსახველი მასალების შეკრება, დაკომპლექტება, აღრიცხვა, შენახვა-დაცვა, შესწავლა და პოპულარიზაცია; უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ევროპის საგანმანათლებლო მოდელის პოპულარიზაცია და დანერგვა, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება; ფეხბურთის მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და კონკურენტუნარიანი თავისუფალი საფეხბურთო ბაზრის შექმნა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები; მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი; ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით შევსებული ქვეყნის ნაკრები გუნდები; გაუმჯობესებული და განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურა; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით, ეკიპირებით და სათანადო სამედიცინო ღონის მომსახურებით

	უზრუნველყოფილი ნაკრებები; მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 1.სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, პარასპორტი, ფარიკაობა, ჭადრაკი, ხელბურთი, ძიუდო, ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, საწყლოსნო და სხვ) ეროვნულ და საერთაშორისო შეჯიბრებებში წლიური კალენდრის გეგმის მიხედვით ჩატარებულია 700 საერთაშორისო და ადგილობრივი ღონისძიება; 2. სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში (მასობრივ სპორტში) ჩართულია მოსახლეობის 16%; 3.უმაღლესი და პროფესიული სასპორტო განათლების სფეროში ჩართულია - 900 სტუდენტი; 4.აშენებულია მულტიფუნქციური სპორტის სასახლე და საწყლოსნო კომპლექსი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 1.სპორტული ღონისძიებების ჩატარება კალენდარული (წლიური) გეგმის მიხედვით (იგეგმება 800-მდე საერთაშორისო და ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ჩატარება); 2. სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში (მასობრივ სპორტში) ჩართული მოსახლეობის 17% -მდე გაზრდა; 3.უმაღლეს, პროფესიულ სასპორტო განათლების სფეროში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა - 1100 ბენეფიციარამდე; 4.საქართველოს ოთხ ქალაქში (ბათუმი, ქუთაისი, გორი, თელავი) თანამედროვე სტანდარტების მულტიფუნქციური სპორტის სასახლის და 20 ფეხბურთის/რაგბის სტადიონის (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი) აშენება, ასევე ჭიდაობის სახლისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (თბილისი) აშენება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5-7%; შესაძლო რისკები - საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება, დოპინგი, სპორტსმენის ტრავმა, სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ჩართულ პირთა, ოლიმპიური რეზერვების, მზადების ცენტრის ბენეფიციართა, უმაღლეს და პროფესიულ სასპორტო დაწესებულებებში სწავლის მსურველთა ინტერესის ნაკლებობა; კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა

ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (33 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სახელმწიფო და დრამატული თეატრები, ანსამბლები; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საერთაშორისო, თეატრალური, მუსიკალური, კინო, ლიტერატურული ფესტივალები; გამოფენები, კონკურსები, გამოცემები, ახალი დადგმები, გასტროლები, საიუბილეო ღონისძიებები; შშმ და ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობა. ქართული ხელოვნების განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებისადმი მოქალაქეთა შეუზღუდავი, თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საქართველოში შემოქმედებითი პოტენციალის და სახელოვნებო სფეროების განვითარების ხელშეწყობა; ევროკავშირის წევრ და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავება,

	ფონდებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; ქართული კულტურის პოლიტიკის გრძელვადიანი სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება; რეგიონებში საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლების სახელოვნებო და სახელოვნებო პროცესების გააქტიურება; კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარება-სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და სრულყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოსა და უცხოეთში სახელოვნებო ღონისძიებები; ქართველი ხელოვანების მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში; საზოგადოების ინფორმირებულობა სახელოვნებო პროცესებზე; საერთაშორისო საზოგადოებაში საქართველოზე ცნობადობის ამაღლება; ქვეყნებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ინტერესის გაზრდა ქართული კულტურისადმი; კულტურის პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტის დამტკიცების საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმების შესაბამისად განხორციელებული პროექტები და პროგრამები; რეგიონებში პერიოდული სახელოვნებო ღონისძიებები; საერთაშორისო თანამშრომლობითი პლატფორმები; სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო, თეატრალური, მუსიკალური, კინო, ლიტერატურული ფესტივალები; გამოფენები, კონკურსები, გამოცემები, ახალი დადგმები, გასტროლები, საიუბილეო ღონისძიებები; შშმ და ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობა - 3 717; მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო, თეატრალური, მუსიკალური, კინო, ლიტერატურული ფესტივალები; გამოფენები, კონკურსები, გამოცემები, ახალი დადგმები, გასტროლები, საიუბილეო ღონისძიებები; შშმ და ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობა - 3 814;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 3%; შესაძლო რისკები - ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა, 2. საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ახალი ინიციატივის მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული 46 აქტივობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ახალი ინიციატივის მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული 46 აქტივობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%-მდე; შესაძლო რისკები - ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა, 3. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს რეგიონებში კულტურული ღონისძიებები - 25; მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს რეგიონებში კულტურული ღონისძიებები - 40; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა, 4. საბაზისო მაჩვენებელი - სისტემაში შემავალი სტრუქტურების შენობა-ნაგებობების ფიზიკური სარეაბილიტაციო და საინჟინრო-საპროექტო სამუშაოები; ტექნიკური აღჭურვა - 19; მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემაში შემავალი სტრუქტურების შენობა-ნაგებობების ფიზიკური სარეაბილიტაციო და საინჟინრო-საპროექტო სამუშაოები; ტექნიკური აღჭურვა - 34; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - შემსრულებლისგან სახელშეკრულებო პირობების დარღვევა/შეუსრულებლობა
--	---

მაუწყებლობის ხელშეწყობა (42 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო; სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი
პროექტის აღწერა და მიზანი	საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გადაცემების, ფილმებისა და სპორტული ღონისძიებების, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მომზადება და გაშუქების უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უწყვეტი ეთერის უზრუნველყოფა, საზოგადოებისათვის ხარისხიანი საინფორმაციო და ტელეგადაცემების მიწოდება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (33 04)
--

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; სახელმწიფო მუზეუმები და სახლ-მუზეუმები; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	• პროგრამა ხორციელდება “კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში. მისი მიმდინარეობა განპირობებულია ქვეყნის სამუზეუმო სისტემის საერთაშორისო სამუზეუმო სივრცეში ინტეგრაციის, მისი თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოების და დღეს არსებული პრობლემური ასპექტების მოწესრიგების აუცილებლობით. • პროგრამის მიზანია მუზეუმების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა - ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის პრევენციული ზომების მიღება, ღონისძიებების გატარება მუზეუმების პოპულარიზაციისთვის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობისა და შემოსავლების ზრდა, “კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმების განხორციელება, საერთაშორისო კონვენციებით აღებული ვალდებულებების შესრულება, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენა, უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირება; საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და საერთაშორისო და ორმხრივი ურთიერთობების წარმართვა-განვითარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით; UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება; მენეჯმენტის გეგმის მომზადება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისათვის; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების ინვენტარიზაცია, დაცვისა და სისტემატიზაციის მექანიზმების შემუშავება. UNESCO-ს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ კონვენციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შექმნის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი ბაზის შევსება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოების აღკვეთა, კულტურული ტურიზმის განვითარებისა და მისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემა მუზეუმებში: ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის მიზნით გატარებული შესაბამისი ღონისძიებები; მოწესრიგებულია მატერიალური ბაზები; კონსერვირებული და რესტავრირებული სამუზეუმო ფასეულობა, მუზეუმებში ვიზიტორთა და შემოსავლების გაზრდილი რაოდენობა; “კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებული და განხორციელებული სამოქმედო გეგმები, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენის, აგრეთვე, უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის გატარებულია ღონისძიებები, კულტურული მემკვიდრეობის რესტავრირებული ძეგლები/კომპლექსები, ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლები; საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებებით აღებული ღონისძიებების განხორციელება; კულტურული მემკვიდრეობის

	ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული მონაცემები ასახულია საინფორმაციო სივრცეში; დანერგილია ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტები; გამოვლენილი და აღკვეთილი უნებართვო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე; კულტურული ტურიზმისათვის შექმნილია მიმზიდველი გარემო, ვიზიტორებისა და შემოსავლების გაზრდილი რაოდენობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მუზეუმებში მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვისთვის ხელშეწყობა -12, მუზეუმების მიერ პოპულარიზაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობა - 340; რესტავრირებული ექსპონატი - 30, სამუზეუმო სისტემის მატერიალური ბაზების მოწესრიგება -9; ტექნიკურად აღჭურვილი 5 მუზეუმი; მუზეუმებში ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა - 440 312, შემოსავლების რაოდენობა - 4 676 541; მიზნობრივი მაჩვენებელი - მუზეუმებში მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვისთვის ხელშეწყობა -17, მუზეუმების მიერ პოპულარიზაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობა - 500; რესტავრირებული ექსპონატი 150-ზე მეტი ექსპონატი, სამუზეუმო სისტემის მატერიალური ბაზების მოწესრიგება - 29 , ტექნიკურად აღჭურვილია 15 მუზეუმი; მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა - 600 000-ზე მეტი, შემოსავლების რაოდენობა - 5 000 000-ზე მეტი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, შესყიდვის პროცედურები 2. საბაზისო მაჩვენებელი - კულტურული მემკვიდრეობის 50-მდე ნიმუშზე: მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებულია ძეგლი, განხორციელებულია ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ; მიზნობრივი მაჩვენებელი - კულტურული მემკვიდრეობის 50-მდე ნიმუშზე: მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებულია ძეგლი, განხორციელებულია ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 7%; შესაძლო რისკები - ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, შესყიდვის პროცედურები

მუზეუმების ხელშეწყობა (33 04 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; სახელმწიფო მუზეუმები და სახლ-მუზეუმები
პროექტის აღწერა და მიზანი	• პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ორიენტირებულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემის მუზეუმების ხელშეწყობაზე და პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების

	მხარდაჭერაზე • “კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტით სამუზეუმო საქმიანობის მიმართულებით განსაზღვრული ძირითადი პრიორიტეტების განხორციელება, მუზეუმების მართვის სისტემის გაუმჯობესება, მუზეუმების მატერიალური ბაზების მოწესრიგება და ტექნიკური აღჭურვა, მუზეუმთან მიმართებაში საზოგადოების ცნობადობის ასამაღლებლად სხვადასხვა მიმართულების აქტივობების ორგანიზება. სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონული აღრიცხვის სისტემის შემუშავება, ექსპონატების გადარჩენის მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარება, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენა, უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირება; მუზეუმის, როგორც საზოგადოებრივი სივრცის ჩამოყალიბება, მუზეუმების შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	“კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტით სამუზეუმო საქმიანობის მიმართულებით განსაზღვრული ძირითადი პრიორიტეტების განხორციელების მონიტორინგი, გაუმჯობესებული სამუზეუმო მენეჯმენტი; მუზეუმების მოწესრიგებული მატერიალური ბაზები; აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მუზეუმები, რესტავრირებული და კონსერვირებული ექსპონატები; მუზეუმებში ეტაპობრივად დანერგილი სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონული აღრიცხვის სისტემა (eGMC), მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა - მუზეუმთან მიმართებაში საზოგადოების ცნობადობის ამაღლება, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მუზეუმის პოპულარიზაციისთვის გატარებული აქტივობები (გამოფენები, საგანმანათლებლო პროგრამები, ახალი ექსპოზიციების, გზამკვლელების და სხვა სარეკლამო მასალის გამოცემა), მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენისა და, უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის, საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებაზე მუშაობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მუზეუმებში მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვისთვის ხელშეწყობა - 12 ღონისძიება, რესტავრირებული და კონსერვირებული 320 ექსპონატი, სამუზეუმო სისტემის მატერიალური ბაზების მოწესრიგება და ტექნიკური აღჭურვა - 37 ,; მიზნობრივი მაჩვენებელი - მუზეუმებში მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვისთვის ხელშეწყობა, - 73, რესტავრირებული და კონსერვირებული 1050-ზე მეტი ექსპონატი, სამუზეუმო სისტემის მატერიალური ბაზების მოწესრიგება და ტექნიკური აღჭურვა - 45; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემის 6 მუზეუმში დანერგილი სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონული აღრიცხვის სისტემა (eGMC),;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემის 18 და მუნიციპალური დაქვემდებარების 60 მუზეუმში ეტაპობრივად დანერგილი სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის ელექტრონული სისტემა (eGMC); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
--	---

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (33 04 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და რეაბილიტაცია; არქეოლოგიური ობიექტების შესწავლა-კონსერვაცია; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება, საერთაშორისო და ორმხრივი ურთიერთობების წარმართვა-განვითარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით; მენეჯმენტის გეგმის მომზადება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისათვის; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების ინვენტარიზაცია, დაცვისა და სისტემატიზაციის მექანიზმების შემუშავება. UNESCO-ს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ კონვენციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შექმნის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი ბაზის შევსება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოების აღკვეთა; კულტურული მემკვიდრეობის შესწავლილი, სისტემატიზებული ნიმუშები, ობიექტები და ძეგლები, მუზეუმების/მუზეუმ-ნაკრძალების რეაბილიტაცია-რევიტალიზაცია და ექსპოზიციათა განახლება; ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია; კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების (ისტორიული დასახლებისა და ქალაქების), კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია; UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მდგომარეობის კონტროლის, პრევენციული კონსერვაციისა და რისკისათვის მზადობის მიზნით ეფექტური მექანიზმების შექმნა; მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში კულტურული ტურიზმის განვითარებისა და მისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება; ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების რეაბილიტაცია, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები, საერთაშორისო ექსპერტების მიერ რიგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შეფასება; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის ღონისძიებების განხორციელება და ქართველი სპეციალისტებისათვის უცხოელი

	ექსპერტების გამოცდილების გაზიარება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული მონაცემების ასახვა საინფორმაციო სივრცეში; ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა; გამოვლენილი და აღკვეთილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები, მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით; კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - კულტურული მემკვიდრეობის 50-მდე ნიმუშზე: მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებულია ძეგლი, განხორციელებულია ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ; მიზნობრივი მაჩვენებელი - კულტურული მემკვიდრეობის 50-მდე ნიმუშზე: მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებულია ძეგლი, განხორციელებულია ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 7%; შესაძლო რისკები - კლიმატური პირობები, ძეგლების მდგომარეობის გაუარესება წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზებით, საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული რეგულაციები, 2. საბაზისო მაჩვენებელი - კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის/რეინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია, შესწავლილია, სისტემატიზებულია 50-მდე ნიმუში, ობიექტი და ძეგლი და ასახულია კულტურული მემკვიდრეობის ერთიან საინფორმაციო ბაზაში; მიზნობრივი მაჩვენებელი - კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის/რეინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია, შესწავლილია, სისტემატიზებულია 100-მდე ნიმუში, ობიექტი და ძეგლი და ასახულია კულტურული მემკვიდრეობის ერთიან საინფორმაციო ბაზაში; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 7%; შესაძლო რისკები - კლიმატური პირობები, შესყიდვის პროცედურები, ძეგლების მდგომარეობის გაუარესება წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზებით, საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული რეგულაციები, 3. საბაზისო მაჩვენებელი - აღკვეთილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 50-მდე; მიზნობრივი მაჩვენებელი - აღკვეთილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 50-მდე; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 7%; შესაძლო რისკები - კლიმატური პირობები, შესყიდვის პროცედურები, ძეგლების მდგომარეობის გაუარესება წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზებით, საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული რეგულაციები, სავიზო რეგულაციების

	დაწესება 4. საბაზისო მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობა 300 000; 10-მდე მნიშვნელოვანი სამუზეუმო გამოფენის მოწყობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობა 360 000; 10-მდე მნიშვნელოვანი სამუზეუმო გამოფენის მოწყობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 7%; შესაძლო რისკები - კლიმატური პირობები, შესყიდვის პროცედურები, ძეგლების მდგომარეობის გაუარესება წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზებით საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული რეგულაციები, სავიზო რეგულაციების დაწესება
--	---

სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი (45 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი
პროექტის აღწერა და მიზანი	ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდის მიზნით დაფინანსდება საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული და საქველმოქმედო ორგანიზაცია საქართველოს სხვადასხვა (მ.შ. მაღალმთიან) რეგიონებში, კერძოდ, სასულიერო აკადემიები და სემინარიები, უნივერსიტეტი, სკოლა-გიმნაზიები, დედათა და ბავშვთა სახლები, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი, პროფესიული კოლეჯი და სახელობო სასწავლებლები.

სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (39 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში მცხოვრები წამყვანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ნაკრებების მომსახურე პერსონალის, ოლიმპიური ჩემპიონების და პრიზიორების, საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების დახმარება და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მატერიალურად უზრუნველყოფილი ოლიმპიური ჩემპიონები, პრიზიორები, საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულები, ვეტერანი სპორტსმენები და სპორტის მუშაკები; უზრუნველყოფილი და მოტივირებული მოქმედი წამყვანი სპორტსმენები, მწვრთნელები და ნაკრებების მომსახურე პერსონალი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სახელმწიფო სტიპენდიას და სოციალურ დახმარებას ღებულობს 1084 ბენეფიციარი (ოლიმპიური

	ჩემპიონები, პრიზიორები, ვეტერანი სპორტსმენები, სპორტის მუშაკები, მოქმედი წამყვანი სპორტსმენები, მწვრთნელები, ნაკრებების მომსახურე პერსონალი); მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალგაზრდა და პერსპექტიულ სპორტსმენთა მოტივაციის ამაღლება დახმარებებისა და სტიპენდიების გაცემის გზით. ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა 1 100 -მდე
--	--

ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (39 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აპარატი; სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი; სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და წახალისება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ხარჯვის ორგანიზება, საქართველოს ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფა; ახალგაზრდა და პოტენციურად მომგებიანი ბიზნეს იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა; ბავშვთა და ახალგაზრდობის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვის ხელშეწყობა, მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბების და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, ბავშვებისა და ახალგაზრდების შემეცნებით შემოქმედებითი და დასვენება გაჯანსაღების ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება; კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით; პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა; ბანაკების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალის“ ფარგლებში კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების აქტივობების ზრდა; ქართველ და უცხოელ ახალგაზრდებს შორის საქმიანი თანამშრომლობა; ახალგაზრდებში გაზრდილი სამოქალაქო ცნობიერება და კანონის პატივისცემა; ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური ხარჯვა;

	კულტურულ-შემოქმედებით და საერთაშორისო ღონისძიებებში მეტი წახალისებული და მოტივირებული ახალგაზრდის ჩართვა;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ახალგაზრდულ პროექტებში ჩართულია - 84 300 ბენეფიციარი; მიზნობრივი მაჩვენებელი - პროექტებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა 100 300- მდე; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 3-15%; შესაძლო რისკები - ანაკლიის ბანაკის შესაძლო დემონტაჟი, ახალგაზრდული პროექტების კონკურსში მონაწილე ორგანიზაციების კვალიფიკაციის დონე, სახელმწიფო ტენდერების განხორციელებით შესყიდული მომსახურების ხარისხსა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები (ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვისას ხარისხისა და გამოცდილების კორტროლის მექანიზმების სისუსტე)

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (55 00)

პროექტის აღწერა და მიზანი	იკვლევს და საქართველოს მთავრობას წარუდგენს საქართველოში რელიგიის სფეროში არსებულ მდგომარეობას; ამზადებს რეკომენდაციებს, მათ შორის სამართლებრივი აქტების პროექტების სახით და გასცემს კონსულტაციებს რელიგიური გაერთიანებებისათვის პრობლემატურ საკითხებზე; ამზადებს რეკომენდაციებს კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით; იკვლევს ევროპის კავშირის ქვეყნებში არსებულ სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობათა სისტემებს; შეისწავლის საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების გამოცდილებას და სტანდარტებს რელიგიის სფეროში; კვლევების საფუძველზე შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს საქართველოს მთავრობას; ამყარებს კავშირს და თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფოთა ანალოგიურ ორგანიზაციებთან; ქმნის და აწარმოებს რელიგიური გაერთიანებების შესახებ საინფორმაციო ბანკს; უფლებამოსილი ორგანოებისათვის გასცემს რეკომენდაციებს რელიგიურ - საკულტო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის და სხვადასხვა შენობება-ნაგებობის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობად გარდაქმნის თაობაზე; საქართველოს მთავრობის სახელით, უფლებამოსილია შეასრულოს შუამავლის ფუნქცია და მონაწილეობა მიიღოს იმ დავებისა და საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც შეიძლება გაჩნდეს საქართველოში მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებს შორის;
---------------------------	---

	კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიმუშავებს წინადადებებს რელიგიის სფეროში განათლების შესახებ; შეიმუშავებს წინადადებებს და რეკომენდაციებს სამოქალაქო საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში ტოლერანტული გარემოსა და შემწყნარებლობის მხარდასაჭერად; ხელს უწყობს ინტერრელიგიური და კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავებას რელიგიურ გაერთიანებათა შორის; ახორციელებს პრემიერ-მინისტრის დავალებებს რელიგიის სფეროში.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რელიგიური გაერთიანებების შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნა; რეკომენდაციების მომზადება სამოქალაქო საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში ტოლერანტული გარემოსა და შემწყნარებლობის მხარდასაჭერად; რეკომენდაციები რელიგიურ - საკულტო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის და სხვადასხვა შენობება-ნაგებობის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობად გარდაქმნის თაობაზე; კავშირის დამყარება და თანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფოთა რელიგიურ ორგანიზაციებთან.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (33 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	კულტურის ერთიანი პოლიტიკის გატარება, მათ შორის სახელოვნებო, სამუზეუმო და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში; კულტურის სფეროსთვის პროგრამულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით ნორმატიული აქტების შემუშავება; სამინისტროს საინვესტიციო სტრატეგიის განხორციელება; კულტურის სტრატეგიით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის შემუშავება; სამინისტროს ფუნქციონირებისათვის ღონისძიებების გატარება. პროგრამის მიზანია სრულყოფილი ადმინისტრირებისა და მართვის უზრუნველყოფა კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; ქვეყანაში კულტურის პოლიტიკის ადაპტაცია და ჰარმონიზაცია ანალოგიურ საერთაშორისო პრაქტიკასთან.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	კულტურის სფეროში პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული პრობლების მართვის მობილური მექანიზმის ჩამოყალიბება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - არასრული ელექტრონული სისტემა (მათ შორის საარქივო); მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი მართვის ელექტრონული სისტემა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 3%;

	შესაძლო რისკები - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - სისტემაში არსებული 86 საბიუჯეტო ორგანიზაცია; მიზნობრივი მაჩვენებელი - ოპტიმიზაცია და ერთგვაროვანი ფუნქციის მატარებელი სსიპ-ების გაერთიანება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 3%; შესაძლო რისკები - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - კულტურის სტრატეგია; მიზნობრივი მაჩვენებელი - კულტურის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულად შესრულება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 3%; შესაძლო რისკები - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა 4. საბაზისო მაჩვენებელი - სისტემის მართვაში არსებულ მენეჯმენტში დასაქმებულთა რაოდენობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემის მართვაში დასაქმებულთა ოპტიმალური რაოდენობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 3%; შესაძლო რისკები - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
--	--

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (39 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	სამინისტროს პროგრამების შეუფერხებელი განხორციელება; ფიზიკური აღრზდისა, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია; სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა; პროფესიული და მოყვარულთა სპორტული კლუბებისა და ორგანიზაციების სტატუსის განსაზღვრა; სპორტში აკრძალულ მასტიმულირებელ საშუალებათა (დოპინგი) გამოყენების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელება; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა; ახალგაზრდა მეცნიერთა, სპორტსმენთა და შემოქმედთათვის სახელმწიფო მხარდაჭერა, კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან ერთად მათი განხორციელება; კომპეტენციის ფარგლებში სპორტთან და ახალგაზრდობასთან დაკავშირებული კანონის პროექტების შემუშავება.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში გატარებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ახალგაზრდობის სფეროში მთავრობის მიერ დამტკიცებული 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა. განხორციელებული კვლევა სპორტის და ახალგაზრდობის სფეროში, საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წელს დამტკიცებული სპორტის და ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები. დახვეწილი სპორტის სახელმწიფო მართვის მოდელი და გაუმჯობესებული თანამშრომლობა სპორტულ ორგანიზაციებთან; მიზნობრივი მაჩვენებელი - სამოქმედო გეგმის განხორციელება, რომელიც გამომდინარეობს სპორტის და ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებიდან; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 0

საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
28 01	საგარეო პოლიტიკის განხორციელება	105,625.00	105,215.00	410.00	110,890.00	110,920.00	115,840.00
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	3,100.00	3,100.00	0.00	3,350.00	3,500.00	3,500.00
21 00	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,200.00	1,200.00	0.00	1,200.00	1,200.00	1,200.00
	სულ	109,925.0	109,515.0	410.0	115,440.0	115,620.0	120,540.0

საგარეო პოლიტიკის განხორციელება (28 01)

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა; საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით კონფლიქტის ესკალაციის პრევენცია და მშვიდობიანი გზით ქვეყნის დეოკუპაციის პოლიტიკის განხორციელება; საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება; საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა; იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფა; ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობა; ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიმართ მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფა; აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება და აშშ-ს როლის გაძლიერება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის პროცესში; საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) ფარგლებში საქართველოსთან დაკავშირებული თემების შენარჩუნება და აქტუალიზაცია. რუსეთის ფედერაციასთან დამაბული ურთიერთობების დეესკალაცია; ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივ და რეგიონულ დონეზე თანამშრომლობის განვითარება და გაღრმავება; ქართული პროდუქციისთვის ახალი ბაზრების მოძიება, ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვა, ტურიზმის

	განვითარების ხელშეწყობა და სტიმულირება; სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში მრავალმხრივი თანამშრომლობა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ბიზნეს-სუბიექტების მიერ საზღვარგარეთ უკანონო კავშირების და საქმიანობის პრევენცია; ასევე, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უცხო ქვეყნების ბიზნეს-სუბიექტების მიერ უკანონო საქმიანობისა და კონტაქტების დამყარების პრევენცია; შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ფორმატში რეგიონული და რეგიონთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება და კონკრეტული პროექტების განხორციელება; საერთაშორისო რეიტინგების გაუმჯობესება. საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა ეფექტური მომსახურება და კრიზისულ სიტუაციებში შესაბამისი დახმარების გაწევა, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის კუთხით მუშაობის გაუმჯობესება; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა; საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა; უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა, მათთვის შეღავათანი პირობების შექმნა და სოციალური უსაფრთხოების დონის ამაღლება.
--	--

საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (28 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დარჩენილ წევრ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება; საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ გადაფარვის არეალის გაზრდა; ევროკავშირისა და NATO-ში ინტეგრაციის პროცესის ინტენსიფიკაცია; 2017 წლის განმავლობაში ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში საქართველოს აქტიური მონაწილეობა; საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაცია და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელება; საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ინტენსიფიკაცია; ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება. ნატო-ს შემდგომ სამიტზე მოკავშირეების მხრიდან საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიღწეული

პროგრესის დაფიქსირება; ნატო-საქართველოს „არსებით ღონისძიებათა პაკეტის“ განხორციელების ხელშეწყობა; ნატო-ს წევრ ქვეყნებთან აქტიური პოლიტიკური კონსულტაციების წარმოება; წლიური ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული რეფორმების სათანადოდ წარმოჩენა.

საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების მიზნით ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარება და ინტენსიფიკაცია;

საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების, ასევე კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში მათი როლის გაძლიერების მიზნით; საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ომით დაშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელების მიზნით; საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში საქართველოს აქტიური მონაწილეობა და წარმომადგენლობითობის გაზრდის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კამპანიების წარმოება; საქართველოს ცნობადობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გამართვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უცხო ქვეყნების ბიზნეს-სუბიექტების მიერ უკანონო საქმიანობისა და კონტაქტების დამყარების პრევენცია;

აშშ-სთან, როგორც საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან, ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში ორმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება დემოკრატიისა და მმართველობის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის, ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის, ასევე ხალხთაშორის ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების მიმართულებებით; სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში ოთხივე მიმართულებით დაგეგმილი პროექტების წარმატებით განხორციელება და ახალი პროექტების დაგეგმვა; აშშ-ის მხარდაჭერისა და დახმარების ზრდა; საქართველოსა და აშშ-ის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის საქართველოში განხორციელებულ რეფორმებზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ეფექტური კომუნიკაცია; აშშ-ის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე ბიზნეს წრეებთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან და კვლევით ორგანიზაციებთან მჭიდრო და ქმედითი თანამშრომლობა; მუშაობის გაგრძელება მაღალი დონის სავაჭრო და საინვესტიციო დიალოგის ფარგლებში, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების მომავალში გაფორმების მიზნით; ინტენსიური მუშაობა აშშ-ის მხარდაჭერის გასაძლიერებლად თანამშრომლობის მრავალმხრივ ფორმატებში.

ექსპორტის მხარდაჭერა; უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და სტიმულირება; სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში მრავალმხრივი თანამშრომლობა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება; ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება მთავრობათაშორის ეკონომიკური კომისიების გამართვის მეშვეობით; საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან (WTO, OECD, WIPO, ILO, IMO, WMO, WHO, WCO, ICAO, ITU, ITC, BSEC, UNECE, UNDP, UNCTAD, UNEP, UNIDO, ESCAP, ECOSOC, FAO, IFAD, UNWTO, EBRD, IMF, ADB, AIIB) თანამშრომლობის გაღრმავება და გაფართოება,

	საერთაშორისო არენაზე საქართველოს ობიექტურად და პოზიტიურად წარმოჩენა, გარე სამყაროსათვის ქვეყნის სრული პოტენციალის ეფექტიანად დემონსტრირების გზით; საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს წარმოჩენა, როგორც მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურის მქონე ქვეყნის, რომელიც ევროპული კულტურული სივრცის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს; საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში საქართველოს მეტი ჩართულობის ხელშეწყობა; ძალისხმევის განხორციელება, როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატში საერთაშორისო კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარებისა და ერთობლივი საერთაშორისო პროექტების ხელშეწყობის მიმართულებით; სამინისტროს მიერ მცირე ბიუჯეტის პროექტების თანადაფინანსება, განხორციელება; საქართველო-გერმანიის წლის 2017 აღნიშვნა; საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის, მათი რესტავრაცია/კონსერვაციის მიზნით ერთობლივი პროექტების შემუშავების ხელშეწყობა; აქტიური თანამშრომლობა გაერთიანებული ერების განათლების, კულტურის და მეცნიერების ორგანიზაციასთან (UNESCO). იუნესკოს მმართველ და დამხმარე ორგანოების, ასევე კომიტეტების მუშაობაში მონაწილეობა; თანამშრომლობა ფრანკოფონიასთან, CPLP-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან; განათლების, კულტურისა და მეცნიერების პრიორიტეტულ სფეროებში იუნესკოს დაფინანსებითა და ხელშეწყობით პროექტების გახორციელება; იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან (UNESCO WHC) თანამშრომლობა. საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული პრობლემატიკის მოგვარების ხელშეწყობა. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების, როგორც ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორის, პოპულარიზაცია და ახალი ძეგლების ნომინირების პროცესის ხელშეწყობა; მუშაობა UNESCO-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში აქტიურად ჩართვის მიზნით. საზღვარგარეთ საკონსულო სამსახურების გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირება; სამართლებრივი ბაზის დახვეწა და საკონსულო სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავება; საკონსულო საქმიანობის განხორციელების/ გადაფარვის არეალის გაზრდა; საქართველოს მოქალაქეთათვის საზღვარგარეთ თავისუფალი გადაადგილების არეალის გაფართოება
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის შემდგომი განმტკიცება; საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზება კონფლიქტის ესკალაციის პრევენციისა და რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულების მიმართულებით; ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ეფექტიანობის გაზრდა და დღის წესრიგის მთავარ საკითხებზე პროგრესის მიღწევა; საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელება და შემდგომი გაძლიერება; საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის შემდგომი გატარება; საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის

მიმდებარე ზონებში უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ მდგომარეობაზე; საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირთა პრობლემატიკის აქტუალიზაცია საერთაშორისო არენაზე, მათ შორის გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ შესაბამისი რეზოლუციის მიღება;

საერთაშორისო თანამეგობრობის ხელშეწყობით, ნდობის აღდგენისა და ჩართულობის პოლიტიკის მიმართულებით პროექტების განხორციელება;

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის იმპლემენტაციისთვის შემუშავებული ეროვნული სამოქმედო გეგმით 2017 წელს გათვალისწინებული აქტივობების შესრულება; ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება; ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში საქართველოს ჩართულობის ხელშეწყობა; საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში სხდომების გამართვა; მაღალი დონის ვიზიტების განხორციელება საქართველოსა და ევროკავშირში.

NATO-ს წევრი ქვეყნების ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლებიც მზად იქნებიან შემდგომ სამიტზე საქართველოს საკითხის ლობირებისთვის; „არსებითი პაკეტით“ გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება; წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) წარმატებით განხორციელების შედეგად NATO-ს სტანდარტებთან მიახლოება.

აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხორციელება; ქარტიით განსაზღვრული ოთხი სამუშაო ჯგუფისა და ერთი პლენარული სესიის გამართვა; ქარტიით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და ინიციატივების ორმხრივ ხელშეკრულებებში ასახვა და ამ ხელშეკრულებების პუნქტების იმპლემენტაციის დაწყება; საქართველოს მხარდაჭერის ზრდა აშშ-ის აღმასრულებელ და საკანონმდებლო, ასევე, კვლევით, არასამთავრობო, ბიზნეს და მედია წრეებში; აშშ-ის მიერ პარტნიორობისთვის განკუთვნილი საგარეო დახმარების ფორმატში საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარების შენარჩუნება ან/და ზრდა; აშშ-ის მიერ საქართველოს მხარდამჭერი განცხადებების გაკეთება და რეზოლუციების მიღება; აშშ-სა და საქართველოს შორის სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავება, საუკეთესო შემთხვევაში მოლაპარაკებების დაწყება ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების მიზნით; როგორც აშშ-ის, ისე საქართველოს მხრიდან მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტების განხორციელება.

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მისწრაფებებისადმი საერთაშორისო მხარდაჭერის შენარჩუნება;

ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის აუზის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის რეგიონის ქვეყნებთან სხვადასხვა ვიზიტების, კონსულტაციების თუ სხვა სახის ღონისძიებების მეშვეობით მუდმივი კავშირების შენარჩუნება და განმტკიცება;

ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მიერ საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის უკეთ გამოყენება.

საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციების და სხვა დოკუმენტების მიღება; საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი ინსტიტუტების ჩართულობა ქვეყანაში დემოკრატიის და ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად; საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენლობითობის გაზრდა; საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობით საქართველოს ცნობადობის გაზრდა; საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფორმატებში საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირება ოკუპირებულ რეგიონებში და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ზონებში არსებულ უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე; საქართველოში, მათ შორის ოკუპირებულ რეგიონებში და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ზონებში საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ასევე ეუთოსთან და გაეროსთან წევრი-სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლების ვიზიტების განხორციელება; ვიზიტების შესახებ ანგარიშების მომზადება/ანგარიშებში ასახვა.

თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების მსოფლიო სისტემაში საქართველოს სრულფასოვანი ჩართვა; საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობების ზრდა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, სატრანზიტო დერეფნების მნიშვნელობის გაზრდა; საქართველოს საინვესტიციო გარემოს, ეკონომიკური რეფორმების, ადგილობრივი რესურსების, აგრეთვე საქართველოს საგარეო სავაჭრო და ევროკავშირის ბაზარზე შექმნილი პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების (მათ შორის, DCFTA, EFTA) შესახებ საერთაშორისო პარტნიორების ცნობადობის ამაღლება; საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების ბიზნესის წარმომადგენელთა შორის კავშირების დამყარება; საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით ჩატარებული პროექტების რაოდენობის ზრდა.

საქართველოს და მისი მდიდარი კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის პოპულარიზაცია; საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში მაქსიმალურად ჩართვა; საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ხელშეწყობა; იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტებსა და პროგრამებში ჩართვა.

მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატში მიმდინარეობს მუშაობა მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, რომლებთანაც შეერთება საქართველოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია;

თანამედროვე ტექნოლოგიების და ახალი მექანიზმების დანერგვა/ გაუმჯობესება; სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება და კონსულტაციების დაგეგმვა; საჭიროებით მიხედვით, ახალი საკონსულო დაწესებულებების გახსნა და საპატიო კონსულების ქსელის გაფართოება; უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებების გაფორმება პრიორიტეტულ ქვეყნებთან.

**შუალედური შედეგის
შეფასების ინდიკატორები**

1.
მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციები/განცხადებები/გადაწყვეტილებები
2.
მიზნობრივი მაჩვენებელი - ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში სამუშაო ჯგუფების შეუფერხებელი ფუნქციონირება და დღის წესრიგის მთავარ საკითხებზე საგნობრივი დისკუსიების გამართვა
3.
მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების საფრთხის შემცირება
4.
მიზნობრივი მაჩვენებელი - ნდობის აღდგენისკენ მიმართული საერთაშორისო პროექტების რაოდენობა
5.
მიზნობრივი მაჩვენებელი - ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში შერჩეული ქართველი კანდიდატების მონაწილეობა
6.
მიზნობრივი მაჩვენებელი - ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება
7.
მიზნობრივი მაჩვენებელი - ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების მიერ წლიური ეროვნული პროგრამის დადებითი შეფასება; საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის მხარდამჭერი ქვეყნების რაოდენობის გაზრდა
8.
მიზნობრივი მაჩვენებელი - აშშ-ის ადმინისტრაციისა და კონგრესის მიერ საქართველოს მხარდაჭერისა და დახმარების ზრდა. აგრეთვე, საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციებისა და განცხადებების მიღება; საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა; აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული პრიორიტეტების ორმხრივ ხელშეკრულებებში ასახვა და მათი იმპლემენტაცია; აშშ-ის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია; სამომავლოდ საქართველოსა და აშშ-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა
9.
მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების მქონე ქვეყნების რაოდენობა
10.
მიზნობრივი მაჩვენებელი - სხვადასხვა სახელმწიფოებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
11.
მიზნობრივი მაჩვენებელი - საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და გადაფარვის ქვეყნების რაოდენობა
- 12.

	მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციების არჩევით სტრუქტურებში საქართველოს კანდიდატურების რაოდენობა 13. მიზნობრივი მაჩვენებელი - საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ საქართველოს საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად განხორციელებული ღონისძიებები - პრეზენტაციები, გამოფენები, ფორუმები, ბიზნეს-დელეგაციების ვიზიტები, თანამშრომლობით დაინტერესებული კომპანიების წინადადებები, მედია-კამპანიები; ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიების სხდომების ოქმის შესრულება 14. მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ, სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელებული კულტურული პროექტები, მათ შორის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მიმართულებით; იუნესკოს ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები და იუნესკოს მმართველ და დამხმარე ორგანოებში მონაწილეობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით გადადგმული ნაბიჯები 15. მიზნობრივი მაჩვენებელი - საკონსულო სამსახურების მიერ მოქალაქეებისათვის საკონსულო მომსახურება და, ასევე, კრიზისულ ან გადაუდებელ სიტუაციებში გაწეული დახმარების ეფექტიანობის ზრდა; საქართველოს მოქალაქეთათვის საკონსულო მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდა; საქართველოს მოქალაქეების უცხოეთში ლეგალურად მოგზაურობისა და ყოფნის შესაძლებლობის ზრდა
--	--

საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (28 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური წევრობა ქვეყნის ეროვნული ინტერესების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოს იმიჯის გაუმჯობესება საერთაშორისო არენაზე; პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის მიღება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ფინანსური თუ სხვა ტიპის ვალდებულებების შესრულება 2. მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით, საქართველოში განხორციელებული პროექტები

საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (28 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო
პროექტის აღწერა და მიზანი	საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტების თარგმნა / დამოწმება; სათარგმნი მასალების რაოდენობის და სხვადასხვა ოფიციალური შეხვედრების სინქრონული თარგმნით მომსახურების გაზრდა; გასაფორმებელი კონტრაქტების რაოდენობის გაზრდა; თარგმნის ხარისხის კიდევ უფრო მეტად დახვეწა; - თარჯიმანთა კვალიფიკაციის და გამოცდილების ამაღლება; მთარგმნელებისთვის პერიოდულად პრაქტიკული სემინარების, ტრენინგების ჩატარება; მაღალი ხარისხის თანამედროვე, სინქრონული და ციფრული აპარატურის შეძენა; საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ინტენსიური შეხვედრები; კანონით განსაზღვრული არასაბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მთარგმნელებისთვის პერიოდულად პრაქტიკული სემინარების, ტრენინგების ჩატარება, შესაბამისი სპეციალისტების მოწვევით. შესასრულებელი შეკვეთების რაოდენობის გაზრდა; ხარისხის გაუმჯობესება - შემსრულებელთა კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის ამაღლების გზით; თანამედროვე განმარტებითი და ტექნიკური ლექსიკონების, საცნობარო და მეთოდური ლიტერატურის შეძენა (საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით), თანამედროვე ელექტრონული ლექსიკონების შეძენა და მაღალი ხარისხის თანამედროვე, სინქრონული და ციფრული აპარატურის შეძენა, პრესკონფერენციებისა და სხვა შეხვედრების მაღალი ხარისხით ჩატარება
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - ბიუროში შემოსული და ნათარგმნი დოკუმენტების კლასიფიკაციის მიხედვით დახარისხება და დაარქივება 2. მიზნობრივი მაჩვენებელი - სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაზრდა 3. მიზნობრივი მაჩვენებელი - სათარგმნი მასალების რაოდენობის ზრდა 4. მიზნობრივი მაჩვენებელი - ბიუროს, კანონით განსაზღვრული არასაბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა. სინქრონული აპარატურით, მაღალი ხარისხის მომსახურება, სხვა კომპანიებთან შედარებით შედავათიან ფასებში, რის შედეგადაც სახელმწიფო ორგანიზაციებს შეუძლია დედათ საკმაოდ ძვირადღირებული მომსახურება

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (20

00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	ნატო-საქართველოს კომისიის სხდომების კოორდინაცია; საქართველოს 2015 წლის წლიური ეროვნული პროგრამის შემუშავება და განხორციელების მონიტორინგი და კოორდინაცია; თვით-შეფასების დოკუმენტის მომზადება; საზოგადოების ინფორმირება ნატო-სა და ნატო-საქართველოს ურთიერთობების შესახებ; ნატოსთან არსებით ღონისძიებათა პაკეტის განხორციელებისადმი საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვების ხელშეწყობა; „ერთის მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა“ და „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის“ 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია; ევროკავშირის ინიციატივების - „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ (Eastern Partnership) და „პარტნიორობა მობილურობისათვის“ (Mobility Partnership) ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება; ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის 2014-2017 წლების სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია; ევროკავშირის დახმარების ფარგლებში გათვალისწინებული საერთაშორისო ფინანსური შეთანხმებების მომზადება და ხელმოწერა, მიმდინარე ევროკავშირის პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტური კოორდინაცია დახმარების მიმღები დარგობრივი უწყებების შესაძლებლობების გაზრდა ევროკავშირის დახმარების პროექტების განხორციელების პროცედურების შესახებ.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (21 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	ქართული დიასპორის მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით მათთვის კონკრეტული პროექტების შეთავაზება და მათი პოპულარიზაცია; ყოველწლიურად საქართველოში დიასპორის დღის აღნიშვნა და ამ დღისადმი მიძღვნილ კულტურულ ღონისძიებებში ქართული დიასპორის წარმომადგენელთა ჩართვა; უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, საზღვარგარეთ არსებული დიასპორული ორგანიზაციების, საკვირაო სკოლებისა

	და შემოქმედებითი კოლექტივების მხარდამჭერი ღონისძიებების დაფინანსება, ქართული სახლების არეალის გაფართოება; საქართველოში და საზღვარგარეთ ბიზნეს-სამეცნიერო ფორუმების გამართვა, ქართული კომპანიების დიასპორულ ორგანიზაციებთან დაკავშირება, უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენებისათვის საინვესტიციო პროექტების შეთავაზება და საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ქართული დიასპორის კავშირების გამოყენება. სამშობლოდან სხვადასხვა მიზეზების გამო, გასული მოსახლეობის მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ხოლო შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით, მათთვის კონკრეტული პროექტების შეთავაზება და პოპულარიზაცია. სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ქართული სათვისტომოების ერთმანეთთან დაახლოება; დიასპორული პოლიტიკის შემუშავებაში საერთო შეხედულებების ჩამოყალიბება; დაგროვილი გამოცდილებების გაზიარება; დიასპორებსა და ქართულ საზოგადოებას შორის ურთიერთობის გაღრმავება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ქართული სათვისტომოების ერთმანეთთან დაახლოება 2. საბაზისო მაჩვენებელი - დიასპორული პოლიტიკის შემუშავებაში საერთო შეხედულებების ჩამოყალიბება 3. საბაზისო მაჩვენებელი - დიასპორებსა და ქართულ საზოგადოებას შორის ურთიერთობის გაღრმავება

სოფლის მეურნეობა

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
37 01	სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	183,825.00	176,440.00	7,385.00	206,945.00	178,385.00	170,000.00
37 03	მევენახეობა-მელვინეობის განვითარება	32,750.00	32,400.00	350.00	30,350.00	30,350.00	30,350.00
37 02	სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა	28,060.00	22,700.00	5,360.00	29,580.00	28,580.00	28,580.00
37 04	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	6,600.00	6,600.00	0.00	6,500.00	6,500.00	6,500.00
	სულ	251,235.0	238,140.0	13,095.0	273,375.0	243,815.0	235,430.0

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (37 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“; ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“; შპს „საქართველოს მელიორაცია“
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყნის აგრარულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება ეროვნული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილებით; წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენა; ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ღონისძიებების განხორციელება; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა; კოოპერატივებისათვის საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნა; სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გადამამუშავების და შენახვა-რეალიზაციის რგოლების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით; აგროსექტორში დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა; სანერგე მეურნეობების მოწყობის და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა; კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია; თანამედროვე სტანდარტების ჩაის გადამამუშავებელი სიმძლავრეების შექმნა; მიწის აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა, სადაც ფერმერებს ჩაუტარდებათ სავსე სწავლებები;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სარწყავი და დამშრობი ინფრასტრუქტურის განვითარება; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა; სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა; სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება; სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტის ხელმისაწვდომობის ზრდა; აგროდაზღვევის განვითარება; სანერგე მეურნეობების განვითარება;

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლები მოცემულია თითოეული ქვეპროგრამის მიხედვით; მიზნობრივი მაჩვენებელი - სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა; სექტორში დასაქმებულ ფერმერთა რაოდენობა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდა და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლის გაუმჯობესება; გასარწყავებული და დაშრობილი ფართობების მაჩვენებელი; შეღავათიანი აგროკრედიტებით დაფინანსებულ პირთა რაოდენობა; დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების რაოდენობა; გაშენებული მრავალწლიანი კულტურის ბაღების და სანერგე მეურნეობების რაოდენობა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა; ჩაის წარმოების ზრდა
---	--

სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (37 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება; მელიორაციის სფეროს განვითარების, მიწის რაციონალურად გამოყენების, ნიადაგის კონსერვაციის, ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება; სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების სტრატეგიისა და დარგობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავება; სოფლის მეურნეობის დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა; სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება; საერთაშორისო ორგანიზაციების საწევრო გადასახადის გადახდა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ორიენტირებულია თითოეული ქვეპროგრამის მიზნების გათვალისწინებით მათ მოსალოდნელ შუალედური შედეგების მიღწევაზე.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს: მეცხოველეობის, მემცენარეობის და მეთევზეობის, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის დარგების განვითარებისათვის შემუშავებული ახალი ღონისძიებების განხორციელებისა და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის შედეგად შესაბამისი დარგების განვითარება; ჩატარებული კვლევების და ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით

	ოპტიმალური სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის, აგრეთვე ევროკავშირისა და საქართველოს შორის დადებულ ასოცირების შეთანხმებაში, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, ჰარმონიზაციისთვის აუცილებელი ზომების გატარების უზრუნველყოფით, ევროკავშირის ბაზარზე ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდა, დაგეგმილი პროგრამების და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება; მიზნობრივი მაჩვენებელი - მეცხოველეობის, მემცენარეობის და მეთევზეობის, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის დარგების განვითარებისათვის შემუშავებული ახალი ღონისძიებების განხორციელებისა და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის შედეგად შესაბამისი დარგების განვითარება; ჩატარებული კვლევების და ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ოპტიმალური სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის, აგრეთვე ევროკავშირისა და საქართველოს შორის დადებულ ასოცირების შეთანხმებაში, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, ჰარმონიზაციისთვის აუცილებელი ზომების გატარების უზრუნველყოფით, ევროკავშირის ბაზარზე ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდა, დაგეგმილი პროგრამების და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება
--	---

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება რეგიონებში (37 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი პოლიტიკის გატარებაში სამინისტროს ხელშეწყობა, სამინისტროს პროგრამების შესახებ მოსახლეობის სისტემატიური ინფორმირება, დაინტერესებული პირებისათვის დარგის შესაბამის საკითხებზე კონსულტაციების გაცემა, ტრენინგებისა და სწავლებებისა ორგანიზება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე პროგრამებზე და ღონისძიებებზე, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიებზე ინფორმირებული და კვალიფიკაცია ამაღლებული ფერმერები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - უზრუნველყოფილია რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი პოლიტიკის გატარებაში სამინისტროს ხელშეწყობა, სამინისტროს პროგრამების შესახებ მოსახლეობის სისტემატიური ინფორმირება, დაინტერესებული პირებისათვის დარგის შესაბამის საკითხებზე კონსულტაციების გაცემა, ტრენინგებისა და სწავლებებისა ორგანიზება,; მიზნობრივი მაჩვენებელი - დარგში მიმდინარე პროგრამებზე და ღონისძიებებზე ინფორმირებული ფერმერები და სხვა დაინტერესებული პირების რაოდენობა. თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმირებული და კვალიფიკაცია ამაღლებული ფერმერთა რაოდენობა

სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (37 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის მიზნით განხორციელდება : წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია; სარწყავი სისტემების ზონაში დამშრობი (საკოლექტორო) ქსელის რეაბილიტაცია; საინჟინრო კვლევები, პროექტირება , ზედამხედველობა, ექსპერტიზა. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ღონისძიებებისათვის და სამელიორაციო მომსახურეობის მიწოდების მიზნით, სპეციალური ტექნიკით, სატრანსპორტო საშუალებებით, მექანიზმებით, მოწყობილობებითა და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა. შპს „საქართველოს მელიორაციის“ სუბსიდირება სარწყავი და დამშრობი სისტემების ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებების, მექანიკური სატუმბი სადგურების და სხვა ჰიდროკვანძების ფუნქციონირების მიზნით მოსახმარი ელექტროენერგიის ხარჯების, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების და კომპანიის ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა, წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება, სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება, სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება, დაშრობილი მიწის ფართობის ზრდა, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით რეგულარული სარწყავი ფართობი შეადგენს (სარწყავი მიწის ფართობი, რომელზეც შესაძლებელია რეგულარული წყლის მიწოდება საირიგაციო სისტემების მეშვეობით) - 106.6 ათასი ჰა-ს, ხოლო დაშრობილი მიწის ფართობი - 31.6 ჰა. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის პირობებში, სამელიორაციო სისტემების მეშვეობით (ამ სისტემებზე ჩამოკიდებული ფართობების მაჩვენებლებიდან გამომდინარე) შესაძლებელი იქნება: ა) სარწყავი წყლის გარანტირებული მიწოდება სავარაუდოდ 364 355 ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 277 242 ჰა თვითდინებითი და 87 113 ჰა მექანიკური სისტემებით. ბ) მიწების დაშრობა სავარაუდოდ 105 000 ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 27 168 ჰა მექანიკური წესით; მიზნობრივი მაჩვენებელი - პირობითი სარწყავი მიწების კატეგორიიდან რეგულარულ სარწყავი მიწების კატეგორიაში გადასული 11249 ჰა- მდე მიწის ფართობი; არსებულ- რეგულარულ სარწყავ ფართობზე წყლის მიწოდების გაუმჯობესება დაახლოებით 942 ჰა- მდე; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება დაახლოებით 18 977 ჰა-ზე; ახალი სარწყავი მიწების ათვისება დაახლოებით 185 ჰა-ზე; რეაბილიტირებული საპროექტო დაშრობილი ფართობი დაახლოებით

	4350 ჰა-ზე; დაშრობილი ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება დაახლოებით 940 ჰა ზე; ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებების გამხორციელების შედეგად გაიწმინდება და მოწესრიგდება, სავარაუდოდ - 1350 კილომეტრი სიგრძის სარწყავი და სადრენაჟო არხი;შეკეთდება ან შეიცვლება სავარაუდოდ 110 კმ მილსადენი; შეკეთდება მსხვილი ჰიდროტექნიკური ნაგებობა (კაშხალი, დიუკერი, აკვედუკი, გალერეა, გვირაბი, სათავე ნაგებობა), სავარაუდოდ 80 ერთეული;განხორციელდება სავარაუდოდ 1800 სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ერთეულის რემონტი ან შეცვლა ახლით (ფარები, ურდულები, წყალგამყოფი კვანძები, ტუმბოები, ელექტრო და მექანიკური მოწყობილობები და სხვა); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10-15% (ყველა ინდიკატორის მიხედვით); შესაძლო რისკები - შესყიდვის პროცედურების შეფერხება, სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები
--	---

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (37 01 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ჩატარდება ქართული აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაციები,როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, რომლის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა წარმომადგენლობითი, კულტურული და სარეკლამო ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას, დამატებითი გასაღების ბაზრების მოპოვებას, ბიზნეს კონტაქტების დამყარებას და საკვებ-პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა. აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლიდან დღემდე ქართული პროდუქცია წარმოდგენილი იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ 11 საგამოფენო ღონისძიებაზე, ქვეყნის შიგნით მოეწყო 2 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიება; მიზნობრივი მაჩვენებელი - მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სავარაუდოდ 7 და ქვეყნის შიგნით 2 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიების მოწყობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით დაგეგმილი რამდენიმე (დაახლოებით 2-3) ღონისძიება ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით შესაძლებელია გაუქმდეს; შესაძლო რისკები - სხვადასხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (37 01 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“
პროექტის აღწერა და მიზანი	კოოპერაციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა. კოოპერატივებში ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების ჩართულობის სტიმულირება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. კოოპერატივების ტექნიკით უზრუნველყოფის ხელშეწყობა. კოოპერატივებისთვის საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნა. სავაჭრო ობიექტის (პავილიონი) მშენებლობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კოოპერატივებში დაინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდოლოგიები. კოოპერატივები მზად იქნებიან სერთიფიცირებისა და სტანდარტიზაციის პროცედურებისათვის. კოოპერატივები საქმიანობას განახორციელებენ ე.ე.მ.ს.-ის დახმარებით. გაიზრდება კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებლები. ამაღლდება ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის დონე კოოპერაციულ წარმოებაში. მოიმატებს კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა, შემცირდება დანახარჯები ამ პროდუქციის წარმოებაზე. სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების მიერ საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. კოოპერატივების კონკურენტუნარიანობის ზრდა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით შექმნილია 1611 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. 2015 წელს მეფუტკრეობის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში 7588 ფუტკრის სკა გადაეცა 98 კოოპერატივს, ასევე 1370 მოტო-ბლოკის კომპლექტი და 55 ხელის სათესი მიეწოდა 1425 კოოპერატივს, მოეწყო საგადასახადო ტრეინინგი, რომელსაც 387 მეპაიე დაესწრო, მოეწყო კოოპერატივების მიერ წარმოებული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გამოფენა გაყიდვა, სადაც 664 მეპაიემ მიიღო მონაწილეობა, 2016 წელს მეფუტკრეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში 3401 სკა გადაეცა 98 კოოპერატივს, ხოლო 18 თაფლის საწური კი 18 კოოპერატივს; მიზნობრივი მაჩვენებელი - 17 კოოპერატივს გადაეცემა რძის და ყველის წარმოებისათვის აუცილებელი აღჭურვილობა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აშენდება 2 ერთეული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმო კოოპერატივებზე იჯარით გადაცემის მიზნით, აშენდება 2 ერთეული საცალო ვაჭრობის პავილიონი სადაც მოეწყო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის გაყიდვა. მექანიზაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მექანიზაციის საშუალებების (ტრაქტორების) შეძენა სავარაუდოდ 40 კოოპერატივისათვის, სააგენტოს 30%-იანი თანადაფინანსების ფარგლებში; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - ბენეფიციარი კოოპერატივების დაბალი აქტივობა

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (37 01 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სოფლის მეურნეობის დარგში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტური განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ორიენტირებულია სააგენტოს მიერ განსახორციელებელი პროექტების მიზნების გათვალისწინებით მათ მოსალოდნელი შუალედური შედეგების მიღწევაზე.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - უზრუნველყოფილია სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტური განხორციელება; მიზნობრივი მაჩვენებელი - დაგეგმილი პროექტების შეუფერხებელი განხორციელება

შელავათიანი აგროკრედიტები (37 01 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავების და შენახვა-რეალიზაციის საწარმოების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით. ბენეფიციარებზე სესხები (ან ლიზინგი) გაიცემა პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებიდან, ხოლო ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ განახორციელებს ამ სესხების (ლიზინგის) საპროცენტო სარგებელის თანადაფინანსებას და ზოგ შემთხვევაში, მონაწილეობას მიიღებს როგორც სესხების უზრუნველყოფაში, ასევე უზრუნველყოფის სახით წარდგენილი მიწის ნაკვეთების გამოსყიდვაში. პროექტის ბენეფიციარი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული იურიდიული პირი. სესხის (ლიზინგის) მიზნობრიობაა სოფლის მეურნეობის პირველადი და გადამამუშავებელი წარმოების საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსება. ქვეპროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების დეტალური პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა და არსებულის გაფართოება, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება, სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის საბანკო კრედიტების გაიაფება და ხელმისაწვდომობის

	გაზრდა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ლიზინგით გაცემის ფორმის განვითარება, დარგში საბანკო სექტორის მონაწილეობის გაფართოება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2013 წლიდან 2016 წლის 30 ივნისის მდგომარეობით გაცემულია 705 726 311 ლარის და 215 133 540 აშშ დოლარის 26 485 სესხი; სულ დაფინანსებულია 150 ახალი საწარმო და გადაიარაღებულია 700 საწარმოზე მეტი; მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინანსდება 120-მდე ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება/მოდერნიზება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა (37 01 08)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იკ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის N36 და „იაპონური გრანტის პროგრამა 2KR ის ფარგლებში საპარტნიორო ფონდში დეკონირებული თანხების გამოყენების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N2587 განკარგულებების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში 2016 წლის ვალდებულებების დაფარვა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში გადასახდელი თანხის სრულად დაფარვა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - სესხით და ლიზინგით შეძენილია შემდეგი სახის ტექნიკა: 605 ტრაქტორი; 56 კომბაინი; 1850 აგრეგატი; 20 სპეცტექნიკა; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელს დასრულდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში აღებული ვალდებულებების დაფარვა

აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (37 01 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იკ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევა განხორციელდება სადაზღვევო კომპანიების მიერ, ხოლო პროექტების მართვის სააგენტო განხორციელებს სადაზღვევო პრემიების თანადაფინანსებას საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება; ფერმერებისათვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2016 წლის 31 მაისის მდგომარეობით გაცემულია 35 726 პოლისი; დაზღვეული ფართობი შეადგენს 32 433 ჰა-ს, დაზღვეული მოსავლის ჯამური ღირებულება 270 420 041 ლარი, 2014-2015 წლებში ზარალის ოდენობამ შეადგინა 14 180 320 ლარი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 5 000 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაზღვევა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10 %; შესაძლო რისკები - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

დანერგე მომავალი (37 01 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მეხილეობის დარგის განვითარება თანამედროვე ტექნოლოგიებით მოწყობილი სანერგე მეურნეობების და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობის გზით, რისთვისაც განხორციელდება მრავალწლიანი კულტურების ბაღების და სანერგე მეურნეობების მოწყობის თანადაფინანსება. საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ახალი ინტენსიური/ნახევრად ინტენსიური ტიპის ბაღების გაშენება; მაღალხარისხიანი სანერგე მეურნეობების შექმნა; გადამამუშავებელი მრეწველობის სანედლეულო ბაზის გაზრდა; სოფლად მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლის 1 აპრილიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 241

	ბენეფიციარი 1 438 ჰა ზე; მიზნობრივი მაჩვენებელი - 1000 ჰექტრამდე მრავალწიანი კულტურის თანამედროვე ტიპის ახალი, ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ბაღები. სავარაუდოდ 5 ახალი სანერგე მეურნეობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%- 20%; შესაძლო რისკები - კლიმატური პირობები, ბენეფიციარების დაბალი აქტივობა
--	--

ქართული ჩაი (37 01 11)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, ჩაის წარმოების სექტორში ეფექტური კოოპერაციის ხელშეწყობა, მაღალი ხარისხის ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ხელშეწყობა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად განხორციელდება კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ხარჯის თანადაფინანსება, როგორც კომპანიებისათვის ასევე კოოპერატივებისათვის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა მათი ბიზნეს ოპერატორებზე იჯარის წესით გადაცემის გზით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ჩაის გადამამუშავებელი დანადგარების თანადაფინანსება, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მცირემიწიან ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობა (რომელთაც საკუთრებაში გააჩნია ჩაის პლანტაცია); ბიო და ორგანული ჩაის წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; თანამედროვე სტანდარტების ჩაის გადამამუშავებელი სიმძლავრეების შექმნა;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის 30 ივნისის მდგომარეობით პროექტის ფარგლებში დამტკიცებულია 7 განაცხადი, ჯამური ფართობი შეადგენს 147,9 ჰა-ს; მიზნობრივი მაჩვენებელი - სავარაუდო სარეაბილიტაციო ფართობი - 380 ჰა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%; შესაძლო რისკები - ჩაის რეაბილიტაცია აგროვადებიდან გამომდინარე უნდა განხორციელდეს მცირე დროის მონაკვეთში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მიზნობრივი მაჩვენებლების ცვლილება; ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

აგროსექტორის ხელშეწყობა/განვითარება (37 01 12)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტის ფარგლებში განხორციელდება სამი საირიგაციო სისტემების სრული რეაბილიტაცია (სათავე ნაგებობები, მაგისტრალური არხები, პირველი და მეორე რიგის გამანაწილებელი არხები და შიდა სამეურნეო ქსელები). შპს "საქართველოს მელიორაციის" ინსტიტუციონალური გაძლიერების მიზნით პროექტის მიერ დაქირავებული საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით შემუშავდება ირიგაციის დარგის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, შეიქმნება საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაარეგულირებს მელიორაციის დარგს და წყალმომხმარებელთა ორგანიზაციებს. პროექტის დაფინანსებით შპს "საქართველოს მელიორაციას" საერთაშორისო აუდიტორული კომპანია ჩაუტარებს სამწლიან ფინანსურ აუდიტს. ასევე პროექტის ფარგლებში მოხდება კომპანიის აქტივების სრული ინვენტარიზაცია და შეფასება. შპს "საქართველოს მელიორაცია" აღიჭურვება თანამდროვე ტექნიკით (GPS, წყალმზომები, საოფისე ტექნიკა). ჩატარდება საირიგაციო სისტემების შიდა სამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მიწის აღდგენითი სამუშაოები (მაგ. ნაპირსამაგრები, ჯებირები, ხიდეები და ა.შ). მოეწყობა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვება სადემონსტრაციო ნაკვეთები, სადაც ფერმერებს ჩაუტარდებათ პრაქტიკული სავლე სწავლება. გაიცემა მცირე გრანტები ფერმერებისთვის (თანხის მაქსიმალური ოდენობა 15,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში), რომლის მიზანია მოსავლიანობის ზრდა და პროდუქციის ხარისხის ამაღლება და მსხვილი გრანტები აგრობიზნესისთვის (მაქსიმალური ოდენობა 75 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში), რომლის მიზანია მოქმედი საწარმოების მოდერნიზაცია/განახლება, მათ მიერ წარმოებული პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. განხორციელდება ლილო მარტყოფის არხის, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ქვედა მაგისტრალური არხის მეორე და მესამე რიგის გამანაწილებლების, ზედა მაგისტრალური არხის, მეორე და მესამე რიგის გამანაწილებლების და სადრენაჟე ინფრასტრუქტურის აღდგენა- რეაბილიტაცია. პროექტის პირველი ფაზა - პროექტირება და კვლევები, დაფინანსდება მხარეების 50%-იანი თანამონაწილეობით. პროექტის მეორე ფაზა - ინფრასტრუქტურული სამუშაოები, საერთო ბიუჯეტის 35 % დაფინანსდება გრანტით, ხანგრძლივობა 5 წელი. ოპერირებისა და შენახვითი სამუშაოების ფაზა, რაც მოიცავს რეაბილიტაციის დასრულებიდან 10 წლის განმავლობაში სისტემის ექსპლუატაციის ღონისძიებებს, ასევე ადგილობრივი ფერმერების ცნობადობისა და საექსტენციო პროგრამების განხორციელებას.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა, წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება, სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება, სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება. შპს "საქართველოს მელიორაციის" ინსტიტუციონალური გაძლიერება. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლების მდგრადი ზრდა კლიმატზე ადაპტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გზით. მცირე ფერმერების, ფერმერთა ჯგუფების და აგრობიზნესის სამუშაო პირობების გაუმჯობესება. ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით რეგულარული სარწყავი ფართობი შეადგენს (სარწყავი მიწის ფართობი, რომელზეც შესაძლებელია რეგულარული წყლის მიწოდება საირიგაციო სისტემების მეშვეობით) - 106.6 ათასი ჰა-ს. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის პირობებში, სამელიორაციო სისტემების მეშვეობით (ამ სისტემებზე ჩამოკიდებული ფართობების მაჩვენებლებიდან გამომდინარე) შესაძლებელი იქნება სარწყავი წყლის გარანტირებული მიწოდება სავარაუდოდ 364 355 ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 277 242 ჰა თვითდინებითი და 87 113 ჰა მექანიკური სისტემებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - პროექტის შედეგად წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება განხორციელდება 14 400 ჰა ფართობზე, დამატებით 10 000 კომლისათვის ხელმისაწვდომი გახდება სარწყავი წყალი. სოფლის ინფრასტრუქტურის (ხიდი, გზა) 4 რეაბილიტირებული ობიექტი. გაიცემა 50 მდე (15 000 აშშ დოლარის) გრანტი კერძო პირებისათვის და 10 მდე (75 000 აშშ დოლარი) გრანტი აგრობიზნესისათვის; მიწის აღდგენითი სამუშაოები ჩატარდება 2 ობიექტზე; მოეწყობა 4 სადემონსტრაციო ნაკვეთი, გადამზადდება 400 მდე ფერმერი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10-15% (ფერმერების სწავლება); 10-15% (სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება); შესაძლო რისკები - პროექტში მონაწილე ფერმერების დაბალი ინტერესი სწავლების მიმართ. საპროექტო დოკუმენტაციაში, სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის დროს აღმოჩენილი გაუთვალისწინებელი ხარვეზები და კლიმატური პირობები

მევენახეობა-მელვინეობის განვითარება (37 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარების, ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისების და მომხმარებლის უხარისხო ღვინოპროდუქციისგან დაცვის მიზნით განხორციელდება: ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენების და პრეს ტურების მოწყობა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება სხვადასხვა წარმომადგენლობითი და კულტურული ღონისძიებები; სპეციალიზირებული უცხოური ჟურნალებისათვის საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის შესახებ სტატიების მომზადება-გამოქვეყნება; სარეკლამო რგოლების დამზადება და ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება;

	ქართული ღვინისა და კულინარიის შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. ალკოჰოლიანი სასმელების სასერთიფიკაციო ან/და სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად ლაბორატორიული კვლევის ჩატარება; ღვინის კომპანიების საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებისათვის ლოჯისტიკური მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება. მევენახეობის კადასტრის დანერგვა; ვენახების ფართობების აღრიცხვა; საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწების და მერქნის შესწავლის ხელშეწყობა მოლეკულური გენეტიკის და ამპელოგრაფიის მეთოდებით და თანამონაწილეობა არქეოლოგიურ გათხრებში წიპწების მოპოვების მიზნით; მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სუბსიდირების განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისება. მომხმარებლის დაცვა ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან. ვენახების ფართობებისა და ვაზის ჯიშების დადგენა. სანედლეულო ბაზის რესურსების დადგენა. ვაზის წარმოშობის შესახებ ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგის გამოყენებით ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაცია მსოფლიოს ბაზარზე.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015წ.საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებულია 36 071.4 ათასი ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 98.1 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალი, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 146 548,6 ათასი აშშ დოლარი შეადგინა; 2015 წელს მოეწყო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების 16 გამოფენა მსოფლიოს 13 ქვეყანაში; ჩატარდა ქართული ღვინის 21 დეგუსტაცია -პრეზენტაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ; ყვარელის ადმინისტრაციულ საზღვრებში უპილოტო საფრენი აპარატით გადაღებული იქნა 13 სოფელი, 5 533.4 ჰექტარი ვენახი, რომლებიც წარმოდგენილია 8 588 სავენახე ნაკვეთის სახით; რთველის ფარგლებში მიღებული და გადამუშავებული იქნა 148 349 ტონა ყურძენი; შეგროვილი იქნა 50 ვაზის აბორიგენული და ველური ვაზის ნიმუშები მოლეკულური ანალიზისათვის; მიზნობრივი მაჩვენებელი - ღვინოპროდუქციის მწარმოებელი კომპანიების მიერ ახალი ბაზრების ათვისება და არსებულ ბაზრებზე ექსპორტის ზრდა. ყურძნის მოსავლის სრულად დაბინავება

სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (37 02)	
პროგრამის	სსიპ „სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“; სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“

განმახორციელებელი	
პროექტის აღწერა და მიზანი	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის მიღწევა-შენარჩუნებისა და ცხოველთა ჯანმრთელობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, ასევე ცხოველთა იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის სისტემის ფუნქციონირების და ცხოველთა ჯანმრთელობაზე, მათ შორის ცხოველთა გადაადგილებაზე ზედამხედველობის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ზიანის მიყენების თავიდან აცილების, ხარისხიანი ვეტერინარული პრეპარატების ბაზარზე განთავსებისა და მიმოქცევის მიზნით განხორციელდება სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი, ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და იძულებითი ღონისძიებების ჩატარება და მათი ლაბორატორიული კვლევა, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი და ვეტერინარული ავთიქებისა და სამკურნალოების მონიტორინგი.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სამომხმარებლო ბაზარზე მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტების შემცირება/აღკვეთა. ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის მიღწევა/შენარჩუნება, სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების განთავსება. განსაკუთრებით საშიში მავნებლებისაგან სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვა და მოსავლის შენარჩუნება კლიმატური პირობების გათვალისწინებით. ქვეყანაში საექსპორტო კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის უზრუნველყოფა. ბაზარზე უსაფრთხო ვეტ-პრეპარატების მიმოქცევა და წუნდებული პროდუქციის შემცირება/აღკვეთა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლები მოცემულია თითოეული ქვეპროგრამის მიხედვით; მიზნობრივი მაჩვენებელი - სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან; მავნებელი სურსათით გამოწვეული მოწამვლის შედეგების შემცირება; ცხოველთა დაავადებების, ცხოველის და ადამიანის საერთო დაავადებების რაოდენობის შემცირება და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის მიღწევა-შენარჩუნება. ცხოველთა იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის სისტემის ფუნქციონირების შედეგად ცხოველთა გადაადგილებაზე ზედამხედველობით ახალი დაავადებების გამოვლინება და მათი პრევენციის მიზნით მიზნობრივი ვაქცინაციის ჩატარება. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის (მოსავლის) ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა/გაუმჯობესება. სამომხმარებლო ბაზარზე ფალსიფიცირებული ვეტერინარული პრეპარატების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10-15%; შესაძლო რისკები - ქვეყანაში ახალი ეგზოტიკური დაავადების დაფიქსირება. ცხოველთა სულადობის ცვლილება. კლიმატური პირობები

სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (37 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“
პროექტის აღწერა და მიზანი	აგრარულ სფეროში დასაქმებულთათვის თანამედროვე აგროტექნოლოგიების გამოყენების ცნობიერების დონის ამაღლება; საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების მიკროსასელექციო გუნდების შექმნა. ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის მოძიება, აღდგენა, კონსერვაცია, საკოლექციო და სადედე ნარგაობების შექმნა; ერთწლოვანი კულტურების პირველადი მეთესლეობის განვითარება; თესლისა და სარგავი მასალის სერთიფიცირების სისტემის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტების შესამაბისად; ბიოაგროწარმოების დანერგვის ხელშეწყობა; სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასება; ხილისა და ბოსტნეულის შენახვის უნარიანობისა და ნედლად შენახვის ტექნოლოგიების კვლევა-შემუშავება; საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა რეგიონების ნიადაგების მდგომარეობის შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოში მოძიებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების ტიპიური სულადობის შესწავლა, მოშენება და შენარჩუნება. ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები შემუშავება, სურსათის ხარისხის გაუმჯობესება. მცენარეთა მოვლა-მოყვანის ბიოლოგიური და ეკოლოგიური ტექნოლოგიების შემუშავება; ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ერთიანი ეროვნული სტანდარტის შექმნა; ნედლად შენახვის, შრობისა და სწრაფ გაყინვის ოპტიმალური რეჟიმების დადგენა ნედლეულის სახისა და ჯიშური თავისებურებების გათვალისწინებით;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - აგრარულ სფეროში დასაქმებულთა შორის დაბალია ახალი თანამედროვე სასოფლო სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენების ცნობიერება; მინიმუმამდეა საქართველოში წარმოებული თესლისა და სარგავი მასალის სერთიფიცირება; ნაკლებად შესწავლილია მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნება; მიზნობრივი მაჩვენებელი - აგრარულ სფეროში დასაქმებულთა 20 % შორის, ამაღლებული იქნება თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენების ცნობიერება; მაქსიმალურად გაზრდილი იქნება საქართველოში წარმოებული სერთიფიცირებული თესლისა და სარგავი მასალის რაოდენობა; განვითარებული და შენარჩუნებული იქნება ადგილობრივ

პირობებთან ადაპტირებული მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნება;
ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - შესაძლო რისკების გათვალისწინებით ცდომილების მაჩვენებელი 30 %

სასამართლო სისტემა

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	53,670.00	53,470.00	200.00	56,690.00	58,690.00	59,690.00
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	7,700.00	7,700.00	0.00	8,000.00	8,500.00	9,000.00
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3,410.00	3,410.00	0.00	3,410.00	3,410.00	3,410.00
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	26,200.00	3,000.00	23,200.00	26,200.00	26,000.00	27,000.00
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,700.00	2,700.00	0.00	2,700.00	2,700.00	2,700.00
26 13	სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა	25,989.00	0.00	25,989.00	15,775.00	15,775.00	15,775.00
	სულ	119,669.0	70,280.0	49,389.0	112,775.0	115,075.0	117,575.0

სასამართლო სისტემა (07 00 - 10 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსაქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტის აღწერა და მიზანი მოსამართლეთა ვაკანტური ადგილების ეტაპობრივად შევსება. შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდებისა და კონკურსების ორგანიზება, მოსამართლედ გამწესება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო კურსის გავლის შემდეგ; სასამართლო შენობების სამშენებლო და სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება; ნაფიცი მსაჯულების და მსაჯულობის კანდიდატების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან; მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა; საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭირვალობის და საჯაროობის პროცესის გაგრძელება;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	1. მოსამართლეებსა და სასამართლოს აპარატის თანამშრომლების მყარი სოციალური გარანტიები; 2. მოხდება ნაფიცი მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარება; 3. სასამართლოს მიმართ საზოგადოებაში ავტორიტეტის და ნდობის ამაღლება; 4. მართლმსაჯულება გახდება უფრო სწრაფი და ეფექტური; 5. კონსტიტუციური კანონიერების, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - გარემონტებული და შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი სასამართლო შენობების რაოდენობა - 61;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - სასამართლო შენობა - 63. გარემონტდება სიღნაღის სასამართლო შენობა და აშენდება ბორჯომის ახალი სასამართლო შენობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 0%; შესაძლო რისკები - მიმწოდებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა
--	---

სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (46 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
პროექტის აღწერა და მიზანი	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიზანია კანონმდებლობით დადგენილი წესით და კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობით განსაზღვრული ექსპერტიზისა და გამოკვლევების ჩატარება, შესაბამისი დასკვნის შედგენა და გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების ფარგლებში, უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურების გაწევას, რაც ხელს შეუწყობს სანდოობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მიზნობრივი მაჩვენებელი - ექსპერტიზების შედეგების სიზუსტისა და კვლევების მაღალი ხარისხი, რომელიც მიიღწევა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ ISO 17025-ის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გზით

სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა (26 13)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო
პროექტის აღწერა და მიზანი	სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“ სააღსრულებო და არასააღსრულებო (გამარტივებული წარმოების, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების, სესხის მონიტორინგისა და ფაქტების კონსტატაციის) მომსახურების გაწევის პროცესში მხარეებს შორის ბალანსის მაქსიმალური დაცვით უზრუნველყოფს მათი კანონიერი ინტერესების რეალიზებას.

	აღსრულების ეროვნული ბიუროს სერვისებიდან აღსანიშნავია სააღსრულებო მომსახურებები (უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის აღსრულება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, სარჩელის უზრუნველყოფა და ა.შ.), გამარტივებული წარმოება, მოვალეთა რეესტრის წარმოება, თუმცა, აუცილებელია მათი პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა და გაუმჯობესება, რათა ეფექტიანად იქნეს გამოყენებული არსებული მონაცემთა ბაზა და შესაძლებელი იყოს მათი ეფექტური მართვა. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში დაინერგება ახალი სერვისი – სესხების მონიტორინგი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში ვალდებულების შესრულების კულტურის განმტკიცებას. სააღსრულებო სისტემის და აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერება საკმაოდ მწირია. საზოგადოებაში დაბალია ცოდნა შეუსრულებელი ფულადი და სხვა ტიპის ვალდებულებების თანმდევი ნეგატიური შედეგების შესახებაც. აღნიშნული მიმართულებით იგეგმება პრევენციული კომუნიკაციის აქტივობები, როგორიცაა: საინფორმაციო რგოლების მომზადება-გავრცელება; ასევე, საინფორმაციო შეხვედრები მოწყვლად ჯგუფებთან. ყოველივე ზემოაღნიშნულის ეფექტურად განხორციელებას ხელს შეუწყობს სათანადო დონეზე დაკომპლექტებული და აღჭურვილი აღსრულების პოლიცია, რომელიც შეუფერხებლად შეასრულებს გამოსახლების მომსახურებაზე მზარდ მოთხოვნებს. მზარდი მოთხოვნა, არსებითად, გამოწვეული იქნება „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მესამე ნაწილის გაუქმებით, რომლის შედეგადაც, საქართველოს პოლიციას გაუქმდა გამოსახლების განხორციელების ფუნქცია, ხოლო აღსრულების პოლიცია გამოსახლების მომსახურების ერთადერთი განმახორციელებელი გახდა საქართველოს მასშტაბით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის შესახებ ცნობადობის ზრდა; აღსრულების ეროვნული ბიუროს სერვისებით კმაყოფილი მომხმარებლების ზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მომხმარებელთა 50%-ზე მეტი აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიიჩნევს ორგანიზაციად, რომელიც მუდმივად აუმჯობესებს შედეგებს და გამოხატავს ზოგად კმაყოფილებას ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების მიმართ; 2015 წელს სიდას პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით აღნიშნული მდგომარეობა ფიქსირდება; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 - 2020 წლებში მომხმარებელთა 50%-ზე მეტი აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიიჩნევს ორგანიზაციად, რომელიც მუდმივად აუმჯობესებს შედეგებს და გამოხატავს ზოგად კმაყოფილებას ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების მიმართ; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2% / გამოკითხვის ობიექტი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იქნება თანამშრომელთა მაქსიმუმ 20% რაც შეიძლება არ გამოხატავდეს ზუსტად საერთო სურათს; შესაძლო რისკები - მიმდინარე საქმეთა წარმოების ზრდა, ამ მიზეზით ადამიანური და მატერიალური რესურსი სხვა პრიორიტეტებზე კონცენტრირება, რის გამოც ვერ მოხდება ინოვაციური სერვისების განხორციელება და ვერ მოხდება

	ცვლილებების შეასხებ ხარისხიანი კომუნიკაცია 2. საბაზისო მაჩვენებელი - გამოკითხული საზოგადოების 30% მეტი სწორად ახდენს ორგანიზაციისა და მისი ფუნქციის იდენტიფიცირებას; 2015 წელს სიდას პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით აღნიშნული მდგომარეობა ფიქსირდება; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 - 2020 წლებში გამოკითხული საზოგადოების 30% მეტი სწორად ახდენს ორგანიზაციისა და მისი ფუნქციის იდენტიფიცირებას; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5% / გამოსაკითხი მომხარებლების რაოდენობრივი მაჩვენებელი არ აღემატება 1000 ადამიანს. სიმცირემ შეიძლება გამოიწვიოს ცდომილება; შესაძლო რისკები - მხარეთა პროაქტიული ინფორმირების ტემპის შემცირება სხვა პრიორიტეტების გამო
--	--

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

კოდი	დასახელება	2017 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
38 02	გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	10,900.00	10,900.00	0.00	11,000.00	11,000.00	11,000.00
38 04	სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	18,775.00	10,500.00	8,275.00	19,500.00	19,950.00	20,520.00
38 03	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	11,500.00	9,000.00	2,500.00	11,205.00	9,323.00	8,000.00
38 01	გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა	5,510.00	5,510.00	0.00	5,500.00	5,500.00	5,500.00
38 07	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა	815.00	790.00	25.00	900.00	1,000.00	1,050.00
38 06	გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	774.00	674.00	100.00	800.00	800.00	800.00
38 05	ეროვნული სამენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	1,491.00	576.00	915.00	1,330.00	1,350.00	1,350.00
38 08	გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა	11,385.00	0.00	11,385.00	11,100.00	11,500.00	11,600.00
	სულ	61,150.0	37,950.0	23,200.0	61,335.0	60,423.0	59,820.0

გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (38 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნათა ჯეროვან შესრულებას, გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას; კანონდარღვევათა ეფექტური შემაკავებელი პირობების შექმნა და რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნებაყოფლობითი შესრულების სათანადო დონის მიღწევა; ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე თანამშრომელთა გადამზადება-რეკრუტირება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებული გარემოს დაცვის ხარისხი; შექმნილი კანონდარღვევათა შემაკავებელი გარემო, უზრუნველყოფილი გამოვლენილ კანონდარღვევებზე დროული და პროპორციული რეაგირება, რისი საშუალებითაც მოხდება ლეგალური საქმიანობის ხელშეწყობა და კონკურენციის თანაბარი პირობების შექმნა; რეგულირების ობიექტების და მოქალაქეების გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებზე ინფორმირებულობის მაღალი დონე და დაინტერესებული მხარეების ფინანსური, მატერიალური და დროითი რესურსების შემცირებული ხარჯი; შექმნილი ახალი ინფრასტრუქტურა, სათანადოდ აღჭურვილი სწრაფი რეაგირების ჯგუფები; გადამზადებული ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე თანამშრომლები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარე მონაცემებით (6 თვე), გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით ბუნებრივი

რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებული ზიანი შეადგენს 3,5 მლნ-მდე ლარს; მოსალოდნელია წლის ბოლომდე აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელოვნად (8-ჯერ) გაზრდა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსათვის მიყენებული ზიანის ყოველწლიურად შემცირებული მაჩვენებლები (მათ შორის 2017 წელს 2016 წლის სავარაუდო მაჩვენებლებთან შედარებით - 35%-ით), რომელიც 2020 წლის ბოლოსთვის არ გადააჭარბებს 2,0 მლნ ლარს;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%;

შესაძლო რისკები - შემაკავებელი გარემოს შესუსტება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სამართალდამრღვევ ობიექტთა მიერ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა

2.

საბაზისო მაჩვენებელი - წლის ბოლომდე სამართალდამრღვევი ობიექტების 75-80% დადგენილ გონივრულ ვადებში შეასრულებს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრულ ვალდებულებებს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს სამართალდამრღვევი ობიექტების 92-95%-ის მიერ დადგენილ გონივრულ ვადებში შესრულებული გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრული ვალდებულებები;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%;

შესაძლო რისკები - რეგულირების ობიექტებზე გაუთვალისწინებელი (ავარიები, სტიქიური პროცესები) შემთხვევების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის მაჩვენებლის ზრდა

3.

საბაზისო მაჩვენებელი - მინისტრის მიერ დამტკიცებული რეგულირების ობიექტების შემოწმებათა გეგმის მიხედვით, 2016 წლის განმავლობაში დაიგეგმა 233 რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების განხორციელება. მიმდინარე მონაცემებით ინსპექტირება (შემოწმება, დათვალიერება) განხორციელდა 911 ობიექტზე;

მიზნობრივი მაჩვენებელი - რეგულირების ობიექტების შემოწმებათა ყოველწლიური გეგმის შესაბამისად გეგმიურად შემოწმებული 150-ზე მეტი რეგულირების ობიექტი და 2000-ზე მეტ ობიექტზე განხორციელებული ინსპექტირება (შემოწმება, დათვალიერება);

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%;

შესაძლო რისკები - რეგულირების ობიექტებზე გაუთვალისწინებელი (ავარიები, სტიქიური პროცესები) შემთხვევების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის მაჩვენებლის ზრდა

4.

საბაზისო მაჩვენებელი - აშენებულია 2 ახალი საოფისე შენობა (ქ. გოში და ქ. ოზურგეთში) წლის ბოლომდე აშენდება, რაჭის ქ. ამბროლაურში საოფისე შენობა და აჭარასა და ახალციხეში შესრულდება მინიმუმ 50% სარემონტო სამუშაოები, ასევე, აღიჭურვა სწრაფი რეაგირების 34 ეკიპაჟი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დასრულებული 3 ახალი ოფისის მშენებლობა (სამეგრელოში, აჭარაში, ახალციხეში), გარემონტებული დეპარტამენტის ცენტრალური ოფისი (სამინისტროს შენობის 1 და 6 სართული) და საშუალოვადიანი

	პერიოდის ბოლოს სრულადა აღჭურვილი სწრაფი რეაგირების 66 ეკიპაჟი (მათ შორის 2017 წელს - 42 ეკიპაჟი); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - სამშენებლო სამუშაოების სატენდერო პროცედურების შეფერხება (ჩაშლა), კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულება ვადების დარღვევით 5. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარე მონაცემებით 2016 წლის გადამზადდა 100 თანამშრომელი; მიზნობრივი მაჩვენებელი - 300 სრულად გადამზადებული თანამშრომელი, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად 50 ერთეულით იზრდება
--	---

სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ტყის მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით სატყეო სექტორის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და ეროვნული სატყეო კონცეფციის დოკუმენტით გათვალისწინებული ქმედებების ეტაპობრივი განხორციელება; სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა; ტყეების ეფექტურად მართვისა და ტყის ფიზიკური დაცვის გაუმჯობესების მიზნით ეროვნული სატყეო სააგენტოს ინსტიტუციონალური გაძლიერებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის მართვისა და განვითარების უზრუნველყოფა; სააგენტოს თანამშრომელთა უწყვეტი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა; სატყეო-სამეურნეო გზების გაყვანის სამუშაოების განხორციელება ახალი ტყეკაფების გამოყოფისა და ათვისების მიზნით; ტყის ჩახერგილობისაგან გაწმენდა, ძირნაყარის გამოტანა და ნარჩენების განთავსება დადგენილი წესით; მოსახლეობის მერქნულ რესურსზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა; სააგენტოს მომსახურეობის სახეების განვითარება, მათ შორის მოსახლეობისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიმართულებით;

	ხე-ტყის დამზადების მიზნით შესაბამისი ფართობების გამოვლენა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება; ტყის მოვლის და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება; სატყეო უბნებში ტყის დროებითი სანერგეების მოწყობა და ამავე უბნებში ტყის გაშენების ღონისძიებების უზრუნველყოფა; ტყეების პათოლოგიური გამოკვლევების ჩატარება და დასკვნების საფუძველზე მავნებლებ-დაავადებების ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება; აქტიურად ხანძარსაშიში სატყეო უბნების იდენტიფიცირება და შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მინერალიზებული ზოლების მოწყობა, პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო და ცეცხლმაქრი საშუალებებისა და შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა; ტყის აღრიცხვის ღონისძიებების განხორციელება, ტყის მართვის გეგმების შემუშავება და ტყეების მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების, ანალიზისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტური სისტემის დანერგვა; სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის საფუძველზე ტყის ფონდის გარე კონტურების დაზუსტება, ტყის ფონდის ფრაგმენტაციის თავიდან აცილების მიზნით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დაცული საქართველოს ტყეების ეკოლოგიური ფასეულობები, მათ შორის ბიოლოგიური მრავალფეროვნება; ჩამოყალიბებული ტყის ფონდის მართვის ქმედითი სისტემა; აღდგენილი ტყის ეკოსისტემები, გაზრდილი ტყით დაფარული ფართობები; მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მოწესრიგებული სისტემა; განახლებული ინფორმაცია ტყის რესურსების, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ, დაგეგმილი სატყეო ღონისძიებები, დაგეგმილი ტყითსარგებლობა; სატყეო სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების შედეგად შექმნილი დამატებითი სამუშაო ადგილები, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების გზით; სატყეო შემოსავლების და სატყეო სექტორის გაზრდილი წილი ქვეყნის ეკონომიკაში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1.

საბაზისო მაჩვენებელი - სატყეო სფეროში არსებული არასრულყოფილი საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზა, ტყის რესურსების მართვის მოძველებული ელექტრონული სისტემა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დამტკიცებული/მიღებული "ტყის კოდექსი" და მომზადებული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (2017 წელს), ანგარიშგების (რეპორტების) სრულყოფილი სისტემა და დამატებული შესაბამისი მოდულები;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღება დაგეგმილ ვადაზე გვიან;

შესაძლო რისკები - შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტების შეთანხმების პროცესის შეფერხება

2.

საბაზისო მაჩვენებელი - განხორციელებულია სახელმწიფო ტყის ფონდის გაცემა სარგებლობის უფლებით (მ.შ. სპეციალური დანიშნულებით, გრძელვადიანი იჯარით და სხვ.) საშუალოდ 150.0 ათ ჰა-დან-300.0 ათ. ჰექტრამდე ტყის ფონდის ფართობზე;

მიზნობრივი მაჩვენებელი - წინა წელთან შედარებით 2017 წელს 7-8%-ით შემცირებული უკანონო ჭრები, აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება ყოველწლიურად 3-5%-ით;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10% - ტყეკაფები გამოყოფილია 2-3 კვირის დაგვიანებით;

შესაძლო რისკები - კლიმატური პირობები

3.

საბაზისო მაჩვენებელი - 2013 წლის პერიოდიდან დღემდე მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირებისა და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დამუშავებულია 22 000 ჰექტარი; მავნებელ დაავადებათა პროგრესირება შემცირებულია 50%; ტყეების სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესებულია 60%-ით. ტყის ფართობების აღდგენის მიზნით, დღეისათვის დროებითი სანერგეები მოწყობილია 4,5 ჰა ფართობზე (7 რეგიონში). გამოყვანილი ნერგები გამოყენებული იქნება ნახანძრავი ტერიტორიის აღდგენისათვის. ასევე, 16 ჰა-ზე გაშენებულია სწრაფმზარდი პლანტაციები, რითაც მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება საშემე მერქნით, სარებით, ჭიგოებით და ა.შ;

მიზნობრივი მაჩვენებელი - შესაბამის ფართობებზე მავნებელ დაავადებათა პროგრესირების ყოველწლიურად შემცირებული მაჩვენებელი 10%-ით (საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს 90%-ით), ამავე ფართობებზე ტყეების 5%-ით (საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს 80%-ით) გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობა, სავარაუდოდ ყოველწლიურად დარგული 500'000 ცალი ნერგი (იმერული მუხა, მაღალმთის ნეკერჩხალი, მაღალმთის მუხა, წაბლი და ა.შ.) და 100 ჰა-ზე გაშენებული ტყე (მ.შ. ნახანძრავი ტერიტორია); საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს დამატებით 80 ჰა-ზე გაშენებული პლანტაცია (დარგვიდან მე-4 წელს მიღებული დაახლოებით 44,8 ათ. კმ მერქნული რესურსი). მათ შორის 2017 წელს - 31 ჰა (დარგვიდან მე-4 წელს მიღებული დაახლოებით 13,5 ათ. კმ მერქნული რესურსი);

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2% -10%;

შესაძლო რისკები - კლიმატური პირობები, შესაბამისი შესასყიდი საქონლის ან/და მომსახურების მომწოდებლების სიმცირე, გახარების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (65%-ზე ქვემოთ)

4.

საბაზისო მაჩვენებელი - მოსახლეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციების მერქნულ რესურსებზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით 2015 წლის მდგომარეობით მოწყობილი/რეაბილიტირებულია გამოყოფილ

	ტყევაფებამდე მისასვლელი 179.8 კმ სატყეო-სამეურნეო გზა, 2016 წელს დაგეგმილია დაახლოებით 70 კმ-მდე გზის მოწყობა/რეაბილიტაცია; მიზნობრივი მაჩვენებელი - გამოყოფილ ტყევაფებში არსებულ რესურსზე ხელმისაწვდომობის მიზნით, მოწყობილი/რეაბილიტირებული სატყეო-სამეურნეო გზები სავარაუდო სიგრძით 140 კილომეტრამდე. მოწყობილი/რეაბილიტირებული ტყევაფებამდე მისასვლელი გზების 70% დასაგეგმი წლის პირველი აგვისტოსთვის, ხოლო მოცემული წლის 1 სექტემბერს შესრულებული დაგეგმილი სამუშაოების სრული მოცულობა. სრულად უზრუნველყოფილი ხელმისაწვდომობა ხე-ტყის გამოყოფილ რესურსზე (600,0 ათ. კბმ-დან 700,0 ათ. კბმ-მდე); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - კლიმატური პირობები, გზების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის საჭირო სპეციალური ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა 5. საბაზისო მაჩვენებელი - ტყის რესურსების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოძველებულია და არ ასახავს ფაქტიურ მდგომარეობას. ტყის მართვის განახლებული გეგმები შედგენილია მხოლოდ 4 სატყეო უბნისათვის (46 სატყეო უბნიდან), რაც არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის მხოლოდ 8.7%-ს შეადგენს; მიზნობრივი მაჩვენებელი - მომზადებული ტყის მართვის გეგმები ყოველწლიურად დამატებით 2 სატყეო უბნისათვის (მათ შორის 2017 წ. - ლანჩხუთი, ოზურგეთი, (33,5 ათ. ჰა) და ნაწილობრივი ინვენტარიზაცია ჩოხატაურის სატყეო უბნისათვის 17.4 ათ. ჰა-ზე (სულ - 52.5 ათ. ჰა)). საერთო ჯამში განახლებული ტყის მართვის გეგმა საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოსთვის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაახლოებით 38,6%-ზე; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5-10%; შესაძლო რისკები - სამუშაოთა სპეციფიკაციის გათვალისწინებით მცირეა იმ ფირმების რაოდენობა, რომელიც მონაწილეობას იღებენ ტენდერებში. დაბალი კონკურენტუნარიანი გარემო 6. საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტომ 2014 წელს დაიწყო ხე-ტყის დამზადება, 2014-2015 წწ. დამზადდა 9'650 კბმ. ხე-ტყე. 2016 წელს მოსალოდნელია 10'000-15 000 კბმ-მდე რესურსის დამზადება; მიზნობრივი მაჩვენებელი - სააგენტოს მიერ ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დაცვით 2017 წელს დამზადდება და რეალიზდება 25 000 კბმ მერქნული რესურსი, მომდევნო წლებში - 30 000 კბმ; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15-20%; შესაძლო რისკები - ბაზრის მოთხოვნის შემცირება, ეკონომიკური სტაბილურობის დაბალი მაჩვენებელი
--	--

დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო
პროექტის აღწერა და	დაცული ტერიტორიების გაფართოება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და

მიზანი	აღდგენა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით; საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად, უნიკალური და იშვიათი ორგანული, თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების დაცვა მათი შენარჩუნების მიზნით; ტერიტორიებზე პათოლოგიური კვლევების ჩატარება, დაზიანებული ფართობების დადგენა და მავნებლებთან ბრძოლის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება; დაცულ ტერიტორიებზე საჭირო აღჭურვილობის გამოყენებით ხანძრების სწრაფი პრევენციის განხორციელება; დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა და გამოყენება, ტყის ინვენტარიზაცია; საქართველოში დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის, ეკოტურიზმის განვითარების და ტურისტების მოზიდვა-დაინტერესების მიზნით დაცული ტერიტორიების სარეკლამო და სააგიტაციო ღონისძიებების ჩატარება; ეკოლოგიური განათლების, ცნობიერების ამაღლების და საზოგადოების ცალკეული ჯგუფების გარემოსდაცვითი ქცევის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება; ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით; სამეურნეო საქმიანობის დაცვის, აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს აღდგენისათვის და მის შესანარჩუნებლად; საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელია შემდეგი ორი კომპონენტის განხორციელებით: დაცული ტერიტორიების სისტემის შემოსავლების საკმარისი და პროგნოზირებადი დონის მიღწევით და დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტიანობისა და შესაძლებლობების გაზრდით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დაცული და აღდგენილი ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ცოცხალი ორგანიზმები; დაცული საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველები და ველურ მცენარეთა გენოფონდი, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნები;

	ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვის და ტურიზმისათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობები; განვითარებული ეკოტურიზმი და დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა, საქართველოს დაცული ტერიტორიების გაზრდილი ცნობადობა გლობალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, გარემოსდაცვით აქტივობებში მაქსიმალურად ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა, სათანადოდ აღჭურვილი ინფრასტრუქტურა, განახლებული სავაჭრო შენობა-ნაგებობები, თანამშრომელთა გაზრდილი მოტივაცია და შესაძლებლობები; დაცული ტერიტორიების მიმდებარედ აღდგენილი და განვითარებული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა, ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლები და გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - რეინჯერების მიერ დაცული ტერიტორიების ჯეროვნად დაცვისათვის აუცილებელია რეინჯერთა კორპუსის ცეცხლსასროლი იარაღით უზრუნველყოფა, ხოლო დაცულ ტერიტორიებზე უკანონო შეღწევის ფაქტების შემცირების მიზნით - ხერგილებისა და ბარიერების მოწყობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - საშუალოვადიანი პერიოდის ბოლომდე შეძენილი 100-მდე ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის 2017 წელს - 35 ერთეული; რეინჯერთა უსაფრთხოების ამაღლებული ხარისხი, შესაბამისი დაცული ტერიტორიის დაცვის 20-30%-ით გაუმჯობესებული ხარისხი; ყოველწლიურად განთავსებული 20 ერთეული ახალი ხერგილი 3 დაცული ტერიტორიისათვის, შედეგად, 20-30%-ით შემცირებული დაცულ ტერიტორიებზე შეღწევის ფაქტები; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2% 2. საბაზისო მაჩვენებელი - მავნებელ დაავადებათა გავრცელებისა და აგრესიულობის დონის დადგენის მიზნით, საშუალოვადიან პერიოდში დეტალურ კვლევას საჭიროებს ბორჯომ-ხარაგაულისა და თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორია, ასევე აჭარის დაცული ტერიტორიები (მტირალა, კინტრიში, მაჭახელა), ამასთან, თუშეთის დაცულ ტერიტორიებში გამოვლენილ მავნებლებთან ბრძოლისთვის არ არის საკმარისი შესაბამისი პრეპარატები და აღჭურვილობა. გარდა ამისა, აჯამეთის აღკვეთილში 2015 წელს ჩატარებული ტყის ინვენტარიზაციის შემდგომ მომზადებული ტყის მართვის 10 წლიანი გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში უნდა განხორციელდეს 190 ჰა-მდე აღკვეთილის ტერიტორიაზე ტყის განახლება; მიზნობრივი მაჩვენებელი - მავნებელ დაავადებათა შემცირებული პროგრესირება, გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობა დაზიანებული ტყის ფართობის 20 %-ზე; თუშეთის დაცული ტერიტორიისთვის შეძენილი მავნებლებთან ბრძოლის შესაბამისი პრეპარატები და აღჭურვილობა, აჯამეთის აღკვეთილში საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში 20 ჰა ფართობზე განახლებული იმერული მუხა (მათ შორის 2017 წელს 10 ჰა); განახლებული დეგრადირებული ტერიტორიის დაახლოებით 10,5%, (მათ შორის 2017 წელს - 5%);

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დამოკიდებულია დავადების გავრცელების ინტენსივობაზე. ნერგების გახარების დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში - 15%;

შესაძლო რისკები - უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მავნებელი მწერებისა და სოკოვანი დაავადებების გავრცელების ინტენსივობა გაზრდილია, გარდა ამისა, სხვადასხვა ანტროპოგენური ფაქტორების გამო ფიქსირდება მრავალი ახალი (ინვაზიური) მავნებელი სახეობების გავრცელება საქართველოში. აქედან გამომდინარე ტყის ეკოსისტემების მასიური ხმობის რისკი იზრდება, ასევე გვალვა, მავნებლების მიერ ნერგების დაზიანება

3.

საბაზისო მაჩვენებელი - არსებულ ზოგიერთ ვიზიტორთა ცენტრში არ არის მოწყობილი ვიზიტორთა საექსპოზიციო დარბაზი სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად, ხოლო რამდენიმე დაცულ ტერიტორიაზე საგამოფენო დარბაზები, საჭიროებს განახლებას. ასევე დაცული ტერიტორიების ნაწილზე განთავსებული სხვადასხვა საინფორმაციო მანიშნებლების უმეტესობა დაზიანებულია და საჭიროებს შეცვლას, ხოლო დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორებს ტურისტულ ბილიკებზე გადასაადგილებლად ესაჭიროებათ სხვადასხვა მიმართულების მაჩვენებლები;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში მოწყობილი 4 და ასევე განახლებული 4 ვიზიტორთა ცენტრი, (მათ შორის 2017 წელს 2-2) რაც უზრუნველყოფს ვიზიტორთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და ვიზიტორთა ინფორმირებას დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის, სარგებლის და სხვა დანიშნულების შესახებ. დამზადებული და დამონტაჟებული 250 ერთეული საინფორმაციო, საინტერპრეტაციო და მიმართულების მანიშნებელი დაფები (მ.შ, 2017 წელს - 150). შედეგად, ინფორმირებული დაცულ ტერიტორიებზე შემოსული ვიზიტორი, შემცირებული უკანონო ქმედებები;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%

4.

საბაზისო მაჩვენებელი - რეგიონში ტურიზმის განვითარების მიზნით, საჭიროა დაცული ტერიტორიების ცნობადობის გაზრდა, ვიზიტორთა მოზიდვის მიზნით საჭიროა სხვადასხვა აქტივობების განხორციელება (2015წ. ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 519 ათასი, ხოლო 2016წ. 8 თვე - 550 ათასი);

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის შედეგად 15%-ით გაზრდილი უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა, ხოლო სარეკლამო აქტივობების საშუალებით ყოველწლიურად 10-15%-ით გაზრდილი ვიზიტორთა რაოდენობა; ვიზიტორებისთვის ხელმისაწვდომი საპრომოციო მასალით უზრუნველყოფილი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები და 20%-ით ამაღლებული საზოგადოებრივი ინფორმირებულობის და ცნობიერების დონე (ვებგვერდისა და ფბ გვერდის ნახვის რაოდენობა, მოწონებები); ტურისტული კომპანიებისა და მედიის წარმომადგენლებისათვის მოწყობილი ინფო-ტურების შედეგად გაზრდილი დაცული ტერიტორიების ცნობადობა და ყოველწლიურად 10%-ით გაზრდილი ვიზიტორთა რაოდენობა;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%

5.

საბაზისო მაჩვენებელი - დონორის დაფინანსებით დღეის მდგომარეობით მოწყობილია 13 დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა, იფარება 9 ადმინისტრაციის საოპერაციო ხარჯები, მიმდინარეობს 9 ადმინისტრაციის 240-მდე თანამშრომლის სოციალური დაცვის ღონისძიებები;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად მოწყობილი დამატებით ერთი დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა, დაფარული 9 ადმინისტრაციის საოპერაციო ხარჯები და უზრუნველყოფილი ამ ადმინისტრაციების თანამშრომელთა სოციალური დაცვა (240-მდე თანამშრომელი უზრუნველყოფილია 35%-იანი დანამატით); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2% 6. საბაზისო მაჩვენებელი - ალგეთის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე აშენებულია ადმინისტრაციული შენობები და ვიზიტორთა ცენტრები, თუმცა მოსაწყობია სავსე ინფრასტრუქტურა გამართული სრულყოფილი ეკო-ტურისტურისტული მომსახურებისათვის, ადმინისტრაციები საჭიროებენ შესაბამის აღჭურვილობას; გარდა ამისა, ალგეთის, ყაზბეგის, კინტრიშისა და ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის და საკონსერვაციო ღონისძიებების ჩასატარებლად საჭიროა სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტების მოწვევა და ხშირ შემთხვევაში ღრმა კვლევა, სპეციალური აღჭურვილობა ან ლაბორატორია. აღნიშნული დაცული ტერიტორიების მიმდებარედ არსებულ დასახლებულ პუნქტებში (სოფლებში) არ არის განვითარებული გზები, ხიდები, წყალმომარაგების სისტემა, საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები და სხვ. დონორი ორგანიზაცია სთავაზობს დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას სოციალური პროექტების დაფინანსებას; მიზნობრივი მაჩვენებელი - აშენებული და მოწყობილი სავსე ტურისტული ინფრასტრუქტურა ალგეთის (2017 წელს) ფშავ-ხევსურეთის და ყაზბეგის (2018 წელს) დაცული ტერიტორიებზე, დონორის დაფინანსებით აღჭურვილი ალგეთის, ყაზბეგის, კინტრიშის და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები; გამოვლენილი მცენარეთა და ცხოველთა საკვანძო (იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი, ენდემური, რელიქტური, ასევე მავნებელი) სახეობები; სამიზნე დაცული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში კონკურსების შედეგად შერჩეული, დაფინანსებული და განხორციელებული სხვადასხვა სოციალური პროექტები (ყოველწლიურად დაახლოებით 3-4 პროექტი); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%
--	--

გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (38 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	გარემოს დაცვისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; ქვეყანაში გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესების მიზნით გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მონიტორინგის მომზადება და პროექტების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა; გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალის სრულყოფა საერთაშორისო ვალდებულებებთან ჰარმონიზების მიზნით; სკრინინგისა და სკოპინგის პროცედურების ეროვნულ კანონმდებლობაში

	დანერგვა; სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის დანერგვა; ტრანსსაზღვრო პროცედურების შემოღება; საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პრინციპების შემოღება, ორჰუსის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად; გარემოზე ზემოქმედების შეფასების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაგეგმილი საქმიანობების შესწავლა და დასაბუთებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება; ევროკავშირის მოთხოვნებისა და საერთაშორისო კონვენციების შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის, ატმოსფერული ჰაერის დაცვის, წყლის რესურსების მართვის, ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში; ნარჩენების, ქიმიური ნივთიერებების, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, ბიომრავალფეროვნების სახელმწიფო მართვა; მიწის დეგრადაციასთან ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა; ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული ცხოველთა (მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების) აღრიცხვის და მდგომარეობის შეფასების საფუძველზე მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა; წითელი ნუსხის მიღმა დარჩენილი მცენარეთა და ცხოველთა სახეობების მდგომარეობის შეფასება, საჭიროების შემთხვევაში დაცვის უფრო ქმედითი ზომების დანერგვა; გარემოს დაცვის სფეროში საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების ჩატარება, სახელმწიფო, არასამთავრობო, ბიზნეს და საერთაშორისო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება; დაინტერესებული მხარეებისთვის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს ერთიან ხედვასა და სტრატეგიასთან შესაბამისობაში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა; კანონმდებლობის რეგულაციის ქვეშ მოქცეული ყველა ის საქმიანობა, რომელიც მნიშვნელოვან მავნე ზემოქმედებას ახდენს გარემოზე; ატმოსფერული ჰაერის ხარისხის, წყლის რესურსების, ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის, ასევე ბიომრავალფეროვნების დაცვის გაუმჯობესება ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის გზით;

	გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებული დონე, გარემოსდაცვით აქტივობებში საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა; ცხოველთა, მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების საწყის მონაცემთა განახლებული ბაზა; საქართველოს ფლორისა და ფაუნის სახეობათა გავრცელების არეალის შეფასებული მდგომარეობა და შესაბამისი საკონსერვაციო/აღდგენის მიზნით განხორციელებული ღონიძირებები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - მოქმედი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის კანონი ვერ აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს და და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, დღეის მდგომარეობით მომზადებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს, მიმდინარეობს პარლამენტში კანონპროექტის განხილვა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალი კანონის შესაბამისად დანერგილი გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების გამჭვირვალე პროცედურები, უზრუნველყოფილი ზემოაღნიშნულ პროცედურებში საზოგადოების მონაწილეობის მაღალი სტანდარტი, შემცირებული ინვესტორის ფინანსური დანაკარგების ალბათობა და პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი გარემოებები, შემოღებული სტრატეგიული დაგეგმარების ახალი ინსტრუმენტი - სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღების ან ამოქმედების შეფერხება 2. საბაზისო მაჩვენებელი - მიღებულია „ნარჩენების მართვის კოდექსი“ რომელიც მოქმედებს 2015 წლის იანვრიდან. თუმცა, მისაღებია კოდექსის სრული იმპლემენტაციისათვის აუცილებელი მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტები. არ არის ჩამოყალიბებული ნარჩენების მართვის დაგეგმვის სისტემა, შესამუშევებელია ეროვნული 15 წლიანი სტრატეგიისა და 5 წლიანი ეროვნული გეგმა, მუნიციპალიტეტების ვალდებულებათა შემუშავონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმები. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რეგულირების (ნორმირების), ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სტანდარტების კუთხით მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა არ შეესაბამება საერთაშორისო თანამედროვე მიდგომებს და ვერ უზრუნველყოფს ჰაერის ხარისხის ეფექტიან მართვას; შიდა წყლის რესურსების მართვის დღეს არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს წყლის რესურსების მართვას მდინარის აუზის ფარგლებში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - შემუშავებული კოდექსის სრული იმპლემენტაციისათვის აუცილებელი მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტები ნარჩენების მართვის სფეროში; მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერებისათვის ჩატარებული სწავლებები მუნიციპალური ნარჩენების გეგმების შემუშავების ხელშეწყობისათვის; ყველა მუნიციპალიტეტისთვის შემუშავებული და დამტკიცებული ნარჩენების მართვის პირველი ხუთწლიანი გეგმები. ჰაერის

	დამაბინძურებლებთან მიმართებაში შემოღებული ჰაერის ხარისხის შეფასების ახალი სტანდარტები, 5 ერთეულით გაზრდილი შეფასების კრიტერიუმები. "წყლის რესურსების მართვის შესახებ" მიღებული კანონი, დაწყებული სააუზო მართვის გეგმების შემუშავების ორგანიზება; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10-15%; შესაძლო რისკები - კანონის და კანონქვემდებარე აქტების შემუშავება საჭიროებს ექსპერტულ დახმარებას. შეთანხმების პროცედურების შეფერხება 3. საბაზისო მაჩვენებელი - გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიები გარემოსდაცვითი თარიღების მიხედვით. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით ეწყობა პრეზენტაციები, კონფერენციები; მიზნობრივი მაჩვენებელი - აღინიშნება ყველა გარემოსდაცვითი მწვანე თარიღი, მოწყობილი 20-მდე თემატური შეხვედრა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მაღალი ჩართულობა გარემოსდაცვითი თარიღების აღნიშვნისა და პოპულარიზაციის მიზნით. ყოველწლიურად მომზადებული და გავრცელებული 7-მდე საინფორმაციო მასალა (ვიდეო-რგოლები; პრომო ვიდეოები და სხვა). სამინისტროში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების აქტუალურობიდან გამომდინარე, ყოველწლიურად გამოყოფილი 3-მდე პრიორიტეტის ფარგლებში მომზადებული საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი სხვადასხვა სახის 15 -მდე ღონისძიება - საინფორმაციო ეკო და მედია ტურები და პრეზენტაციები; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - ყველა გარემოსდაცვითი მწვანე თარიღისთვის ღონისძიების ორგანიზების თვალსაზრისით შექმნილი ხარვეზები; საზოგადოების დაბალი ინტერესი 4. საბაზისო მაჩვენებელი - შერჩეული პოპულაციების რეალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის არარსებობა; თეთრყვავილას რესურსი შეფასებულია 2014 წელს, თუმცა რესურსის კომერციული მიზნით ყოველწლიურად დიდი ოდენობით მოპოვების გამო საჭიროა დამატებითი მონიტორინგი; მიზნობრივი მაჩვენებელი - გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველთა შერჩეული სახეობების (საშუალოდ 5 სახეობის) მდგომარეობის შესახებ მოპოვებული საბაზისო მონაცემები. თეთრყვავილასთვის შერჩეულ სამონიტორინგო ტერიტორიებზე რესურსის თაობაზე მოპოვებული საბაზისო მონაცემები. შემუშავებული რეკომენდაციები მათი საკონსერვაციო და რესურსით სარგებლობის ქმედებებთან დაკავშირებით; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%-მდე; შესაძლო რისკები - კომისიის მიერ ვერ იქნა შერჩეული სახეობები, რომელთა მონიტორინგიც უნდა განხორციელდეს
--	---

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა (38 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

პროექტის აღწერა და მიზანი	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად სააგენტოს მიერ სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის განხორციელება; რადიოაქტიური მასალების, მაიონებელი გამოსხივების გენერატორების, რადიოაქტიური ნარჩენების, მათი მფლობელი ორგანიზაციების და პროფესიული დოზების უწყებრივი რეესტრის განახლება და მისი წარმოება; რადიოაქტიური ნარჩენების მართვა; საქართველოში გარემოს რადიაციული მდგომარეობის მონიტორინგი და კონტროლი; ბირთვული და რადიაციული ავარიის, ინციდენტის, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, საბაჟო და სატრანსპორტო ტერმინალებზე რადიაციული განგაშის შემთხვევებზე რეაგირება; ქვეყანაში არსებული რადიაციული მდგომარეობის შესახებ საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშის მომზადება; ბირთვული და რადიაციული საქმიანობების ავტორიზაცია; ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი ინსპექტირების განხორციელების გზით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან; რადიოაქტიური ნარჩენების გაუმჯობესებული მართვის სისტემა; ელექტროენერგიით, წყლით, ფიზიკური დაცვის სისტემითა და აღჭურვილობით მოწესრიგებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი და საცავი; შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა; მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცული მოსახლეობა და გარემო; დაუსაბუთებელი დასხივებისგან დაცული სამედიცინო პერსონალი და პაციენტები.
საბოლოო შედეგის	

შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - დღემდე არ ხორციელდებოდა საქართველოს რეგიონებში რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უქონლობის გამო. მიმდინარე წელს დაიწყო საქართველოს რეგიონებში მონიტორინგის განხორციელება; მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს რეგიონებში ეტაპობრივად განხორციელებული რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - მონიტორინგისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის გაუმართაობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით არსებობს დაცული მცხეთის რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავი და სააკადის რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი, მათი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება დაწყებულია, არ არის სრულყოფილად უზრუნველყოფილი შესაბამისი დაცვითი სისტემა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ინფრასტრუქტურულად გამართული, ფიზიკური დაცვის სისტემებით უზრუნველყოფილი რადიოაქტიური ნარჩენების 2 ლოკაცია; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - ტექნიკური ხასიათის შეფერხებები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოების განხორციელებაში 3. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის 04 იანვარს შეიქმნა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი; მიზნობრივი მაჩვენებელი - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში განხორციელებული სახელმწიფო კონტროლი, შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა
------------------------	--

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (38 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა; გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით; გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის - საქართველოს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კოორდინაციის უზრუნველყოფა;

	შესაბამისი სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზების უზრუნველყოფა; მონაცემების სისტემატიზაციის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და გამარტივების მიზნით გარემოსდაცვით მონაცემთა სისტემის შექმნა, გარემოსდაცვითი ინფორმაციის და ანალიტიკური ანგარიშების მომზადებისა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის მიწოდების მოქნილი მექანიზმის უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოძიებისათვის საჭირო წყაროებზე და სხვადასხვა უწყებაში არსებულ, სათანადოდ დამუშავებულ, ადვილად აღსაქმელ და სანდო გარემოსდაცვით ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა; სხვადასხვა კამპანიებისა და პროგრამების ორგანიზების გზით საზოგადოებაში გაზრდილი გარემოსდაცვითი ცნობიერება, შესაბამისი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით გარემოს დაცვის საკითხებისადმი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების შეცვლილი ქცევა; სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების ორგანიზების გზით გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების გაძლიერებული შესაძლებლობები; სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო პროგრამული და სამართლებრივი უზრუნველყოფა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით 2015 წელს ჩატარდა 70 გარემოსდაცვითი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 695-მა ადამიანმა, მათ შორის: 868 მოსწავლემ და 259 სტუდენტმა; მიზნობრივი მაჩვენებელი - 70-მდე გარემოსდაცვითი ღონისძიების მოწყობა, სადაც მონაწილეობას მიიღებს 2 000-მდე ადამიანი. მათ შორის 600 მოსწავლე და სტუდენტი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - საზოგადოების დაბალი ინტერესი და ჩართულობა 2. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარე წელს გარემოსდაცვითი კანონპროექტების 20 საჯარო განხილვა გაიმართა 25 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთათვის, რომელსაც ესწრებოდა 366 ადამიანი; მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად სხვადასხვა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით საჯარო დისკუსიებში მონაწილეობას მიიღებს 1000 კაცი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - საზოგადოების დაბალი ინტერესი და ჩართულობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს მომზადდა გადამზადების ახალი ტრენინგპროგრამა - „გარემოსდაცვითი მმართველი“,

	რომელიც ითვალისწინებს კადრების გადამზადებას კომპანიებისთვის. გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2015 წლის განმავლობაში ტრენინგი გაიარა სულ 470-მდე თანამშრომელმა, მათ შორის 270-მა ტყის მცველმა, დაცული ტერიტორიების 150-მა თანამშრომელმა, ცენტრის 10-მა თანამშრომელმა და სამინისტროს სხვადასხვა უწყების 39-მა თანამშრომელმა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად ჩატარებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა ტრენინგები, 300-მდე გადამზადებული თანამშრომელი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; შესაძლო რისკები - ტრენინგ/მოდულების მოსამზადებლად საჭირო კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირე 4. საბაზისო მაჩვენებელი - ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის კუთხით ამ ეტაპზე შექმნილია ატმოსფერული ჰაერის ანაგარიშების ელექტრონული სისტემა; შექმნილია გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ვებრუკა, რომელზეც განთავსებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვები და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია; მიზნობრივი მაჩვენებელი - ხორციელდება წყლის, ნარჩენების, ატმოსფერული ჰაერის, გზნ-ის და სხვა ანგარიშების სისტემის დანერგვა და განახლება; განახლებულია ექსპერტთა ელექტრონული ბაზა; განახლებულია გარემოსდაცვითი ლიტერატურის ელექტრონული ბიბლიოთეკა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - კვალიფიციური კადრის სიმცირე; კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით და/ან არაჯეროვნად შესრულება
--	---

ეროვნული საშენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობა
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენის მიზნით მაღალი ხარისხის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხემცენარეების გამოყვანა; ტყის ჯიშთა სარგავი მასალის გამოყვანისათვის ტრადიციული მეთოდისა (ღია გრუნტში) და ასევე კონტეინერული მეთოდის (სასათბურე მეურნეობაში) გამოყენება; საქართველოს „წითელი ნუსხაში“ შეტანილ მცენარეთა სახეობების გამრავლების ხელშეწყობა; საქართველოს „წითელი ნუსხაში“ შეტანილი და ადგილობრივი მოწყვლადი ორნიტოფაუნისა და იხტოფაუნის წარმომადგენელთა სახეობების შენარჩუნების და გამრავლების ღონისძიებები;

	ერთი მხრივ, მიწების ეროზიისა და გამოფიტვის პრობლემების, ხოლო მეორე მხრივ სხვადასხვა სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით, ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განაშენიანებისათვის შესაბამისი სახეობების მაღალი ხარისხის ნერგების გამოყვანა; კაკალნაყოფიანების, კერძოდ, ნამყენი კაკალისა და ნუშის წარმოება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენის, ქარსაფარი და ნაპირსამაგრი ზოლების შექმნისათვის საჭირო ოდენობით გამოყვანილი ნერგები; საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შემავალი 56 სახეობის მცენარეთა საჭირო ოდენობით გამოყვანილი ნერგები და შესრულებული სახელმწიფო და კერძო მოთხოვნები; „საქართველოს წითელ ნუსხაში“ შეტანილი და ადგილობრივი მოწყვლადი ორნიტოფაუნის წარმომადგენელთა გამრავლებული სახეობები და მათთვის ბუნებრივ გარემოში გამრავლებისათვის შექმნილი გარემო; აღდგენილი ქარსაფარი ზოლები, სახნავ-სათესი მიწების ეროზიისა და გამოფიტვის გადაჭრილი პრობლემები და შედეგად თავიდან აცილებული სხვადასხვა სახის შესაძლო სტიქიური მოვლენები; დამყნობილი სადედე, სათესლე და სანაყოფე კაკალნაყოფიანების ნერგებით გაშენებული პლანტაციები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - როგორც დაგეგმილი იყო, წლის ბოლომდე, როგორც კონტეინერებში, ისე ღია გრუნტში, გამოყვანილი იქნება 2,0 მლნ ნერგი; ქალაქების და დასახლებული პუნქტების პარკებისა და სკვერების გამწვანების მიზნით მიმდინარეობს დიდი რაოდენობით ურბანული გამწვანებისათვის საჭირო დეკორატიული ხე-მცენარეების გამოყვანა (წლის ბოლომდე 200 000 ერთეული); მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად 20%-ით გაზრდილი გამოყვანილი ნერგების რაოდენობა (მ.შ. 2017 წელს - 2,4 მლნ ნერგი); ყოველწლიურად 20%-ით გაზრდილი ურბანული გამწვანებისათვის საჭირო დეკორატიული ხე-მცენარეების გამოყვანილი ნერგების რაოდენობა (მ.შ. 2017 წელს - 240,0 ათ.ნერგი); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - კლიმატური პირობები, ნერგების გახარების დაბალი (65%-ზე ქვემოთ) მაჩვენებელი 2. საბაზისო მაჩვენებელი - როგორც დაგეგმილი იყო, მიმდინარეობს 2015 წელს გამოყვანილი 155 920 ერთეული წითელი ნუსხის მცენარის მოვლა, ასევე წლის ბოლომდე დამატებით 149 000 ერთეული ნერგი იქნება გამოყვანილი; მიზნობრივი მაჩვენებელი - წინა წლებში გამოყვანილი მოვლილი ნერგები, რომლებიც მათი გაზრდის შემდგომ გადაიტანება ბუნებაში. საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოსთვის წითელ ნუსხაში შემავალი 56 (სრული) სახეობის გამოყვანილი ნერგები

	(ჯამში 650 000 ცალი); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - კლიმატური პირობები, ნერგების გახარების დაბალი (65%-ზე ქვემოთ) მაჩვენებელი 3. საბაზისო მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით თითქმის მოწყობილია ინფრასტრუქტურა "წითელ ნუსხაში" შეტანილი ენდემური ჯიშის ფრინველთა (კაკაბი) გამრავლებისთვის, შეძენილია ინკუბატორი და ასევე სადედე ეგზემპლარები (35 წყვილი კაკაბი) შემდგომი გამრავლებისთვის, რაც საშუალებას მოგვცემს, წლის ბოლომდე მათი რაოდენობა გავზარდოთ 350 ერთეულამდე. ასევე 2015 წელს, მეურნეობის ტერიტორიაზე მოწყობილ იქნა 5000 კვ.მ ტბორი „საქართველოს წითელ ნუსხაში“ შეტანილი იხტიოფაუნის წარმომადგენელთა გასამრავლებლად; მიზნობრივი მაჩვენებელი - 4 სახეობამდე (კაკაბი, ხოხობი, გნოლი და დურაჯი) გაზრდილი ენდემური და ადგილობრივი ორნიტოფაუნის წარმომადგენლები, მათ შორის 1 700-მდე გაზრდილი კაკებების რაოდენობა, მათი პირველი სატესტო გაშვება ბუნებაში. დაწყებული ისეთი ექსპერიმენტული სახეობების გამრავლება, როგორცაა როჭო და შურთხი; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - რაიმე დაავადების გავრცელება 4. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს ბაზრის კვლევა კაკალნაყოფიანი სახეობის ნერგების სადედე ჯიშების შერჩევისა და მათი შემოტანის მიზნით. ასევე საძირებდად უკვე დათესილია კაკალი და ნუში 0.7 ჰა-ზე; მიზნობრივი მაჩვენებელი - პლანტაციების გაშენების მიზნით 2 ჰა-ზე დამცნობილი სადედე, სათესლე და სანაყოფე კაკალნაყოფიანების ნერგები; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - გავრცელებული დაავადება
--	---

გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა (38 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	დასახლებული პუნქტებისა და საინჟინრო ობიექტების დაცვის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით პერმანენტულად წარმოებადი გეოლოგიური მონიტორინგი, გეოლოგიურად და ჰიდროლოგიურად საშიში არეალების დადგენა; სტიქიური უბედურების თავიდან აცილების მიზნით, სხვადასხვა სახის დაკვირვებების/მონიტორინგის წარმოება და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გაფართოება (რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია/მოწყობა); მოსახლეობის ხარისხიანი ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით, ჰიდრომეტეოროლოგიურ პარამეტრებზე სტანდარტული და სპეციალიზირებული დაკვირვების სისტემების დანერგვა;

	სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების ან შერბილების მიზნით, ადრეული შეტყობინებების სისტემების დანერგვა, სპეციალიზებული აეროლოგიური, აგრომეტეოროლოგიური, ოზონომეტრული და სხვა სახის დაკვირვებების წარმოება; მიწისქვეშა წყლების მონიტორინგული ქსელის აღდგენა და სადამკვირვებლო ქსელის მოწყობა; გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ანგარიშების მომზადება/გავრცელება; დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის დადგენის სიზუსტის გაზრდის მიზნით, ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ლაბორატორიის ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; გარემოს დაბინძურების დონის შეფასება, მონიტორინგი, ინფრასტრუქტურის განახლება/მოწყობა; ქვეყნის სიმდიდრის – სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ყველა სახის ნახშირწყალბადებისა) შესახებ ინფორმაციის სრულყოფა; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელმწიფო გეოლოგიური რუკების და მათი ელექტრონული ვერსიის შედგენა (მათ შორის 1:200 000 მასშტაბის), სავსე აგეგმვითი სამუშაოებისა და არსებული ფონდური, ლიტერატურული და კვლევითი ინფორმაციების ანალიზი და ინტერპრეტაციის მეთოდის გამოყენება. საქართველოს „წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო ფონდში“ დაცული მასალის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა შემდგომში უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის; სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის სალიცენზიოდ შერჩეული ობიექტებისათვის გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გეოლოგიური სტიქიის გართულებების თავიდან აცილებისათვის შექმნილი ადრეული გაფრთხილების საიმედო სისტემა. გეოლოგიური სტიქიისაგან მაქსიმალურად დაცული საქართველოს მოსახლეობა და სამეურნეო-საინჟინრო ობიექტები; მრავალწლიურ ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა გამართული ბაზები,* მაღალი ხარისხის ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციით უზრუნველყოფილი მომხმარებელი; შერბილებული, ან თავიდან აცილებული სტიქიური მოვლენებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგები; გარემოზე საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების რისკების შეფასების მიზნით შექმნილი ინფორმაციული მონაცემების სისტემური ბაზა, დადგენილი სხვადასხვა სახის მიწისქვეშა წყლების რეჟიმი, კიმიზმი, ეკოლოგიური მდგომარეობა, დაჟუჟყიანების მიზეზები და მასშტაბები; ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ლაბორატორიის ინფრასტრუქტურის შესაბამისობა წაყენებულ საერთაშორისო

	სტანდარტებთან. შედეგად, დამაზინმურებელი ნივთიერებების შემცველობის დადგენის სიზუსტე; მონიტორინგის ქსელის გაფართოების შედეგად, გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ გაუმჯობესებული შეფასება. გარემოს დაზინმურების და ბიორესურსების შესახებ ინფორმაციის სანდოობა და საიმედოობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. საბაზისო მაჩვენებელი - ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება 3668 დასახლებული პუნქტიდან 1200 პუნქტში, რაც შეადგენს 33%-ს; მზადდება წლიური ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები შესაბამისი რეკომენდაციებით. დაწყებულია „დიდი თბილისის“ ტერიტორიის ფარგლებში პირველადი სამოქმედო ინფორმაციის და საინჟინრო-გეოდინამიკური რუკის შედგენა; მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად 3%-ით გაზრდილი (1600 დასახლებული პუნქტი, მ.შ. 2017 - 1400) იმ დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება. საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს „დიდი თბილისის“ ტერიტორიის ფარგლებში 40-დან 100%-მდე დეტალიზებული სამოქმედო ინფორმაციის და საინჟინრო-გეოდინამიკური რუკა, შესაბამისად 30%-ით გაზრდილი ინფორმაციის მასშტაბურობა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; შესაძლო რისკები - შესრულებული სამუშაოების რაოდენობა დამოკიდებულია გეოლოგიური სტიქიის აქტიურობის ხარისხზე 2. საბაზისო მაჩვენებელი - ამჟამად ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი ძალზედ გაიშვიათებულია. ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების ობიექტურად შესაფასებლად საჭიროა გაცილებით გახშირებული ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი. სათანადოდ ვერ ხორციელდება ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების პუნქტებიდან მიღებული მონაცემების საერთაშორისო დონეზე გავრცელება. საჭიროა ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების (150 წლის) და არაავტომატიზებული ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოების მიმდინარე მონაცემების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა და თანამედროვე პროგრამული საშუალებების მეშვეობით მათ ხარისხის კონტროლის განხორციელება; მიზნობრივი მაჩვენებელი - სტანდარტული დაკვირვებების პუნქტების გაზრდილი რაოდენობა აუცილებელი ოპტიმალური რაოდენობის 50-დან 70%-მდე; საშუალოვადიანი პერიოდის ბოლომდე 1 პუნქტზე აღდგენილი ატმოსფეროს ვერტიკალური ზონდირების სამუშაოები, დამონტაჟებული 2 მეტეოროლოგიური მინი რადარი; ელექტრონულ ფორმატში სრულად გადაყვანილი მრავალწლიური ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემები.(მ.შ. 90% 2017წელს); ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; შესაძლო რისკები - გამზომი და სატელეკომუნიკაციო საშუალებების გაუმართაობა 3. საბაზისო მაჩვენებელი - მიწისქვეშა წყლების სადამკვირვებლო მონიტორინგული ქსელი შეადგენს 34 ერთეულს; მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად 23-25%-ით გაზრდილი მიწისქვეშა არტეზიული წყლების არსებული

მონიტორინგული სადამკვირვებლო ქსელი (მონიტორინგი ხორციელდება დამატებით 8 წყალპუნქტზე);

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%;

შესაძლო რისკები - გამზომი ხელსაწყოების მწყობრიდან გამოსვლა

4.

საბაზისო მაჩვენებელი - ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ლაბორატორიის ინფრასტრუქტურა მხოლოდ 50%-ით შეესაბამება ლაბორატორიების მიმართ წაყენებულ სტანდარტებს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ლაბორატორიების მიმართ წაყენებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ლაბორატორიის განახლებული ინფრასტრუქტურა. საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის დასადგენად ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგის და ატმოსფერული ნალექების სინჯებზე ჩატარებული ქიმიური და ბიოლოგიური ანალიზების სიზუსტე;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%;

შესაძლო რისკები - დანადგარის ტექნიკური ან პროგრამული გაუმართაობა

5.

საბაზისო მაჩვენებელი - ზედაპირული წყლებისა და ნიადაგის ხარისხის უკეთ შესწავლის მიზნით აუცილებელია მონიტორინგის არეალის გაფართოება. ზედაპირული წყლების ხარისხის შესაფასებლად ამჟამად დაკვირვებები მიმდინარეობს 119 პუნქტზე, რაც შეადგენს დაგეგმილი 170 პუნქტის 70%-ს, ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი კი ამჟამად მიმდინარეობს 30 დასახლებულ პუნქტში, რაც შეადგენს დაგეგმილი 85 პუნქტის 35 %-ს. ამჟამად ქ.ქუთაისში და ბათუმში ჰაერის დაბინძურების კონტროლი აღწევს 30%-ს, ხოლო ქ.თბილისში - 60%-ს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს 170 წერტილში (წლიური ზრდა 12-15%-ით) განხორციელებული წყლის ხარისხის მონიტორინგი, ხოლო ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი - 70 დასახლებულ პუნქტში (წლიური ზრდა - 20-25%-მდე); ინდიკატორული გაზომვების მეშვეობით ყოველწლიურად 20%-ით გაზრდილი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის შეფასება საქართველოს 16 დასახლებულ პუნქტში;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%;

შესაძლო რისკები - დანადგარის ტექნიკური ან პროგრამული გაუმართაობა